# ობამას საემიგრაციო გამოსვლა

№3(71) მარტი-აპრილი, 2013

მთავარი რედაქტორი **მანუჩარ კაჭახიძე**
EDITOR&PUBLISHER **MANUCHAR KATCHAKHIDZE**

**ჟურნალის ამ ნომრის დაბეჭდვა შესაძლებელი გახდა „მამულის“ დიდი მეგობრის, ბატონ ილია ბარამიძის უშუალო ხელშეწყობითა და თანადგომით**

ჩვენი კორესპონდენტია: **ასავად-დასავალი**
მოგვწერეთ: PO Box 13121, Jersey City, NJ 07303
ტელ.: 1-347-724-0770; თბილისიდან: 2-420-320
ელფოსტა: mamuliusa@gmail.com; www.mamuli.com

ჟურნალი აკრებილია, დაკაბადონებულია, დაბეჭდილია და აკინძულია შეერთებულ შტატებში და ამ ნომრის გამოცემის დროს წარმოადგენს ერთადერთ ემიგრანტულ, ქართულ გამოცემას ა.შ.შ.-ში.

# სარჩევი


5 **სარედაქტორო**
მატარებელში რომ მოხვდე!

13 **პრეზიდენტ ობამას**
სიტყვა საემიგრაციო რეფორმაზე

16 **პატრიარქის**
საშობაო ეპისტოლე

19 **ფელეტონი**
ტკივილი იუმორში ნათქვამი

21 **ასე დაიწყო**
ერთი გაზეთის ასავალ-დასავალი

23 **„ილუზიონი“ კაბადონებში**
„ნიურნბერგის პროცესი“

30 **გურამ თიკანაძე**
ოღონდ ყინულის ლოგინში...

36 **ვენდოთ ბორხესს!**
ლაშა ბუღაძის ფიქრები

39 **აგვისტოს ომის გმირები**
ერეკლე ყულოშვილი, თემურ ბერიძე...

43 **ბაძიო**
ლევან ბერძენიშვილის მოგონება

47 **აინშტაინი ღმერთზე**
ბოროტება ღმერთის არარსებობაა

48 **მარადი ტკივილი**
კუბოებს შორის ჩავჯექი...

52 **დაგვიანებული მასტერკლასი**
ერლომ ახვლედიანთან

56 **გაკვეთილები ისტორიისათვის**
ნაწყვეტები ვაცლავ ჰაველის დღიურიდან

64 **თბილი საღამო**
ვიგონებთ ჯემალ აჯიაშვილს

# ვინ თქვენ ხედავს ადამიან ადამიან!



... დედაშენი არის ღმერთი!

შენ რომ ზიხარ და უყურებ, ისიც რომ გიყურებს. შენ რომ დედას ეძახი და ის შვილს გეძახის, ამიტომ შენ გგონია ღმერთი არ არის? შენ ღმერთი ვინ გგონია?

წვერებიანი ბაბუა?

ღრუბლებზე ზის და ჰირს რომ იბანს, წვიმა მოდის?

ღმერთი ისე ნათელია, ისე ახლობელი, ისე ახლო და ისე უბრალო, რომ როდესაც ხედავ, არ იცი რომ ღმერთია, ამაშია ღმერთის უბედურება, ამიტომ არ სწამთ ღმერთისა. ღმერთი რომ სხვაგან იყოს, შორს ჩვენგან, ცალკე და მაღლა, ღმერთი რომ ჩვენში არ იყოს, მაშინ ყველა იწამებდა.

ამაშია საქმე! ღმერთი მაშინ უნდა იწამო, ღმერთის სახე რომ არ აქვს, რომ არ ჰგავს ღმერთს, რომ არ გეუბნება – „ღმერთი ვარო“, ჰურს რომ გიყოფს, სადილს რომ გიკეთებს, ტანზე რომ გაცმევს, თავზე რომ გახურავს, გიღიმის და გეფერება, გკოცნის და ტირის შენი გულისთვის, კვდება შენი გულისთვის, ცივა, წყურია, შია შენთან ერთად, სულს ამლევს ეშმაკს შენი გულისთვის, მაშინ უნდა იწამო...

აბა, ღმერთმა თუ თავისი სახე გაჩვენა, კედელთან მიგაყენა, ყური აგიწია და თვითონ თუ გითხრა „ღმერთი ვარ და მიწამეო“, მაშინ რაღად უნდა ღმერთს შენი რწმენა?

ასეთ ღმერთს შენ კი არა, ყველა იწამებს. ღმერთი მაშინ უნდა იწამო, შენ რომ გგავს, მე რომ მგავს, დედაშენს რომ ჰგავს, გასაგებია?

**– ნოდარ დუმბაძე –**

❖ **მანუჩარ კაჭახიძე,**
ჟურნალ „მამულის“ რედაქტორი

ქართველებს უცნაური მისწრაფებები გვაქვს და ეს უცნაურობები სრულად გამოხატავს ეროვნულ თვითმყოფადობას, მის მიზანსა და მარადი ღირებულებებს.

ეს არაა გამოწვეული
ან გონიერებისგან,
ან უგუნურებისაგან.

ამაში ბედისწერის ხელი ურევია და ამ ბედისწერის ბორბალზე დავდივართ დღენიადაგ. ეს ბედისწერა მაგიური წრეა და სხვა არაფერი.

ჩვენ სულ წინ მივისწრაფით უკეთესი მომავლისაკენ:

წარსულის დატირებით,
აწმყოს დაძლევა-ქილიკით,
მომავლის იმედით.

თვითონაც ვერა ვგრძნობთ, როგორ ვტრიალებთ მაგიური წრის გარშემო. მთელი ჩვენი ენერგია, მისწრაფება, გულზვიადობა იხარჯება და, შეიძლება ითქვას, იფლანგება კიდეც ამ ფუჭ მოძრაობაში. ამას უწიგნურობას ვერ დავარქმევ, მაგრამ ეს არც წიგნიერებიდან მომდინარეობს.

ჩვენი აწმყო იმ მატარებელს ჰგავს, რომელიც უცებ ჩამოგიქროლებს,

შორი-ახლოს გააჩერებს,
მგზავრებს ჩაისვამს,
ზოგს გადმოყრის უცერემონიოდ (გადმოსმა ხომ ჩვენში არ ხდება).

შენ მირბიხარ გაღებულ კარამდე. ახლოს რომ მიხვალ, ვაგონი უცებ დაიძრება. ნაბიჯს მოუჩქარებ, იქნებ მოვასწრო და გაქანებულ მატარებელს მაინც შევახტეო... ნახტომს ვერ მოასწრებ, ისე დაიხურება კარი.

ბარგსაც აღარ დაეძებდი,
დაყრიდი ბაქანზე,

ოღონდ იმ საოცნებო მატარებელში შეგერგო თავი.

მატარებელი კი გამუდმებით წრეზე დადის, როგორც მუშტაიდის ბაღში საბავშვო მატარებელი. ჩვენგან ძალიან შორს მყოფსაც კარგად ვხედავთ, თითქოს გვერდით დაჩიქჩიქობდეს.

ერთია რომ, არ გვეზარება არასოდეს მგზავრობანას თამაში და ბოლოს ბარგად გულზე დადებული გაწბილება.

არც მატარებლის მემანქანეს ბეზრდება მემანქანეობანას თამაში, სანამ გაჩერებასთან ხელის გაწვდენაზე მიახლოებული მატარებლის რომელიღაც ავარა და თავზე ხელაღებული მგზავრთაგანი მიზეზით თუ უმიზეზოდ არ ჩამოაგდებს მემანქანეს, რადგანაც ბუნებით ფირალები ვართ ქართველები. ეს ისეთივეა, ამერიკულ ვესტერნებში რომ მატარებლების გაძარცვა ხდება შუა გზაში.

ვძარცვავთ ამ ჩვენს მატარებელს დაუზარებლად,

მატარებელი კი არა,

სადღაც შორეული სოფლიდან ქალაქს ჩამოყვანილი ვირი ყოფილიყოს,

გზა რომ აებნა უპატრონოს და წრეზე დადის გულის მოსაოხებლად.

ისიც მიეჩვია ამას და ჩვენც.

ლიანდაგები ახლა არ დაგებულა. დაპირება ბევრია: მრავალმხრივი,

მრავალწახნაგოვანი.

ვისაც არ ეზარება, ფეხდაფეხ მისდევს ამ მატარებელს, სანამ ძალ-ღონე ჰყოფნის, იმისთვის, რომ სწავლულ-ნაკითხად წარმოვაჩინოთ ჩვენი თავი, ამ ძალ-ღონეს ენთუზიაზმი ჰქვია.

ენთუზიაზმიც მალე ჩაქრება და დაღლილ-აქოშინებული აღარ გაედევნება მატარებელს. ასე იფიქრებს:

„იქნებ მემანქანედ ადრე თუ გვიან ჩემიანი დაჯდეს და ზედ ფეხებთან გამიჩეროს მატარებელი“.

გასავათებული თავის ჩემოდნებზე დაჯდება და ასე გაადევნებს თვალს მატარებელს, თუ როდის დაარტყამს წრეს და მიუახლოვდება არა მატარებელი, არამედ მემანქანე თავის უკანასკნელ და საბედისწერო გაჩერებას. მოახლოებულს ხელს დაუქნევს მგზავრობის კანდიდატი, თითქოს ტაქსს იჭერდესო, ისე.

მატარებელი არ გააჩერებს,
ჩაიქროლებს,

თუნდაც მემანქანედ საკუთარი ოჯახის წევრი იყოს, რადგან მატარებელმა თავისი ისტორიული გაჩერება და შესვენება ესესაა უკვე გააკეთა.

აი, გულაცრუება
მერე იწყება,
თუ იწყება,

ევროპულ ენაზე რომ ვთქვათ და სწავლულ-ნაკითხად წარმოვაჩინოთ ჩვენი თავი, ამ გულაცრუებას ნიჰილიზმი ჰქვია.

არადა, რა არის ასეთი ამ მატარებელში, რომელიც წრეზე დადის და სინამდვილეში არსად მიდის?

მხოლოდ შიგ მოხვედრის საკრალური ოცნება, სხვა არაფერი.

თუ ვინაცობაა და გაგიმართლა და მოხვდი ამ მატარებელში,

აუცილებლად გამოიწვევ შურსა და ზიზღს მატარებლის მიღმა დარჩენილებისას, ესაო და, რატომ შენ და არა მეო,

და შეეცდებიან გზაში ჩაგისაფრდნენ და შენ და შენი მეგობრები ჩამოგყარონ ვაგონებიდან.

ჰო, მართლა, ამ მატარებელში ინდივიდუალურად ვერ შეხვალ,

მასში ჯგუფურად უნდა შეხვიდე,

თორემ ისეთი ამბავია შესვლაზე, შეიძლება ჭყლეტას ემსხვერპლო კიდეც. მეგობრები, რომლებიც კართან ახლოს არიან, ყველანაირად შეეცდებიან შენც შეგიყვანონ, თუ მეგობრად ჩაგთვლიან, ან შეთანხმდებიან ზემოთ და შენთვის დაიბრონება ბილეთი, რათა იმ ვაგონებში მარტო მეგობრების ადგილები იყოს.

თუ ენთუზიაზმით მიადგები, ჩამწერეთ თქვენს მეგობართა რეესტრშიო, გადაგთელავენ იგივე მეგობრები, კონკურენციის მზაკვრობამ იცის ეს და სხვა არაფერმა.

თუ მატარებელში ერთი-ორი არამეგობარი შეეპარათ, მშვიდ მგზავრობაში ხელი შეეშლებათ და მათი წყალობით ასეც

შეიძლება მოხდეს: ეს ერთი წყება მეგობრები ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება მატარებლიდან ჩამოყრილები აღმოჩნდნენ.

ამ მატარებელში საინტერესო მხოლოდ ასვლა-ჩამოგდების პროცესია.

ასე ვცხოვრობთ უკვე არათუ წლები, არამედ საუკუნეები და ეს ჩვენი ცხოვრების წესი გახდა, იქამდე ეროვნულ თვითმყოფად ხასიათადაც კი ჩამოყალიბდა.

ამიტომ იყო, ილია ჭავჭავაძემ მარადი ჰიმნად რომ დაგვიტოვა ეს სიტყვები:

*„ჩემო კარგო ქვეყანავ,*
*რაზედ მოგიწყენია?*
*აწმყო თუ არა გწყალობს,*
*მომავალი ჩვენიაო“.*

რა თქმა უნდა, ეს ლექსი ზეპირად თუ არა, მოსმენილი და ნამღერი მაინც გვაქვს ხმაშეწყობით რევაზ ლაღიძის შესანიშნავ მელოდიაზე. ის ქართულ პოეზიაში ერთერთი საპროგრამო ლექსია, ქვაკუთხედი ახალდროების პოეზიისა, წყალგამყოფი ქედის ერთი დიდი ფერდი IXX საუკუნის შუაწლებში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე. ერთის სიტყვით, ეს ლექსი ნებისმიერმა ქართველმა მაინც იცის, პირველი ოთხი სტროფი მაინც. ლექსი ვიცით, მაგრამ ამ ლექსზე არასოდეს დავფიქრებულვართ.

უმეტესობას ჰგონია, რომ ის გულზე მჯიღის კვრაა,

სამარშო რიტმში ჩამჯდარი წინადადებებია ბოლო კიდურების გარითმვით.

რაღაც მომენტში ეს მართლაც ასეა, მაგრამ ჩვენ გვავიწყდება ავტორის ვინაობა და მისი ირონიული დამოკიდებულება ურა-პატრიოტიზმის მიმართ.

ამ თვალსაწიერიდან რომ წავიკითხოთ ეს ლექსი, არანაკლებ ირონიულად მოგვეჩვენება, ვიდრე მისივე ლექსი „ბედნიერი ერი“, ყველა რომ წამოვიკიდებთ, რათა გამოვხატოთ ჩვენი გულისწყრომა საკუთარ ხალხზე.

ჩემს კარგ ქვეყანას მოუწყენია,
ამ დროს კი, მთელი კასკადი ქებისა,
სადაც მოწყენილობის საფუძველი უნდა გამქრალიყო:

*„წვრილ-შვილნი წამოგვესწრნენ*
*ნაზარდნი, გულმტკიცები,*
*მათი ზრუნვის საგანი*
*შენ ხარ და შენ იქნები,*
*არ გიმტყუნებენ შენა,*
*თუ - კი მათ მიენდები...“*

ყველაფერია - თაობა იზრდება,
მოდის და მოაქვს მომავალი,
შენ კი მოგიწყენია და თითქოს არც კი ენდობი, არადა, უნდა ენდო... და ვის?

ვისი ზრუნვის საგანი შენა ხარ და შენვე იქნები. ამ დროს კი, ჩემო კარგო ქვეყანავ, შენ ზიხარ და მოგიწყენია.

უნებლიედ ტარიელ-გმირი მახსენდება - უცხო მოყმე „ჯდა მტირალი წყლისა პირსა...“

წვრილ-შვილნი, ნაზარდნი და გულმტკიცები რომ წამოგვესწრნენ და თანაც მათი ზრუნვის საგანი შენ რომ ხარ, სწორედ იმიტომ მოგიწყენია, ჩემო კარგო ქვეყანავ.

ასეთი ხალხი არიან,
შენ კი წარსულს მისტირი,
აწმყოზე მოგიწყენია და
მომავლის იმედი მაინც შეგრჩენია.

რომ არა რეზო ლაღიძის უკვდავი მელოდია, ამ ლექსზეც ისეთივე ღიმი მომეფინებოდა, როგორც „ბედნიერ ერზე“. ეს ღიმი უფრო დამაფიქრებდა, უფრო მეტად ჩავხედავდი საკუთარ რაობას, ყოფას, მარადი ყოფას, რომლის გარშემოც ვტრიალებთ გამუდმებით და გამუდმებითვე გულაცრუებით მთავრდება ყველა ჩვენი ომახიანი წამოწყებანი. როგორ გულის გამგმირავად ჟღერს,

არათუ დაცინვით, არამედ სინანულით მარადი აწმყოს წინაშე -

*„მათის ღვაწლით შეგექმნას*
*სახე ბედის მთენია...“*

ნუთუ? თუ ასე კარგები ვართ
ახლა, ამჟამად, აწმყოში, რატომ უნდა ვიფიქროთ მომავალზე? აი, ეს არის ჩვენი ბედიცა და ბედისწერაც.

წიგნი ბევრი წაგვიკითხავს, ლექსები ბევრი დაგვიწერია, მაგრამ მაინც უწიგნურობის შთაბეჭდილებას ვტოვებთ.

ვიღაც ჭკუოსნების ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა „ჩემო კარგო ქვეყანა“ (ტექსტი ილია ჭავჭავაძისა, მუსიკა რევაზ ლაღიძისა) საქართველოს სახელმწიფო ჰიმნად ექცია. საზოგადოებაშიც ეს აზრი მუსირებდა. ყველა მიტინგი, შეკრება და ყრილობა-ფორუმი ამ სიმღერით იხსნებოდა იმ აუცილებელი რიტუალის დაცვით, რაც სახელმწიფო ჰიმნის შესრულებისას არის საჭირო.

ჭკუოსნების მცირე ჯგუფმა ყურადღება მიაქცია ტექსტს „ჰიმნის პროექტისას“, ანუ „აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენიაო“, - ამას.

ატეხეს ერთი ამბავი, რა არის ის ქვეყანა, ის ხალხი, რომელსაც აწმყო არ სწყალობსო? როგორ შეიძლება ეს სიმღერა ჰიმნად ვაქციოთო.

ის ერთი ჯგუფი შეცბა, ეს როგორ დაგვემართაო. რაღაც მობოდიშების ნიშნად ესეც კი თქვეს - „არა, ეს მარტო ახლა იქნება ასეთი ჰიმნი, თორემ როცა გავბედნიერდებით, მას სხვა ჰიმნით შევცვლითო“.

გაგონილა?

ატეხეს ერთი ამბავი იმ სხვა ჯგუფში და გადაიბირეს ხალხი, იქამდე ისიც კი თქვეს, რომ ამ ლექსის გამო თვით ილიასაც კი არაერთი უსიამოვნება შეამთხვიესო.

- მართლაო? - იკითხა ვიღაცამ ერთი ჯგუფიდან.

- რაის ჭკუოსანი ხარ, თუ ეს არ იციო... - გააქილიკეს საუცბათოდ სხვა ჯგუფელებმა.

ამით პოლემიკა შეწყდა.

ეს სიმღერა აღარ ხსნიდა და ხურავდა ჭკუოსანთა შეკრება-ფორუმ-ყრილობებს. ჭკუოსნები ბოლოს ნოების რესპუბლიკის უღიმღამო ჰიმნზე შეთანხმდნენ და გაიხადეს ის ქვეყნის ნომერ პირველ სიმღერად...

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ილიას „ჩემო კარგო ქვეყანა“, მაინც დარჩა ერის სახის წარმომჩენად, მის სიმბოლოდ თავისი ყოვლისმომცველობით - არამარტო აწმყოს არწყალობითა და მომავლის იმედით, არამედ ეროვნული პოტენციალით, მისი მიზანსახულობით, საკუთარი თავისადმი ირონიული დამოკიდებულებით, იქამდე პოლიფონიური სიძლიერითა და ზეაღმატებული მგრძნობელობით.

ვიღაც შემომეკამათება,
თუნდ ჭკუოსანი,
თუნდაც უჭკუოსნო,
რომ პოლიტიკურ ჭრილში სახავ ყველაფერსო. მე ყველა ოპონენტს დიდი პატივისცემით შევახსენებ, რომ ეს პოლიტიკა კი არა, ჩვენი მარადი ყოფა-ცხოვრებაა, ჩვენი გამუდმებული უკმარისობის გრძნობა, რომელიც ვლინდება, ბუნებრივია პოლიტიკურ თამაშებშიც. ეს არ-ახალია, ძველია. ვიღაც იმასაც იტყვის, უწიგნურები ვყოფილვართ, თუკი ასეა საქმეო.

ვერც ამაში დაგეთანხმები, ჩემო მკითხველო. წიგნიერება და უწიგნურობა ასე თუ ისე მაინც პირობითი ცნებებია. ბევრი მინახავს კაცი, რომელსაც ერთი გაზეთის სტატიაც კი არ წაუკითხავს და ბევრ ნასწავლს სჯობნის თავისი პრაქტიკული გონიერებით, ბევრიც მინახავს კაცი - წიგნის ჭიას რომ ეძახიან (მაგალითად, თეიმურაზ ხევისთავი, იგივე ბრინკაი, მიხეილ ჯავახიშვილის რომანითგან „ჯაყოს ხიზნები“), და ცხოვრებაში გამოუსადეგარი ყოფილა... და შედეგად რა - თითქმის არც ერთ კონცერტზე, არც ერთ საავტორო საღამოზე ამ სიმღერას აღარ მღერიან. თითქოს შავი ჭირის მატარებელი ყოფილიყოს. ადრე თუ თავს ვიწონებდით და ცრემლისღვრით ვღრიალებდით ამ მელოდიას, ახლა სავსებით უგულებელვყავით, თვით ემიგრაციაშიც კი.

ვითომ აწმყო გვწყალობს ასე-რიგად, რომ ამ ლექსს ყავლი გაუვიდა?

აქ ჭკუოსნობაშიც არაა საქმე და არც უგნურებაშიც. ჩვენ უფრო დიდი უბედურება გვჭირს, ვიდრე გონიერების დეფიციტია. გატეხილი ინგლისურით, ენას რომ პირში ძლივს ვაბრუნებთ, ვმღერით ათასგზის ნამღერებ და გადანამღერებ სიმღერებს, ესაო-და, დაგვინახონ როგორი ევროპელები ვართო, ცნობილი თუ უცნობი მომღერლები ერთმანეთს ეჯიბრებიან და კონკურ-

სებს კონკურსებზე აწყობენ, როგორმე მოხდენილად ჩაამღერონ ვიღაცის დაწერილი უგემოვნო სიმღერები.

მთავარია, იყოს ინგლისურენოვანი,
სხვა არაფერია საჭირო...

სწორედ ამათ გამოსაჯავრებლად ჭექს ილიას ლექსზე ქართველი ერის მარადი ჰიმნი - „ჩემო კარგო ქვეყანა“. არც არავის მოვუწოდებ, ეს იმღერე და ეს არ იმღერო-თქო, მე არც იმპრესარიო ვარ მათი და არც მენეჯერი. მე ჩვენი უკულმართული ბუნების უცნაურობაზე ვამახვილებ ყურადღებას, თორემ იმღერებენ თუ არა ამას თუ იმას,

არც მე დამაკლდება ამით არაფერი,
არც თქვენ და არც იმ ნამღერებს -
ავ თუ კარგ, ავად თუ კარგად.

ყველაფერს მაინც თავისი კუთვნილი ადგილი მიეჩინება ბუნებაშიც და ჩვენს ყოფაცხოვრებაშიც. ამისთვის ერუდიცია და გონიერებაა საჭირო.

## კათარზისი, თუ ფიგნიერი ხარ

დღეს საკმაოდ ბევრს საუბრობენ იმაზე, თუ როგორ ჩაანაცვლა წიგნი კომპიუტერმა. ექსპერტები და ექიმები ბევრს მსჯელობენ კომპიუტერის მავნე ზეგავლენაზე, იგონებენ რა წიგნის კითხვაში გატარებულ ღამეებს. ზოგიერთი ნათქვამის ეფექტურად წარმოჩენისათვის, ხატავენ ექსპრესიის გამძაფრებულ სურათებს, რომ ესაო-და, მშობლები გვიშლიდნენ წიგნების კითხვას „გეყოფადაისვენეს“ ეგიდით, ჩვენ კი მიჯინებულად და მალულად ტორშერის შუქზე მაინც ვკითხულობდით და გავჭკუოსანდით, - ასკვნიან ბოლოს.

კომპიუტერი კი რა...

ვითომ კომპიუტერში არ მოიპოვება წასაკითხი და გასანათლებელი მასალები და მონაცემები? რამდენიც გენებოთ.

ის, რაც ჩვენთვის მიუწვდომელი იყო, იქამდე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა და მთელს ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთი ან ორი ეგზემპლიარი თუ მოიძებნებოდა და ისიც საგანგებო საშვების საშუალებით შეიძლებოდა მოსკოვისა და ლენინგრადის ბიბლიოთეკების სპეცსაცავებში გენახა, ახლა ასეთი წიგნები ნებისმიერი წიგნების გადმოწერის უფასო ინტერნეტ-საიტზეა განთავსებული. თუ განათლების მიღება გსურს, არათუ მხოლოდ კომპიუტერით, ყველა საშუალებით მიიღებ მას.

ჩემი ბავშვობიდან მახსენდება ასეთი შემთხვევა: ერთხელ მომიხდა ირაკლი აბაშიძის ლექსის წაკითხვა, რომელიც პაოლო იაშვილის ხსოვნას ეძღვნებოდა. რა თქმა უნდა, გაცნობიერებული მქონდა პაოლოს ტრაგიკული აღსასრული და სტრიქონსა და სტრიქონს შორის ქვეტექსტებს ვეძებდი, იქნებ რაიმე მნიშვნელოვანი გამეგო. ამ ლექსში იყო შემდეგი ჩემთვის მაშინ დამაფიქრებელი სტრიქონები:

*„შენ, შენ დაეცი იმ წელს,*
*როცა საქართველოზე*
*კაენის სულის აღზევებამ*
*გადისრიალა“.*

1937 წლის საკრალური მნიშვნელობაც ცნობილი იყო ჩემთვის, მაგრამ ერთი ეპითეტი თუ მეტაფორული აზრი მაინც უცნობი რჩებოდა - „კაენის სული“ და მისი აღზევება.

ვინ იყო კაენი?

ვეძებდი ლექსიკონებში,
ენციკლოპედიებში,
იქამდე საისტორიო კრებულებში. ეს სიტყვა მაწვალებდა დღითი-დღე. რაც უფრო ვერ ვპოულობდი, მით უფრო მიცხოველდებოდა მისი ამოხსნის სურვილი. ბოლოს ესეც ვიფიქრე:

- იქნებ კორექტურა გაეპარათ და უნდა იყოს ყაენი.

თითქოს ამოხსნასთან ახლოს ვიყავი, მაგრამ ისევ კითხვა დაბადა პასუხმა:

- რომელი ყაენი: ჩინგიზი, ბათო, ყუბილაი და ა.შ. კონკრეტულად რომელ ყაენს გულისხმობდა? იქნებ არცერთს, იქნებ ყველას ერთად, იქნებ რომელიღაცას.

ისევ მივუბრუნდი ისტორიულ წყაროებს, იქნებ მიმსგავსებული ეპოქა აღმომეჩინა, მაგრამ ამაოდ.

ჩემს მეზობლად ერთი მორწმუნე ცხოვრობდა, ხშირად მესაუბრებოდა რელიგიაზე და ერთხელაც ვთხოვე ბიბლია ეთხოვებინა ჩემთვის. მანაც დაუზარებლად მათხოვა წიგნი. რა თქმა უნდა, არც მან იცოდა კაენის შესახებ მთელი წელი რომ ვწვალობდი და არც მე ვიცოდი, თუ მისთვის ცნობილი იქნებოდა ამ ბიბლიური პერსონაჟის ისტორია. მასწავლებელი, მეზობელი - ყველას ვეკითხებოდი, ვინ არი კაენი-მეთქი. პასუხს ვერავინ მცემდა, არ იცოდნენ, და მიტომ... და არ იცოდნენ იმიტომ, რომ არასოდეს გაუგონიათ მის შესახებ არაფერი. ჩემი ბოლო და სასოწარკვეთილი ნაბიჯო იყო ის, რომ თვით ირაკლი აბაშიძისთვის მიმეწერა წერილი და მეკითხა ამ იდუმალი კაენის ვინაობა. პარალელურად, ბიბლიის კითხვა დავიწყე და ჩემთვის სრულიად მოულოდნელად ამ წმიდა გამოცემამ გამცა პასუხი ყველაფერზე:

კაენი - ადამისა და ევას შვილი (ადამი და ევა, ბუნებრივია, ვიცოდი), საკუთარი ძმის - აბელის მკვლელი.

აი, ამის შემდეგ ნათელი გახდა ჩემთვის, თუ რას გულისხმობდა პოეტი „კაენის სულის აღზევებაში“. ეს სათქმელად იოლია, მაგრამ რამდენი უძილო ღამეები გადავიარე აქამდე, რათა სრულყოფილად გამეაზრებინა ირაკლი აბაშიძის ეს სტრიქონები. ცოდნაც ბევრი მივიღე, გაცილებით ბევრი რამის, ვიდრე ნებადართული იყო. ბიბლია ხომ იმ დროს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა (და თუკი არსებობდა, ძველქართულის არა გამეგებოდა).

დღეს წიგნებს ასეთი მისწრაფებით, მიზანდასახულობით აღარ კითხულობენ. საკმარისია სასკოლო გაკვეთილები დაამზადონ, რომ ყველაფერი ამოიწუროს ამით. არადა, იმ ძიებისას რამდენ რამეს გავეცანი, ხანდახან იმასაც კი ვფიქრობ, ნეტავ გახანგრძლივებულიყო ძიებათა პროცესი, ხომ უფრო მეტს შევიმეცნებდი-თქო.

დღეს იოლია სიტყვის პოვნა - აკრძალული არაფერია. არსებობს ნაირ-ნაირი ინტერნეტ-ლექსიკონები და ინტერნეტ-ენციკლოპედიები. ყველაფერს იპოვი,სასურველი მწერალი გინდა? თუ სადმე რაიმე დაუწერია ნაგლეჯ ფურცელზეც კი, ისიცაა სრულ, აკადემიურ კრებულებად ჩაშვებული. ოღონდ მოინდომე და წაიკითხე, კომპიუტერიც კი უდიდესი საშუალებაა განათლების მიღებისათვის.

მაგრამ კითხვა უმიზნოდ ისევე დამღუპველია, როგორც საერთოდ წაუკითხაობა. იმ სპონტანურმა აღტკინებამ, ამომეცნო მეტაფორული მეტყველების ის პატარა ნიუანსი, თავისი შედეგი გამოიღო იმით, რომ მივეჩვიე ამა თუ იმ ნაწარმოების მიზანდასახულ კითხვას და მის გარშემო საჭირო კონსპექტების შედგენას კითხვის პროცესში, რომლის დასრულების შემდეგ ვახდენ წანაკითხის სრულფასოვან აღქმას. არის შემთხვევები, როდესაც ლიტერატურული ნაწარმოები სასურველ მოლოდინს არ ამართლებს რაღაც გარკვეულ მომენტში, მაგრამ თუ ის კლასიკაა, ან კლასიკოსის შექმნილი, აუცილებლად დამაბრუნებს მასთან და განბრძნობილი მივუდგები მისი თითოეული დეტალის განხილვას. რომც არ იყოს ჩემი გემოვნების შესაფერისი, ის მაინც იპოვის თავის კუთვნილ ადგილს ჩემს გონებაში...

და რატომ? და როგორ?

ამის შესახებ რომ ვისაუბროთ, მთელი ცხოვრება არ გვეყოფა.

ერთს კი დავსძენ - არავითარ შემთხვევაში გულაცრუების შთაბეჭდილება არ დამრჩება და არც არასოდეს ვიტყვი იმას, რომ დრო სულ ტყუილად დავხარჯე ამის წაკითხვაშიო. არის შემთხვევები, როდესაც უვარგისი წიგნიც კი სასარგებლოა მხოლოდ იმისათვის, რომ საფუძვლიანად დააფასო ღირებული.

არის წიგნები -

ან მისაღებია, ან არა.

ეს კი დამოკიდებულია ინდივიდუალურ გემოვნებაზე, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი ხდება შენს მსოფმხედველობაში კოსმიური გარდატეხა. თანდისთანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ კეთილშობილდები, სწავლობ შენთვის მიუღებელის გაგებასა და გააზრე-

ბას (რაც მეტად საჭიროა და დღევანდელ ცხოვრებაში) და ცხოვრებაში ხელაღებით აღარასფერს უარყოფ, აღიარებ და ძირით ძირამდის განჭვრეტ არასასურველსაც.

უშინაარსო კითხვა, მხოლოდ იმისთვის, რომ რაოდენობაში ჩაეთვალოს მკითხველს ესა თუ ის წიგნი წაკითხულად, ბოროტების მომტანია კიდევ უფრო მეტად, ვიდრე თვით ბოროტების ქმნა. ასეთ დროს ადამიანში იბადება ანტი-იდეა, რომელიც არ კვდება და წარმოშობს ათასგვარ მავნებლობებს. ქმედება ერთია, რაღაც გარკვეულ დროშია მოქცეული, ფიქრი ამ ქმედებებზე კი ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ადამიანს ზეზეულად რყვნის და ბოლოს ხრწნის. როგორი მაღალიდეური წიგნიც არ უნდა წაიკითხო ასეთი წაკითხვით, ის ვერ გადავა ცოცხლად მკითხველში. თუ გონი არ გაუხსნა კაცმა სხვის ნააზრევს და თავისი ნააზრევი არ დაუხვედრა და არ მოახდინა ამ ნააზრევთა შეჯერება, თუნდაც ჭიდილი, ან პაექრობა, იქნებ სულაც ურთიერთშეთავსებაც, აზრი ეკარგება თვით წიგნის დაწერის აზრსაც.

წიგნი კი ისეთი რამ არის, როგორი უნიჭო დაწერილიც არ უნდა იყოს, აუცილებლად რაღაცას შეგძენს, მთავარია შენ იყო მზად შინაგანად წიგნის წასაკითხად.

წიგნი ისეთი რამაა, რომელიც განახებს, რაც ჯერ არ გინახავს, განგაცდევინებს, რაც ჯერ არ განგიცდია, გაგაცნობს მას, ვინც ჯერ არ გაგიცვნია, გეტყვის მას, რაც ჯერ არ გაგიგონია, თანდისთანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ აზროვნების დიაპაზონს გაგიფართოვებს და შენი მსოფმხედველობის არეალი მრავლისმომცველი გახდება.

შეიძლება გულდაგულ რომელიღაც სამეცნიერო ლიტერატურას გაეცნო, რომელიც რაღაც სახით კავშირში იყოს სხვადასხვა სამეცნიერო დარგებთან, მაგრამ მხატვრული ლიტერატურა არათუ დილეტანტურად, არამედ პროფესიონალურად უდგება ყველა მეცნიერების სფეროს. მუსიკისა და მხატვრობის მეტყველებაც კი ვერ მისწვდება მხატვრული ლიტერატურის მეტყველებას, თუნდაც მათ თარგმანი არ სჭირდებოდეთ და ზოგადად ყველა ადამიანისთვის იყოს ხელმისაწვდომი მათი აზროვნება ყოველგვარი წინაპირობის გარეშე. მხატვრული ლიტერატურა, რაც უფრო რთული და ყოვლისმომცველია, მით უფრო მრავალფეროვანია მასში ფერთა პალიტრა და ხმათა ხავერდოვანი ჰარმონია.

ვერც ერთი მეცნიერული ლიტერატურა, ვერც ერთი ისტორიული წყარო, ვერც ერთი მსოფლიო მნიშვნელობის გამოკვლევა თავისი დიაპაზონით, მზერის დიაპაზონის მოცულობით ვერ შეედრება თუნდაც ერთი უბრალო ლექსის მოქნილობას და ყოვლისმომცველობას.

ერთხელ გალაკტიონი სტუმრად მიიწვიეს მეცნიერებათა აკადემიაში. შეხვედრის შემდეგ საყოველთაოდ ცნობილმა მეცნიერებმა სთხოვეს დიდ პოეტს მასთან სურათი გადაეღოთ. ნიკო მუსხელიშვილმა დასძინა, რომ ჩვენთვის, მეცნიერებისათვის დიდი პატივია გალაკტიონთან სურათის გადაღება, რადგან შეიძლება ჩვენ ისტორიას არ შემოვრჩეთ, გალაკტიონი კი საქართველოს მარადი თანამდევი იქნება და ჩვენც ამ ფოტოთი იქნებ ერთი ხანი გავსდიოთ მის სიკაშკაშესო.

ასეა თუ ისე, დიდმა მეცნიერმა ზუსტად ასახა ის, რაც მხატვრული სიტყვის დიდოსტატის ხვედრია მსოფლიო აზროვნების დინებაში თვით მეცნიერებთან შედარებით.

უმაღლესი მათემატიკის სიახლეებს მხოლოდ ვიწრო სპეციალისტები თუ წაიკითხავენ,

მედიცინის მიღწევებს მხოლოდ ექიმები თუ ეზიარებიან,

ფსიქოანალიზის კვლევებს მხოლოდ ფსიქოლოგები თუ გაეცნობიან,

არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნ ნივთებსა და ძვლებს ისევ ისტორიკოსები თუ გაუკეთებენ შეფასებას და ისტორიკოსებივე თუ გაეცნობიან მათ,

ხოლო მხატვრულ ლიტერატურას თანაბარზომიერად კითხულობენ

ექიმებიც,

ფიზიკოსებიც,

ქიმიკოსებიც,

ისტორიკოსებიც,

იურისტებიც,

მუშებიც,

გლეხებიც,

უმუშევრებიც და მომუშავენიც,

ჩინიანიც და უჩინოც,

გამოჩინებულიც და უჩინარიც...

აი, მისი ძალა,

აი, მისი ყოვლისმომცველობა.

ამიტომ მხატვრულმა ლიტერატურამ საზოგადოების ყველა სფეროს ინტერესები უნდა დააკმაყოფილოს. ყველა სფეროს შესახებ უნდა იცოდეს, რათა შექმნას ღირებული, ზღვაში გასულ მეგზაურებს გზაც კი უნდა გაუკვალოს მხატვრულმა ლიტერატურამ.

აფროვანი გემების მეზღვაურები ლამანშის სრუტის უსაფრთხო გადალახვისათვის საგანგებოდ კითხულობდნენ ჰიუგოს რომანს „კაცი, რომელიც იცინის“, სადაც ზედმიწევნითაა აღწერილი რა მონაკვეთებში არის სახიფათო გემებისათვის მოგზაურობა რიფებისა გამო. რუქებზე ასეთი დეტალები არაა მონიშნული, შესაბამისად სწავლობდნენ იმას, რაც საყოველთაოდ ხელმისაწვდომი და სანდო იყო, თუნდაც მცდარი, მაგრამ ამით ისინი სიფრთხილეს სწავლობდნენ და დიდი მწერლის გამოცდილებას იზიარებდნენ.

მაგრამ ერთი საყოველთაო დეტალი - საერთაშორისო საკანონმდებლო აქტები და მათ საფუძველზე მიღებული სხვადასხვა ქვეყნის კანონები საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, სადაც ინტელექტუალური საკუთრების მემკვიდრეებად გამოცხადებულნი არიან ამ საკუთრების მფლობელთა ცოლ-შვილი, ან ქმარ-შვილი (თუ ასეთები არაა, მაშინ სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე ცნობილი მეორე და მომდევნო რიგის მემკვიდრეები), მაქსიმალურად იყენებენ თავიანთ ეგრეთ წოდებულ უფლებებს და გამომცემლობებს, მკვლევარებს და ამა თუ იმ შემოქმედებით დაინტერესებულ პირებს არ აძლევენ საშუალებას იმუშავონ არქივებზე, დაბეჭდონ პერიოდულ გამოცემებში მათ მიერ მიკვლეული უცნობი მასალები, თუნდაც ეს რომანები, ლექსები და სხვა მხატვრული ნაწარმოები იყოს. თუ ასეთი შეთანხმება შედგება მემკვიდრეებსა და გამომცემლობებს შორის, ერთი მხარე მეორეს კოლოსალურ თანხას უხდის ამისთვის. სხვა შემთხვევაში მათი წერილობითი ნებართვის გარეშე დაბეჭდვა ითვლება საავტორო უფლებების დარღვევად.

ასე და ამრიგად დაიკარგა ხელმეორედ და სამწუხაროდ საბოლოოდ კონსტანტინე გამსახურდიას სრულიად უცნობი რომანი „უშანევ ურდოელი“, რომელიც ერთხანს ინახებოდა ჟურნალ „ქართული მწერლობის“ არქივში, რომელიც შემდეგ მიგდებულ სხვენად იქცა. ამავე მიზეზთა გამო მაქსიმალურად შეიზღუდა გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების გავრცელება საქართველოში. მართალია, დიდმა მწერალმა თავის ერთადერთ მემკვიდრედ თავისი გერი გამოაცხადა, მან კი უარი განაცხადა მემკვიდრეობაზე, სამაგიეროდ ხარბად დაეწაფენ ამ მემკვიდრეობას მწერლის დისშვილები და უპირველეს ყოვლისა ერთმანეთის ჯიბრზე გამოსცეს გრიგოლ რობაქიძის წიგნები და მასში დაუფარავად აჩენდნენ თავიანთ ამბიციებს, მიეღოთ რაც შეიძლება მეტი სარგებელი. იმ გამოცემულ წიგნებშიც კი (რომ არაფერი ვთქვათ სუფთა პოლიგრაფიულ ხარვეზებზე) არის ზეიმი უმსგავსობისა და სიხარბის. ვიდრემდე არ შეწყდებოდა საავტორო უფლებით სარგებლობის კანონით გათვალისწინებული ვადები (მწერლის გარდაცვალებიდან, ან კონკრეტული ნაწარმოების დაწერიდან 50 წელი), ეს ქიშპობა, უპირველეს ყოვლისა ერთმანეთში, შემდეგ კი გამომცემლებზე მიდარაჯება, გრძელდებოდა უთავჟამოდ. წაგებული კი დარჩა არათუ ვინმე სხვა, თუ არა ისევ და ისევ მკითხველი.

ამ ქიშპობამ მხოლოდ ის გააკეთა, რომ გრიგოლ რობაქიძის ნაწარმოებები კარგა ხნით აღარ დაიბეჭდა, თარგმანებიც კი. ყველა ერიდებოდა სასამართლო დავებს -

გამომცემლობაც და მთარგმნელიც. კანონმდებლობის მიხედვით, გამოკვლევების შემთხვევაში საავტორო უფლების მქონე არის მხოლოდ მკვლევარი და არა საკვლევი ობიექტის მემკვიდრე. ამიტომ იყო, რომ მხოლოდ სუფთა მეცნიერული კვლევის დართვით გამოვიდა მწერლის 13 სონეტი და ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე ორი წლით ადრე „ჰიტლერი უცხოელი მწერლის თვალით“ (მთარგმნელი დალი ფანჯიკიძე) და „მუსოლინი - მზიურნიშნეული“ (მთარგმნელი ნანა გოგოლაშვილი). კიდევ უფრო ადრე გამოაპარეს კრებული „სიყვარული მესამე ნაპირზე“ (კომპიუტერული დისკებით), სადაც შესულია როგორც გრიგოლ რობაქიძის, ასევე სხვათა წერილები და ესეები, აგრეთვე დართულია მწერლის უკანასკნელი სიყვარულის ამსახველი დოკუმენტური მასალა - წერილები გიტა შტრარხვიტცს. ეს უკანაკსნელი ისეთივე ზეაღმატებული და აპოთეოზითაა აწეული, როგორც რაინერ მარია რილკესა და მარინა ცვეტაევას მიმოწერა, ორთავე შემთხვევა რომ საბედისწეროდ დასრულდა რობაქიძისთვისაც და რილკესთვისაც - სიკვდილით.

სამაგიეროდ საავტორო უფლების კანონმდებლობის საფუძველზე დადგენილი მწერლის გარდაცვალებიდან 50-ე წლისთავზე (გრიგოლ რობაქიძე გარდაიცვალა 1962 წელს) ერთი ერთმანეთზე გამოვიდა წიგნები საერთო კლიშეთი - „უცნობი გრიგოლ რობაქიძე“: „კავკასიური ნოველები“, „დემონი და მითოსი“, „პორტრეტები“, „პირადი მიმოწერა“, „ქალ-ღმერთის ძახილი“, „მცველნი გრაალისა“, „მეგი - ქართველი გოგონა“, „pro domo sua“.

ვინც არ უნდა ყოფილიყო ამ საგამომცემლო პროექტის ავტორი, ჩემთვის საზეიმო ის ფაქტია, რომ კომუნისტური რეჟიმის აკრძალვის შემდეგ თავისდაუნებურად გრიგოლ რობაქიძეს კრძალავდნენ მისივე დისშვილები - ყველა მათგანი ერთად და ცალ-ცალკე, თავიანთი ამბიციებისა გამო და ყველგან აწერდნენ „ერთერთი მემკვიდრე... ესა და ეს“. ახლა გრიგოლ რობაქიძის მემკვიდრე თვით საქართველო იქნება და მის და მკითხველთა ინტერესებს ამიერიდან სახელმწიფო დაიცავს. არადა, რაც საბჭოეთში პირველად დაიბეჭდა „გველის პერანგი“, ამის შემდეგ გამუდმებით ვეძებდი რობაქიძის თითოეულ ნაშრომს, საგანგებოდ ვიხილავდი მეოცე საუკუნის 20-იანი წლების პერიოდიკას (გერმანულ პერიოდზე ხელი, რა თქმა უნდა, არ მიგვიწვდებოდა) და თუ რაიმეს ვიპოვიდი, იქვე ვადარებდი მწერლის ბიბლიოგრაფიას, იყო თუ არა ცნობილი ესა თუ ის ნაწარმოები, სტატია, ესსე თუ თარგმანი ლიტერატურათმცოდნეებისათვის და საზოგადოების ფართე წრისათვის.

ეს კიდევ არაფერი, ბოლოს და ბოლოს კანონმდებლობის დონეზე დაიხვეწება პრობლემა ისე, რომ

არც გამომცემლობები დაზარალდნენ,

არც ინტელექტუალური საკუთრების მემკვიდრე პირები, არც ავტორები და რაც მთავარია, არც მკითხველები.

სწორედ მკითხველი უნდა იყოს დომინანტი და ამოსავალი წერტილი ნებისმიერი კანონისა და ინტელექტუალურ-სამემკვიდრეო უფლებების წარმართვისას. ასეთ შემთხვევაში, სულ უბრალოდ, იურისტთა ჯგუფის და საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობაა საჭირო.

## ლეგენდებად გაბნეული აბრუნდული ლაქები

მაგრამ არსებობს უფრო ღრმა და საკმაოდ ტრაგიკული ნიუანსები მწერლებსა და მკითხველებს შორის ურთიერთობისა. ჩვენდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, ეს საქართველოში საკმაოდ კარგად მოქმედებს და მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველ მწერლებს ჩვენი მკითხველები უყურებენ არა მხოლოდ როგორც ნაწარმოებთა ავტორებს, არამედ ისინი მიაჩნიათ ერის სულიერ მოძღვრებად. მათ სიტყვას, ყოველ შემთხვევაში, კარგა ხნის მანძილზე დიდი ფასი ჰქონდა, იქამდე გადამწყვეტიც კი. რაგინდ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ვიდრემდე საქართველოს არ გაჩნდა სახელმწიფოებრიობა, ქართველი მწერლები საკუთარ თავზე იღებდნენ ერის მესაჭის ფუნქციას.

შემთხვევითი ფაქტი არ იყო ის, რომ ილიას ქართველმა ერმა უგვირგვინო მეფე უწოდა. თვით სტალინური ტერორის ქვეშ მყოფი მოსახლეობა გულისყურით ეცნობოდა ქართველი მწერლების ხმას.

საკუთარ ტრაგედიად მივიღეთ მიხეილ ჯავახიშვილისა და ტიციან ტაბიძის მკვლელობა, პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა საკუთარ გულში გატარებულ ცხელ ტყვიას უდრიდა. ყველას მოღალატეობას დავიჯერებდით, გარდა მიხეილ ჯავახიშვილისა, სათუთად ვინახავდით კვაჭისა და ჯაყოს წიგნებს, საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი. ხელი არ გვიბრუნდებოდა ტიციანის სურათი შავი მელნით გადაგვეჩხაპნა, როგორც ხალხის მტრისა, მის ლექსებს გულდაგულ ვიზეპირებდით. სულაც არ მიგვაჩნდა სირცხვილეულად და სისუსტედ საბჭოთა მოქალაქე პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა, ერთგვარ გმირულ საქციელად მივიჩნიეთ მისი ეს ნაბიჯი და იმ ოთახში, სადაც მისი სული დაილია, მუდამ მდუმარებით და მწუხარე შეძრწუნებით შედიან, ან თუ შესაძლებელია, არც შედიან, რათა მისი მშფოთვარე სულის სიმშვიდე ამით მაინც იყოს დაცული. ყველაზე ვიტყოდით მტერი და საბჭოთა მოქალაქისათვის შეუფერებელი ელემენტიაო, გარდა მწერლებისა და განა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ნაწერები მოგვწონდა. ჩვენ მათ ნაწერებში საკუთარ თავს ვკითხულობდით, საკუთარ ყოფას ვაცნობიერებდით და იმთავითვე ვიცოდით, რანი ვიყავით და საით უნდა წავსულიყავით. არც ერთი ქვეყნის მწერლებს ის სულიერი მისია არ უკისრიათ, როგორც ქართველებს და ეს თავისთავად მოხდა. ქართული ბუნებიდან გამომდინარე იდო ყველა ჩვენთაგანში გენეტიკური კოდი ქართველი მწერლისადმი ყურის გდებისა.

ხარ პოეტი და ხარ ქართველი - ესე იგი ხელში გიჭირავს ერის მაჯისცემა და საკუთარი სიცოცხლით გადმოსცემ ამას,

აწვდი იმას,

ვისაც ყური აქვს სასმენად და

თვალი აქვს სამზერად.

არათუ მარტო ნაწარმოებით, ქართველი მწერალი ზნეობრივი მაგალითი იყო ერისათვის, თავისი ნაწარმეობის შესაფერისი იყო მისი ცხოვრება, და მიტომ. ყოფილიყავი ყალთაბანდი, იმას ნიშნავდა, რომ არ უნდა ყოფილიყავი მწერალი. იქნებ ამის პირველმედროშე თვით დიდი რუსთველი იყო, ვინ იცის. ქართველი მწერლის ცხოვრება მუდამ ერის ცხოვრების მსგავსი იყო, არც მეტი და არც ნაკლები. ამიტომ მე არ ვთვლი ლიტონსიტყვაობად ამ სიტყვებს და ღვთიურ ჭეშმარიტებად აღვიქვამ მათ: *„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,*

*მეწოდეს მის ტანჯვით სული.*

*მის ბედით და უბედობით,*

*დამედაგოს მტკიცე გული“.*

ერთია მწერლის თავდადება მკითხველისა და ერის წინაშე, მეორეა საპასუხო გრძნობა მკითხველისაგან, ესე იგი ერისგან. მკითხველი კონკრეტულად აღებული მოაზროვნე ერის ნაწილია, მკითხველთა კრებული ერის აზროვნებაა და სულისკვეთება. რომ არა მკითხველის ერთგულება და სიყვარული, ჩვენ დღეს აღარ გვექნებოდა „ვეფხისტყაოსანი“, როდესაც სახელმწიფო მანქანამ სრულად ამოშანთა რუსთველის სახელი (თამარს ორი მეისტორიე ჰყავდა და არც ერთ მათგანში რუსთველი თუ არა, თამარის ეპოქის გვირგვინი - „ვეფხისტყაოსანიც“ კი არაა ხსენებული. ესაა სწორედ სახელმწიფო რეპრესია). არავინ იცის რა დაუშავა რუსთველმა საქართველოს. ამ გადასახედიდან სასაცილოც კია ამაში ეჭვის შეპარებაც კი. სახელმწიფომ კი („ახალ ბიზანტიად გამზადებულ“ საქართველოზეა ლაპარაკი, თამარს რომ სულ ოქროს ვაშლები უკრეფია, - როგორც ამას მურმან ლებანიძე დასძენს თავის მშვენიერ ქმნილებაში) ბიოგრაფია დაუკარგა საკაცობრიო მოაზროვნეს.

მეორე და არანაკლებ საშიში მოწინააღმდეგე რუსთველისა ეკლესია იყო, რომელმაც ყველა დროის ქართული პოეზიის

მშვენება მწვალებლობად მიიჩნია. სავარაუდო ისიცაა, რომ შესაძლებელია თვით ეკლესია გამხდარიყო სახელმწიფოსა და რუსთველს შორის განხეთქილების ინსპირატორი. განა ცოტაა ანალოგიური შემთხვევა დაფიქსირებული რელიგიის ისტორიაში?! ამ აზრს ისიც ამკვეთრებს, რომ საქართველოში არ მოიძებნება ეკლესია, სადაც რუსთველის ნავსაყუდარი ყოფილიყო. მარტოდენ იერუსალიმის ჯვრის მონასტერია ის ერთადერთი მტკიცებულება, რაც ანამდვილებს ლეგენდებში გადაზრდილ ადამიანურ გაუცხოებას. თუ იყო, ესეც იძულებითი აღკვეცა იქნებოდა, თუ ჰქონდა საერთოდ ადგილი ასეთ რამეს.

ერთი ასეთი მტკიცებულება:

„ვეფხისტყაოსანი“ ერთ-ერთ ხელნაწერ ვარიანტში ასე იწყება - *„პირველ თავი, დასაწყისი. ნათქვამია იგ სპარსულად, ვუხმობთ ვეფხის ტყაოსნობით, არსსა შეიქს ხორცს, არ სულად, საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად, [და] თუ უყურა მონაზონმან, შეიქნების გაპარსულად.“*

რა თქმა უნდა, ეს სტრიქონები რუსთველს არ ეკუთვნის, ეს უფრო რეცენზიაა, ან ავისმდომი ცენზორის აკრძალვა გალექსილი ფორმით. ეს ტაეპი დაკნინებაა არათუ მხოლოდ ავტორის, არამედ ქმნილებისიც კი. რთული გამოსაცნობი არაა, რომ სტრიქონები საეკლესიო მოღვაწეს უნდა ეკუთვნოდეს. რომელი საუკუნის ჩანართია, მნიშვნელობა არა აქვს მხოლოდ ამ შემთხვევაში, აქ მთავარი პათოსია, რომლის საფუძველზეც იკრძალება „ვეფხისტყაოსანი“, ან აკრძალვის მოტივებია და თვით ამ აკრძალვის გამართლებაა. ამით „იწყება“ საქართველოს ოქროს ხანად წოდებული ეპოქის დამაგვირგვინებელი ძეგლი და აქარწყლებს მომდევნო ტაეპს:

*„რომელმან შექმნა სამყარო*
*ძალითა მით ძლიერითა*
*ზეგარდმო არსნი სულითა*
*ყვნა ზეცით მონაბერითა...“*

და ასე შემდეგ.

როგორი კონტრასტია: „თუ უყურა მონაზონმან, შეიქნების გაპარსულადო“ და „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითაო...“

შთაბეჭდილება გამაოგნებელია.

რუსთველი თავისი მსოფმხედველობით ვერ შეეგუებოდა სარწმუნოებრივ დოგმატებს, იგი თავისუფალი მოაზროვნე იყო და საგნებს, მოვლენებსა და სამყაროს თავისებურად აღიქვამდა, მაგრამ არა უღმერთოების პრინციპით. დოგმებისაგან თავისუფალი აზრი კი არათუ მხოლოდ საშუალო საუკუნეებში, დღესაც კი საშიშია, რადგან დღემდე გვაქვს შემორჩენილი გენეტიკურ კოდად დოგმატისადმი ბრმა და უკრიტიკო მორჩილება. რუსთველის შემდეგ ასეთი წესებისაგან თავისუფალი მოაზროვნე საქართველოს აღარ ჰყოლია.

ილიაც იყო, აკაკიც, ვაჟაც, გალაკტიონიც, გურამიშვილი უფრო ახლოს და დღევანდელი პოეტები უფრო შორს, მაგრამ ყველა მათგანი რაღაც უხილავი ბორკილებით არიან დაბმულნი იმ რაღაც იდუმალის მიმართ.

ამ ძალას, რაც გნებავთ, ის დაარქვით - შიში და რიდი ძლიერთა მიმართ, შინაგანი სინდისი, თვითცენზურა, ოფიციოზისათვის ანგარიშის გაწევა თუ აღვირახსნილობისაკენ სულსწრაფვა და მიდრეკილება, რათა ვიღაცამ თქვას რაღაც.

ვიღაცის თქმისათვის და ვიღაცის თქმისგან თავის არიდებაა რუსთველის შემდეგ ქართული მწერლობის შებოვვის ერთადერთი საშუალება. განა სათქმელი არ ითქმოდა, განა ამით შეიზღუდა რაიმეთი ქართული მწერლობა? სრულიადაც არა, მაგრამ ის რუსთველისეული შეუზღუდაობა, უცენზურობა დააკლდა ქართულ სიტყვიერებას.

ამიტომ წავიდა რუსთველი ძალიან შორს და ძალიან ახლოს დადგა სიტყვის თავდაპირველობასთან.

ამიტომაა დღემდე რომ ებრძვიან რუსთველს, შინაურიც და გარეულიც.

დიდ პოეტს თუ ვინმე გამოექომაგა, ეს მისი ერთგული მკითხველია. მისმა პირველმა მკითხველებმა იგრძნეს საფრთხე რუსთველის გაქრობისა და მისი გადარჩენა სრულიად ორიგინალური ხერხით გადაწყვიტეს - ახალგათხოვილ პატარძლებს ოჯახი მზითვად ატანდა „ვეფხისტყაოსანს“. მაშინდელ დროში ძვირადღირებული სიამოვნება იყო წიგნის გადაწერა, ამიტომ ვისაც ამისი სახსრები არ გააჩნდა, ზეპირსიტყვიერად გადაჰქონდა ეს ნაწარმოები თაობიდან თაობაში. ბევრი იყვნენ საქართველოში, ვინც მთელი „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდნენ. ამაზე უკეთესი მაგალითები მწერლის გადარჩენისა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას არ ახსოვს. თითქოს როგორც ერთი, პირი შეიკრა სრულიად საქართველომ თავისი საერო და სასულიერო ხელისუფლების წინააღმდეგ და გადაარჩინეს სანუკვარი, დიადი, ზოგადრელიგიური (და არა მარტო ქრისტიანული და მით უფრო მართლმადიდებლური), ზნეკეთილი და მართალი.

რუსთველისა და თამარის სიყვარულის მითი მხოლოდ იმ უღრმესი წინააღმდეგობის დაფარვის მცდელობაა, რაც დიდ მეჭურჭლეთუხუცესს დაატყდა თავს. ან არადა სინანულის გამოხატულებაა მომდევნო თაობათაგან შოთას ბედის გაუკეთებლობისა და ბოლოს გაქრობის გამო.

ჩვენ ვამბობთ, საუკუნეობრივმა შემოსევებმა განაპირობეს დიდი პოეტის ნაკვალევის წაშლა. სარწმუნოა, მაგრამ არასაკმარისი არგუმენტი.

თამარის ორი მატიანე ხომ გადაურჩა ჩინგიზ-ხანებსა და ჯალალ-ედ-დინებს და მათ მოყოლილ რჯულიან თუ ურჯულო დამპყრობლებს. ამ ისტორიებსა და შარავანდედებში რატომ არ იქნა მოხსენიებული რუსთველი თუ არა, „ვეფხისტყაოსანი“ მაინც? განა რუსთველზე უკეთესი სამშვენისი თამარის ეპოქას რაიმე აქვს?

და კიდევ,

დღემდე რატომ ებრძვიან რუსთველს?

ვინც იცის მისი ფასი, სწორედ ის ებრძვის. იქ, შორეულ იერუსალიმშიც კი XXI საუკუნეში წმიდა ტაძარშიც შეებრძოლეს მას, ქართველთა გამოსაჯავრებლად, მაგრამ რატომ რუსთველის ხაზით?

ხელი მიუწვდებოდათ? და რაზე?

ეს ასე იოლი აღსაქმელი არაა. ამას რომ მიხვდე რუსთველისდარი და რუსთველის ტოლი მკითხველი უნდა იყო, ისეთი, რომელმაც ჩუმად გადაწერა „ვეფხისტყაოსანი“ მრავალი ღამის განმავლობაში და დილაობით კი მოძღვარს აღსარებას აბარებდა...

## ლეგენდაც ამას ჰქვია

ბოროტმა მავანმა ქართველი მკითხველის ასეთი დამოკიდებულება თავისი მწერლობისა და მწერლების მიმართ დააფიქსირა და გადაწყვიტა როგორმე ჩამოეშორებინა მკითხველი მწერალს. შედეგად მწერალს აღარ ექნებოდა ხელთ ერის სულიერი მოძღვრისა და მესაჭის ხელ-მწიფება. მწერალი გადაიქცეოდა მხოლოდ ნაწარმოებთა დამწერად და სხვად არაფრად. საჭიროების შემთხვევაში ამ ნაწარმოებთა დისკრედიტაციაც იოლად მოხერხდებოდა.

თერგდალეულთა თაობამდე ურყევად იქნა შენახული ქართველი მწერლისა და მკითხველის ურთიერთსიყვარულის საკრალობა. პირველი შხამ-ბალღამის წვეთი ქართველ მკითხველს მაშინ ჩააყლაპეს, როდესაც აკაკის დააბრალეს ვანო მაჩაბლის იდუმალი გაუჩინარება, ესაო-და აკაკი მაჩაბლის ცოლს - ტასოს ჰყვარობსო და მტკიცებულებად თვით აკაკის ლექსები მოჰყავდათ. ბოროტმა ფანტაზიამ ისიც კი თქვა, რომ „სულიკო“ რაღაცით მინიშნებაა მაჩაბლის გაუჩინარებასთანო, აბას სხვას რას მივაწეროთ ეს სტრიქონები:

„საყვარლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე დაკარგულიყოო“.

უგუნურებმა ისიც არ იციან, რომ ეს ლექსი ივანე მაჩაბელის სიცოცხლეშია დაწერილი - არამც და არამც სინდისის ქენჯნის კარნახით. ამ შემთხვევაში ჩრდილს არათუ მხოლოდ პოეტს, არამედ თვით პოეტურ შედევრსაც აყენებენ და რაღაც გულისამრევ და ამაზრზენ დეტექტურ ქარგაში სვამენ ქართული სულის მსოფლიო გამონათებას.

ასეთ ლექსსა და ასეთ მუსიკას ვერავინ დაწერდა, და მით უფრო ვერავინ

აღიქვამდა სრულფასოვნად, ნაწარმოებს რომ სისხლის სუნი სდიოდეს და თანაც ისეთი ბინძური ლეიტმოტივით, როგორადაც წარმოაჩინეს აკაკის მტრებმა კი არა, ქართველი ერის მტრებმა.

რა მიზანს ემსახურებოდა ამგვარი ცილისწამება: ვიღაც მკითხველთაგანი ამ ამბებს რომ მოისმენს, თუ არ იტყვის, გაიფიქრებს, აკაკიმ რა უნდა მიმღეროს ისეთი, თვითონ რასაც არ აფუჭებსო. რომც უმტკიცო უტყუარი საბუთებით, მას ამ შხამს გონებიდან ვერ ამოურეცხავ, ადამიანური ბუნებაა ასეთი, და მიტომ. რომც არ უნდოდეს, მაინც დაავჯერებს თავს, თითქოს აკაკიმ მაჩაბელი მოკლა ტასოს დახმარებითო.

სხვაგან გასაკვირი და ტრაგედიაც არაა, ეს საქართველოშია სულის დაშლის უტყუარი წინაპირობა. ქართველ მწერალს ასეთ რამეს ქართველი კაცი არ აპატიებს.

იგივე კაცს ცოლმა რქები რომ დაადგას თავზე, აპატიოს იქნებ, აი, მწერალს კი არასოდეს. ასეთი მოთხოვნები აქვთ მწერალთა მიმართ ქართველებს და ისინიც მწერლობის ამ ურთულეს გზაზე დამდგარები ცდილობენ საკუთარი ნაწარმოებების ღირსეულნი იყვნენ და უმეტესწილად ამას მთელის შეგნებით უდგებიან.

მთელი ათწლეულების მანძილზე სდევდა ილიას დამღა იმისა, რომ თითქოს იგი კოკებს ამტვრევდა თავზე გლეხებს და საკუთარი წყაროდან წყალს არავის ასმევდაო. ისე გადავიდა მთელი თაობები ამ აზრით, რომ დღესამომდის მოაღწია.

ასე თანდისთანობით იწამლებოდა მკითხველის გონება.

მე ვერ ვიტყვი, ეს უნებლიედ მოხდაო. ეს მიზანმიმართული დისკრედიტაცია იყო, რითაც ხალხში არათუ მხოლოდ აკაკის, ან ილიას, არამედ ზოგადად მწერლის, როგორც ერის ზნეობრივი სახე ეცემა და იხრწნება. საბოლოო შედეგი ის არის, რომ საზოგადოება ხდება უწიგნური...

უწიგნური ხალხის კრებული მხოლოდ ბრბოა და ბრბოს მართვა ძალზედ იოლია.

აი, ამის საწინააღმდეგო ზღუდეა ჩვენში მწერალი - მკითხველი საზოგადოება რომ არ დაჩლუნგდეს და არ იქცეს ერი ბრბოდ და რაოდენობრივ მასსად.

უმეტესწილად, ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთი ყალბი ლეგენდები განსაზღვრავენ მწერლის გარშემო წარმოდგენების შექმნას და მრავალმა ცუდად დაყრილმა ჭორმა თვით მწერლობის საკრალობა შებღალა. ამან გამოიწვია დეფიციტი ერის სულიერი მოძღვრისა.

მწერლები მრავლად არიან, მაგრამ მათში არ მოიპოვება პიროვნება,რომელიც წარუძღვებოდა ერს, განანათლებს მას და ჭეშმარიტი გზისკენ მიუთითებს.

დღევანდელი მწერლობა დაკავებულია უმეტესწილად კომერციული მოსაზრებით ნაკარნახევი შემოქმედებითი მოღვაწეობით. ისინი ერიდებიან საზოგადოებაში გამოსვლებს, საკუთარ ნაჭუჭში არიან ჩაკეტილები და თუ გამოდიან, გამოდიან მხოლოდ პოლიტიკური მოთხოვნების ფონზე რომელიღაც პოლიტიკური პოლუსის მხარდასაჭერად და მოწინააღმდეგე პოლუსისადმი პროტესტის გამოხატვით.

ეს არის და ეს.

ერთადერთი, ვინც ნებისმიერ საკითხზე ტელევიზიით გამოდიოდა და საკუთარ მოსაზრებებს თამამად აფიქსირებდა, ოტია იოსელიანი იყო მხოლოდ, მაგრამ მისი გამოსვლები კომედიანტების სკეტჩებისაგან არაფრით განსხვავდებოდა.

თავის გამოჩენისთვის ყველა ხერხი მისაღებია, ოღონდ არა მწერლისთვის. იგი არც გამედიდურებული ბრძენკაცის იერით არ უნდა იყოს საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი. ასე ჩვენ, მკითხველები, მიჩვეული არ ვყოფილვართ მშობლიური მწერლობისგან. ვინც როგორები იყვნენ ბუნებით, ისე ავლენდნენ საკუთარ თავს - პრივატული კავშირ-ურთიერთობებითაც და საკუთარი ნაწარმოებებითაც.

პარტიულობის მიღმა არსებობდა ადამიანური ურთიერთობები და ეს ურთიერთობები ყოველთვის გულწრფელი და გულახდილი იყო. სადაც პარტია ჩაერთვებოდა, იქ უკვე მწერალი უკანა პლანზე იხევდა და მისგან მხოლოდ იდეოლოგიური რუპორი რჩებოდა.

ასე იყო თვით გრიგოლ რობაქიძესთან მიმართებაშიც. ვერც იგი გაექცა გაღმა ნაპირას იდეოლოგიურ წნეხს. კი, ამბობდა მესამე ნაპირიდან ვუმზერ მოვლენებს, საგნებს და პიროვნებებსო, მაგრამ ეს არასაკმარისი იყო. ჰიტლერისა და მუსოლინის ესეებმა განსაზღვრეს მისი ომისშემდგომი იზოლიაცია საზოგადოებისგან. არავინ არაფერს ერჩოდა, მაგრამ არსად არაფერს აკარებდნენ. მარტო დარჩა, მკითხველის გარეშე განდგომილად. არადა, ეს მისი ბუნება სულაც არ ყოფილა და არც ასეთი ასკეტური ცხოვრებისკენ მიისწრაფოდა. მწერალს დააკარგვინეს მკითხველი. მკითხველსაც დააკარგვინეს მწერალი და ამ ფაქტორმა მარტოდენ გრიგოლ რობაქიძეზე კი არა, თვით მკითხველთა ფართო წრეზე იმოქმედა ნეგატიურად.

რა დააკლდა მკითხველს?

რობაქიძისეული სიბრძნე, მისმიერი ჭვრეტა საგნებისა და მოვლენებისადმი მესამე ნაპირიდან, მითიურ მზეში ჩაძირვა. იგი არათუ საბჭოეთში, არამედ დასავლეთშიც კი აიკრძალა, მაგრამ აიკრძალა არაოფიციალურად. მწერლისთვის მკითხველის ჩამოშორება სიკვდილის ტოლფასი ქმედებაა, მაგრამ მკითხველი მწერლის გარეშე და მარადიული ღირებულებების ზიარების გარეშე იმთავითვე ზეზეულად ჩლუნგდება, მაგრამ მისთვის გამოსავალი არსებობს, ერთს თუ კრძალავენ, სხვა ნებადართულია და ასე თუ ისე, რაღაც დოზით მაინც ხდება ვაკუუმის შევსება. არ წავიკითხავ რობაქიძეს, წავიკითხავ ცვაიგსა და კაფკას, რაც ხელმეწიფება, ბოლოს და ბოლოს გორკის და მაიაკოვსკის, მაგრამ წავიკითხავ, რადგან ერთია მწერლის იზოლირება ჩემგან და სხვაა საერთოდ მწერლობის იზოლირება. ეს უკანასკნელი იგივე შედეგით მთავრდება, რაც მწერლისთვის მკითხველის ჩამოცილება.

განა, ვინც მხატვრულ ლიტერატურას არ კითხულობს, ვერ ცხოვრობს და ვერ ცოცხლობს, დროს ვერ ატარებს თუ სარჩო-საბადებელზე უწევს ყოველდღიური ზრუნვა? ასეთი ხალხი ფონს იოლად გადიან და წიგნი კი არა, ტელევიზორსაც რომ არ უყურონ და ახალი ამბებიც არ შეიტყონ, მათთვის დიდი დანაკლისი სულაც არ იქნება. არც ერთი ცხოველი წიგნს არ კითხულობს - ჯერ იმიტომ, რომ კითხვა არ იციან, მერეც იმიტომ, რომ შესაფერისი და შესაბამისი ჭკუა-გონება არ გააჩნიათ წანაკითხი რომ აღიქვან, გაიაზრონ და გააანალიზონ მათ გარშემო არსებული რეალობა. ცხოველის ინსტიქტი არის ერთი - საჭმელი.

ძალუმად გურამ დოჩანაშვილის შესანიშნავი ნაწარმოების ერთი ეპიზოდი მახსენდება: „ჩამოიარა იმან, ერთ დროს საცოლემ, ეხ, საიდუმლო გამომეტყველებით სახეზე, როგორიცაა სიტყვა „მოიისფრო“, გვერდით კი მიჰყვებოდა კაცი, ისეთი უსიამო გამომეტყველებით სახეზე, როგორიცაა სიტყვა „გავძეხი“, და მე კი განზე ვიდექ, ზედმეტი, როგორც სიტყვა „მაშასადამე“.

და აქედან გამომდინარე ერთი რიტორიკული კითხვა - არის თუ არა მხატვრული ლიტერატურა „ვიწრო გაგებით“.

ჩემის აზრით, ლიტერატურა, გნებავთ მხატვრული და გნებავთ სპეციფიკური არის ორგვარი - მკვდარი და ცოცხალი, მკვდარი ლიტერატურა დაბადებითვე მკვდარია და მისი გაცოცხლება შეუძლებელია, რადგან მასში არანაირი ღირებული არაა არც ლიტერატურული, არც მეცნიერული. მისი არსებობა გაუმართლებელია და აფუჭებს მკითხველის გემოვნებას, ერთგვარ მავნებლურ როლს თამაშობს მკითხველსა და ავტორს შორის. მნიშვნელობა არა აქვს როდის დაიწერა ესა თუ ის მკვდრადშობილი ნაწარმოები, მისგან არც კომერციული სარგებლობაა, რადგან არაა მოთხოვნადი, არათუ მდორე ხარისხისა და უინტერესობის გამო, არამედ მასთან ერთად არააქტუალურობის გამოც. ცოცხალი ლიტერატურა მკვდრის სრული ანტიპოდია, არა აქვს მნიშვნელობა, დღეს დაიწერა და იწერება, თუ ანტიკური ხანის და უფრო ადრინდელი ეპოქების ნაღვაწია. არც იმასა აქვს

მაინცა და მაინც მნიშვნელობა, ვის კალამს ეკუთვნის ის, რადგან ცოცხალი ლიტერატურა თავისთავად შეიცავს საკუთარ თავში არათუ მხოლოდ კონკრეტულ ავტორს, არამედ მთელს თავის ეპოქას და უფრო მეტსაც - მარადისობას. ის მარად აქტუალური და მარად საინტერესოა, იყოს ეს „ილიადა“ და „ოდისეა“, „ვეფხისტყაოსანი“, „ღვთაებრივი კომედია“, „დონ კიხოტი“ თუ რომელიმე დღევანდელი მწერლის ნაწარმოები გარსია მარკესი იქნება ეს, ჩინგიზ აითმატოვი თუ ორჰან ფამუქი. რაც „გილგამეშიანშია“ ცხოვრების წყურვილი და სიკვდილის აზარტი, იმავე დოზითაა გადმოცემული ჭაბუა ამირეჯიბის რომანებში.

მე არ ვაკადრებ მკითხველს ლექციები ვუკითხო თემაზე, თუ რას გვაძლევს ლიტერატურა, და მაინც, „ვიწრო გაგებით“, მხატვრული ლიტერატურა. თუმცაღა ერთის თქმა თამამად შემიძლია:

მე მხატვრულმა ლიტერატურამ განმაცდევინა სიკვდილი და არასოდეს ასე ახლოს ამ მსოფლიო ფენომენთან არ ვმდგარვარ. მივხვდი, რომ ლიტერატურა ხელოვნების ერთადერთი დარგია, რომელიც ასერიგად გვაცნობიერებს სიკვდილს, მივყავართ მასთან, მის სიახლოვეს გვამყოფებს, მის ზღურბლს მიღმა გვახედებს და ისევ გვაბრუნებს რეალურ სამყაროში და გვაბრუებს ყოველივე ამით. მერე სულ ახლებური შეგრძნებით ვიწყებთ ცხოვრებას. ლიტერატურა არ არსებობს, „ვიწრო გაგებით“, მხატვრული, მხატვრული ლიტერატურა ყოვლისმომცველია და ამის შეგრძნება ყველა მოაზროვნე ადამიანისთვისაა საჭიროც და აუცილებელიც.

მხატვარმა შეიძლება დახატოს სიკვდილის სცენა, კომპოზიტორმა დაწეროს რეკვიემები და მესსები, მაგრამ არც ერთი ისე არ მიუახლოვდება სიკვდილს, როგორც მწერლის მიერ შეთხზული ნებისმიერი ნაწარმოები, თუნდაც ის სიკვდილზე არც იყოს დაწერილი. ეს შეგრძნებაა, შინაგანი მუხტია ცხოვრების განფენილობისა. დინამიკაში განიცდი სიკვდილის სიჩუმის შემზარაობას და არა ხმოვან ტრაგიკულ მესსებში. მესსები ადამიანური ტკივილის გამოხატულებაა და არა თვით სიკვდილი, მხატვრის ტილოებზე შემზარაობის შეჩერებული წამია, მწერალი კი ამას ცოცხალი სცენებით გადმოგვცემს, კიდევ ვიმეორებ, თუნდაც სიკვდილის შესახებ სიტყვაც არ იყოს ნათქვამი.

სიკვდილს ის ძალა გააჩნია, რომ მისი აჩრდილი თავისუფლად გადმოდის შენს ყოველდღიურობაში და გიადვილებს ცხოვრებას, და საბოლოოდ, გიადვილებს თვით სიკვდილსაც, იმ ბოლო წამს, და გინათებს გზას იმ ბოლო წამის მიღმა სავალ გზაზე. ამას რელიგიაც აკეთებს, მაგრამ დოგმატებით და მკაცრად.

არც ერთი მეცნიერება სიკვდილის გარშემო არ ტრიალებს, თვით ყველაზე ზუსტი მარტიროლოგიური სამედიცინო მეცნიერებაც კი. ის აფიქსირებს ფიზიოლოგიური მოვლენის დინამიკას და სწავლობს სიკვდილის თავისებურებებს, თუ რა მოსდის სხეულს სასიკვდილო აგონიის დროს და რა ეტაპებს გაივლის მომაკვდავი სიკვდილამდე და რა ცვლილებებს განიცდის ორგანიზმი სიკვდილის პირველ ხანებში ვიდრე დასრულდება პროცესი.

მხოლოდ ლიტერატურა იხილავს მომაკვდავის სულიერ ასპექტებს...

და ეს მომაკვდავი ვინ, თუ არა, იგივე მკითხველია ნაწარმოების კითხვის ჟამს.

ეს განწყობა კარგად უნდა გაითვალისწინოს ყველა მკითხველმა და დაიჭიროს წამი მომაკვდავობისა, რათა ამ შეგრძნებით იაზროვნოს ნაწარმოების გარშემო და მიაგნოს იმ სანუკვარსა და სათუთს, რაც მწერალმა ჩადო ამა თუ იმ ნაწარმოებში.

ეს ის წამია, როდესაც თითოეულ ადამიანში ვეძებ იმ წანაკითხ გმირებს, ფანტაზიის ნაირსახეობაში რომ წარმოჩნდებიან - და მართლაც ვხვდები -

რამდენ სოლომან მორბელაძეს,
პლატონ და ბეკინა სამანიშვილებს,
საფარ ბეგსა და ბაში-აჩუკს,
იმ ღამენათევი წიგნებიდან რეალობაში იჭრებიან
ესმერალდები,
გავროშები,
კვაზიმოდოები,
გუინპლენები.

გვიყვარდება ვიღაც უცნობი ასულები, რადგან ისინი კარმენსა და ანნა კარენინას ჰგვანან და იქნებ ნატაშა როსტოვას განსახიერებანიც იყვნენ იმ პირველი მეჯლისის მღელვარებით აღტკინებულნი.

როგორ არ უნდა გიყვარდეს ასმათი -
ეს ლიტერატურული უნიკუმი -

უპრეტენზიო ადამიანი, რომელიც შენთვის ყველაფერს გააკეთებს, რადგან ერთგულების საბურველშია გახვეული და შენც უყოყმანოდ ენდობი მას, სიცოცხლეს ანდობ და ღირებულ ფასეულობას. მარტო უცნობი არ იქნება, ვინც ახლო მომავალში გადაკვეთს შენი ცხოვრების გზას. იგი სადღაც გყავს ნანახი და მის შესახებ ყველაფერი იცი ქვეცნობიერად. როდესაც იმ უცნობს ახლოს გაიცნობ, გასაოცარ მსგავსებას დაიჭერ რომელიღაც ლიტერატურულ გმირთან, მიამგვანებ იმ ახალგაცნობილ უცნობს, შენს ცხოვრებაში რომ სულ ეს-ესაა შემოვიდა. კლასიკა იმდაა კლასიკა, რომ ყველგან, დედამიწის ყველა კონტინენტზე შეხვდები უცხოელებში შენთვის ძალიან ნაცნობი ლიტერატურული გმირების ანალოგს.

რამდენადაც ეროვნულია კონკრეტული ნაწარმოების ქარგა, იმდენად ინტერნაციონალურია ის, ზოგადეროვნული.

ნოდარ დუმბაძისთვის ბევრ უცხოელ კოლეგას უთქვამს: - შენ ჩემს ბებიას ხომ არ იცნობდი, ასე ზუსტად და ზედმიწევნით რომ აღწერე იგიო?!

ამაში მდგომარეობს ცოცხალი ლიტერატურის ხიბლი... და იგივე:

ვინ იფიქრებდა ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმები „რეკორდი“ და „ქვევრი“ უცხოური ლიტერატურის პირველწყაროები თუ იქნებოდა და კინოსცენარები წარმოადგენდნენ თარგმანს. მხოლოდ განსწავლული მკითხველი დაინახავს ლუიჯი პირანდელოსა და კარელ ჩაპეკის ნოველებში ქართველებს, ქართულ ბუნებას.

მკითხველი საკუთარი თვისებებით, საკუთარი ინტუიციითა და საკუთარი დაკვირვებებით მწერლის თანამოაზრე და ნაწარმოების შექმნის თანამონაწილეა, რადგან ბევრ შემთხვევაში მწერლისა და ერთგული მკითხველის ურთიერთობა განაპირობებს ნაწარმოების დასახული მიზნებისაგან გადახვევას, რაც არაერთხელ განუხორციელებია კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებისა“ და „დავით აღმაშენებლის“ შექმნისას. ყოფილა შემთხვევები, მკითხველთა დაჟინებული მოთხოვნების შემდეგ წერტილდასმული ნაწარმოებები გაგრძელებულა და არანაკლები წარმატებით, ვიდრე დასრულებული ნაწარმოები. ამას თვით მიგელ დე სერვანტესიც აღიარებდა და „დონ კიხოტი“ მკითხველთა რჩევის საფუძველზე ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა. ეს ურთიერთობა წყალივით სჭირდება როგორც მწერალს, ასევე მკითხველს.

ცხოვრება ორთავესთვის უფრო შინაარსიანი და ნაყოფიერია ასეთ დროს. როგორი სიამაყით შეიძლება აივსო, როდესაც შენი რჩევით ესა თუ ის ნაწარმოები იმ გზით წავა, როგორიც შენ დაუსახე ავტორს და მანაც ეს რჩევა ყურად იღო სრულად, ან ნაწილობრივ. პირადად მე ბედნიერად ვიგრძნობდი თავს ასეთ შემთხვევაში როგორც მწერალიცა და როგორც მკითხველიც, ორთავ შემთხვევაში.

ეს ურთიერთობა ნელ-ნელა უნდა აღდგეს, თანდისთანობით. დღეს კომუნიკაციის მეტი საშუალება არსებობს, რათა საყვარელ მწერალს მიაწოდო საკუთარი მოსაზრება. ამიტომ პირველ ყოვლისა უნდა ვიცოდეთ ერთი რამ - წიგნიერება ამ უწიგნურ სამყაროში წარმოგაჩენს როგორც მარგალიტს ლექში და ყოველის მხრიდან შესამჩნევი იქნები. მერე შენს სიტყვას ფასი დაედება და შენთან ურთიერთობა ნებისმიერი დონის მწერლისთვის საპატიო იქნება. ამიტომ უნდა წავიკითხოთ მხატვრული ლიტერატურა, არ უნდა დავივიწყოთ მეცნიერული ლიტერატურაც, რათა დინამიურად განვითარდეს აზროვნება და შემდეგ...

- შემდეგ ყველაფერი კარგად იქნება!

## ფონდი „ქართული ამერიკა“ წარმოგიდგენთ:

# პრეზიდენტ ობამას გამოსვლა საემიგრაციო რეფორმის შესახებ

პრეზიდენტი: ჩემთვის სასიამოვნოა ლას ვეგასში დაბრუნება! (ტაში). ასევე ძალიან სასიამოვნოა ამდენი კარგი მეგობრის გვერდით ყოფნა.

აქ იმყოფება ბევრი მნიშვნელოვანი სტუმარი, თუმცა, მე მხოლოდ რამდენიმე მათგანს გამოვყოფ. პირველ რიგში, აქ იმყოფება ჩვენთვის კარგად ცნობილი, ქვეყნის უსაფრთხოების დეპარტამენტის მდივანი - ჯანეტ ნაპოლიტანო; შესანიშნავი შინაგან საქმეთა მდივანი - კენ სალაზარი; ყოფილი შრომის დეპარტამენტის მდივანი - ჰილდა სოლისი; კონგრესის დელეგაციის ორი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ნევადას შტატიდან - სტივ ჰორსფორდი და დინა ტიტუსი და თქვენი მერი - კეროლინ გუდმანი.

და თქვენ ყველანი იმყოფებით აქ, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი შრომითი პროფესიული კავშირების ლიდერები. და ჩვენ უბრალოდ ყველანი მადლიერები ვართ. ასევე დღეს ჩვენთან არიან ზოგიერთი ცნობილი ბიზნეს-ლიდერებიც.

აქ არიან ჩვენი შესანიშნავი სტუდენტები - ჩვენი საამაყო სტუდენტები.

ეხლა გთხოვთ დაბრძანდეთ, თავისუფლად დაიკავოთ თქვენი ადგილები. არაფერი მაქვს საწინააღმდეგო.

წინა კვირას, პატივი მქონდა დამედო ფიცი როგორც შეერთებული შტატების პრეზიდენტს მეორე ვადით და ჩემს საზეიმო გამოსვლაში ვისაუბრე იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პროგრესის მიღწევა ჩვენი დროის გამოწვევების განსაზღვრისათვის, რომელიც ჩვენგან არ მოითხოვს გავმართოთ დებატები ყველაფერზე ან იგნორირება გავუკეთოთ ყველა იმ განსხვავებას, რაც ჩვენს შორის არსებობს. არამედ, ეს მოითხოვს,რომ ვიპოვოთ საერთო საფუძვლები და წავიდეთ წინ საერთო მიზნისაკენ. ეს ჩვენგან მოქმედებას მოითხოვს.

მე ვიცი, რომ ზოგიერთი საკითხი უფრო რთული გადასაწყვეტი იქნება, ვიდრე სხვები. ზოგიერთი დებატი უფრო დამაკმაყოფილებელი იქნება. ეს მოსალოდნელიც არის. მაგრამ, მე დღეს აქ რისთვისაც მოვედი არის ის, რომ ამ გამოწვევის მიმართ განსხვავებები თანდათან მცირდება. ამ საკითხის მიმართ ფართო შეთანხმება იწყება და ქმედებებისკენ მოწოდება ისმის მთელი ამერიკიდან. მე დღეს ვარ აქ იმიტომ, რომ მოვიდა დრო საერთო და ყოველმხრივი საემიგრაციო რეფორმისთვის.

უკვე დროა. უკვე დროა. უკვე დროა.

დღეს აქ იმიტომ ვარ, რომ ამერიკელების უმრავლესობა თანხმდება, რომ უკვე დროა აღვადგინოთ სისტემა, რომელიც დაინგრა ძალიან დიდი ხნის წინ. მე აქ ვარ იმიტომ, რომ ბიზნეს-ლიდერები, რელიგიური ლიდერები, შრომითი კავშირების ლიდერები, სამართალდამცავები და ლიდერები ორივე პარტიიდან თანხმდებიან, რათა განაცხადონ რომ უკვე დროა ვიპოვოთ უკეთესი გზა, რათა მივეგებოთ მოზღვავებულ, იმედიან ემიგრანტებს, რომლებიც კვლავ ხედავენ ამერიკას როგორც ფართო შესაძლებლობების ქვეყანას. უკვე დროა გავაკეთოთ ეს, რათა გავაძლიეროთ ჩვენი ეკონომიკა და ჩვენი ქვეყნის მომავალი.

დაფიქრდით ამის შესახებ - ჩვენ განვსაზღვრავთ საკუთარ თავს როგორც ემიგრანტების ქვეყანას. ეს არის რაც ჩვენ ვართ ჩვენს ძვლებში. იმედი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ იმ ადამიანებში, რომლებიც ჩამოდიან აქ გლობალური სამყაროს ყოველი კუთხიდან, ყოველთვის იყო ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიძლიერე. ეს უზრუნველყოფს ჩვენი სამუშაო ძალის ახალგაზრდობას; ეს უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის მაღალ დონეს და ეს დაეხმარა ქვეყანას შექმნილიყო უძლიერესი ეკონომიკური მანქანა, რომელიც მსოფლიოს როდესმე უნახავს.

ემიგრანტების დახმარებით შეიქმნა ისეთი ბიზნესები როგორიცაა „Yahoo“ და „Google“. მათ შექმნეს სრულიად ახალი, ისეთი ინდუსტრიები, რომლებმაც შემდგომში შექმნეს ახალი სამუშაო ადგილები და ახლებური კეთილდღეობა ჩვენი მოქალაქეებისათვის. ბოლო წლებში ოთხიდან ერთი მაღალტექნოლოგიური წამოწყება ამერიკაში იყო დაფუძნებული ემიგრანტების მიერ. ოთხიდან ერთი მცირე ბიზნესის მფლობელები იყვნენ ემიგრანტები, მათ შორის, უშუალოდ აქ - ნევადაში. ადამიანები, ჩამოვიდნენ აქ შესაძლებლობების ძიებაში, ეხლა კი უნდათ ეს შესაძლებლობები გაუზიარონ სხვა ამერიკელებს.

მაგრამ, დღეს ჩვენ უკვე ყველამ ვიცით, რომ გვაქვს საემიგრაციო სისტემა, რომელსაც უკვე ვადა აქვს გასული, დამსხვრეულია. ეს არის სისტემა, რომელიც უკან გვაბრუნებს, იმის მაგივრად გავზარდოთ ჩვენი ეკონომიკა და გავაძლიეროთ საშუალო ფენა.

ამჟამად, ჩვენ გვყავს 11 მილიონი უსაბუთო ემიგრანტი ამერიკაში. 11 მილიონი მამაკაცი და ქალი მთელი მსოფლიოდან, რომლებიც ცხოვრობენ ჩრდილში.

დიახ, მათ დაარღვიეს წესები, მათ გადმოკვეთეს საზღვარი არალეგალურად, შეიძლება მათ ვიზის ხანგრძლივობას გადააცილეს. ესეთია ფაქტები. არავინ კამათობს ამის შესახებ. მაგრამ, ეს 11 მილიონი მამაკაცი და ქალი ახლა აქ არიან. ბევრი მათგანი წლებია რაც აქ იმყოფება და ამ ინდივიდუალების უდიდესი უმრავლესობა არ წარმოადგენენ საფრთხეს. ისინი არიან ჩვენი საზოგადოების წევრები, რომელთაც თავიანთი მოქალაქეობრივი წვლილი შეაქვთ. ისინი ზრუნავენ თავიანთი ოჯახებისთვის, ეხმარებიან თავიანთ მეზობლებს, ჩვენი ცხოვრების ქსოვილს ქსოვენ.

ყოველდღე, ისევე, როგორც ყოველი ჩვენთაგანი, ისინი გამოდიან სახლებიდან სამუშაოდ. ხშირად, ისინი ამას აკეთებენ ჩრდილოვან ეკონომიკაში, ანუ იმ ადგილას, სადაც მათი დამქირავებლები შესაძლოა მათ სთავაზობენ მინიმალურ ანაზღაურებაზე ნაკლებს ან ამუშავებენ დამატებით სამუშაო საათებს პრემიალური ანაზღაურების გარეშე. და როდესაც ეს ხდება, ეს არ არის ცუდი მხოლოდ მათთვის, არამედ ეს ცუდია მთელი ეკონომიკისთვის. იმიტომ, რომ ყველა ბიზნესი, რომელიც ცდილობს გააკეთოს ყველაფერი კანონიერად, რომლებიც ქირაობენ ადამიანებს კანონიერად, უხდიან შესაბამის ანაზღაურებას, მოქმედებენ წესების შესაბამისად, სწორედ ეს ბიზნესები განიცდიან ზარალს. მათ უწევთ კონკურენცია ისეთ კომპანიებთან, რომლებიც არღვევენ წესებს. აგრეთვე, საფრთხის ქვეშ დგას ამერიკელი მუშა-მოსამსახურეების ხელფასი და სამუშაო პირობები.

მაშასადამე, თუ ჩვენ ნამდვილად გვინდა გავაძლიეროთ ჩვენი საშუალო ფენა და მივცეთ წარმატებების მიღწევის მეტი საშუალება მათ, ვისაც სურვილი აქვთ მეტი იმუშაონ იმისათვის, რათა გახდნენ საშუალო ფენა, ჩვენ ეს სისტემა აუცილებლად უნდა დავხვეწოთ.

ჩვენ უნდა ვუზრუნველყოთ, რათა ამერიკაში ყოველი ბიზნესი და ყველა მშრომელი თამაშობდეს ერთნაირი წესებით. ჩვენ უნდა გამოვიყვანოთ ჩრდილოვანი ეკონომიკა სინათლეზე, იმისთვის, რომ ყველა იყოს ანგარიშვალდებული - ბიზნესები (იმისთვის თუ ვის ქირაობენ) და ემიგრანტები (რათა კანონის სწორ მხარეს აღმოჩნდნენ). ეს არის საერთო მიდგომა. სწორედ ამისთვის გვჭირდება ყოველმხრივი საემიგრაციო რეფორმა. (აპლოდისმენტები)

არის კიდევ ერთი ეკონომიკური მიზეზი, რისთვისაც ჩვენ გვჭირდება ეს რეფორმა. ეს არ არის მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ჩამოვიდნენ აქ არალეგალურად და ეფექტი აქვთ ჩვენს ეკონომიკაზე. ეს კეთდება ასევე იმათთვის, ვისაც აქ ლეგალურად უნდა ჩამოსვლა და ამას ვერ ახერხებს.

დღესდღეობით, ჩვენს საუკეთესო უნივერსიტეტებში სწავლობენ შესანიშნავი სტუდენტები მთელი მსოფლიოდან. ისინი ეუფლებიან ხარისხებს ისეთ სამომავლო სფეროებში, როგორიცაა საინჟინრო საქმიანობა და კომპიუტერული მეცნიერებები. მაგრამ, როგორც კი ისინი სწავლას დაასრულებენ და მიიღებენ დიპლომებს, დიდი შანსია რომ ჩვენი ქვეყანა დატოვონ. დაფიქრდით ამის შესახებ.

კომპანია „Intel"-ი შეიქმნა იმ ემიგრანტის დახმარებით, რომელმაც აქ ისწავლა და შემდეგ დარჩა აქ. „Instagram"-ი ასევე შეიქმნა ემიგრანტის დახმარებით, რომელმაც ისწავლა აქ და დარჩა. ეხლაც, რომელიღაც საკლასო ოთახში არიან სტუდენტები, რომლებიც წვალობენ თუ როგორ განახორციელონ თავიანთი დიდი იდეები - თავიანთი „Intel"-ი და „Instagram"-ი - შექმნან დიდი ბიზნესი. ჩვენ ვაძლევთ მათ ყველა აუცილებელ უნარ-ჩვევას, რაც მათ ამაში დაეხმარება. მაგრამ, შემდეგ ჩვენ მივუტრიალდებით და ვეუბნებით, რომ ეს ბიზნესი დაიწყონ და სამუშაო ადგილები შექმნან ჩინეთში, ინდოეთში, მექსიკაში ან სადმე სხვაგან? ეს არ არის ის მიდგომა, რომლის მეშვეობითაც გაიზრდება ახალი მრეწველობა ამერიკაში. ეს არის ის, თუ როგორ ვაძლევთ ჩვენ ახალ მრეწველობებს ჩვენს კონკურენტებს. სწორედ ამისთვის გვჭირდება საემიგრაციო რეფორმა.

ჩემი პირველი საპრეზიდენტო ვადის დროს, ჩვენ გადავდგით ნაბიჯები, რათა სახელდახელოდ შეგვეკეთებინა სისტემის ყველაზე დიდი ბზარები.

პირველი - ჩვენ გავაძლიერეთ უსაფრთხოების ზომები საზღვრებზე, რათა შეგვეჩერებინა არალეგალურად ემიგრანტების შემოდინება. ჩვენ დავაყენეთ ყველაზე მეტი მესაზღვრე ჩვენს სამხრეთ საზღვარზე ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. და დღეს, საზღვრის უკანონო გადმოკვეთა შემცირებულია 80%-ით მის პიკთან შედარებით, რომელიც 2000 წელს იყო.

მეორე - ჩვენ გავაძლიერეთ სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა იმ კრიმინალების წინააღმდეგ, რომლებიც აქ არალეგალურად იმყოფებიან და საფრთხეს უქმნიან ჩვენს საზოგადოებას. დღეს კრიმინალების დეპორტაცია არის ყველაზე მაღალ ნიშნულზე, რომელიც კი როდესმე ყოფილა.

და მესამე - ჩვენ დავეხმარეთ ახალგაზრდებს, რომლებიც აქ ჩამოიყვანეს როცა ისინი იყვნენ ბავშვები, ახალგაზრდები რომლებიც აქ გაიზარდნენ, შექმნეს თავიანთი ცხოვრება, რომლებსაც აქ აქვთ მომავალი. ჩვენ ვთქვით, რომ თუ თქვენ დააკმაყოფილებთ ძირითად კრიტერიუმებს, მაგალითად ისწავლით, მაშინ ჩვენ განვიხილავთ, რომ მოგცეთ შანსი გამოხვიდეთ ჩრდილიდან და იცხოვროთ და იმუშაოთ ლეგალურად, საბოლოოდ იგრძნოთ და იცოდეთ თქვენი ადგილი.

მაგრამ, ვინაიდან ეს ცვლილება დროებითია, ჩვენ გვჭირდება რომ კონგრესმა იმოქმედოს - და იმოქმედოს არა მხოლოდ „ოცნების აქტზე". ჩვენ გვჭირდება კონგრესმა იმოქმედოს ყოველმხრივ მიდგომაზე, რომელიც საბოლოოდ შეეხება 11 მილიონ უსაბუთო ემიგრანტს, რომლებიც დღეს ქვეყანაში არიან. ეს არის ის, რაც ჩვენ გვჭირდება! (აპლოდისმენტები)

ამ ეტაპზე, კარგი სიახლე არის ის, რომ პირველად მრავალი წლის შემდეგ (როგორც ჩანს), რესპუბლიკელები და დემოკრატები მზად არიან ეს პრობლემა ერთობლივად გადაწყვიტონ. (აპლოდისმენტები) ორივე პარტიის წევრები, ორივე პალატაში, აქტიურად მუშაობენ ერთად საკითხის გადასაწყვეტად. გუშინ სენატორების ორპარტიულმა ჯგუფმა განაცხადა ყოველმხრივი საემიგრაციო რეფორმის საკუთარი პრინციპები, რომლებიც მეტწილად შეესაბამება იმ პრინციპებს,რომლებიც მე წამოვაყენე და რომელთა კამპანიას ვეწეოდი ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე. ამდენად, ამ მომენტისათვის, ჩანს რომ არსებობს გულწრფელი სურვილი, რათა ეს მალე განხორციელდეს.

მაგრამ, ამჯერად ამას კონკრეტული ქმედება უნდა მოჰყვეს. ჩვენ არ შეგვიძლია თავს უფლება მივცეთ, რომ საემიგრაციო რეფორმა ჩაეფლოს გაუთავებელ დებატებში. ჩვენ ამის შესახებ დებატებს ვხედავთ ძალიან დიდი ხანია. ამდენად, ეს არ არის ისე, თითქოს ჩვენ არ ვიცოდეთ თუ ტექნიკურად რა არის გასაკეთებელი. შედეგად, იმისთვის რომ დავეხმაროთ ამ პროცესს რომ გაგრძელდეს, დღეს მე ჩამოვაყალიბებ ჩემს იდეებს საემიგრაციო რეფორმის შესახებ და იმედი მაქვს, რომ ეს მიაწოდებს რამდენიმე მნიშვნელოვან სანიშნეს კონგრესის წევრებს, როდესაც ისინი შეიმუშავებენ კანონპროექტს. შეგახსენებთ, რომ იდეებს რომლებსაც დღეს გთავაზობთ, ტრადიციულად მხარდაჭერილი იყო დემოკრატების (მაგალითად ტედ კენედის) და რესპუბლიკელების (მაგალითად პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის-უმცროსის) მიერ. თქვენ არ გაქვთ ამგვარი თანხვედრა ხშირად. (იცინის) ამდენად, ჩვენ ვიცით სად უნდა შედგეს კონსესუსი.

ეხლა, რა თქმა უნდა, იქნება მკაცრი დებატები მრავალი დეტალის შესახებ და ყველა დაინტერესებული მხარე უნდა წავიდეს რეალურ დათმობებზე ან შეიძლება რაიმე მოითხოვოს ამ პროცესში. მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ საფუძველი ორპარტიული საქმიანობისთვის უკვე შექმნილია. და თუ კონგრესი ვერ შეძლებს დროულად წაიწიოს წინ, მაშინ თავად გავაგზავნი კანონპროექტს ჩემი წინადადებებით და დაბეჯითებით მოვთხოვ დაუყოვნებლივ მისცენ ხმა მას.

პრინციპები არის საკმაოდ პირდაპირი. არის ბევრი დეტალი მის უკან. ჩვენ შევქმნით დოკუმენტს ისე, რომ ყველას ეცოდინება თუ რაზე ვსაუბრობთ. თუმცა პრინციპები არის საკმაოდ მარტივი.

პირველ რიგში, მე მჯერა, რომ უნდა მოვახდინოთ სამართალდამცავი ბერკეტის გაძლიერება. ეს ნიშნავს რომ უნდა გავაგრძელოთ უსაფრთხოების სისტემა ჩვენს საზღვრებზე; ეს ნიშნავს იმას, რომ გავაძლიეროთ იმ ბიზნესებზე ზეწოლა, რომლებიც, წინასწარი შეცნობით ქირაობენ უსაბუთო მუშა-მოსამსახურეებს. სამართლიანობისთვის ავღნიშნავ, რომ ბიზნესების უმრავლესობას სურს საქმის სწორად წარმართვა, მაგრამ მათ უჭირთ გაარკვიონ ვინ არის აქ ლეგალურად და ვინ არა. ამდენად, ჩვენ გვესაჭიროება შევქმნათ ეროვნული სისტემა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ბიზნესებს სწრაფად და ზუსტად შეამოწმონ პიროვნების სამუშაო სტატუსი. და თუ მაინც, წინასწარი შეცნობით, ისინი დაიქირავებენ უსაბუთო მუშა-მოსამსახურეებს, მაშინ ჩვენ უნდა ავამოქმედოთ შესაბამისი ჯარიმები.

მეორე - ჩვენ უნდა მივხედოთ 11 მილიონ ადამიანს, რომლებიც აქ არალეგალურად იმყოფებიან. ჩვენ ყველანი ვთანხმდებით, რომ ამ მამაკაცებმა და ქალებმა უნდა დაიმსახურონ თავიანთი გზა მოქალაქეობისკენ. მაგრამ იმისთვის, რათა ყოველმხრივმა საემიგრაციო რეფორმამ იმუშაოს, უნდა იყოს ნათელი რომ არის გზა მოქალაქეობისკენ. (აპლოდისმენტები)

ჩვენ უნდა დავსახოთ გზა - პროცესი, რომელიც მოიცავს წარსულის შემოწმებას, გადასახადების გადახდას, ჯარიმების გადახდას, ინგლისურის სწავლას და ამის შემდეგ რიგის უკანა ხაზზე დაბრუნებას (იმათ უკან, ვინც ცდილობს აქ ლეგალურად ჩამოვიდეს). ეს არის სამართლიანი. ასეა?

ამდენად, ეს ნიშნავს იმას, რომ არ იქნება სწრაფი პროცესი, მაგრამ ეს იქნება სამართლიანი პროცესი. და ეს გამოიყვანს ამ ადამიანებს ჩრდილიდან და მისცემს მათ შანსს მიიღონ „Green Card"-ი და ბოლოს კი მოქალაქეობა.

და მესამე პრინციპი არის ის,რომ ჩვენ უნდა მოვიყვანოთ ჩვენი ლეგალური ემიგრაციის სისტემა 21-ე საუკუნის სტანდარტებთან შესაბამისობაში, ვინაიდან ის აღარ ასახავს ჩვენი დროის რეალიებს. მაგალითად, თუ თქვენ მოქალაქე ხართ, მაშინ აღარ უნდა გიწევდეთ წლები ლოდინი რომ თქვენი ოჯახი ამერიკაში ჩამოიყვანოთ. თქვენ არ უნდა ელოდოთ ამას წლები.

თუ თქვენ უცხოელი სტუდენტი ხართ, რომელსაც უნდა გაიკეთოს კარიერა მეცნიერების ან ტექნოლოგიის სფეროში, ან თუ თქვენ უცხოელი მეწარმე ხართ, რომელსაც უნდა ბიზნესის კეთება დაიწყოს და დაეხმაროს ამერიკელ ინვესტორებს, მაშინ ჩვენ უნდა დაგეხმაროთ რომ ეს გააკეთოთ. იმიტომ, რომ თუ თქვენ წარმატებას მიაღწევთ, თქვენ შექმნით ამერიკულ ბიზნესებს და სამუშაო ადგილებს ამერიკელებისთვის. თქვენ დაგვეხმარებით გავზარდოთ ჩვენი ეკონომიკა. თქვენ დაგვეხმარებით გავაძლიეროთ ჩვენი საშუალო ფენა.

ამდენად, როგორ გამოიყურება ყოველმხრივი საემიგრაციო რეფორმა: უფრო ჭკვიანური სამართალდაცვითი ქმედებები, გზა მოქალაქეობის დამსახურებისკენ და ლეგალური საემიგრაციო სისტემის გაუმჯობესება, რათა ვიყოთ მაგნიტი საუკეთესო და ყველაზე ჭკვიანი ადამიანებისთვის მთელი მსოფლიოდან. ეს საკმაოდ მარტივია.

კითხვა მარტივად დგას: ვართ თუ არა ჩვენ გაბედული როგორც ხალხი, როგორც ქვეყანა, როგორც მთავრობა, რომელიც საბოლოოდ უკან ჩამოიტოვებს ამ პრობლემას. მე მჯერა, რომ ჩვენ შევძლებთ. მე მჯერა, რომ ჩვენ საბოლოოდ ვართ იმ მომენტთან, რომ ყოველმხრივი საემიგრაციო რეფორმა ჩვენს ხელშია.

მაგრამ მე თქვენ გპირდებით ერთ რამეს: რაც უფრო ახლოს მივალთ საკითხის გადაწყვეტასთან, მით უფრო ემოციური იქნება დებატები. ემიგრაცია ყოველთვის იყო ისეთი საკითხი, რომელიც აღვივებს ძლიერ გრძნობებს. ეს არ არის სიურპრიზი. ჩვენთვის, როგორც საზოგადოებისთვის, უფრო მნიშვნელოვანია რამდენიმე საკითხი, ვიდრე მათთვის, ვინც აქ ჩამოდის და ეძახის ჩვენს ყვეყანას თავის სახლს, ვისაც აქვს პრივილეგია გახდეს ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე.

როდესაც ჩვენ აბსტრაქტულად ვსაუბრობთ, ზოგჯერ უფრო ადვილია დისკუსია წარვმართოდ და გავითავისოთ საკითხი როგორც „ჩვენი" და არა „იმათი". ჩვენ ეს გვავიწყდება. ჩვენთვის ნამდვილად მნიშვნელოვანია გვახსოვდეს ჩვენი ისტორია: თუ თქვენ არ ხართ აბორიგენი ამერიკელი, მაშინ თქვენ საიდანღაც ჩამოხვედით - ვიღაცამ ჩამოგიყვანათ აქ.

კენ სალაზარი არის მექსიკელი ამერიკელი, მაგრამ ის აღნიშნავს, რომ მისი ოჯახი ცხოვრობს იქ, სადაც ის ცხოვრობს 400 წელი. ამდენად, მას არსად ემიგრირება არ მოუხდენია. (სიცილი)

ირლანდიელი, რომელმაც უკან ჩამოიტოვა შიმშილი თავის ქვეყანაში; გერმანელები, რომლებიც გაექცნენ სამართლებრივ დევნას; სკანდინავიელები, რომლებიც იყვნენ პიონერები დასავლეთში; პოლონელები, რუსები, იტალიელები, ჩინელები, იაპონელები, დასავლეთ ინდოელები; მასობრივი ჯგუფები, რომლებიც შემოვიდნენ ელისის კუნძულის გავლით ერთ სანაპიროზე და ანგელოზის კუნძულის გავლით მეორე სანაპიროზე - ეს ადამიანები მანამ, სანამ გახდებოდნენ „ჩვენ", იყვნენ - „ისინი".

როდესაც ემიგრანტების ახალი ტალღა შემოედინებოდა, ისინი აწყდებოდნენ წინააღმდეგობას მათგან, ვინც უკვე აქ იმყოფებოდა. ისინი გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ, განიცდიდნენ რასისტულ მიდგომას, მასხრად იგდებდნენ. მაგრამ, დროთა განმავლობაში, როდესაც მათ ააწყვეს ცხოვრება, დაიწყეს მუშაობა, შექმნეს ოჯახი, შექმნეს სამეზობლო, მათი შვილები სკოლაში წავიდნენ - შეიტანეს საკუთარი წვლილი სახელმწიფოს მშენებლობაში.

ისინი იყვნენ აინშტეინები და კარნეგები. მაგრამ, ასევე იყვნენ მილიონობით ქალები და მამაკაცები, რომელთა სახელები ისტორიას შესაძლოა არ ახსოვდეს, მაგრამ მათი ქმედებები დაგვეხმარა ჩვენ გავმხდარიყავით ის, რანიც ვართ დღეს. ისინი, ვინც ააშენეს ქვეყანა თავიანთი ხელებით, თითო აგურის დადებით. ისინი ყველანი ჩამოვიდნენ და აცნობიერებდნენ, რომ - იყო ამერიკელი, არ არის მხოლოდ სისხლი ან დაბადება, არამედ ეს არის ერთგულება ჩვენი დამფუძნებელი პრინციპებისა და რწმენა იმისა, რომ ნებისმიერ ადამიანს ნებისმიერი ადგილიდან შეუძლია დაწეროს ჩვენი ისტორიის მომდევნო დიდი თავი.

და ეს დღესაც ასეა. კითხეთ ალან ალემანს. ალანი დღეს აქ არის? ალანი დაიბადა მექსიკაში. ის ჩამოიყვანეს მშობლებმა, როცა პატარა ბავშვი იყო. როცა გაიზარდა, იგი შევიდა ამერიკულ სკოლაში, ფიცი დადო ამერიკულ დროშაზე, თავს ყოველმხრივ ამერიკელად გრძნობდა - და ის იყო კიდევაც ამერიკელი, გარდა ერთი დეტალისა - ის არ იყო ამერიკელი საბუთებში. სკოლაში ალანი ხედავდა, რომ როდესაც მან და მისმა თანატოლებმა შესაბამის ასაკს მიაღწიეს, ალანის თანატოლები ატარებდნენ მანქანებს ახალი მართვის მოწმობებით, მუშაობდნენ სავაჭრო ცენტრებში ზაფხულობით. მან იცოდა, რომ მას იგივეს გაკეთება არ შეეძლო. მაგრამ ეს მისთვის არც თუ ისე ბევრს ნიშნავდა. ალანისთვის მნიშვნელოვანი იყო ის, რომ სწავლობდა და წარმატებას მიაღწევდა მისი ღვთის მიერ ბოძებული შესაძლებლობებით. გასულ წელს ალანმა გაიგო ახალი ამბავი, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა მისნაირ ახალგაზრდებს გამოსულიყვნენ ჩრდილიდან - თუნდაც მხოლოდ ორი წლის ვადით ამ ეტაპზე - ის იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც განცხადება შეიტანა და რამდენიმე თვის წინ ის იყო პირველი ნევადას შტატში, ვინც დადებითი პასუხი მიიღო. ამ მომენტში ალანმა თქვა: „მე ვიგრძენი, რომ შიში გაქრა. მე ვიგრძენი რომ მიმიღეს".

დღეს ალანი სამხრეთ ნევადას კოლეჯის მეორე კურსის სტუდენტია. სწავლობს იმისთვის, რომ გახდეს ექიმი. ის იმედოვნებს, რომ ჩაირიცხება საჰაერო ძალების რიგებში. იგი ყოველდღე ბევრს მუშაობს, რათა შექმნას უკეთესი საცხოვრებელი პირობები მისთვის და მისი ოჯახისთვის. და ერთადერთი რაც მას უნდა, არის ის, რომ მიეცეს შესაძლებლობა რათა შეიტანოს მისი წვლილი უკეთესი ამერიკის მშენებლობის საქმეში.

ამდენად, მომდევნო კვირებში რეფორმის იდეა გახდება უფრო რეალური და დებატები კი უფრო ცხარე. და მათ, ვინც ცდილობს გადადოს ეს საკითხი, გაიხსენეთ ალანი და ყველა ისინი, ვინც იზიარებს იგივე იმედებს და იგივე ოცნებებს. გახსოვდეთ, რომ ეს არ არის მხოლოდ პოლიტიკური დებატები - ეს შეეხება ადამიანებს. ეს არის იმ მამაკაცების და ქალების, ასევე ახალგაზრდების შესახებ, რომლებსაც არ უნდათ არაფერი, გარდა იმისა რომ მიეცეთ შანსი დაიმსახურონ თავიანთი გზა ამერიკულ ისტორიაში.

მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე ეს აძლიერებდა ჩვენს სახელმწიფოს. და ეს დაგვარწმუნებს იმაში, რომ ეს საუკუნე არის ისეთივე, როგორც იყო წინა: ამერიკული საუკუნე, გულს უხსნის ყველას, ვინც ისწრაფვის მეტის გაკეთებას, ვისაც სურს იმუშაოს ძლიერად ამის მისაღწევად, ვისთვისაც ჩვენი დროშა საფიცარია.

დიდი მადლობა. ღმერთმა დაგლოცოთ. ღმერთმა დალოცოს ამერიკის შეერთებული შტატები.

**ქართული ემიგრაციისათვის ამ გამოსვლის ქართულ ენაზე თქვენთვის მოწოდება შესაძლებელი გახდა ფონდ „ქართული ამერიკის" დახმარებით**

**უწმინდესისა და უნეტარესის,**
**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,**
**მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და**
**ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის**
**ილია II-ის**

# საშობაო ეპისტოლე



ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო სულიერნო შვილნო საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა, ღვთივკურთხეული ივერიის მკვიდრნო და ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო! „ამიერიდან უცხონი კი აღარა ხართ, არამედ წმიდანთა თანამოქალაქენი და ღმერთის სახლეულნი“ (ეფეს. 2;19). ათასწლოვანი მოლოდინი კაცთა მოდგმის ხსნისა დასრულდა. აღსრულდა მრავალ თაობათა ნატვრა, - იშვა იესო.

ოცი საუკუნის წინ აღმობრწყინვებული ბეთლემის ვარსკვლავი დღეს კვლავ ამცნობს სამყაროს ენით მიუწვდომელ საიდუმლოს ღვთის განხორციელებისა; სასწაულს, რომელსაც ვერასოდეს ჩასწვდება ადამიანური გონება. საოცრებას, რომელსაც ვერასოდეს წარმოიდგენდა თვით ანგელოზთა დასიც. თითქმის არ არის არცერთი ქვეყანა, არცერთი ქრისტიანული ოჯახი, რომ არ ხარობდეს ამ დღის დადგომით, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრისთვის უცნობია ასეთი განწყობის ნამდვილი მიზეზი და ისიც, თუ რას ავალდებულებს ეს დღე ყოველ ადამიანს. უმრავლესობა ვერ გვიპასუხებს, მაინც რა მიზნით მიიღო კაცობრივი ბუნება უფალმა? რა საჭირო იყო ეს? რა შეიცვალა მისი მოსვლით დედამიწაზე? ამის გაგება ზოგიერთს არც კი აინტერესებს, მათთვის ისიც საკმარისია, რომ კარგი განწყობისა და მხიარულების რაღაც მიზეზი აქვთ. დაე, იყოს ეს ქრისტეს შობა, – არსობრივ მნიშვნელობას ამას არც ანიჭებენ. მათ კი, რომელნიც ნაკლებად გათვითცნობიერებულნი არიან სარწმუნოებაში, მაგრამ ცოდნის შეძენის სურვილი აქვთ, კიდევ ერთხელ შევახსენებ წმინდა წერილს:

ადამი შემოქმედმა ხატად და მსგავსად თვისსა შექმნა და სამოთხეში ნეტარი ცხოვრება უბოძა, მაგრამ სამყაროს გვირგვინად და განმგებლად დადგენილი კაცი თავისი ნებით, ამპარტავნებითა და უპასუხისმგებლო ქცევით ღმერთს განუდგა და მაცდურის მონობაში აღმოჩნდა. მასთან ერთად დაეცა მიწიერი სამყაროც, რომელიც მას ექვემდებარებოდა. ღვთის მადლით აღვსილი ჰარმონია, წმ. მაქსიმე აღმსარებელის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეშმაკის ტირანიით განმსჭვალულმა სიძულვილმა და ურთიერთდაპირისპირებამ შეცვალა; ეს მდგომარეობა აისახა როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობებში, ისე ცხოველთა, მცენარეთა და საერთოდ, მთელი ბუნების არსებობის წესში: ყველაფერი დაექვემდებარა პრინციპს, - ბრძოლა არსებობისათვის. ასე რომ, ღმერთსა და ადამიანს შორის გადაულახავი უფსკრული გაჩნდა; ადამმა და ევამ და მათმა შთამომავლებმა დაკარგეს სულიწმიდის მადლი, რითაც შემოქმედთან კავშირი ხორციელდებოდა და რაც ღმერთთან მათი მსგავსების განმაპირობებელი უმთავრესი ფაქტორი იყო; ამ მადლს მოკლებულნი, მოაკლდნენ სწორ აზროვნებასა და ქმედებასაც. ცოდვას ცოდვა შესძინეს და საკუთარ თავს მარადიული სიკვდილი განუმზადეს.

ამ რეალობის შეცვლის შესაძლებლობა კი აღარ არსებობდა, რადგან კაცთა ხსნა მხოლოდ ისეთ ადამიანს შეეძლო, რომელიც უცოდველი იყო და ხელეწიფებოდა სხვათა სიმძიმე ეტვირთა. ასეთი კი, ამქვეყნად არ იპოვებოდა,რადგან პირველქმნილი ცოდვა ყველას მემკვიდრეობით გადაეცე-

მოდა და ამას კიდევ ცალკეული ადამიანის პირადი ცოდვებიც ემატებოდა. ყოველივე ხილულისა და უხილავის შემოქმედმა და განმგებელმა ცანი მოდრიკნა, ადამიანური ბუნება მიიღო და ჩვენი ხსნისათვის დავითის ქალაქში, ბეთლემში, იშვა.

აქ, ბაგაში, სიცივესა და სიმწირეში დაიბადა ახალი ადამი, - იესო, რათა ამპარტავნებით დაცემული ძველი ადამის ცოდვა გამოესყიდა, მართალთა სულები ჯოჯოხეთიდან ეხსნა და ღმერთთან კავშირი აღედგინა. აი, ეს არის ჩვენი დიდი სიხარულის მიზეზი, სათავე ენით გამოუთქმელი ბედნიერებისა.

სხვა რა უნდა შევადაროთ ამ დღის სიდიადეს?!

როგორ ხორციელდება პირველქმნილ ჰარმონიასთან ჩვენი დაბრუნება?

პირველ რიგში ქრისტიანული ნათლისღებით. „ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა, ამინ!" - ამბობს საიდუმლოს აღსრულებისას მოძღვარი და შვიდჯერ სცხებს მირონს მას, ვინც ინათლება, რითაც ადამიანს ენიჭება სულიწმინდის მადლი და ეძლევა განღმრთობისა და ნეტარი მარადიულობის დამკვიდრების შესაძლებლობა. ამ მიუწვდომელი წყალობის გამო წმინდა მამები, დავით წინასწარმეტყველის მსგავსად, საუკუნეთა მანძილზე გულწრფელად გაოცებულნი კითხულობდნენ: „რაი არს კაცი, რამეთუ მოიხსენე მისი, ანუ ძე კაცისაი, რამეთუ მოხედავ მას?" (ფს. 8:4).

ჩვენი ხსნისათვის მაცხოვრის თავგანწირვა, უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს და ამ ეპისტოლეში სწორედ აღნიშნულ გრძნობაზე მინდა განსაკუთრებით გავამახვილო ყურადღება. ეს თვისება ადამიანში ასაკთან ერთად ვითარდება; ამასთან, რამდენადაც მაღალ სულიერ საფეხურზე იმყოფება ესა თუ ის პიროვნება, მით მეტად არის მასში ეს განცდა. პავლე მოციქული ამბობს: „როდესაც ვიყავი ყრმა, ვიტყოდი, როგორც ყრმა, ვფიქრობდი, როგორც ყრმა, ვმსჯელობდი, როგორც ყრმა; ხოლო როდესაც დავკაცდი, ზურგი ვაქციე ყოველივე ყრმობის დროინდელს (I კორ. 13:11).

ჩვენც გვმართებს ყრმობიდან გამოსვლა ანუ სულიერი გაზრდა და გაცნობიერება ჩვენი პასუხისმგებლობისა უპირველეს ყოვლისა შემომქმედის - უფლის, სამშობლოს და მოყვასის წინაშე; პასუხისმგებლობისა როგორც ცოცხლების, ისე გარდაცვლილების მიმართ, რაც გულისხმობს ჩვენს ვალდებულებებს მშობლებთან, ოჯახთან, მეგობრებთან, ნათესავებთან, მეზობლებთან მიმართებაში, ასევე სამსახურებრივ პასუხისმგებლობას.

ჩვენი წინაპრები თავიანთ შვილებს ბავშვობიდან უღვივებდნენ ამ გრძნობას. ამიტომაც იყო ჩვენი ერი ძლიერი. მიუხედავად განუწყვეტელი ომებისა, იგი იბრძოდა კიდეც და ამასთან, დაუღალავად შრომობდა და ქმნიდა. რწმენისა და მამულის დასაცავად საჭიროების შემთხვევაში ქუდზე კაცი გამოდიოდა.

საერთოდ კი ოჯახში, სოფელსა თუ თემში ყველას თავისი პასუხისმგებლობა ჰქონდა: მეფე ზრუნავდა მთელს ერზე, თავად-აზნაურობა პატრონობდა და ხმლით იცავდა თავის ტერიტორიაზე მცხოვრებთ; ეკლესია ანათლებდა და სულიერად ამტკიცებდა ერსსამწყსოს; გლეხები ქმნიდნენ დოვლათს; ყველანი ერთად კი შეადგენდნენ ჩვენი ქვეყნის ერთიან, მთლიან ცოცხალ ორგანიზმს, სადაც თითოეული თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ემსახურებოდა ღმერთს და ქვეყანას. რომელიმე მათგანის დაძაბუნება იწვევდა ყველას დასუსტებას, რადგან არცერთი მათგანის ფუნქცია არ იყო უმნიშვნელო; თუმცა რაც უფრო მაღალი იყო წოდება და თანამდებობა, მით მეტი იყო პასუხისმგებლობაც. ეს კი ხშირად სიცოცხლის გაწირვას მოითხოვდა. ზოგჯერ მეფის ან სასულიერო პირის თავდადება იყო საკმარისი, მაგ. წმ. დემეტრე თავდადებული, წმ. ევდემოზ კათოლიკოსი, ზოგჯერ კი მთელი ერის, - მაგ. 100000 მოწამის. თავისუფლება და პასუხისმგებლობა ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. ვინც თავისუფლებას კარგავს, მონურ მდგომარეობაში ვარდება და პასუხისმგებლობის განცდაც უქვეითდება. გავიხსენოთ, რა მოხდა დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ საქართველოში: მთელი ეს ჰარმონიული სისტემა მოიშალა, მეფის ხელისუფლება და ეკლესიის დამოუკიდებლობა გაუქმდა, ძალაუფლება უცხო ძალის ხელში გადავიდა, რის შედეგადაც თავადაზნაურობა უგულო ბატონად იქცა, ყოველივე ეს კი მთელი სიმწვავით გლეხკაცობაზე აისახა. ქართველმა კაცმა მისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი ძირფესვიანად შეცვალა. საქვეყნო საზრუნავის ადგილი პირადულმა დაიკავა. სამშობლოზე ფიქრის ნაცვლად მისი გონება მხოლოდ საკუთარ კარ-მიდამოსა და ოჯახზე ზრუნვამ მოიცვა. დიდმა ილიამ ეს პრობლემა ცნობილი ლექსით, „ბედნიერი ერი" ნათლად დაგვანახა.

ერის უპასუხისმგებლო მდგომარეობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ 1918 წელს წმინდა ილია მართლის ეროვნული გზის ნაცვლად ხალხმა უცხო ქვეყნის ათეისტური პარტია აირჩია. შემდეგ კი კიდევ უფრო სამწუხარო შედეგმაც არ დააყოვნა და მოკლე ხანში ქვეყანა კომუნისტური იმპერიის ნაწილი გახდა. უფალი, მართალია, სამართლიანია, მაგრამ, ამავე დროს მოწყალეც, რომელიც არა ცოდვათა ჩვენთაებრ მოგვაგებს, არამედ ჩვენი გამოსწორებისათვის გვწვრთნის იმის გათვალისწინებით, თუ რამდენის დატევნა შეგვიძლია. ამიტომაც რა მდგომარეობაშიც არ უნდა ვიყოთ, გაცილებით უკეთესად ვართ, ვიდრე ვიმსახურებთ და მრავალჭირგამოვლილი წმ. იოანე ოქროპირის მსგავსად მუდამ მადლობას უნდა ვწირავდეთ ღმერთს ყველაფრისათვის. და თუ გვსურს, მდგომარეობის გამოსწორება, უნდა ვიტვირთოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა და უფლის წყალობა ამით მოვიპოვოთ. ეს არის ყველაზე მთავარი. ჩვენით კი ვერაფერს გავხდებით. მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობა დამღუპველი იყო და იქნება ყოველთვის. სამწუხაროდ, თვითოეულ ჩვენგანს დღესაც გვაკლია პასუხისმგებლობის გრძნობა. ჩვენ გულგრილი ქრისტიანები ვართ, ნელ-თბილნი, და ამიტომაც დიდ შეცდომებს ვუშვებთ. ჩვენში მძლავრობს ეგოისტური ზრახვები და „მეს" პრინციპი,რაც ჭეშმარიტ ღირებულებათა დამანგრეველია. ჩვენი სულიერი სისუსტის გამოვლინებაა თუნდაც ის, რომ დღესასწაულებს ფაქტობრივად მიწიერი გრძნობებით ვეგებებით და რეალური განცდა ცოცხალ ღმერთთან ურთიერთობისა, არა გვაქვს.

რომ ჩვენს გარშემო ვამჩნევთ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც გვიყვარს ან გვძულს, სხვა უბრალო ადამიანები კი ყურადღების მიღმა გვრჩება. ღვთის წინაშე კი დიდი და მცირე არ არსებობს.

რომ ცოდვა აღარ გვაწუხებს და მისი სიმძიმის განცდაც აღარ გვაქვს.

რომ თითქმის გაწყვეტილი გვაქვს კავშირი ბუნებასთან, მისდამი მხოლოდ მომხმარებლურ დამოკიდებულებას ვიჩენთ და ჩვენი უპასუხისმგებლო ქცევით ვანადგურებთ მის სიკეთეთ. ჩვენი დანაშაულია ისიც, რომ რომ კარგად არ ვიცნობთ ჩვენს წარსულს, ჩვენს ისტორიას; არადა მისი ცოდნა გვეხმარება, რომ არ მოვწყდეთ ჩვენს ფესვებს, საკუთარი თავი შევიცნოთ და სიცოცხლის აზრიც ნათლად გავაცნობიეროთ.

არაერთხელ მითქვამს ისიც, რომ დღეს ინფორმაციული ომის ჟამი დგას, კალმით ანუ სიტყვით ბრძოლის დრო. მასთან შეჭიდება კი გონიერმა, მცოდნე და ამასთან ღვთისმოყვარე ადამიანებმა უნდა იტვირთონ. უნდა შევძლოთ, ყალბი იდეალების ბატონობის ჩვენს ხანაში გავხდეთ სულიერად უფრო მტკიცენი და ძლიერნი, რათა გავიმარჯვოთ. განსაკუთრებით მინდა მივმართო ახალგაზრდებს და ვთხოვო: გაუძელით ინფორმაციულ შემოტევას, რომელიც ნიაღვარივით მოედინება მასმედიიდან და ცდილობს, ცრუ ღირებულებების გავლენის ქვეშ მოგაქციოთ, არ გახდეთ თანაზიარნი ფსევდოკულტურისა, რომელიც ამახინჯებს ფსიქიკას, აუხეშებს გრძნობებს და აცარიელებს შინაგან სამყაროს. შეიყვარეთ წიგნი, ისწავლეთ ღრმა აზროვნება, ისწავლეთ ღმერთის შიში და სიყვა-

რული, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანის ერთგული მეცხოვნენი გახდეთ. დრო მცირე გვაქვს და არ უნდა აღმოვჩნდეთ იმ ხუთი ქალწულის მდგომარეობაში, რომელთა კანდელსაც უფლის მოსვლისას საკმარისი ზეთი არ აღმოაჩნდა და მიუხედავად იმისა, რომ იყვნენ მორწმუნენი და უფლის მომლოდინენი, ვერ შევიდნენ ღვთის საუფლოში. ბოროტის გავლენისაგან თავის დაღწევა დიდ ძალისხმევას მოითხოვს და ეს მხოლოდ ძლიერ პიროვნებებს შეუძლიათ, ანუ მათ, რომელნიც საკუთარ ნებას გააზრებულად უმორჩილებენ ღვთის ნებას და ამქვეყნიურ საცდურთა წინააღმდეგ ბრძოლას არ უშინდებიან.

ყოველი ქრისტიანი უპირველეს ყოვლისა სწორედ ასეთი პიროვნება უნდა იყოს, - ჭეშმარიტად თავისუფალი და სულიერად ძლიერი, რათა ერს ხერხემლად ექცეს. ასეთი ადამიანების აღზრდის საქმეში ეკლესიას დიდი როლი აკისრია. საერთოდ, ეკლესია ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას; იგი ის მაცხოვნებელი წიაღია, რომელიც ინარჩუნებს საუკეთესო ტრადიციებს და აქვს რა უცვალებელი რჯული და მოძღვრება, ყველა ეპოქაში მოწმობს ჭეშმარიტების შესახებ. გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ საერთაშორისო საზოგადოება მხოლოდ მე-20 საუკუნის ბოლოს მიუახლოვდა ადამიანთა თანასწორობის შესახებ ღირებულებათა იმ სტანდარტებს და ფასეულობებს, რასაც ეკლესია ოცი საუკუნის წინ ქადაგებდა.

მონათმფლობელობის და ფეოდალიზმის პერიოდში, ძალმომრეობისა და დაუნდობლობის ხანაში, ქრისტეს სახარება მოუწოდებდა ხალხს თანასწორობისაკენ. ყოველი ქრისტიანის ცხოვრება აბსოლუტურად თავისუფალია და ეკლესიის წევრობაც მხოლოდ მის თავისუფალ ნებაზეა დაფუძნებული. თითოეული მრევლის წევრი მხოლოდ საკუთარი სინდისით არის დაკავშირებული მოძღვართან და ერთ-ერთი უმთავრესი საიდუმლოც სინანულისა მხოლოდ მის პირად პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული, - ადამიანი დამოუკიდებლად წყვეტს, რას იტყვის აღსარებაში და იმასაც, რამდენად იქნება ეს ნათქვამი სინანულით გაჯერებული.

სრული თავისუფლებით მომქმედი და, ამავე დროს, ჭეშმარიტი სინანულით განმსჭვალული პიროვნება იღებს სულიწმინდის მადლს, რომელიც ცვლის მის სულიერ და ყოფით სამყაროს და მას ღვთის სათნო შვილად აქცევს; შედეგ კი უკვე იგი თვითონ ხდება გზის მაჩვენებელი სხვათათვის; ამაზე წერდა წმინდა სერაფიმე საროველი: მოიხვეჭე სულიწმიდის მადლი და შენს გარშემო ათასები ცხონდებიანო. თითოეული ჩვენგანი ვალდებულია,მოიპოვოს სულის სიღრმეში დამალული უფლისგან ბოძებული ეს საჩუქარი, ვალდებულია, ააღორძინოს იგი, რათა ღირსეულად აღასრულოს თავისი ვალი ამ წუთისოფელში და შემდეგ ჩვენს დიდებულ წინაპართა მსგავსად ზეცის მოქალაქეობა მოიპოვოს. შორეული ქვეყნებიდან ახლადშობილი იესო ქრისტეს თაყვანისსაცემად მიდიან აღმოსავლელნი მოგვნი, მიდიან მწყემსნიც თავისი გულწრფელობით, ანგელოზთა გალობის მსმენნი. მაშ, წავიდეთ ჩვენც, რათა ვიხილოთ ბაგასა მწოლი იესოს დიდებულება და აღარასოდეს განვშორდეთ, რადგან საუკუნო სიცოცხლის სიტყვები მასა აქვს მხოლოდ. (ინ. 6:68).

„ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა!“ ჩემო სულიერო შვილები, ჩემო ნათლულებო, ყოველნო ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, რუსნო, ასირიელნო, იეზიდნო და ქურთნო, სომეხნო, აზერბაიჯანელნო, უკრაინელნო და უდინნო... გილოცავთ შობის დღესასწაულს. უფალმა მოგანიჭოთ მად-ლი სულისა წმიდისა, რათა იხაროთ ორსავ სოფელსა შინა, ამინ!

**იური როსტი** - ქართველთა ქომაგი, რუსი ჟურნალისტი, მწერალი, ფოტოხელოვანი.

მისმა ფოტო-ობიექტივმა შემოუნახა ჩვენს ისტორიას 9 აპრილის ღამე. დღეს უკვე მიწისაგან აღგვილი, დამეწყრილი სვანური სოფელი და მის მკვიდრთა სევდიანი გალეერეა, ბევრი ცნობილი ქართველის უნიკალური ფოტოპორტრეტი...

წერილით „მე ქართველი ვარ“ ის საქვეყნოდ გაემიჯნა საკუთარ ხელისუფლებას რუსეთიდან ქართველების დეპორტაციის გამო, ერთერთმა გაკვეთა აგვისტოს ომით გაყინული სივრცე...

იური როსტი: „ჩემზე დოკუმენტურ ფილმს იღებენ. შევთავაზე, „ჩემს“ ქალაქებში ჩავიდეთ: კიევში, სადაც დავიბადე და ბავშვობა გავატარე, საოცრად ახლობელ პიტერში და თბილისში - ჩემს შეძენილ და ჯერარდაკარგულ საშობლოში, რომელთანაც დაუვიწყარი დღეები მაკავშირებს...

ვბრუნდები თბილისში კიდევ და კიდევ, რომ არასდროს დავკარგო აქაურობა, რაც არ უნდა მოიმოქმედონ პოლიტიკოსებმა...

ქალაქებს ადამიანები აცოცხლებენ, ისინი ანიჭებენ მნიშვნელობას, ხიბლს, ისინი გიღებენ კარს. მე 40 წლის წინ გოგი ხარაბაძემ გამიღო თბილისის კარი და მისი თვალით დავინახე საქართველო - თავგადასავლებით, მეგობრებითა და სიხარულით გამთბარი...“

**იური როსტი**

დედამიწის ღირსეულ მოქალაქეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს, ვულოცავთ დაბადებიდან 80 წლისთავს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას.

ის მწყემსია თავისი ხალხისა, მაგრამ, როცა არ მიჰყვებიან მათსავე გადასარჩენად ნათქვამ უწმინდესის სიტყვას, თვითონაც რჩება ხალხთან, რათა მათი ბედი გაიზიაროს, ისევე, როგორც ეს 9 აპრილს გააკეთა;

გაეცალეთ ქუჩებს, - თქვა მან, ხალხთან პირისპირ მდგომმა - გაეცალეთ, რადგან ახლა მოვლენ ისინი, ვისაც სწყურია საკუთარი ძლიერების ჩვენება. სასტიკად გაგისწორდებიან, მე ვიცი; თავი შეაფარეთ ქაშუეთს, ღვთის სახლს, მისი გალავანი იხსნის თქვენს სიცოცხლეს, ტაძარი გვჭირდება ჩვენს გრძელ გზასავალზე;

მაგრამ ათასობით იქ მდგომმა დაიჩოქა, აანთო სანთელი და უპასუხა: ჩვენ გიცნობთ შენ, გვჯერა შენი, ამიტომ დავრჩებით აქ, რათა არ გიღალატოთ შენ და საკუთარ თავს, რადგან დღეს აქ გადის ჩვენი გრძელი გზასავალი! - და ლოცვას მიეცნენ მასთან ერთად;

მაშინ პატრიარქმა უთხრა მათ: „თქვენ ბავშვები აღარ ხართ, (თუმცა, ბავშვებიც იყვნენ მათ შორის), შვილნო ჩემნო, მე პატივს ვცემ გადაწყვეტილებას თქვენსას; ყველა ვერ გადაირჩენს თავს, მაგრამ გადარჩება სული. მე ვრჩები თქვენთან, მოახლოებული განსაცდელი საერთოა;

და ის იდგა ხალხთან, როცა უგუნურმა ჯარმა მშვიდობიანი, უდანაშაულო ადამიანების დასჯა დაიწყო, როცა ბრმა, სასტიკმა ძალამ უმწეო სხეულები მოცელა, რომელთა სულები ცისკენ გაფრინდნენ - პატრიარქი იყო მათ შორის, იყო პირველი და თანასწორი, მას ჰქონდა არჩევანი, რომელიც უკუაგდო;

და ხალხმა განაგრძო სვლა მისკენ, რათა აღვსილიყო, გაჟღენთილიყო მისი სინათლით, მისი რწმენით, მისი სისუფთავით, მისი ჭკუით... ხალხმა განაგრძო მასთან ახალშეძენილი ჩვილების მიყვანა და ეუბნებოდა მას: მოგვინათლე შთა-

მომავლობა და არ იყო უარი არავისთვის; გამრავლდა ტაძრები და ეკლესიამონასტრები, გამრავლდა მრევლი მისი პატრიარქობის ხანაში, გამრავლდა ხალხი, რომელსაც სწამს ღმერთი და ენდობა პატრიარქს - თავის ნათელ-მირონს, ნათესავს, მთელი ქვეყნის სულიერ მამას!

დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმას, რომ ყველა მოწესრიგებულ ქვეყანაში ყველაზე დიდი ყურადღება მეცნიერებას, სპორტს და კულტურას ეთმობა. ოღონდ იმ კულტურას არა, ჩვენ რომ ვეძახით, ლაგერფელდის ზამთრის კოლექციის „პაკაზს“ და ვინმე ფოტოგრაფის გადაღებული დედას პურების ფოტოგამოფენას, ვგულისხმობ იმ კულტურას, რის გაგონებაზეც ნაცისტები პისტოლეტის ჩახმახს ფეხზე აყენებდნენ. და არც იმას სჭირდება დაკვირვება, რომ საქართველოში კულტურა (თავისი მრავალმხრივი გაგებით), სპორტი და მეცნიერება, განადგურებული თუ არა, ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. ეს ნათლად ჩანს, თუნდაც იმაში, ტელევიზორში, რომელსაც დილიდან საღამომდე ვართ მიშტერებული.

ჩვენ ტელევიზორებში ყველაფერზეა ლაპარაკი, სულ ყველაფერზე, მაგრამ არა - სპორტზე ან მეცნიერებაზე, არც კულტურაზე. ჩემი აზრით, ამას ორი მიზეზი აქვს, პირველი: ის, რომ ამ სფეროებში განსაკუთრებული მართლაც არაფერი ხდება და მეორე: ქვეყანა მძიმე მდგომარეობაშია და იმისთვის, რომ ეს უბედურება ნაკლებად თვალშისაცემი იყოს, ან, გნებავთ, დადებითი მოვლენებით დაბალანსდეს, ქართული ტელე-ეთერის ძირითადი დრო იმას ეთმობა, თუ როგორი მშვენიერია ცხოვრება, როგორი მაგარია საქართველო...

თუ სწორად მახსოვს, ბოლოს ომი 2008 წლის აგვისტოში მოვიგეთ და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც მაშინ დაიწყო. არა იმის გამო, რომ ჩვენ ომი მოვიგეთ, უბრალოდ დაიწყო, ვიღაცამ რაღაც ვერ გათვალა, ან არ გათვალა. მაგრამ მერე რა, ჩვენ ფინანსური კრიზისი არ შეგვხვედია. შეიძლება დედამიწაზე კიდევ მოიძებნება ქვეყანა, რომელსაც ეს კრიზისი არ შეხებია, მაგრამ მე არ მსმენია. ჩვენი ეკონომიკა არათუ ჩამოიშალა, პირიქით, ყვავის. ჩვენთან შენდება და შენდება, იხსნება და იხსნება, იგება და იგება.

ჩვენ ძალიან დიდი სიჩქარით მივიწევთ განვითარებული ქვეყნებისკენ, ვცდილობთ და ვემსგავსებით მათ, რაც ძალიან კარგად გამოგვდის.

ვიღაცებს არ სჯერათ, რომ ბათუმი ბარსელონაა და წყალტუბო მონტე კარლო იქნება. არ სჯერათ, რომ საქართველო მსოფლიო ბაზრებისთვის მწვანილის მთავარი მიმწოდებელია. არადა, მწვანილის მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტმა თავად თქვა ამის შესახებ მაშინ, როცა ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ბათუმში, რომელიც ბარსელონაა. და არც იმისი სჯერათ, რომ ბიზნესმენები საკუთარი ნებით ყიდულობენ ტონობით ყურძენს, რომ შემდეგ ბულბულის ცრემლები ჩამოასხან და კორპორატიულ ქსელში ახალი წლის დღეებში გაავრცელონ.

დაუნახავებს არც იმის სჯერათ, რომ პრეზიდენტი სამთავრობო სხდომის ჩასატარებლად ისეთ ადგილს ვერ პოულობს, უკან, ფონად, ხარაჩოზე შემომდგარი მუშა ეროს რომ არ უკაკუნებდეს. ქვეყანა შენდება, ყველგან რაღაცას აკეთებენ, და აბა, რა ქნას პრეზიდენტმა, სადმე ხომ უნდა ჩაატაროს ეს სხდომა?! მაგრამ არა, თუ ადამიანს რამის დანახვა არ უნდა, ვერც დაანახებ. უმადურები.

ისევ ისეთებს არ სჯერათ, რომ ყველას არ გვისმენენ. და კაი, ვთქვათ, დავუშვათ ყველას გვისმენენ, გგონიათ, დაიჯერებენ ესენი, რომ ჩვენივე უსაფრთხოებისთვის ირჯება ამდენი მიყურადებული ადამიანი? თქვენც არ მომიკვდეთ.

არიან ინტრიგანები, რომლებიც არ იჯერებენ, რომ საქართველოში გახსნილი ქარხანა-ფაბრიკები მსოფლიოში საუკეთესოა, რომლის ანალოგიც დედამიწაზე არ არსებობს. ან ის რა არის, მიტინგს მიტინგზე რომ აწყობენ, - სიტყვის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლებაო. ღმერთო კი მომკალი, სად არის ისეთი სიტყვის თავისუფლება, როგორიც ჩვენთან?! მაგრამ რად გინდა, უმადურებს რა დალევს ქვეყანაზე. ჩვენთან სიტყვის ისეთი თავისუფლებაა, ადამიანები (და ჟურნალისტებიც) თვითონ იზღუდავენ ამ ღვთისგან ბოძებულ თავისუფლებას, იმისთვის, რომ მისი მნიშვნელობის ფასი ყოველთვის იცოდნენ. ჩემი თუ არა, პრეზიდენტის მაინც დაიჯერეთ, თქვე დალოცვილებო, ქართველები არ ხართ?

კაცი ამბობს, - მილიონი დამოუკიდებელი ტელევიზიაა და ტრილიონი დამოუკიდებელი ჟურნალ-გაზეთი გამოდის ჩვენ ქვეყანაშიო.

ალბათ, გახსოვთ, ერთ დროს ჩვენ დემოკრატიის შუქურა ვიყავით. დღესაც ეგ ვართ - დემოკრატიის ისევ შუქურა. მაგრამ განა ამათ დააჯერებ, რომ ეს ჩვენი ბრალი არ არის? ჩვენ რა შუაში ვართ, თუ გარშემო ისევ ისეთი უკუნეთია, როგორიც ადრე იყო, არაფერი შეცვლილა და ვერ ხვდებიან, რომ შორიდან, ევროპიდან და ამერიკიდან ამ უკუნეთ სიბნელეში ერთ ნათელ წერტილს ისევ შუქურად აღიქვამენ.

რამ დაგაბრმავათ ადამიანებო, რატომ ხართ ასეთი უგუნურები, რატომ თვალს არ ახელთ და რეალობას არ უსწორებთ. რატომ აყოლილხართ ჭორებს, რომელიც ქუჩაში გესმით, მეგობრისგან და ნათესავისგან? ეს ხომ ჭორებია! რატომ არ ჩართავთ ტელევიზორს, რომელიმე არხზე, სადაც ცხოვრებაც მშვენიერია და ვაშლებიც სამოთხის? რატომ არ გადართავთ იმ არხზე, სადაც სიმართლის დრო მხოლოდ მათთვის დგება, ვისიც არც სიმართლე გაინტერესებთ და არც - ტყუილი. ან იმ არხს მაინც უყურეთ, რომლის ოფიციალური მისამართიც სადღაც კარიბის ზღვის აუზშია, თუ სადღაც წყნარ ოკეანეში, იქ, სადაც ამელია ერჰარტი დაიკარგა.

გადართეთ ამ რომელიმე არხზე და დარწმუნდებით, რომ ყველაფერი ის, რაც გითხარით, სიმართლეა და, მიუხედავად იმისა, რომ ამ არხებზე თითქმის არაფერია არც მეცნიერებაზე, არც კულტურაზე და არც სპორტზე, თუ მოინდომებთ, აუცილებლად დარწმუნდებით, რომ ცხოვრება მართლაც მშვენიერია, განსაკუთრებით კი - საქართველოში.

# ასე დაიწყო ერთი გაზეთის ასავალ-დასავალი

აღარც მახსოვს, როდის გახდა ეს რიტუალი ჩემს მარად ტრადიციად - აი, ისეთად, დილით ყავის დალევა რომ არის, ან სახლიდან გასვლისას ქოჩორის გადავარცხნა.

ორშაბათი „ასავალ-დასავალის“ დღეა და თავად რომ არ ვგეგმავ, უნებურად დგება დღის გრაფიკში მისი გადაფურცვლის საათები.

15-იოდე წლის წინ, ემიგრაციაში წამოსვლისას, ჩვენი ქვეყანა უცხო რომ იყო ინტერნეტ-ამლაბუდისათვის და არც ტელეგადაცემები იყო ხელმისაწვდომი, ჩემი სამშობლოს ასავალ-დასავალს ოჯახის მიერ ქართულ ტყემალთან ერთად გამოგზავნილი ერთი გაზეთით ვეცნობოდი.

სტრიქონებს შორის ვლამობდი გამეგო, თუ რა ამინდი იყო ჩემს მამულში, ათოვდა თბილისს? იქნებ გაზეთის ფურცლებს ქართული გაზაფხულის სურნელი შემოენახა ათასი საჰაერო კილომეტრის გამოვლის შემდეგ...

სამშობლოდან შორს უნდა წახვიდე, მისი ფასი უკეთ რომ შეიგრძნო და დაინახავ რომ ადრინდელ და ახლა ნათქვამ-წარმოთქმულ სამშობლოს სადღეგრძელოებში ერთი დიდი განსხვავებაა - **ტკი-ვი-ლი!**

ამ ტკივილს კი სალბუნი სჭირდება, თუნდაც ის, რომ შენს ნაცვლად შენი სამშობლოს სადარაჯოზე, ეროვნულის დასაცავად, ვიღაც იბრძვის, ილაშქრებს, მაშინ

- როცა შეურაცხყოფენ ქართლის დედას;
- გიჩხაპნიან რუსთველის ფრესკას - შინ და გარეთ;
- სცენაზე ისვრიან სამზითვო წიგნს, ანტიატყაოსნებენ;
- ბურუსით მალავენ პირველი პრეზიდენტის სიკვდილს;
- დედაქალაქის მთავარ გამზირზე შენს დას და დედას ცხრააპრილს უთენებენ ნოემბერში;
- როცა პირტიტველა შვილს გიკლავენ სამართალდამცავები;
- ოფლით შექმნილს გართმევენ...

და ამ დროს შენ ჩემს სათქმელს ამბობ ვაჟკაცურად: „ეჰე, ემანდ სამშობლოსთან, არაფერი შეგეშალოს!“

და ისინი, ვისაც ეშლებათ, გეძახიან „ქსენოფობიურს“, „ვითომ“ არ გკითხულობენ და აგვისტოს ხვატში გტოვებენ უსახლკაროდ; კარში, წვიმასთან ჭიდილისთვის, გიყრიან წლებით რუდუნებით შექმნილ უნიკალურ არქივს, შეუცვლელ ხელნაწერებს; ღამის ჯალათ-ბარბაროსები ფეხქვეშ თელავენ ირაკლი აბაშიძის, კონსტანტინეს, მუხრანის, შოთა ნიშნიანიძის და სხვათა პირად წერილებს თუ ავტოგრაფიულ წიგნებს... და შენ გული გტკივა, ჩემო ლაშა ნადარეიშვილო, თხემით ტერფამდე ქართველო, რომელიც ლახვარჩაცემული, გახლეჩილი გულით, ნაინფარქტალი არ ეპუები შიდადამპყრობელს და უწყვეტად, საველე მდგომარეობაში გამოსცემ გაზეთს.

და როცა შენს ქვეყანაში აუშენებელ თეატრებს ხსნიან, რაღაც რევოლუციის წლისთავებს აღნიშნავენ, შენ ჩუმადა ხარ 10 წლის, 15 წლის, 20 წლის, 21 წლის დღეობებზე, ქვეყანას რომ არ ეზეიმება, მიტომ!

მე ბევრი რამ მახსოვს - 1992 წლის 3 მარკანის ის დღეც, ხელში ახლადაყვანილმა წაკითხვისთანავე დაწვა რომ გვთხოვე და თითქმის ათი წლის მანძილზე უანგარო ძმობაც ემიგრაციაში გამომავალ გაზეთ „მამულთან“.

და ამის დავიწყება არ იქნება!

**მანუჩარ კაჭახიძე**
**- „მამულის“ სახელით**


# ჩვენი ჟურნალის მეგობარია ექიმი - მერაბ ბოთერაშვილი

**მსხვილი ვარიკოზული ვენების მკურნალობის**
**უახლესი და ეფექტური მეთოდი**

ტკივილის გარეშე!
ნაწიბურების გარეშე!
ნარკოზის გარეშე!

**ექიმ მერაბ ბოთერაშვილ**

**VEIN & LASER CENTER**

2177 65th st.
Brooklyn, NY 11204
1-718-238-1555

ალბრეხტ დიურერი (1471-1528) - „აპოკალიფსისი“

# „ნიურნბერგის პროცესი“

**ოთარ სეფიაშვილი,**
საქართველოს ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე

„ჩვენ აქ იმისთვის ვიმყოფებით, რომ დავიცვათ ყოველი პიროვნების ადამიანური ღირსება, სიმართლე, სამართლიანობა და სულიერი ფასეულობა“, - ამბობს ჩვენი „ილუზიონის“ დღევანდელ გადაცემაში წარმოდგენილი ფილმის მთავარი გმირი, ამერიკელი მოსამართლე ჰეივუდი. და ამ სიტყვებით იხატება როგორც თავად ფილმის არსი და მრწამსი, ისე მისი ავტორის, სცენარისტისა და დამდგმელი რეჟისორის მსოფლგანცდა, რწმენა, მოქალაქეობრივი პრინციპი.

ფილმს ჰქვია „ნიურნბერგის პროცესი“, რეჟისორს - სთენლი ქრამერი.

ფილმში ასახული მოვლენები თარიღდება მეორე მსოფლიო ომის შემდგომი 1948-1949 წლებით;

მოქმედება ვითარდება ომში დაბომბვით დალეწილ და იავარქმნილ, დიდოსტატ დიურერის მშობლიურ, ძველი ბავარიის ქალაქ ნიურნბერგში...

ალბათ, გამიძნელდებოდა ცნობილ ამერიკელ კინორეჟისორებში - თუნდაც ყველაზე ნიჭიერ და ხელდაჯერებული ოსტატობით საყოველთაოდ აღიარებულთა შორის, - ისეთი ხელოვანის დასახელება, რომლის ნახელქმნარიც ასე უხვად და დროულად შემოსულიყო საბჭოეთის კინოეკრანებზე, როგორც სთენლი ქრამერის ფილმები. ამგვარ ვითარებაში ზოგი მკვლევარი ფაქტის იდუმალი ქვეტექსტების მიგნებასა და ამოხსნას ცდილობს. მე კი მგონია, რომ არავითარი ქვეტექსტები, მეტადრე - „იდუმალი“, სთენლი ქრამერის ფილმებს არ გააჩნიათ. ისინი, - მათ შორის გრანდიოზული, სამსაათიანი „ნიურნბერგის პროცესიც“, - ფორმით უბრალო და აზრით ნათელი ნაწარმოებებია. ამ სურათების შინაგანი ფეთქებადი ძალა კი, უმთავრესად, მათშივე წამოჭრილ პრობლემებშია, რომლებიც მუდამ აქტუალურად ეხმიანება დროის ტკივილებს და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მთლიანად საზოგადოებისათვის და თითოეული ადამიანისათვისაც. სთენლი ქრამერი მიზანდასახულად მიელტვის მაღალი, შთაგონებული უბრალოების მიღწევას, რათა ფილმი ადვილად გასაგები და ჩასაწვდომი იყოს ყოველი მაყურებლისათვის.

და აქ ვიხსენებ შესანიშნავი ამერიკელი მსახიობის, არაჩვეულებრივად შთამბეჭდავი სფენსერ თრესის სიტყვებს - სთენლი ქრამერის გამო: „ეს ის კაცია, რომელიც მეტს აკეთებს და უფრო შეუპოვარიცაა, ვიდრე ვინმე სხვა ამერიკულ კინოში. იგი მედგარი და მამაცია და იქცევა თავისი მრწამსის თანახმად, მაშინ როცა დღევანდელობაში ასე იშვიათი თვისებაა სიმამაცე, მრწამსი კი - მით უფრო დიდი იშვიათობაა“.

ეთერში გავიდა 1984წ. 21 აპრილს



ჩემი პროფესიის წყალობით, არაერთგზის შევხვედრივარ ამ სიმპათიურ და ხიბლიან პიროვნებას, მეტადრე - მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალებზე, დავსწრებივარ მის ფიქრიან, მტკიცე, პოლემიკურ და ემოციურ გამოსვლებს პრესკონფერენციებზე. და ახლა, თქვენი ნებართვით გაგაცნობთ ზოგიერთ მის მაშინდელ გამონათქვამს, რომლებიც ჩამიწერია და, საბედნიეროდ, შემომრჩენია ჩემს იმდროინდელ „ჟურნალისტის წიგნაკში“.

სთენლი ქრამერი ამბობდა: „მე ვცდილობ შევქმნა უბრალო და იმავდროულად გულში-ჩამწვდომი სურათები. მე მოგითხრობთ იმაზე, რასაც ვგრძნობ, განვიცდი და რისაც მჯერა. და მინდა, რომ ჩემი მონათხრობი საინტერესო და საჭირო იყოს ადამიანებისათვის. ზოგჯერ კიდევაც ვახერხებ ამას... მთავარია - ჰყვებოდე შენს სიმართლეს, ვიცი - ეს ჩემი სიმართლეა, იგი ერთადერთი სიმართლეა ჩემთვის, სხვას მე არ ვიცნობ, და მე მოგითხრობთ მას, რადგან მჯერა მისი...“

და სთენლი ქრამერი ნათლად და ზუსტად, ყოველგვარი ორაზროვნებისა და მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, შეუპოვრად ასახელებს თავისი მამხილებელი ფილმების სამიზნეებს: რასიზმს, პოლიტიკურ დემაგოგიას, ფაშიზმს, შეუწყნარებლობას და სიხარბის ფსიქოზს, ატომურ ომს... და თემები მისი ისეთი ფილმებისა, როგორიცაა „უკანასკნელ ნაპირზე“, „გადაჯაჭვულნი“, „ქარიშხალს მოიმკი“, „ნიურნბერგის პროცესი“, „ეს არის შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო“ ან „ბრიყვთა ხომალდი“ მარტოდენ ამერიკელებისათვის კი არ არის აქტუალური და ძალზე საგულისხმო, არამედ მათში წამოჭრილია მრავალი ქვეყნის მაყურებელთათვის საჭირბოროტო მნიშვნელოვანი საკითხები. სწორედ ეს აქცევს ქრამერის ფილმებს თანადროული კინემატოგრაფის საგულისხმო მოვლენებად.

* * *

ფილმი, რომელიც პირველად ვნახე სთენლი ქრამერის ნახელქმნართაგან, იყო „უკანასკნელ ნაპირზე“. პირველი გაოცებაც მისი ხელწერით მაშინ განვიცადე, ფილმს წინ უძღოდა ე.წ. „ავტორისეული წინათქმა“. ეკრანზე იწერებოდა: „მე მქვია სთენლი ქრამერი, მე ვარ პროდიუსერი და რეჟისორი იმ ფილმისა, რომელსაც ახლა იხილავთ“. და შემდეგ მართლა შესაშური სიმჭიდროვით, გადმოსცემდა, თუ რატომ და რისთვის გადაიღო ეს სურათი. არ ვიცი, რამდენად ორიგინალური ან აუცილებელი იყო ეს „წინათქმა“, მაგრამ ის კი უდავოა, რომ მასში მთელი სისრულით წარმოგვიდგებოდა ნამდვილი ამერიკელი - ქრამერი, მისი ადამიანური და ხელოვან-შემოქმედის ფსიქოლოგიით.

და რაკიღა სურათი „უკანასკნელ ნაპირზე“ ჩვენი ქვეყნის საჯარო კინოეკრანებზე არ გამოსულა, ახლა რეტროსპექტიულად - ფილმიდან ფოტოკადრების ფონზე გახმიანებით - გაგაცნობთ ამონარიდს ჩემი წიგნიდან „ომი ეკრანზე“, რომელიც 1975 წელს გამოიცა.

* * *

„ ...ფილმში „უკანასკნელ ნაპირზე“ არის ეპიზოდი: სამყაროს აღსასრულისა თუ განკითხვის დღის ძრწოლით შეპყრობილ ადამიანებს, უკანასკნელი წირვის უკანასკნელ მრევლს, პასტორი ქადაგებით მიმართავს. წირვას კი არა, პირქუშ მიტინგს უფრო ჰგავს იგი, ქალაქის მოედანზე გამართულს. მლოცველთა მიღმა კედელზე იკითხება პლაკატი: „ძმებო, ვიდრე არ არის გვიან!“

რა არის ეს - ძეშეცთომილთა ეკლესიისაკენ მოქცევისათვის მოწოდებაა თუ გაფრთხილებაა სამომავლოდ?

ამას მივხვდებით ბოლოს, როცა სურათის ფინალში კვლავ ვიხილავთ ამავე პლაკატს...

ფილმი ეკრანზე გამოვიდა 1959-ში. ის იყო ლღობას იწყებდა „ატომური ომის ფსიქოზისა“ და „ცივი ომის“ ყინული. სურათი საოცრად შეესატყვისებოდა მომენტის სულისკვეთებას. შემთხვევითი არ არის, რომ მისი პრემიერა ერთდროულად შედგა მსოფლიოს თვრამეტი ქვეყნის დედაქალაქში, მათ შორის - მოსკოვში. მახსოვს, თბილი დეკემბერი იდგა, რაღაც ბედნიერი შემთხვევის გამო, იმ მომენტში მოსკოვში აღმოვჩნდი და კოლეგების ხელშეწყობით სწორედ მაშინ ვნახე „უკანასკნელ ნაპირზე“. გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა იგი. ამას საგანგებოდ იმისთვის აღვნიშნავ, რომ ათი წლის შემდეგაც მომიხდა ამ ფილმის ნახვა და ისე აღარ ავუღელვებივარ. სთენლი ქრამერის არც ერთი ნაწარმოები არ „დაბერებულა“ ასე სწრაფად. მაგრამ მისი არც სხვა რომელიმე ფილმი გამოხმაურებია ასეთი პუბლიცისტური მგზნებარებით დროის სატკივარს.

სურათს საფუძვლად დაედო ავსტრალიელი მწერლის ნევილ შიუტის იმხანად მსოფლიოში გახმაურებული რომანი. წიგნშიც და ფილმშიც გამჟღავნებული იყო თანადროული ქვეყნიერების, „სამყაროს აღსასრულის“ აპოკალიპსური ხილვები.

ისტორიამ იცის ისეთი პერიოდები, როცა თვით ეკლესიის წმინდა მამებიც კი თავს არიდებდნენ სახარების კანონიკურ ტექსტში ოანესეული შავბნელი და მრისხანე „ხილვების“ შეტანას. მაგრამ ცნობილია ისეთი წლები თუ საუკუნეებიც - ისტორიის კრიზისული, საზოგადოებრივი ფორმაციების დაღუპვის ეპოქები, როცა აპოკალიპსისის „წინასწარმეტყველებანი“ მთელი ძალით ხმიანობდა. მომაკვდავი კლასების ყველაზე „მგრძნობიარე“ იდეოლოგები თავიანთ დაღუპვას სამყაროს აღსასრულს უთანაბრებდნენ.

ჩვენს საუკენეშიც რამდენჯერ მოუწონებიათ თავი ეგზისტენციალისტებს სამყაროს ხვალინდელი „განკითხვის დღის შეგრძნებით“. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებშიც, ბურჟუაზიული იდეოლოგები არაერთხელ დამუქრებიან კაცობრიობას მომავალი „ატომური კატასტროფის“ აპოკალიპსური წარმოსახვით. თავის დროზე რუსეთიდან გაძევებულ ფილოსოფოსს - ბერდიაევს თვით აინშტაინის თეორიაშიც კი „აპოკალიპსური ხილვები“ ელანდებოდა; თანადროული სოციალური პესიმიზმის ერთ-ერთმა ღრმა მკვლევარმა ფ. ბაუერმა თავის წიგნს „XX საუკუნის აპოკალიპტიკა“ უწოდა; ფრანგი იდეოლოგი ანდრე მალრო იუნესკოს კრებაზე ხმამაღლა აცხადებდა - მრავალი საუკუნის შემდეგ კაცობრიობა კვლავ შეპყრობილია

„უკანასკნელი ნაპირი„

„უკანასკნელი ნაპირი“

„უკანასკნელი ნაპირი“



სამყაროს აღსასრულის იდეითო.

ნევილ შიუტის რომანიც ხარკს უხდიდა „ცივი ომით“ გამოწვეულ პესიმისტურ განწყობილებებს, და თუმცა ფილმი „უკანასკნელ ნაპირზე“ ერთგულად მიჰყვებოდა ლიტერატურული თავწყაროს სიუჟეტურ სვლებს, იგი წიგნისეული სულიერი დაცემულობისაგან განწმენდილი აღმოჩნდა.

სურათს 1959 წლიდან გადავყავდით 1964-ში. ამ დროისათვის უკვე მომხდარია მსოფლიო თერმოატომური კატასტროფა, ყველა კონტინენტსა და კუნძულზე მოსპობილია სიცოცხლე. გადარჩენილია მხოლოდ ავსტრალია. სწორედ მას, ამ „უკანასკნელ ნაპირს“ მიაშურებს ამერიკული წყალქვეშა ნავი, რომელიც კატასტროფის მომენტში ძალზე ღრმად იმყოფებოდა ოკეანეში და ამით გადარჩა.

მაგრამ ავსტრალიაც სასიკვდილოდ განწირულია. სწავლულებს გამოუთვლიათ: რადიაქტიური ღრუბლები სამხრეთისაკენ დაძრულან და ხუთ თვეში ჩააღწევენ სიცოცხლის ამ უკანასკნელ კერამდე. თუ ეს მოხდა, მოისპობა კაცის სახსენებელი და ყოველი სულმდგმული დედამიწაზე. პროფესორი ჯორდანი გამოთქვამს ვარაუდს - შესაძლოა ჩრდილოეთ ნახევარსფეროში წვიმებმა, ან სხვა მეტეოროლოგიურმა პროცესებმა მიწას გააკრან რადიაქტიური ნივთიერებანი და ულმობელმა სიკვდილმა ავსტრალიამდე ვეღარ მიაღწიოსო.

ჰიპოთეზის შესამოწმებლად დედამიწის მკვდარ ნახევარსფეროში აგზავნიან წყალქვეშა ნავს კაპიტან ტოუერსის მეთაურობით (რომლის როლსაც შესანიშნავად ასრულებს გრეგორი პეკი). ექსპედიციას სხვა დავალებაც აქვს - გაარკვიოს წყარო აუხსნელი რადიოსიგნალებისა, რომელიც მკვდარი კონტინენტიდან ისმის... და აი, წყალქვეშა ნავის პერისკოპი ჩნდება არქტიკულ ყინულთა შორის. რადიაციული მოწამვლის გაზომვათა შედეგები უნუგეშოა - პროფესორ ჯორდანის იმედი არ დასტურდება.

ნავი შედის ჩრდილოეთ ამერიკის ერთერთ ქალაქში, საიდანაც მოედინება უსისტემო რადიოსიგნალები. ირკვევა, რომ ტელეგრაფის აპარატის სახელურს წამოსდებია ფარდა და ქარის დაბერვისას ამოძრავებდა მას. უეჭველია - ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ცოცხალი ადამიანი არ დარჩენილა. დამწუხრებული ექსპედიცია ბრუნდება ავსტრალიაში.

გარდუვალი დაღუპვის განცდა დაუფლებია სამხრეთის კონტინენტს. სპეციალური სიების მიხედვით არიგებენ აბებს, რომელსაც ჯერ ღრმა ძილში, ხოლო შემდეგ სიკვდილში გადაჰყავს ადამიანი.

ფილმში რამდენიმე სიუჟეტური ხაზი ვითარდება. ერთ-ერთია კაპიტან ტოუერსისა და ახალგაზრდა ავსტრალიელი ქალის მოირა დევიდსონის სიყვარული, რო-

მელსაც „ჟამიანობისას ღრეობის“ იერი უფრო დაჰკავს. ამ როლებში გრეგორი პეკისა და ავა გარდნერის დუეტი საოცარ გაორებულ განწყობილებას ქმნიდა...

მეორე სიუჟეტური ხაზი უკავშირდება ფიზიკის პროფესორ ჯულიან ოსბორნს, რომლის როლსაც ბრწყინვალედ ასრულებს ერთ დროს ძალზე პოპულარული მოცეკვავე ფრედ ასთორი. სწორედ ამ ოდნავ დაღლილი, ცხოვრებისადმი თავისებურად ცინიკური დამოკიდებულების, მაგრამ გამჭრიახი გონების გმირის იერსახეში ამჟღავნებენ ფილმის ავტორები თავიანთ კონცეფციას. როდესაც ოსბორნს ეკითხებიან - მაინც ვინ არის დამნაშავე კატასტროფაშიო, პროფესორი ორჭოფობის გარეშე უპასუხებს: „შესაძლოა ვიღაც ჩერჩეტს რადიოლოკატორის ეკრანზე რაღაც მოელანდა, ღილაკს თითი დააჭირა და თერმოატომური რაკეტების საპასუხო დარტყმა გამოიწვია. კონკრეტული დამნაშავის დასახელება ძნელია. დამნაშავეა გამალებული შეიარაღება“.

მხატვრული ეფექტის გასაძლიერებლად რეჟისორი მიმართავს თხრობის ხაზგასმულად რეალისტურ მანერას. იგი არ გვიჩვენებს არც იავარქმნილ ქალაქებს, არც გვამებს, არც მომაკვდავი ადამიანების ფიზიოლოგიური ტანჯვის სურათებს. არც სიმბოლიკას ეძალება. მხოლოდ ერთ - საავტომობილო სრბოლის ეპიზოდში იხატება სიმბოლურად სურათის აზრი: გაჯიბრებული ავტომობილები გარბიან წარმოუდგენელი სისწრაფით, ერთმანეთს ეჯახებიან, ილეწებიან, ცეცხლი ედებათ; თითქოს რაღაც ფატალურმა დარიაო ხელი სპორტსმენებს, გარდუვალი სიკვდილისაკენ მიექანებიან... ეპიზოდის სიმბოლიკა გამჭვირვალეა - მსოფლიო გამალებული შეიარაღების შედეგად კატასტროფისაკენ მიექანება.

სურათის ფინალში წყალქვეშა ნავი ტოვებს ავსტრალიის ნაპირს, „მეზღვაურები ოკეანეში იღუპებიან...“

აღსრულდა ყოველივე. სიცოცხლე მოისრა უკანასკნელ კონტინენტზეც. ქალაქის უკაცრიელ მოედანზე ქარი აფარფატებს ნაცნობ პლაკატს - „ძმებო, ვიდრე არ არის გვიან!“ ეს მოწოდება თუ გაფრთხილება უკვე მომართულია ჩვენკენ, მაყურებლისაკენ, ვინც ფილმი ვნახეთ“.

* * *

„ნიურნბერგის პროცესი“ (დედანში სურათს ჰქვია „სასამართლო ნიურნბერგში“) გადაღებულია 1961-ში. იგი იმავე წელს გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების კინოეკრანებზე, ხოლო მთავარი პრემიერა სურათისა შედგა ბერლინში, რასაც დაჟინებით მოითხოვდა თავად რეჟისორი.

- რატომ?

ფილმს საფუძვლად უდევს ისტორიული ფაქტი, რომლის მიმართაც იმ დროისათვის მაყურებელს ჯერაც არ გაგრილებია გული. ომისშემდგომ ნიურნბერგში, საერთაშორისო ტრიბუნალზე მთავარი ფაშისტი დამნაშავეების გასამართლებისა და სიკვდილით დასჯის შემდეგ. 1948-49 წლებში შედგა ე.წ. „მცირე“ სასამართლოები ანუ „მცირე პროცესები“. ასამართლებდნენ ჰიტლერელ სამხედრო პირებს, გესტაპოსა და სს-ის ხელმძღვანელებს, საკონცენტრაციო ბანაკების კომენდანტებს, ექიმებს, მრეწველებს, იურისტებს...

თავისი არსით, ეს პროცესები იყო გერმანიაში ნაცისტური რეჟიმის მიერ შექმნილი მთელი სახელმწიფოებრივი და იდეოლოგიური სისტემის გასამართლება. ფილმი „ნიურნბერგის პროცესი“ კი ეძღვნება ამ ე.წ. „მცირე პროცესებიდან“ ყველაზე რთულსა და ყველაზე ძნელს - ნაცისტ იურისტების, ფაქტობრივად კი, ფაშისტური კანიბალური „მართლმსაჯულების“ გასამართლებას.

ამ, გარეგნულად პარადოქსულსა და შინაგანად უაღრესად მძაფრ ვითარებაში, ფილმის ავტორებმა - დრამატურგმა ები მანმა და რეჟისორმა სთენლი ქრამერმა დაინახეს თანადროულობის ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემა. სურათი ღრმად იკვლევს ფაშიზმის ბუნებას, მის ფსიქოლოგიას და შეგვახსენებს, რომ ფაშიზმი - ეს კაცთმოძულე მოძღვრება და რეჟიმი - არა მარტოდენ ძალმომრეობა, სისხლისღვრა და ყველა ადამიანური უფლების ფეხქვეშ გათელვაა, არამედ უდიდესი სიცრუეცაა, რომელიც წამლავს ადამიანთა გონებას, აყალბებს ყველა სულიერ ფასეულობას, თვით ისეთ ცნებებსაც კი, როგორიცაა პატრიოტული მოვალეობა, კანონი, მართმსაჯულება; რომ ფაშიზმი უმალ იქ იბარტყებს, სადაც ადამიანი იწყებს საკუთარი თავის მოტყუებას იმ აზრით, თითქოს მიზანი ამართლებს ყოველგვარ საშუალებას.

და მახსენდება სიტყვები - მწერალ ლიონ ფოიხტვანგერის რომან „ოპენჰაიმის ოჯახიდან“ - ერთი პერსონაჟი რომ ამბობს ფაშისტებზე: „მათ მოსპეს ცივილიზაციის ხელქმნილი ზღვარი ყოვლისა“...

ყოველგვარი ზღვარის მოსპობითა და წაშლით ამართლებდა ფაშიზმი თავის არნახულ სისასტიკით თავდასხმას თანადროულ მორალსა და ადამიანის უფლებებზე. ყველა იმას, რაც კაცობრიობამ ბოროტმოქმედებად და დანაშაულად აღიარა, მესამე რაიხში სათნოებას და კეთილმყოფელობას უწოდებდნენ; უკანონობა გამოცხადებული იყო სამართალაღსრულებად, ხოლო სისასტიკე და ღირსეულის უღირსად აგდება - „მამაცთა და გულმედგართა“ თავშექცევად...

და ფილმში ბუნებრივად და შთამბეჭდავად წინა პლანზე იწევს ხატი „ყოვლის ზღვარისა“: ადამიანი - უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანი. სურათში უკომპრომისოდ ეჯახება ერთმანეთს შეურიგებელი, ერთიმეორის გამომრიცხველი მოსაზრებანი და შეხედულებები - მრწამსი ადამიანსა და ადამიანურობაზე.

* * *

რეჟისორული ნახატი კი ფილმისა, თუ შეიძლება ითქვას, ასკეტური გვეჩვენება, თითქოს დაგეშით უბრალოა, მაგრამ არა მარტივი. თუმცაღა, თავად სთენლი ქრამერი ხომ ლამის ყოველ ინტერვიუში აღნიშნავდა: „ჩემს ფილმებში მთავარია სიუჟეტი და შინაარსი: მუდამ მივისწრაფვი დიდი სოციალური პრობლემების - რასიზმის, ატომური ომის, პიროვნების თავისუფლების, ერის მორალური სახის, საკუთარი მოქმედების გამო ადამიანთა პასუხისმგებლობის - წამოჭრისა და განხილვისაკენ. განსაკუთრებული გულისყურით ვეკიდები იდეას, თემას, სიუჟეტს, - იმას, რითაც ფილმი მიიტაცებს მაყურებლის თვალსა და გონებას, გამოიწვევს მასში თანაგრძნობას, ემოციებს, გულისპასუხს. ამიტომაა, რომ „ნიურნბერგის პროცესს“ საფუძვლად უდევს არა ფაშისტ სამხედრო დამნაშავეთა გასამართლების სტენოგრაფიული ჩანაწერები და სხვა დოკუმენტური მასალები, არამედ სურათი აგებულია მყარ მხატვრულ საძირკველზე.

ნაწარმოებში მთელი მხატვრულ-აზრობრივ-ემოციური ტვირთმძიმობა გადატანილია მსახიობებზე, მათი პერსონაჟების მწვავე შერკინებით ვითარდება სიუჟეტი, იკვეთება ფილმის იდეა. არც სცენარისტი, არც რეჟისორი, არცა როლების შემსრულებლები წუთითაც არ კარგავენ სულიერ დაძაბულობას, სულაც არ უნდათ, რომ მაყურებელს, ე.ი. ჩვენ, გაგვიიოლონ გზა ჭეშმარიტებისაკენ.

მაღალი დრამატურგიული ხელოვნებით შეკრული, აზრთა ჭიდილითა და მოქმედების ენერგიული განვითარებითაა აღბეჭდილი ფილმის სცენარი, აი, რას წერდა მისი ავტორი ები მანი:

„ფილმის სცენარი ემყარება ორი იურისტის - ამერიკელ და გერმანელ მოსამართლეთა სულიერ კონფლიქტს, სიუჟეტიც ამ ხაზით ვითარდება სურათში. ამერიკელ ჰეივუდს, რომელსაც სფენსერ თრესი ასახიერებს, მივანიჭე ყველა ჩემი ნაფიქრალი და განცდილი, ის, რასაც ვგრძნობდი, როცა ვუღრმავდებოდი და ვცდილობდი ჩავწვდომოდი და გამეგო, თუ როგორ მოხდა ეს ყოველივე. მინდოდა სწორედ ჰეივუდის მაგალითზე მეჩვენებინა - თუ იგივე მიზეზები, იგივე ლოგიკა - როგორ უბიძგებდნენ ამერიკელ მოსამართლეს იმ შეცდომების გამეორებისაკენ, რომელიც მისი გერმანელი კოლეგის ტრაგედიად იქცა. ჩემთვის სწორედ ეს მომენტი იყო ყველაზე საგულისხმო. და რარიგ საწყენია, რომ კრიტიკოსთა უმრავლესობამ, უბრალოდ, ვერც კი შენიშნა ეს“.

* * *

ფილმი სამ საათზე მეტხანს მიდის ეკრანზე. ამ დროის ცხრა მეათედი ანუ 90% დათმობილი აქვს სასამართლო პროცესს - „მოლაპარაკე ადამიანებს", მათ ერთურთ დაპირისპირებულ სიტყვებსა და გამოთქმებს - ხან ფიქრით, სიმწრის განცდით გულიდან ამოხეთქილს, ხან დაუთმობელს, პირგამეხებით თქმულს. სიმართლე შემართებასაც ითხოვს!

ეკრანზე არიან - ბრალმდებელი, დამცველი (ვექილი), მოწმენი და მოსამართლენი (ორივე მხრივ), ბრალდებულნი. მათ შორისაა ფილმის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, მესამე რაიხში იუსტიციის მინისტრი, ერნსტ იანინგი (მის სახეიერს შთამბეჭდავი სიღრმით გვიხატავს ამერიკელი მსახიობი ბერთ ლანქასთერი). იანინგი - ბრალდებულის სკამზე აღმომჩდარი - მოულოდნელობისგან თავზარდაცემული ან, უბრალოდ, შემცბარი კი არ ჩანს, არამედ მის ეკრანულ ხატზე საკუთარ სულწიაღში დაძირული და თაკილით ფიქრწაღებული უფრო ითქმის. მას - ინტელექტუალსა და დამოუკიდებლად მოაზროვნეს, ავტორს არაერთი საგულისხმო წიგნისას სამართალზე, კაცურად თავდაჭერილსა და დახვეწილი მანერების ნამდვილ ევროპელს - ბრალს სდებენ ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობებში. იგი ახლა ფიქრის პრიზმაში განჭვრეტს საკუთარ წარსულს:

- რატომ არ შეეძლო მას ფაშიზმში დაენახა თავისი ქვეყნის - ვერსალის ე.წ. „სამშვიდობო შეთანხმებით" დამცირებული და გაძვალტყავებული გერმანიის ეროვნული აღორძინება?!

- განა იგი - ერნსტ იანინგი არ იყო, რომ ცდილობდა კანონიერების სული შეეტანა ყველგან, სადაც კი ამის შესაძლებლობა ჩნდებოდა მესამე რაიხში?!

- დიახ, მართალია, მას ხშირად კომპრომისზე წასვლაც, უკან დახევა და დათმობაც უხდებოდა, -

- მაგრამ იგი, ერნსტ იანინგი რომ არა, მის ადგილს ხომ უმალ დააცხრებოდა და დაიკავებდა ვინმე მთლად სინდის-ნამუს გარეცხილი, ერთიანად ხელიდან წასული არამზადა?!

ერთი შეხედვით, ყველა დასმულ შეკითხვაზე უკამათო და დაჯერებული ერთსახა პასუხის გაცემა ჭირს - არა მარტოოდენ თავად ფილმის პერსონაჟების მხრივ, არამედ მაყურებლებისთვისაც ანუ ჩვენთვისაც, რომლებიც თანადროულ ამღვრეულ და პარადოქსულ საუკუნეში მრავალგზის გავმხდარვართ მოწმენი გლობალური სისასტიკის, სიყალბის, ადამიანური ღირსების, მორალის, ზნეობის ძალმომრეობით წაბილწვის, უსამართლობის აღზევებისა!...

* * *

და სცენარისტი ები მანი და რეჟისორი სთენლი ქრამერი ისევ და ისევ გვახსენებენ „ზღვარსა ყოვლისას" - ადამიანს! ეკრანზე ჩაივლის მთელი გალერეა უბრალო, ჩვეულებრივ, მაგრამ ფაშიზმის კაცთმოძულე კანონმდებლობით ნორმალური ცხოვრებიდან ამოგდებულ, სულიერად და ფიზიკურად დასახიჩრებულ ადამიანებისა.

აი, სასამართლოზე ჩვენებას იძლევა რუდოლფ პეტერსონი - კომუნისტი მუშის შვილი, რომელიც თხუთმეტი წლის წინ, ჯერაც ყმაწვილი, გონებრივად არასრულფასოვნად გამოაცხადეს და ფაშისტური სასამართლოს განაჩენით - სტერილიზება მისჯილი - დაასაჭურისეს ანუ მოუსპეს საკუთარი შთამომავლობის ყოლის შესაძლებლობა. მას ამჯერადაც ბრიყვულ შეკითხვას უსვამს თავხედი და პირურცხვი ადვოკატი როლფი: „როგორი ფრაზის შედგენა შეიძლება სიტყვებისაგან - „კურდღელი, მონადირე, მინდორი?" და იქვე ყალბი თანაგრძნობით შეახსენებს სასამართლოს, რომ პეტერსონის დედაც ასევე გონებაჩლუნგი და არასრულფასოვანი ყოფილაო... ამ დროს კი, თავად პეტერსონი, რაღაც სასოწარკვეთილი მოძრაობით, მოულოდნელად ჯიბიდან იღებს დედამისის, ათი შვილის მშობელი ქალის ფოტოსურათს და მუდარით და უთქმელი ტკივილით აღბეჭდილი გამოხედვით - მიუშვერს მსაჯულებსა და დარბაზს, როგორც სათნოების ხატს, ვითარცა „ზღვარს ყოვლისას".

შემდეგ, ცოტა მოგვიანებით, ფილმის მთავარი გმირი - ამერიკელი მოსამართლე ჰეივუდი პროფესიონალი იურისტის გამჭოლი მზერით ისევ დაჰყურებს ახალგაზრდა პეტერსონისა და საქვეყნოდ გაბახებულ და სტერილიზებულ ირენ ჰოფმანის, აგრეთვე მოხუც ფელდშტაინისა და მესამე რაიხის უდიერად ხსენებისათვის დასჯილ (სტერილიზებულ) უცნობ ბიჭუნას ფოტოსურათებს, და ვგრძნობთ - ადვოკატ ვოლფის მზაკვრულ ნაცისტურ ლოგიკას როგორი ძალით უპირისპირდება და აარაფრებს ისევ „ზღვარი ყოვლისა" - ადამიანი, პოეტის თქმით „სამყაროს გვირგვინი".

* * *

ფილმის ავტორები, ჩვეულებისამებრ, ამჯერადაც თავს არიდებენ ყოველგვარ თვალშისაცემ რეჟისორულ თუ ოპერატორულ ეფექტებს, მათი ნახელქმნარი ხასიათდება თავდაჭერილი, დინჯი, - თუ შეიძლება ითქვას, - „ფხიზელი რეალიზმით" და იმავდროულად მსახიობთა საშემსრულებლო ხელოვნების ზედმიწევნით მაღალი დონით, მაგრამ ის, რასაც ამ ფილმში მსახიობები აღწევენ (ეს კი, მოგეხსენებათ, რეჟისორის დამსახურების გარეშე არ ხდება), მართლა საოცრებაა.

- ვინ არიან ეს მსახიობები?

უწინარეს ყოვლისა, სფენსერ თრესი, ამერიკული კინოს პატრიარქი, რეჟისორ სთენლი ქრამერის უსაყვარლესი მსახიობი და თანამოაზრე, რომელიც მის არაერთ სურათშია გადაღებული.

შემდეგ: ისევ ამერიკელები - ბერთ ლანქასთერი და რიჩარდ უიდმარქი;

გერმანელები - მაქსიმილიან შელი და მარლენ დიტრიხი;

და ისევ ამერიკელები - მონტჰომერი ქლიფთი და ჯუდი გარლანდი.

თითოეული მათგანი წარმოაგდენს არა მარტოოდენ ამა თუ იმ, მეტნაკლებად კოლორიტულ ადამიანს, არამედ გადმოგვცემს საკუთარი ცხოვრების გზებით, თავისი ბიოგრაფიითა და ბედ-იღბლით განპირობებულ შეხედულებათა მთელ სისტემას, რწმენას, ჯიუტ ლტოლვას თავის სამართლისაკენ...

და თვით ამ უნიჭიერეს და მაღალპროფესიონალთა მიერ შექმნილ შთამბეჭდავ სახეთა შორისაც კი შინაგანი სიღრმითა და ხიბლით გამოირჩევა სფენსერ თრესისეული ამერიკელი მოსამართლე ჰეივუდი. იგი ჩვეულებრივ, ყოველდღიურ გარემოში, მართმსაჯულების სასახლის მიღმა, ერთგვარი მოუქნელი და რიდიანია, ირონიულიც კია, უწინარეს ყოვლისა, - საკუთარი თავის მიმართ. მაგრამ მოსამართლის სკამზე, მანტიაში უმალ წარმოგვიდგება ძლიერ ხელისუფლად, იგი მბრძანებელია - მორჭმული და გამგებიანი, ზოგჯერ - გულგრილი და სასტიკიც კი, მაგრამ ეს არის სიგრილე და სისასტიკე მართლმსაჯულისა, რომელსაც ვერ აიყოლიებს და ვერც ჩაითრევს ვერანაირი წინასწარზრახვის ცდუნება, ვერც შურისგების გრძნობა, ვერცა რაიმე დროებითი ხელსაყრელი პოლიტიკური სარგებლიანობის გააზრება. ჰეივუდი სამართლიანობის, ჭეშმარიტების ზეობის ხატია, თავად მსახიობი სფენსერ თრესი კი, სცენარისტთან და რეჟისორთან ერთად ფილმის ნამდვილ თანაავტორად წარმოგვიდგება.

და მაგონდება, ერთ-ერთ ინტერვიუში სფენსერ თრესის გამო რომ ამბობდა სთენლი ქრამერი: „ჩვენ ვგავდით ერთიმეორეს და ესეც ხელს გვიწყობდა ერთობლივ მუშაობაში. მან იცოდა და ხელეწიფებოდა სახეიერის შექმნა „ტრიუკების" გარეშე - შინაგანი განცდით და აზრის გარჯით. ჩვენს ბოლო ფილმში, ერთ-ერთ კულმინაციურ მომენტში სფენსერი წარმოთქვამდა გრძელ მონოლოგს კეთილისა და ბოროტის, ნათელისა და ბნელის ჭიდილზე. და მეც - იქ მყოფ მსახიობებთან, ოპერატორებთან, გამნათებლებთან ერთად, - დიდხანს ტაშს ვუკრავდი მას, როლის არაჩვეულებრივი სრულყოფილებით შესრულებისათვის... რამდენიმე დღეში კი, ის აღარ იყო. მძიმე, უკურნებელი სენით ჯანდახრული გარდაცვალებამდე მეუბნებოდა: „ჩვენ კარგი ფილმი გავაკეთეთ. და მე დღეს, საღამომდეც რომ მოვკვდე, უჩემოდაც შესძლებთ

მის დასრულებას“... სფენსერ თრესი ჭეშმარიტად დიდი ამერიკელი მსახიობი იყო, და ალბათ, არასოდეს გამინელდება გულში ხინჯად ჩარჩენილი სინანული იმის გამო, რომ მას სიცოცხლეში ვერ ვუთხარი, თუ რარიგ მიყვარდა მე იგი“ (ამ სიტყვებშიც ნამდვილი ამერიკელის - სთენლი ქრამერის ზნეობაა გამჟღავნებული).

* * *

ფილმის ავტორებს სჯერათ და ჩვენც გვარწმუნებენ, რომ სამართლიანობა და სამართალი ერთნიშნა და შეუვალია, რომ ადამიანისა და ადამიანურობისადმი ჩადენილი დანაშაულის ხსოვნიდან წაშლა ან რითიმე გამოსყიდვა შეუძლებელია: და ამაოდ ნურავინ იმშვიდებს თავს იმით, რომ იგი პირშეკრულ ბოროტმოქმედთა შორის კი იყო, მაგრამ მხოლოდ თავის სუფთა, „კანონიერ“ საქმეს აკეთებდა და წილი არ უდევს იმ უსამართლობაში, რომელიც ირგვლივ ხდებოდა...

და მახსენდება „ნიურნბერგის პროცესის“ ერთი რეცენზენტი რომ აღნიშნავდა სწორედ ფაშიზმთან ომის წლებში გაჩენილ ახალ დანაშაულს - „კოლაბორაციონიზმს“, რაც მტრებთან თანამშრომლობას ნიშნავს. დიახ, არა კაცთკვლა და სისხლისღვრა, არა ცივილიზაციის ნახელქმნარის უგუნური ნგრევა და იავარყოფა, არა ჩვეულებრივ ადამიანთა დასახიჩრება და მათში ადამიანური ღირსების ჩაკვლა, არამედ - უბრალოდ - **თანამშრომლობა!**

*რედაქტორის შენიშვნა: ეს გამოთქმა - „კოლაბორაციონიზმი“, რატომღაც, იშვიათად ან სულაც არ იხმარებოდა საბჭოურ ჟურნალისტიკასა და პუბლიცისტიკაში.*

* * *

და ბოლოს: რეალურ სინამდვილესთან საკმაოდ დიდი დისტანციის გამო, შესაძლოა, დღევანდელი მაყურებლისათვის ზოგი მომენტი ან რომელიმე მნიშვნელოვანი დეტალი ფილმისა უცნობი ან გაუგებარიც კი აღმოჩნდეს, ამიტომ მცირე განმარტება სურათის ამა თუ იმ დეტალსა და პერსონაჟთან დაკავშირებით:

უწინარეს ყოვლისა, ის, რაც ეხება სურათში ფრაუ ბერტჰოლტის შემოსვლას, რომლის როლსაც ასრულებს მარლენ დიტრიხი - 30-იანი წლების გერმანული კინოს ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავი, ე.წ. „ცისფერი ანგელოსის“ შემოქმედი, დაჯერებული ანტიფაშისტი, რომელმაც ჰიტლერელთა სახელმწიფოს სათავეში მოსვლისთანავე დასტოვა გერმანია და აქტიურ ანტიფაშისტურ მოღვაწეობას ეწეოდა ამერიკაში... ახლა კი, ორიოდე სიტყვა ამ ფილმში მარლენ დიტრიხის პერსონაჟთან დაკავშირებით:

თავის დროზე ამერიკული პრესა განსაკუთრებულ გულისყურს იჩენდა გერმანელ

სამხედრო დამნაშავეთა ცოლების მიმართ. ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე მათ თავს ადგავდნენ წამებულთა გვირგვინს, წარმოსახავდნენ ქალური ერთგულებისა და თავგანწირვის სამაგალითო ხატად. ამ ფილმითაც ვგებულობთ, რომ იმხანად ამერიკაში უჩვეულო სენსაციად ქცეულა ფრაუ ბერტჰოლტის (მარლენ დიტრიხის პერსონაჟის) თავგამოდება და ბრძოლა იმის გამო, რომ მისი ქმრისათვის - ნაცისტური ვერმახტის სიკვდილმისჯილ გენერლისათვის - ჩამოხრჩობით სამარცხვინო სიკვდილი შეეცვალათ დახვრეტით.

ამ სურათში მარლენ დიტრიხის საოცარი ტაქტითა და ბრწყინვალე არტისტიზმით შესრულებული ფრაუ ბერტჰოლტის სახე სწორედ ამერიკული პრესის მიერ შექმნილ უდღეური მითების მტკიცე უარყოფად წარმოგვიდგება.

აქვე მივაპყრობ ჩვენი მაყურებელ-მსმენელის გულისყურს კიდევ ერთ საგულისხმო დეტალზე.

სურათში არის ასეთი ეპიზოდი: - რესტორანში მაგიდას უსხედან ამერიკელი მოსამართლე ჰეივუდი და მისი კოლეგა (მსახიობი რიჩარდ უიდმარქი) მეუღლითურთ. სწორედ მათ მიუახლოვდებიან ახალშემოსული ფრაუ ბერტჰოლტი და ერთი რიგითი ამერიკელი ჟურნალისტი, რომელსაც დაუკვირვებელ საუბარსა თუ ლაყბობაში როგორღაც წასცდება სიტყვა „მალმედ“... და უმალ ჩამოვარდება უხერხული პაუზა. იძაბება სიტუაცია. და ვგრძნობთ, რომ ეს უხერხულობა და დაძაბულობა დაკავშირებულია არა მარტოოდენ ჟურნალისტის უტაქტობასთან, რომელმაც ფრაუ ბერტჰოლტს უნებურად შეახსენა მისი ცხოვრების ტრაგედია; რომ ამ დაძაბულ პაუზას სურათში სხვა - უფრო ღრმა აზრი და დატვირთვაც აქვს.

საქმე ის არის, რომ მალმედი ერთი პატარა ყრუ ადგილია ბელგიაში, რომლის მახლობლად 1944 წლის დეკემბერში, ხანმოკლე კონტრშეტევის დროს, გერმანელმა ესესის ტანკისტებმა უწყალოდ ამოხოცეს ამერიკელი სამხედრო ტყვეების მთელი კოლონა. შემდეგ, როგორც კი ამერიკელებმა ფეხი შედგეს გერმანიაში, იქვე დაიწყეს ამ სისხლიანი ოპერაციის მონაწილეთა საქმის გამოძიება და მათ მიმართ ანგარიშის სწორება ლოზუნგით - „შურისგება მალმედისათვის!“ სიკვდილით დასაჯეს - ჩამოახრჩეს ბევრი. შემდეგ კი გაირკვა, რომ ჩამოხრჩობილთა შორის ყოფილან ისეთნიც, რომლებსაც თურმე არავითარი კავშირი არ ჰქონიათ მალმედში მომხდარ სისხლიან ტრაგედიასთან. ამან კი, რაღა თქმა უნდა, აღაშფოთა საერთაშორისო საზოგადოებრიობა და გარკვეული ჩრდილიც მიაყენა ამერიკულ მართლმსაჯულებას...

აი, რატომ აღმოჩნდნენ ფილმის ამ

ეპიზოდში ამერიკელი მოსამართლე ჰეივუდი და მისი კოლეგა ესოდენ უხერხულ და ორაზროვან მდგომარეობაში, იქნებ - გაწბილებულიც, როცა ფრაუ ბერტჰოლტის თანდასწრებით ლაყბობის აზარტში შესული ჟურნალისტი ახსენებს მალმედს...

თუმცაღა, შესაძლოა, რომ ფილმის ავტორებს ამ ეპიზოდში უფრო იმისათვის დასჭირდათ მალმედის ტრაგედიაზე ჩვენი გულისყურის მიქცევა, რომ არ შეგვქმნოდა შთაბეჭდილება, თითქოს ისინი - ჭეშმარიტების მაძიებელი, უკომპრომისო ამერიკელი მოსამართლის წარმოსახვით - აპირებდნენ მართლმსაჯულების, თუნდაც ამერიკეულის, იდეალიზებას.

იქნებ ამიტომაა, რომ მოსამართლე ჰეივუდის სახეიერს ფილმში რაღაც ადამიანური სიმწრის განცდაც ახლავს. სურათის დასასრულს სფენსერ თრესის გმირი ბოლო კადრის სიღრმეში მიდის, მიაბიჯებს დიდხანს - დაღლილი და გაწბილებული, თითქოს ყველაფერზე გულაყრილი და ხელჩაქნეული. უკანიდან კი ჩაესმის თავხედი, ხეპრული ფაშისტური მარშები. ამ ხმების თანხლებით ეკრანზე აღმოცენებული დასკვნითი წარწერები კი იუწყება: რომ ნიურნბერგის პროცესებზე გასამართლებული თუ ყველა სასჯელმისჯილი სადღეისოდ უკვე გათავისუფლებულია!... ჰეივუდი უკანმოუხედავად გადის კადრიდან. ეკრანიდან ისევ ისმის ის ნაცნობი - თვითრჯული და აღგზნებული სალდათური შეძახილი...

ფილმის ასეთი მშრალი და იმავდროულად, გულისდამწყვეტი ინფორმაციული დასასრულით კიდევ ერთხელ მჟღავნდება დაგეშით ავტორთა ადამიანური გამწარებაც და მათი, როგორც მოქალაქეთა და ხელოვანთა ურყევი პრინციპი და პოზიციაც: მათ არ უნდათ, რომ მაყურებელს შეექმნას რაღაც ილუზია იმ სამყაროზე, რომელშიც გვიხდება ცხოვრება. და ჩვენ, ამ საოცარი ძალის სურათით შეძრულნი და შთაგონებულნი, თამამად ვუსწორებთ თვალს სიმართლეს!

თუმცაღა, მარტოდეს ჩვენ არა! - თავად რეჟისორი სთენლი ქრამერიც. მან ამ ფილმის შემდეგ გადაიღო გრანდიოზული კომედიური სანახაობა- „ესაა შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო“ - ფილმი კაცთა მოდგმის ამოუძირკველ მანკიერებაზე - სიხარბეზე, მომხვეჭელობაზე...

ამ სურათს, უთუოდ, ვნახავთ ჩვენს პროგრამაში და მაშინ გვექნება მის გამო საუბარიც. ახლა კი, ეკრანს ვუთმობთ „ნიურნბერგის პროცესს“.

მომავალ შეხვედრამდე!




**ნახეთ ამ ლინკზე:**
http://www.youtube.com/watch?v=J62XvzlHelk

ვოი!
რა უფერულია სიკვდილი ლოგინში!
ვოი! რა საშინელია სიკვდილი ლოგინში!
ისიც ლოგინში მომკვდარა, ოღონდ -
ყინულის ლოგინში!

ვოი! კალა-უშგული შეკრებილა -
ყანას და სათიბს მომცდარა.
მთელი სვანეთი შეკრებილა,
მთლად საქართველო შეკრებილა,
შხარასთან ღრუბელივით მომდგარა...
ვოი! შხარა სისხლით შეღებილა -
კოხტა თიკანაძე მომკვდარა!

ბექნუ ხერგიანს და ბექნუს ლომებს
გურამის ნეშტი უპყრიათ ხელში,
ბექნუ ხერგიანს და ბექნუს ლომებს
მშრალი ბურთები გასჩრიათ ყელში.

გურამ თიკანაძეს შხარა აუღია,
რაც მოხდა, დაშვებისას მომხდარა:
საკუთარ ხელით პალო დაუგია,
საკუთარ პალოზე მომწყდარა...
ცოცხლისგან საყვედური აუგია -
თოკი ერთადერთი ჩაუბია -
თავი სიმამაცით წაუგია,
ვოი-ვო, სიმამაცით მომკვდარა!..

- ,,ხოჩა საკაცე გამითალეთ,
დავაწყო ხორცი და ძვალი!
სიკვდილი სიცოცხლედ ჩამითვალეთ
აღმართში - კვნესით ამიტანეთ,
ვაკეზე - მითხარით ზარი!..''

უშგულში გამოვარდა ივდითი ნიჟარაძე,
შეჰკივლა, გაიკაწრა ლოყა;
ფოსტლების ფლატუნით უხნესი დიაცი
საკაცეს ფეხდაფეხ მოჰყვა:

,,თეთნულდმა რა მოგცა? უშბაზე რა გქონდა?
შხარაზე რა გინდოდა, გმირო?!
ვო, გურამ, რამხელა ბეჭები დაგქონდა -
რამ დაგაპატარავა, შვილო?!''

ასი ცხენოსნით უშგული გახლავს
და ბეჭზე მიდევს შენი საკაცე...
შენ დაგეუფლა ძილი და დაღლა,
შენ დასახარჯი უკვე დახარჯე...
შენ გაიელვე ღრუბლებზე მაღლა,
შენ საქართველოს ღამე გახაზე...
ასი ცხენოსნით უშგული გახლავს
და მიტივტივებს შენი საკაცე...

ვოი! რა უფერულია სიკვდილი ლოგინში!
ვოი! რა საშინელია სიკვდილი ლოგინში!
ისიც ლოგინში მომკვდარა, ოღონდ -
ყინულის ლოგინში!..

გურამ თიკანაძეს შხარა აუღია,
რაც მოხდა, დაშვებისას მომხდარა:
თავი სიმამაცით წაუგია,
ვოი-ვო, გურამი მომკვდარა...
ცოცხლისგან საყვედური აუგია,
ჩაუქი - მკვდარიც ჩაუქია!
ვარსკვლავი ვარსკვლავებს მომწყდარა!



*- ქალბატონო ლელა, როგორი გახსოვთ გურამ თიკანაძე?*

- 8-9 წლის ვიყავი, მესამე კლასში... მახსოვს, ჩვენს დიდ აივანზე როგორ იდგა ხოლმე ულამაზესი, ოქროსფერთმიანი, ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა კაცი. გარედან სულ ეცვა სპორტული, ე.წ. „პლაშოვკის კურტკა“.

მე რომ დამინახავდა, გამომიშვერდა შეკრულ ხელს, რომელშიც მუდამ ქიშმიში ჰქონდა, და მეტყოდა: ხომ გინდა ეს? ახლა წადი და პატარა სულგუნი მომიტანეო. მეც სიხარულით გავრბოდი - სულგუნი რაში მაინტერესებდა, მთავარი იყო, რომ ქიშმიშს მაძლევდა. ხან სავარცხლით დამდევდა, თმები უნდა დაგვარცხნოო, - ალბათ, სულ გაწეწილი მქონდა თმა...

მას ახლდა კიდევ ოთხი ალპინისტი (ჯგუფის ხელმძღვანელი იყო ცნობილი მთამსვლელი დიმიტრი ობოლაძე), ისინიც მახსოვს, მაგრამ ასეთი დამოკიდებულება მათ მიმართ, რატომღაც, ნაკლებად მქონდა.

მერე, მე ვუკრავდი გარმონზე (თვითნასწავლი „მუსიკოსი“ გახლდით...), ესეც ძალიან მოსწონდა და დედაჩემს ეუბნებოდა: დეიდა ნატო, ეს ბავშვი მე უნდა წავიყვანო თბილისში, მუსიკალურ სკოლაში უნდა მივაბარო, ჩემთან იქნებაო; კი არ წაგართმევთ, მერე დაგიბრუნებთო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ თბილისს ვნახავდი!.. დედაც დაითანხმა, მაგრამ, ვაი, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ნათქვამად დარჩა!

ერთ საღამოს შინაური კონცერტი გავმართეთ. გურამი აცხადებდა თითოეული ჩვენგანის სახელსა და გვარს. ხუმრობით, გვართან ერთად ამბობდა: უშგულის დამსახურებული მსახიობიო. ჩვენ ეს უზომოდ გვიხაროდა. განსაკუთრებით მოსწონდა გურამს სვანური სიმღერა ილია გაბლიანზე. მე მას ხმამაღლა ვმღეროდი:

- მი ხვი მუშვან გაბლიანი,
ტიანშანიშ კოჯარს ძერდე,
ამე გუშაგდ მი ამგანეხ,
ეჯღა მარ მი კოჯრეშ სერდე
(მე ვარ სვანი გაბლიანი,
ტიანშანის კლდეების ბინადარი,
აქ გუშაგად დამაყენეს,
ამ კლდეების გულშემატკივარი)...

ამ ლექსის თარგმანი მთხოვა. დავუწერე. გახარებულმა მითხრა, დავბეჭდავ და გამოგიგზავნიო. ეს პირობაც შეუსრულებელი დარჩა...

გურამს აინტერესებდა ყველაფერი ჩვენს ოჯახში. ჩვენ და ივდითი ნიჟარაძე, ბიცოლაჩემი, თავისი ოჯახით, ერთ დიდ სახლში ვცხოვრობდით. დედას და ივდითს სულ აკვირდებოდა, პურებს როგორ აცხობდნენ ღუმელში, ან სხვა საოჯახო საქმეს როგორ აკეთებდნენ... ჩემს დედმამიშვილებს და სოფლის ბავშვებს ყველას ერთად შეგვკრებ-

აგვისტოში 50 წელი შესრულდება იმ ტრაგიკული დღის შემდეგ, რაც შხარადან დაშვებისას ტრაგიკულად დაიღუპა უნიჭიერესი ფოტოხელოვანი და მთამსვლელი გურამ თიკანაძე.

დრომ ვერ გაახუნა კაშკაშა სახელი - მომდევნო თაობებიც უდიდეს პატივს მიაგებენ 30 წლის ასაკში აღსრულებულ სპორტსმენსა და შემოქმედს. მის განსაკუთრებულ პოპულარობაში კი არცთუ მცირე წვლილი მიუძღვის მურმან ლებანიძის შედევრს „ვოი...“ - რითმებად, რიტმებად, პოეტურ სახეებად აჟღერებულ ნამდვილ სვანურ ზარს.

1976 წელს პოეტმა ასევე გამოსცა მის მიერ შედგენილი კრებული „გურამ თიკანაძე“, რომელშიც დაიბეჭდა გურამის პატარა მასპინძლის, უშგულელი გოგონას, ლელა ნიჟარაძის შესანიშნავი წერილიც - „დაუვიწყარი სტუმარი“.

დღეს ლელა ნიჟარაძე, დიდი აკაკი შანიძის უსაყვარლესი შეგირდი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ძველი ქართული ხელნაწერების შემსწავლელი სამეცნიერო ლაბორატორია „ორიონის“ (ხელმძღვანელი მზექალა შანიძე) მეცნიერ-თანამშრომელი, სვანურის ღვაწლმოსილი მკვლევარია. მისმა მეხსიერებამ ფერუცვლელად შემოინახა ადრეულ ბავშვობაში მიღებული უმძაფრესი შთაბეჭდილებები, მათ შორის - ისეთიც, წიგნში დაბეჭდილ მოგონებაში რომ არ არის შეტანილი.

ჩვენს მკითხველს იგი ბევრ საინტერესო რამეს უამბობს.

ივდითი ნიჟარაძე
მეუღლითურთ

მარადი ახალგაზრდები -
გურამ თიკანაძე და
გურამ რჩეულიშვილი

მიშა მესხის ფინთი
გურამ თიკანაძის ფოტო - 1960

გურამ თიკანაძის ფოტო

გურამ თიკანაძის ფოტო

და და სურათებს გვიღებდა. რა ცუდია, რომ არც ერთი ფოტო არ მაქვს, არც დაბეჭდილა ეს სურათები, რადგანაც ის უკვე თბილისში აღარც დაბრუნებულა...

*- ისეთი პატარა გოგონა იყავით, და მაინც - გაგახსენდებათ ის მომენტი, როცა გურამი შხარას ასაღებად გაემართა?*

- დიახ, კარგად მახსოვს. გურამი უშგულში იმ მიზნით წამოვიდა, რომ შხარა დაეპყრო. ამ ლაშქრობას ნებართვა სდომებია თბილისიდან, შესაბამისი უწყებებიდან. მაშინ ამდენი საკომუნიკაციო საშუალება არ არსებობდა და, მით უფრო, ეს უშგულიდან შეუძლებელი იყო. ამიტომ მას რამდენჯერმე მოუხდა უშგულიდან მესტიაში ჩასვლა, რომ ეს შესაბამისი ნებართვა ჰქონოდა... ბოლოს, როცა ჩავიდა მესტიაში (თუ არ ვცდები, ეს უკვე - მესამედ), ცოტა შეაგვიანდა, ანუ რამდენიმე დღე. ჯგუფის დანარჩენი წევრები ჩვენს სახლში იყვნენ და ისინიც ელოდებოდნენ პასუხს. მე ძალიან მოვიწყინე, სად წავიდა ამდენი ხნით, რატომ არ მოდის-მეთქი, დედას ვთხოვდი პასუხს.

ერთ დღეს მე და ჩემი დედმამიშვილები, ყველანი ერთად, ვიყავით დედასთან ოთახში და, უცებ, ხმაური შემოგვესმა, უფრო სწორად, რახუნი... გავიხედეთ და, რას ვხედავთ: გურამი შემოსულა ჩვენს ეზოში, ოღონდ არა - შემოსასვლელი კარიდან, არამედ, პირდაპირ ყორეზე „შემოალაჯა“ თავისი დიდი ნაბიჯებით და ქვებიც გადმოყარა ღობიდან. შემოვარდა შინ და გახარებულმა დედას უთხრა: დეიდა ნატო, შხარაზე ასვლის ნებართვა ავიღეო.

ეს შემდგომ ჯგუფის წევრებმაც და ივდითის ოჯახის წევრებმაც, ყველამ შეიტყო.

ასე იყო ის დღე... შეუდგნენ სამზადისს, რომ მეორე დღეს გამგზავრებულიყვნენ შხარას მიმართულებით...

მეორე დილით ჯგუფი აიბარგა, გადაიკიდეს თავიანთი ზურგჩანთები და აღჭურვილობა... წინ გურამი მიუძღოდათ... ყველანი გამოვედით ეზოში, რათა ჯგუფი გაგვეცილებინა. უცბად, ვხედავთ, ის გურამი, რომელიც წინა დღით აღფრთოვანებული და გახარებული იყო, თავჩაქინდრული, მძიმე ნაბიჯებით გაუდგა გზას.

ნანა ივდითი ბავშვებს იქით მიგვერეკებოდა, წინ „ცუდი ფეხით“ არავინ დაუხვდესო, ასე მივაცილეთ სოფლის ბოლომდე...

*- იშვიათად ჰქონია ვინმეს სიკვდილს ისეთი რეზონანსი, როგორიც მაშინ გურამ თიკანაძის დაღუპვას მოჰყვა. რას გაიხსენებდით?*

- მეხის გავარდნას ჰგავდა შემზარავი ამბავი, გურამი დაიღუპაო... მთელი უშგული შეიკრიბა, მოდიოდნენ ჩვენს სახლშიც. მერე შეიკრიბნენ მთელი სვანეთის ალპინისტები, როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთის, ცნობილები და გამოცდილები, გამოიძახეს

თბილისიდან მაშველთა რაზმი და 40-კაციანი ჯგუფი უნდა წასულიყო შხარაზე გურამის ნეშტის ჩამოსასვენებლად. ჩვენს სახლში დიდი ხალხმრავლობა იყო, თბილისელებმა თუ ადგილობრივებმა, ყველამ ჩვენთან მოიყარა თავი. მაშველთა რაზმის ხელმძღვანელი საკმაოდ ცნობილი და ჭარმაგი ბექნუ ხერგიანი გახლდათ.

სვანეთში დიდი მითქმა-მოთქმა იყო, მას უღალატეს და ეს ამბავი მოუწყვესო, ჭორებს ბოლო არ უჩანდა (ეს, უბრალოდ, თქვენთვის...). როცა ალპინისტები მივიდნენ შხარის ძირში, გადაწყდა: კლდეზე უნდა ასულიყვნენ მხოლოდ სვანი მთამსვლელები და ერთი კაცი, თბილისელი თამაზი - გვარი არ მახსოვს - რომელიც იმ ტრაგიკულ დღეს გურამთან იყო თოკში შებმული... თბილისელი მაშველები კი შხარას ძირში უნდა დარჩენილიყვნენ და საჭიროების შემთხვევაში დაეხმარდნენ. ასე ავიდნენ შხარაზე, წინ - ბექნუ ხერგიანი, უკან - ჯგუფი (თუ არ ვცდები, 20 კაცი)...

როცა ასულან შხარაზე, გურამის ნეშტი ძალიან რთულ და მიუვალ ადგილზე ყოფილა... ნეშტისათვის რომ გადაუხედავთ, გრიშა გულბანს (რომელიც ძალიან ცნობილი, დიდი მთამსვლელი იყო) იმ თამაზისთვის (რომელიც გურამთან ერთად იყო თოკში შებმული) მოუთხოვია, დაწვრილებით აღეწერა ის გარემოება, რომელშიც გურამი დაილუპა, როგორ მოხდა ეს ყველაფერი, მან კი, თურმე, დეტალურად აუხსნა, თუ როგორ გადმოგორდა კლდიდან დიდი ქვა და როგორ ჩაჭრა გურამის ბაწარი, - ასე მოწყდაო კლდიდან. ის მთამსვლელი, თამაზი, გურამის დაღუპვის მერეც ხშირად ამოდიოდა უშგულში ჩვენთან.

დადგა საკითხი გურამის ჩამოყვანა - არჩამოყვანაზე. მერე ბექნუს უთქვამს (ყურში არ ესმოდა ბექნუს და ხმამაღლა უყვიროდნენ ხოლმე): დავჭრი, დავაკონსერვებ, ჯიბეებში ჩავიწყობ გურამის ნეშტს და ისე ჩავიტან, აქ მაინც არ დავტოვებო...

ასე იყო თუ ისე, ნეშტი ჩამოასვენეს. მას არც კი აკადრეს რაიმე ტრანსპორტზე, მაგალითად - მარხილზე, ან დიდ მანქანაზე დასვენება, ისე ატარეს სულ ბეჭებით. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ბრგე და ახოვანი ვაჟკაცები, არც სამგლოვიარო სვანური ზარი შეუწყვეტიათ და ამგვარად ჩამოიყვანეს 5-6 კილომეტრის მანძილზე. დაასვენეს ჩვენი სახლის წინ, კოშკთან, პატარა მოედანზე, იქ გაუმართეს სამგლოვიარო ცერემონიალი. იყვნენ ქალები, ადგილობრივები (ორი ქალი - ერთი პედაგოგი იყო, მახსოვს - უკლება-ჩარქსელიანი), რომელთაც ქართულად დაიტირეს, რათა სიტყვების შინაარსი სტუმრებსაც გაეგოთ, რადგანაც გურამის უამრავი ახლობელი თუ მეგობარი იყო ჩამოსული თბილისიდან უშგულში პატივის მისაგებად.

გამონაკლისი იყო ბიცოლაჩემი ივდითი, რომელიც, როგორც მურმან ლებანიძე აღწერს, მართლაც კივილით გამოვარდა სახლიდან და ასე პოეტურად დაიტირა სვანურად, კაცები კი ზარს ამბობდნენ.

მერე დიდი დავა გამოიწვია ადგილობრივ, სვან მთამსვლელებში იმან, თუ რომელი გზით წამოესვენებინათ გურამი, ლენტეხის თუ მესტიის... არ დათმეს მესტიელმა მთამსვლელებმა: ეს ჩვენკენ უფრო მოდიოდა და ამიტომ ეს გზა ეკუთვნისო... გადაწყდა, გურამი მესტიით ჩამოესვენებინათ თბილისში. ამასობაში დაღამდა კიდეც და მთვარიანი ღამით, ზარით წამოასვენეს გურამი მესტია-უშგულის გზით... აქაც პატივით დაკრძალეს, სვანური ქვა „კა“ და სვანური ზარი აქაც თანმდევი იყო მისთვის... ასე იყო ეს ისტორია, რაც ჩემს მეხსიერებას შემორჩა. დღემდე მახსოვს და მტკივა გურამი...

*- ვიცი, რომ გურამ თიკანაძის ოჯახთან თქვენი ურთიერთობა გაგრძელდა...*

- დიახ, მე დედამისთან მას მერე სულ მქონდა ურთიერთობა, სანამ გარდაიცვლებოდა. უკვე სტუდენტი, ხშირად დავდიოდი მასთან. მირეკავდა, მე მისთვის სასურ-

■ გურამ თიკანაძის ფოტო

■ გურამ თიკანაძის ფოტო

■ გურამ თიკანაძის ფოტო

ველი სტუმარი ვიყავი, მიყვებოდა გურამზე ამბებს... ბოლოს რომ მიდიოდა სვანეთში, ვუთხარით: შვილო, რა დაკარგე ამ სვანეთში ასეთი, რომ ყოველ წელს დადიხარ! შემომხედა და მითხრა: დედა, ერთხელ წაგიყვან სვანეთში და ამ კითხვას არ დამისვამო.

ძალიან კარგი ქალი იყო გურამის დედა, ტანია დეიდა, ულამაზესი ქალი! გურამი დედას ჰგავდა ძალიან; გურამიც და მისი დაც, რუსიკო (ახლაც ლამაზი ქალია!). გურამის დედის მეგობარმა მითხრა, ეს და-ძმა მთაწმინდაზე როცა ჩამოივლიდნენ, გეგონებოდა, მზე და მთვარე მოდიან ერთად, ისეთი ლამაზები იყვნენო...

კარგად ვიცნობ გურამის ქალიშვილს, ია თიკანაძეს, უკვე სახელოვან ქალს - მამამისის ასლია. მას მამა არ ახსოვს. ჰო, გამახსენდა, იას ვუთხარი კიდეც: ალპინისტის წერაყინი რომ არის, გურამს იმის ბუდეში ჰქონდა იას სურათი (ია მაშინ ერთი წლის იყო), გახსნიდა იმ ბუდეს და მიჩვენებდა ხოლმე: აი, ჩემი იაო, ეს ჩემი გოგონა არისო.

*- მურმან ლებანიძემ თქვენი ბიცოლას - ივდითი ნიჟარაძის - ისეთი შთამბეჭდავი პორტრეტი შექმნა, ქართველი მკითხველის მეხსიერებიდან არასდროს ამოიშლება: „უშგულში გამოვარდა ივდითი ნიჟარაძე, შეჰკივლა, გაიკაწრა ლოყა, ფოსტლების ფლატუნით უხნესი დიაცი საკაცეს ფეხდაფეხ მოჰყვა: „თეთნულდმა რა მოგცა? უშბაზე რა გქონდა? შხარაზე რა გინდოდა, გმირო?! ვო, გურამ, რამხელა ბეჭები დაგქონდა - რამ დაგაპატარავა, შვილო?!“*

*მაინც, ვინ იყო გურამ თიკანაძის უბადლოდ დამტირებელი ეს სვანი ქალი?*

- მან ქართული არცთუ ისე კარგად იცოდა, უშგულში გახლდათ დაბადებული და გაზრდილი. არაჩვეულებრივი ქალი იყო და გურამიც ისე უყვარდა, როგორც საკუთარი შვილი. ივდითი განთქმული გახლდათ, როგორც უბადლო მომტირალი ქალი. ახლა რომ ვფიქრობ, მისი სიტყვები ნამდვილი პოეტისა იყო...

აი, მან ასეთი რამეც დაატირა გურამს (რასაკვირველია, სვანურად): საბრალო გურამის დედაო, გურამი შხარას დიდ კედლებს წასასმელად (როგორც კარაქიო - იგულისხმებოდა) არ ეყოო.

ჩვენ, მამაჩემის შვილები, მას დედას, ანუ ნანა ივდითს ვეძახდით, მის ხელში ვართ გაზრდილები.

ივდითი ნიჟარაძე 84 წლისა გარდაიცვალა და ჭაღარა არ ჰქონდა. მისი პორტრეტი დახატული აქვს ცნობილ ქართველ მხატვარს ირაკლი თოიძეს.

*- თქვენი მამისეული სახლი გამორჩეულია უშგულში თავისი სიდიდით და ფასადზე შემორჩენილი ეთნოგრაფიული ორნამენტიკით. ამავე დროს, ის მთამსვლელთა თავშესაფარი და ოჯახური კერაც*

*იყო წლების მანძილზე. სწორედ აქედან გავიდა შხარას დასალაშქრად გურამ თიკანაძეც. ამიტომ, მოდით, ცოტა მეტი გვიამბეთ ამ სახლზე, თქვენს ოჯახზე...*

- ჩვენი სახლი მართლაც გამორჩეულია, ძალიან დიდი ხნის წინათ არის აშენებული. ამდენი წელი გავიდა მას მერე და უშგულში დღესაც ვერავინ ააშენა ასეთი სახლი.

მამაჩემი, ლეონტი ნიჟარაძე, თუ ტრაბახში არ ჩამეთვლება, გამორჩეული და სხვა მასშტაბების კაცი იყო - თბილისის უნივერსიტეტიდან უშგულში წასული კაცი! ყველაფერი ის გახლდათ: სკოლის დირექტორი, წარმოების დირექტორი, „მიშიაკის“ ქარხნის დირექტორი და რა ვიცი... ჩემს დროს უკვე მათემატიკას ასწავლიდა უშგულის სკოლაში. უშგულისთვის ბევრი რამ აქვს გაკეთებული. ოთხი შვილი ვყავდით - სამი ქალი და ნაბოლარა ვაჟი (მოგეხსენებათ, სვანისთვის ბიჭი რას ნიშნავს!). დედას არასოდეს უმუშავია, ძალიან ლამაზი და სათნო ქალი იყო, მთელი მისი საზრუნავი ოჯახი და ბავშვები იყო. გაგვზარდეს, ოთხივე შვილს უმაღლესი განათლება მიგვაღებინეს, რაც მაშინ არცთუ ისე ადვილი იყო, თანაც - უშგულიდან!

როცა მამაჩემმა ეს სახლი ააშენა, უცოლო იყო. მისი ძმა, მოსე, მშრომელი კაცი გახლდათ, მას და მის მეუღლეს, ივდითს, დიდი წვლილი მიუძღვით ამ სახლის მშენებლობაში, ამიტომ ეს სახლი შუაზე გაიყვეს, ნახევარ სახლში ჩვენ ვცხოვრობდით, ნახევარში - ისინი. მაგრამ ჩვენ გაყოფილი თითქმის არაფერი გვქონდა, ერთი ოჯახი ვიყავით, ისინიც ბევრნი იყვნენ, სახლი იყო 12 ოთახი დიდი აივნებით.

რაც შეეხება იმ ბორჯღალოებს და ჩუქურთმებს, რომლებიც სახლის უკანა მხარეს შემორჩა, მამას ცნობილი ხელოსნები წაუყვანია რაჭიდან და იმათ გააკეთებინა თურმე. ადრე წინა ფასადსაც ჰქონდა ესენი, მაგრამ შეცვალეს წინ, ამოაშენეს (კლიმატური პირობების გამო).

სახლის უკან წარწერაც შელახულია, მაგრამ მაინც იკითხება: „ეს სახლი მოაწყო 1939 წ. ტორია თედორეს ძე გავაშელმა“ და მისი ხელიც და სამუშაო იარაღიც ამოტვიფრულია...

ახლა იქ ჩვენ არავინ ვართ, ზაფხულობით თუ წავალთ ხოლმე... დედ-მამა ცოცხლები აღარ არიან. ისე მენატრება ხოლმე ის სახლი, არ ვიცი!.. ყველა მთამსვლელის, თუ ისე ჩამოსული სტუმრის მუდმივი მასპინძლები ვიყავით... ახლა ძალიან ბევრი უცხოელი დადის უშგულში, - მოგეხსენებათ, ტურიზმი სვანეთში ძალზედ განვითარდა და ხალხის შემოსავლის მთავარ წყაროდ იქცა. იქ დღეს უკვე კერძო სახლი-სასტუმროები აქვთ. ჩემს დროს ეს ყველაფერი უსასყიდლოდ და უანგაროდ იყო...

*- იმ მემორიალურ ნივთებზეც გვიამბეთ, რომლებიც უშგულში, თქვენს დიდ სახლში ინახება...*

- პალო, რომელზეც გურამ თიკანაძე მოსწყდა, ცნობილმა მთამსვლელმა დიმიტრი დანგაძემ მომდევნო წელს ჩამოიტანა შხარადან,როცა მწვერვალი დაიპყრო (ალბათ, იმავე მარშრუტით წავიდნენ, გურამმა და მისმა ჯგუფმა რომ გაიარეს). ეს პალო ერთხანს ჩვენს სახლში იყო. მგონი, მალევე წამოიღეს თბილისში. რაც შეეხება გურამის წერაყინსა და საძილე ტომარას, ისინი იქ არის, ჩვენს სახლში...

* * *

- ასე დამთავრდა გურამის სტუმრობა სვანეთში, რომელიც ასე უყვარდა! სამწუხაროდ, ეს სტუმრობა უკანასკნელი და საბედისწერო აღმოჩნდა, - დაასრულა თხრობა ქალბატონმა ლელამ.

მე კი ინტერვიუს დროს არაერთხელ მიცოცხლდებოდა თვალწინ მურმან ლებანიძის ლექსში გადმოცემული გლოვის აპოთეოზი:

„ასი ცხენოსნით უშგული მახლავს
და მიტივტივებს შენი საკაცე...“

**ნანული ცხვედიანი**

თავდაპირველად იყო დამოუკიდებლობა.

შემდეგ იყო დათო ბარბაქაძის „ტრფობა წამებულთა“ და პირველი ომი.

ომებს შორის - „რეაქტიული კლუბი“.

ომების მერე - აკა მორჩილაძის ბრაზიანი რომანები.

ასე, ომებში, იშვა პოსტსაბჭოური ქართული ლიტერატურა.

დამოუკიდებლობამ, ბრეხტის დედილო კურაჟის მსგავსად, ომის შვილები - ახალი ქართული წიგნები შვა. მნიშვნელოვანი - ძალიან ცოტა. ყალბი - ძალიან ბევრი.

ეს წიგნები პანდორას ყუთივითაა: გადაშლი და ომებისგან დაავადებული ადამიანების ყვირილი შემოგესმება.

ვფიქრობ, უმეტესად, ავტორიც კი ვერ ხვდება, რომ ომზე წერს: იმ შოკისგან, რომელიც ომმა (ან ომებმა) დაუტოვეს, განკურნება წარმოუდგენელია. ეს შოკი სამუდამოა.

შოკი - ქართული ლიტერატურის ბედისწერაა. შიში რეფლექსიებადაა გაბნეული ქართულ ტექსტებში -

გადარჩენილები ომში გაგიჟებულებზე წერენ. „ჩვენ ომის თაობა ვართ“ - ეს სიტყვები ამოვიკითხე მეთერთმეტე კლასელ, სალომე პეტრიაშვილის სასკოლო თემაში. ის ჩემზე უმცროსია, თუმცა რაღაცნაირად ერთი ბიოგრაფია გვაქვს - ჩვენზე თანაბრად გადანაწილდა ყველა ის ომი, რომელიც 1991 წლის შემდეგ გაჩაღდა ამ ქვეყანაში.

ამ ომებმა ჩვენი ბიოგრაფიების ყველაზე მნიშვნელოვანი ამბებიც კი გადაფარეს და ერთმანეთს დაგვამსგავსეს ერთი შეხედვით სრულიად სხვადასხვანაირი ადამიანები.

ომს ასეთი თვისებაც ჰქონია: პირად ბიოგრაფიას გიუქმებს. ამას 2008 წლის აგვისტოში მივხვდი. ის, რაც შენი იყო და მნიშვნელოვნად გეჩვენებოდა ომამდე, აბსოლუტურად არააქტუალური და არასაჭირო ხდება ომის დროს. საკუთრივ შენი აღარაფერი გრჩება: შენნაირი შიშით ეშინია ასობით ათას ადამიანს და ის, რაც სხვებს ახარებს, შენც იგივე გგვრის ბედნიერებას. მოკლედ ასეა: როგორც არ უნდა ივაჟკაცო, შენ ჰქრები, როგორც ინდივიდუალობა (სხვისი ბედი შენი ბედი ხდებაო, სად ეწერა?) და გარკვეულ ეტაპზე იმასაც აცნობიერებ, რომ თითქმის შეუძლებელია მხოლოდ შენი გადარჩენა. როგორი სისწრაფითაც არ უნდა გავარდე „წითელი ხიდისკენ“, ან რა სიჩქარითაც არ უნდა გაექცე რუსულ ბომბებს ამერიკული ბოინგით, ამ ომს მაინც ვეღარსად წაუხვალ.

უცნაური, ლამისაა მეტაფიზიკური შეგრძნება იყო - ბიოგრაფია გამიქრა. „ლაშა ბუღაძე“ ფიქციად იქცა. ერთი თვით გავქრი. ბიოგრაფიას მხოლოდ ახლაღა ვიბრუნებ ნელ-ნელა.

იქნებ სწორედ ამაზეა ზაზა ბურჭულაძის „ადიბასი“? რომანი, სადაც მრავალი მთხრობელია, მაგრამ ერთი ბიოგრაფიაა - ბევრი პირველი პირია, მაგრამ გადარჩენა-ვერგადარჩენის შესაძლებლობა.

რომანის გმირები ჯიუტად არ იმჩნევენ ომს, მათი საარსებო სივრცე რუსული ჯარის შემოსვლის პროპორციულად მცირდება: ომი ადიბასი-თბილისის ქუჩებში, ტელევიზორებში, ბინებში და კაფეებში იჭრება, „ადიბასის“ ადამიანები წართმეული (შეზღუდული) ბიოგრაფიის ნაგლეჯების შენარჩუნებას ცდილობენ - გადარჩებიან, თუკი პირად ისტორიას შეინარჩუნებენ... ომი მათ სუბიექტურ თავგადასავლებს ართმევს, ამბავს (რომელიც 2008 წლის 8 აგვისტოდან იწყება) ერთი დიდი ქორო ჰყვება - ნახევრადცოცხალი ადამიანები, რომლებიც ამაოდ ცდილობენ ბიოგრაფიებში დარჩენას.

რაც შეეხება აკა მორჩილაძის ბრაზიან რომანებს („მოგზაურობა ყარაბაღში“, „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“), აქ უკვე სამუდამოდ შეშინებული ადამიანები გვიყვებიან თავიანთ ამბებს.

მე ასე მესმის: ეს ჩვენი აღსარებაა. სოციალური აღსარება (არ არსებობს აღსარების ასეთი ფორმა?), რომელიც (როგორც ყველა შედეგიანი აღსარება), გამომაჯანსაღებელ, ფსიქოთერაპიულ საშუალებად იქცა ჩვენთვის. აკა მორჩილაძემ ოთხმოცდაათიანი წლებისგან განგვკურნა. მთელი ეს მძვინვარე წლები - ტყვიების ზუზუნი, სისხლი, ისტერიკა, აგრესია, აბსურდი თავის რომანებში ჩამალა (ტყუილად არ მიხსენებია დასაწყისში პანდორას ყუთი) და ჯადოც აგვხსნა. ნაწილობრივ მაინც. მის პერსონაჟებად ქცეულნი უკვე სრულიად უსაფრთხონი ვიყავით, როგორც სხვებისთვის, ასევე საკუთარი თავებისთვისაც.

მე თუ მკითხავ, აფთიაქებში უნდა იყიდებოდეს აკა მორჩილაძის წიგნები.

ასეთი სამკურნალო-თერაპიული წიგნები ხომ არცთუ ისე ბევრია.

აგერ, მაგალითად, განა ჭეშმარიტად სააფთიაქე წიგნი არ იყო (ცხადია, კონტექსტის გათვალისწინებით) ომგავლილი გერმანიისთვის თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსი“?

ანდაც ანა ახმატოვას „რეკვიემი„ „სამიზდატის“ მკითხველი საბჭოელისთვის?

ანკი მილორად პავიჩის „ვარსკვლავეთის მანტია“ ბომბებით მოჭედილი ცის ქვეშ მცხოვრები სერბებისთვის...

წიგნებს ნაციები ჰყავთ გადარჩენილი.

ან, ყოველ შემთხვევაში, დეპრესიიდან გამოყვანილი მაინც.

თუმცა არიან ერები, რომელნიც - გავბედავ და ვიტყვი - სიბრმავის თუ სიბრიყვის გამო, ჯერაც უარს ამბობენ ლიტერატუროთერაპიაზე.

აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ქაშმირს სამუდამოდ თუ არა, დიდი ხნით დაამშვიდებდა რაშდის „შუაღამის შვილები“ და „ფლორენციელი გრძნეული“.

დღევანდელ რუსეთს კი, როგორც მომაკვდინებელი ვირუსით შეპყრობილს - ტამიფლუ, ისევე სწრაფად გამოაჯანსაღებდა ვლადიმერ სოროკინის „ოპრიჩნიკის ერთი დღე“! ამ წიგნის ტირაჟის გაზრდა და ჩვენგან მათი ტანკების გასვლა ერთი იქნებოდა...

იქ და იმ დროს, სადაც სიმართლე პირობით ცნებად იქცევა და სადაც არჩევანის გაკეთება არა სიცრუესა და ჭეშმარიტებას, არამედ სხვადასხვა სინამდვილეებს შორის გიწევს, - შენთვის მისაღები რეალობის სასარგებლოდ, - ვფიქრობ (და არა მგონია, ახლა ლიტერატუროცენტრიზმი მალაპარაკებდეს), ხელოვნება და, ამ შემთხვევაში კი ლიტერატურა იქნება ის სივრცე, სადაც შენი ნამდვილი ამბის ამოკითხვას შეძლებ: აქ არ მოტყუვდები.

ორიოდე თვის წინ, მარჯანიშვილის თეატრის სხვენზე ომზე დაწერილი ქართული პიესები წაიკითხეს. რამდენი პიესაც იყო, იმდენნაირი ომი გამოვიდა, თუმცა პირდაპირი მნიშვნელობით, ცხადია, არცერთ პიესაში არ გაჩაღებულა ხელჩართული ბრძოლა. ოცდამეერთე საუკუნის ომები სხვანაირია - შეიძლება მიწას არც აუვიდეს დენთის სუნი, მაგრამ ომი კი მაინც მოადგეს შენი სახლის კედლებს.

ამ პიესებში უცნაური ომები იყო: იმ ღამეს, როცა თითქოსდა თბილისისკენ დაიძრნენ ტანკები, მოსწავლეს (ბიჭს) ფრანგულის მასწავლებლის (ქალის) სახლში მოუწია დარჩენა (ნ. კვინიკაძე); შვიდი წლის ბავშვისთვის ომი კომპიუტერულ თამაშად იქცა (ბ. ჯანიკაშვილი); მოხუცმა ცოლ-ქმარმა ბანკის გაძარცვა მოინდომა - აქაოდა, ქაოსით ვისარგებლებთო (მ. დოიაშვილი); რუს მესაზღვრე-კაცსა და ქართველ მესაზღვრე-ქალს შორის ლამისაა ცოლ-ქმრული, ბანალური ოჯახური კონფლიქტი გათამაშდა (დ. ტურაშვილი); ქართველ ემიგრანტებს ნირი წაუხდათ თავიანთ პატარა, ემიგრანტულ სუფრაზე - უეცრად შეიტყვეს, რომ მათ ქვეყანაში ომი დაწყებულა.

რა საჭიროა სროლა და ხმაური - ეს ტექსტები ჩვენს შეგრძნებებს, შიშებს, ფიქრებს, მოლოდინებს, იმედებს ან უიმედობას ილუსტრირებენ. აქ არ ლაპარაკობენ არც პატრიოტიზმზე და არც ღალატზე (ფსევდოპატრიოტული ლექს-პოემ-მოთხრობების დამწერთა მსგავსად), პიესების პერსონაჟები ჩვენსავით მისულან მიჯნამდე: ამის იქით, თურმე, სიკვდილი ყოფილა, სიცოცხლე კი გრძელდება, მაგრამ ბიოგრაფიები - აღარ.

სიტყვა „ფსევდო“ შემთხვევით არ მიხმარია - აფხაზეთის ომმა სხვა ბევრ სიმახინჯესთან ერთად მრავალი ასეთი მუტანტიც შვა: შეიქმნა უშველებელი რაოდენობის ლიტ-მაკულატურა, რომელიც ვითომდა ამ ომის ისტორიას მოგვითხრობდა. ამ ლიტსუროგატმა - როგორც ნაგვის გორამ -

ისე გადაფარა ამ ომის მოწმე და მონაწილე ხალხის ნამდვილი ამბავი. ომახიანმა ან პირიქით, საკრალური პანაშვიდის პათოსით დაჩეკილმა ლექსებმა, რომანებმა და ფილმებმა ასეც ვერ გაგვაგებინეს, რა იყო ეს ომი სინამდვილეში და ან ჩვენ კი როგორები ვიყავით ამ ომის დროს, - სიყალბის ამ ვეება მორევმა (ომის ტკივილების შემახსენებელ უთვალავ ძალაგამოცლილ ლოზუნგსა და პოლიტიკოსთა უსიცოცხლო და გულისამრევ დაპირებასთან ერთად) მთელი ეს ტრაგედია ერთ დიდ კიჩად, კარიკატურად, მომბეზრებელ პაროდიად აქცია და ყველაფერ ამის მიმართ ცოცხალი თანაგანცდის უნარი დაგვიჩლუნგა.

გეგონება, განზრახ მოვიქეცით ასე: ეს ომები (უპირველეს ყოვლისა კი, „აფხაზური“) ჩვენს სტერილურ ცრემლებში, უმწეოდ მყეფარ სიძღერებში, გამაწითლებელ ვიდეოკლიპებში და უთვალავი რაოდენობის ლექსსა თუ სადღეგრძელოში ჩავმარხეთ.

თითქოს არ გვინდოდა, რომ გულწრფელები ვყოფილიყავით...

არ ვიცი, როგორ უნდა მორეოდა სიყალბისა და უპასუხისმგებლობის ამ უშველებელ ლეგიონს აკა მორჩილაძის ას სამოცდაშვიდგვერდიანი „ყარაბაღი“ ან ოთარ ჭილაძის „გოდორი“?

არსებობს ერთი ასეთი იდიოტური ქართული შეკითხვა: გვეშველება რამე?

უმეტესად ტაქსის მძღოლები მისვამენ ხოლმე ამ კითხვას, მე კი, როგორც წესი, პასუხი არა მაქვს. უფრო სწორად, მაქვს, მაგრამ ვიცი - ეს პასუხი საქართველოში ძალიან ცოტას თუ დააკმაყოფილებს.

მხოლოდ წიგნები გვიშველიან. სხვა რა უნდა ვთქვა. თუნდაც აქ ხსენებული მწერლების წიგნები.

არ გეგონოთ, ზოგად რჩევებს ვიძლეოდე - ნამდვილად არ მინდა, რომ ჩემი პასუხი მხოლოდ შვილიშვილების განათლებაზე მზრუნველ ბებიებს უამებდეს გულს, ამ შემთხვევაში გადარჩენის სავსებით პრაქტიკულ გეგმაზე ვსაუბრობ. ხომ გახსოვთ, რას წერდა ბორხესი: ის, რაც ყველაზე მეტად გაშინებს - ტექსტში უნდა ახდეს, ტექსტმა უნდა დაასწროს ცხოვრებას, ტექსტში უნდა გავიაროთ ჯოჯოხეთი, რათა ცხადში არ მოგვიწიოს იქ გავლა...

ჰოდა, მეც ვფიქრობ, იქნებ სწორედ აკა მორჩილაძის „შენი თავგადასავალის“ გამო არ შემოვიდნენ თბილისში რუსული ტანკები? ამ რომანში ხომ ტანკები ლონდონის პიკადილიმდეც კი მიაღწევენ.

ან ეგებ ზაზას „ადიბასი“ იყოს ის ადგილი, სადაც ბოლო ნაღმი აფეთქდება საქართველოში?

წაიკითხეთ ეს წიგნები - ვინც წაიკითხა, მან უკვე გაიარა თავისი კათარზისი. მე თუ არა, ბორხესს მაინც დაუჯერეთ.

**ლაშა ბუღაძე**

ჟურნალის თითქმის ყველა გვერდი ჩამობეჭდილი იყო, როცა გავიგეთ სასიხარულო ცნობა გეგა შალუტაშვილისა და ეკატერინე შველიძის ოჯახში **ძეობის** შესახებ.

ვუერთდებით ყველა მილოცვას და ჩვენც ვულოცავთ პატარა **ლაზარეს** დაბადებას მის ძვირფასს მშობლებს.

ახლოლ $19.99

# ქართული ტელევიზია და ფილმები ამერიკაში, თქვენს ტელევიზორზე

ჰირდაპირი ეთერი, ერთი კვირის ჩანაწერი; ნებისმიერ დროს ყურება, პაუზა, გადახვევა; კლასიკური, დოკუმენტური, ახალი ფილმები; ქრისტიანული და საბავშვო გადაცემები; უმაღლესი ვიდეო და აუდიო ხარისხი; უმარტივესი ინსტალაცია, ქართული მენიუ.

**www.iveriatv.com**

**1-800-959-8541**

ყურადღება!

# ერეკლე

## კაპიტანი ერეკლე ყულოშვილი

**ვახტანგ გორგასლის I და III ხარისხის ორდენოსანი, მედალი მხედრული მამაცობისთვის**

მან სამშობლოსთვის სიცოცხლე გაიმეტა, სამშობლოს მტერმა - კასეტური ბომბი მის გასანადგურებლად, სამშობლომ - ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი... დაღუპვის შემდეგ.

ერეკლე ყულოშვილი - მეოთხე ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიის მეთაური - გმირულად დაეცა ცხინვალის მისადგომებთან.

პირველად ვარ გმირის ოჯახში. რაღაც უცნაური განცდაა - თითქმის მოუხელთებელი, სენტიმენტებისგან, ჩვეულებრივი ცრემლებისგან დაცლილი, რაღაც გაუხუნარი სევდით მოსილი და ამაღლებული.

გმირზე, ერეკლე ყულოშვილზე, მისი მეუღლე - ნინო კანდელაკი მიამბობს. გვერდით ოთახში ძიძას ხელში ატატებული ნიკუშა დაჰყავს. ნიკუშა ხუთი თვისაა. მამის დაღუპვიდან 2 თვის თავზე მოევლინა ქვეყანას. ნიკუშა ცქმუტავს, ჩვენკენ იწევს, იქით, სადაც მამის გმირობის ამბებს ყვებიან. ნიკუშა უმამოდ გაიზრდება, მაგრამ მას მამის მაგალითი გაზრდის - საზღაპროდ ექნება მამის ბრძოლა და ომები.

ნიკუშას ისევე მოუყვებიან მამის გმირობას, როგორც დღეს უყვებიან აგვისტოს ომამდელ თუ აგვისტოს ომის ამბებს - დედამისს.

ნინო კანდელაკი: „ერეკლეს ძალიან კარგად ვიცნობდი. ვიცოდი მისი ჯილდოების შესახებაც, 2004 წელს მიღებული ჰქონდა მედალი მხედრული მამაცობისთვის; და ამავე წელს - გორგასლის მესამე ხარისხის ორდენი, სამაჩაბლოს მოვლენების გამო; არაერთი სიგელი და ჯილდო... ეს ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ მე ჩემი მეუღლე, როგორც სამხედრო, სწორედ ომის, მისი დაღუპვის შემდეგ გავიცანი. ხალხმა რამდენჯერმე ტელევიზიით მნახა და გაიგო, რომ ერეკლეს მეუღლე ვარ. ქუჩაში მაჩერებენ ერეკლეს ნაცნობები, მისი კურსანტები, ლექტორები, ან ვისთანაც ადრე უმსახურია, მაჩერებენ და მიყვებიან ამბებს. აი, ასეთი ქმარი გყავდაო... თვითონ ერეკლეს არ სჩვეოდა თავის დამსახურებაზე, გმირობაზე საუბარი, საოცრად თავშეკავებული და მოკრძალებული იყო, ყველას თავს აყვარებდა თავისი სითბოთი, მეგობრობით და არსად, არასოდეს, არც სუფრაზე, არც საზოგადოებაში არ უთქვამს: იცით, მე ეს ორდენი მაქვს, ან ეს გავაკეთეო“.

ერეკლე ყულოშვილი მამულის დაცვას შეეწირა, მისი დიდი წინაპარი, მღვდელი მიხეილ ყულოშვილი - სარწმუნოებას, თავი მოჰკვეთეს მაჰმადიანებმა. გმირის გმირი წინაპარი საინგილოში, ყულოშვილების საგვარეულო სასაფლაოზე განისვენებს. ერეკლე თბილისში დაიბადა, ექიმ მიხეილ ყულოშვილის ოჯახში, მაგრამ 90-იანი წლების დასაწყისში, როცა ყველაფერი აირია, როცა დიდი გამყინვარება დაიწყო, როცა თბილისს თვალთ დაუბნელდა და ათასი ჯურის ფორმირება ბრმა ტყვიებით სეტყვავდა ქალაქს, შეშინებულმა დედამ 12-იოდე წლის ერეკლე და მისი და თბილისს გაარიდა. ოჯახი რამდენიმე წელი საინგილოში ცხოვრობდა.

„უამრავ საინტერესო ამბავს მიყვებოდა, მაკვირვებდა. ჩემთვის ის სამხედრო იყო, ოფიცერი, რომელსაც, როცა სამსახურიდან ურეკავდნენ, ფეხზე დგებოდა და ისე საუბრობდა. გავიდოდა რამდენიმე წუთი და უცებ მეტყოდა, „აი, სოფელში, ბაჭიები რომ მყავდა“, ან „ბოჩოლამ რომ ფეხი იტკინა“... და უცებ ეს 30 წლის კაპიტანი პატარა ბიჭი ხდებოდა. ბავშვობაში ეზოში ასი ბაჭია ჰყავდა, ზაქს ზრდიდა, გოჭებს ზრდიდა... ერთი გოჭი ლეკვივით ჰყავდა მიჩვეული. სოფელში რომ ჩავიდოდით, ეს გოჭი მიუცუნცუნდებოდა, ფეხებთან დაუწვებოდა, ესეც ეფერებოდა, ზურგს ფხანდა, „გოჭუნა-გოჭუნას“ ეძახდა და ჭკუაზე არ იყო. ბავშვობიდანვე საოცრად მშრომელი ყოფილა, დედას გვერდში ედგა, მაგრამ ამას მისთვის სწავლაში ხელი არ შეუშლია. იცოდა ფრანგული, გერმანული, თურქული, აზერბაიჯანული, რუსული, წერდა და კითხულობდა ინგლისურადაც. საოცარი მათემატიკური ნიჭი ჰქონდა. ათასების ფარგლებში ანგარიშობდა ზეპირად. არტილერისტებს სულ სჭირდებათ გამოთვლა. პოლიგონზე კალკულატორს კი გამოიყენებ, მაგრამ ომის დროს ეს შეუძლებელია და ამიტომ ერეკლე თავის ჯარისკაცებს გონებაში თვლას აჩვევდა. რომ ჰკითხავდი, დავუშვათ, 25 787 გავყოთ 24 560-ზე, პასუხს მაქსიმუმ 20 წამში გეტყოდა. ხაზვა უყვარდა...“

როგორც ნინო მიამბობს, ერეკლემ ბავშვობაში ყველაფერი გამოსცადა, ე.წ. ქუჩაც ნახა და შრომის ფასიც იცოდა, კარგადაც სწავლობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ თავდაცვის აკადემიაში შეიყვანა მამამ. მამა-შვილის მიზნები გადაიკვეთა. შვილს შეიარაღება აინტერესებდა, მამას უნდოდა, შვილი ქუჩისთვის მოერიდებინა და ბიჭი ჯარს გაეზარდა. გაუზარდა კიდეც.

ნინო კანდელაკი: „ჩემი მშობლები მაშინ საზღვარგარეთ იყვნენ და „სკაიპით“ ველაპარაკებოდი ხოლმე. იმ დღეს, ლაპარაკი რომ დავამთავრე, რატომღაც არ გამოვედი „სკაიპიდან“, ბედისწერა იყო, ალბათ. უცებ მომდის მესიჯი: „სალამი“. ამდაგვარი მესიჯები „სკაიპში“ უამრავია, მაგრამ ჩემი ყურადღება გვარმა მიიქცია. კი, ნახევარი კახის რაიონი ყულოშვილია, მაგრამ თბილისში იშვიათად არიან. გარდა ამისა, ეწერა ერაყი, ბაღდადი... ეწერა არა, ვთქვათ, ირაკლი, არამედ ერეკლე... მეც მივესალმე და... არა აქვს მნიშვნელობა, სად შედგება შეხვედრა, მთავარია, რომ შედგეს. ხუთი თვე ვკონტაქტობდით „სკაიპით“, შემდეგ ტელეფონითაც და ჩვენი შეუღლება მანამ გადაწყდა, სანამ ჩამოვიდოდა და რეალურად მნახავდა. მე ერეკლეს დავხვდი, როგორც პატარძალი... ცხოვრებაში კიდევ უფრო უკეთესი იყო... ჩამოვიდა 21 ივნისს. არასოდეს დამავიწყდება ის წამი, იღება კარი და გამოდის ერეკლე, ჩემი მეფე ერეკლე. არ ვიცი, მერე რა მოხდა, რამდენიმე წუთი კი არა, 15-20 წუთი აქ არ ვიყავი საერთოდ, საჩუქრები ჩამომიტანა ძალიან ბევრი, მთელი პარკით, მორიდებულად მომცა, საოცრად მორიდებული ადამიანი იყო... უყვარდა სიურპრიზების, საჩუქრების კეთება, ბაღდადიდან მოახერხა და სააღდგომოდ საჩუქრად ციფრული ფოტოაპარატი გამომიგზავნა. როგორც მეუღლეები, სულ 14 თვე ვიყავით ერთად, მაგრამ

მისი ხასიათიდან და ქმედებებიდან გამომდინარე, ეს 14 თვე საუკუნის ტოლფასია. თან ამ ხნის მანძილზე უმეტესად პოლიგონზე იყო, ხან ყაზარმული, ხან სწავლებები, ხან სამსახური... არ ვიცი, რაღა დარჩა, მაგრამ იქიდანაც ახერხებდა ყურადღების მოქცევას და არ მქონდა იმის შეგრძნება, რომ ერთი თვე ერეკლე არ იყო ჩემ გვერდით. დღეში 20-ჯერ ვრეკავდით ერთმანეთთან, უცებ დარეკავდა 21-ედ, როგორ ხარო, მკითხავდა. მე ვეუბნებოდი, რომ აი, კინოს ვუყურებ, მენატრები. გენატრებიო? მკითხავდა, მაშინ გამიღე კარიო. არადა ვიცი, რომ არის ახალციხეში, 25 მთის იქით, ვაღებ კარს - დგას ტალახით დასვრილი ჩექმებით, ყვავილებით ხელში... ჩამეხუტებოდა და ისევ წავიდოდა, გამახარებდა, ძალას მომცემდა...“

6 აგვისტოს ნინომ ჩვეულებისამებრ გააცილა ქმარი სამსახურში. ერეკლემ საღამოს დარეკა და შეატყობინა, რომ შინ ვერ მივიდოდა - გორში გამოიძახეს. ტელევიზორთან ორი სული ნერვიულობს - ცოლი და ჯერაც არშობილი ვაჟი.

ნინო კანდელაკი: „ბოლოს ტელეფონით 7 აგვისტოს, ღამის 12-ის ნახევარზე ვესაუბრე. მითხრა: „ახლა აქ არ არის ისეთი სიტუაცია, რომ მეუღლეს ტელეფონით ველაპარაკო. არაფერზე ინერვიულო, შენს თავსა და ბავშვს გაუფრთხილდიო“. იმ ღამეს უკანასკნელად გავიგე ერეკლეს ხმა“...

8 აგვისტო. დილა. რუსების იერიში ცხინვალზე. ერეკლე ცხინვალის მისადგომებთანაა, ნაძვნარში, ქვეით ბრიგადასთან ერთად.

ალბათ, ხვდება, რომ ვეღარ იხილავს ვერც ცოლს, ვერც მშობლებს, ვეღარც ახლობლებს, მეგობრებს, ვაჟს, რომელსაც სულმოუთქმელად ელოდა... მაგრამ ახლა ამის დრო არაა, საარტილერიო დივიზიას მტრის მდებარეობის კოორდინატებს აწვდის. მისი მიწოდებული ყველა კოორდინატი უტყუარია. მტერი დანაკარგს ვეღარ აუდის. მოგვიანებით დოკუმენტებშიც ჩაიწერება: „მეოთხე ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიის მეთაურის, კაპიტან ერეკლე ყულოშვილის მიერ მოწოდებულმა კოორდინატებმა მტერს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა“.

ბრძოლის ველი. ერეკლე გმირულ მაგალითს აძლევს თანამებრძოლებს. გადარჩენილი ჯარისკაცების მეხსიერებაში ასე დარჩება - ფიჭვთან მუხლებზე დაშვებული, რუკითა და რაციით, კოორდინატებს გადასცემს. და მორჩა. გათავდა. იმ ადგილს ნახევარტონიანი „ისკანდერი“ (კასეტური ბომბი) დაეცა.

ცოლმა 10 აგვისტოსვე გაიგო ქმრის უკვდავების ამბავი. მაგრამ ერეკლეს ცხედრის გადმოსვენება აგვისტოს ბოლომდე ვერ მოხერხდა. მერე კი 4 თვე ცხედრის იდენტიფიცირება გაძნელდა.

„45 ცხედარი გადმოასვენეს. მათი ამოცნობა შეუძლებელი იყო. გულის სიღრმეში მჯეროდა, რომ ამ ცხედრებს შორის ერეკლეც იქნებოდა. ჯოჯოხეთური ოთხი თვე გავიარე. უმძიმესი დღეები, რომელიც ათას წლად მეჩვენებოდა. ყოველ დილით ღმერთს იმას ვთხოვდი, მეუღლის საფლავი მაინც მაღირსე-მეთქი. 9 ოქტომბერი ბედნიერი დღე იყო. დილის ცხრის ნახევარზე, მამის დაღუპვიდან ზუსტად ორ თვეში, ქვეყანას ჩვენი ბიჭი მოევლინა. ერეკლე რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ გოგო გვეყოლებოდა. როცა ექოსკოპიაზე გვითხრეს, რომ ბიჭი იყო, ვკითხე, რატომ გეგონა, რომ გოგო იქნებოდა-მეთქი. რას ვიფიქრებდი, რომ ღმერთი ასე დამასაჩუქრებდა და ბიჭი მეყოლებოდაო,- მიპასუხა. ბიჭს სახელი ერთად შევურჩიეთ - ნიკუშა. მერე მე ძალიან მინდოდა ერეკლეს დარქმევა, მაგრამ მოძღვარმა მირჩია, რაც ერეკლესა და შენ ერთად გქონდათ გადაწყვეტილი, ის დაარქვითო. ნიკუშას თუ ბიჭი ეყოლება, ღვთის წყალობით, ერეკლეს იმას დაარქმევს“.

ნოემბერში ოჯახს „დეენემის“ პასუხი მოუვიდა და გაირკვა - გმირი ერეკლე გმირების გვერდით განისვენებს მუხათგვერდში.

ნინო კანდელაკი: „ხშირად მიკითხავს: როცა მეთაური ხარ, რა ფუნქციები გაქვს-მეთქი? ვისაც ომში წავიყვან, უკან უნდა დავაბრუნოო. ეს პირობა შეასრულა. 400 კაცი წაიყვანა და 400-ივე ოჯახს დაუბრუნა. ერეკლეს დივიზიიდან, ერეკლეს გარდა, სამი ოფიცერი და მძღოლი დაიღუპა. ერეკლეს გვერდით დაეცა ალექსანდრე თანდაშვილიც, არ მოსცილდა. ერაყში გაიცნეს ერთმანეთი, სულ ერთად იყვნენ ომის დღეებში. არ მოშორდა, თორემ ერეკლეს გვერდით არ უნდა ყოფილიყო, როგორც არტილერისტი. 9 აგვისტოს დაიღუპნენ ილია ბარდაველიძე და გიორგი კირაკოზაშვილი. გიორგი კირაკოზაშვილი 9 აგვისტოს შევიდა იქ, სადაც ქართული ჯარი აღარ იყო. შეიძლებოდა, რომ არ შესულიყო, მაგრამ ის მაინც შევიდა და მოახერხა კიდეც ერთი საცეცხლე წერტილის განადგურება, მაგრამ შემდეგ სნაიპერის ტყვიას ემსხვერპლა და დაიღუპა სკოლის ეზოში. ეს 4 ოფიცერი ბრძანების გამო კი არ იყო შესული, ვალს იხდიდა სამშობლოს წინაშე, ეს იყო მათი მოვალეობა, მათი სულისა და გულის ტკივილი...“

თურმე რამდენი ალალი გული ძგერდა. თურმე ჩვენს შორის რამდენი გმირი დადიოდა. ზუსტად იმდენი - რამდენიც ბრძოლის ველზე დაეცა. ■

# ერეკლე

## კაპრალი თეიმურაზ ბერიძე

**მედალი მხედრული მამაცობისთვის**

**1974-2008**

შინდისში მტრის ალყაში მოქცეულს, სიცოცხლე სნაიპერმა მოუსწრაფა. სწორედ იქ, სადაც გმირმა ზოიძემ და მისმა ნათლიამ აიფეთქეს თავი, რომ ტყვეობაში არ ჩავარდნილიყვნენ. შინდისი შინდისფრად იმ დღეს გმირების სისხლით შეიღება. თემურ ბერიძე დაჭრილი ებრძოდა მტერს, სანამ სამიზნე არ დაადეს. 1974 წლის 17 მაისს დაიბადა ხულოს რაიონში, 2008 წლის 11 აგვისტოს კი შინდისში დაეცა.

მანანა ფუტკარაძე, მეუღლე: „ბოლოს 11 აგვისტოს დაგვირეკა. მითხრა: სამშვიდობოზე ვარ გამოსულიო, თუმცა ისიც მითხრა, მამაჩემს და ბავშვებს მიხედეო... თურმე ალყაში იყო, შინდისში. საათნახევარი ყოფილან ალყაში... მერე მითხრეს, როცა ბოლოს დაგირეკა და გითხრა სამშვიდობოს ვარო, მძიმედ დაჭრილი ყოფილა და კვდებოდაო... რკინიგზასთან ახლოს დაღუპულა.

მეუღლეს საუბარი უჭირს, დღესაც ცრემლები ახრჩობს,

**ჩვენ თანამედროვე საქართველოს გმირებს გაგაცნობთ... 2008 წლის აგვისტოში გმირულად დაღუპულ ვაჟკაცებს. ეს პროექტი „პრაიმტაიმსმა“ განახორციელა და გმირები უკვდავყო.**

# ეროვნული

## სამოქალაქო პირი
## გოგა აბრამიშვილი
## 1967-2008

როცა იხსენებს: ,,ერთმანეთი კახეთში გავიცანით, სოფელ ფიროსმანში. სტუმრად ვიყავი ჩემს ძმასთან ჩასული და გაცნობიდან 25 დღეში მომიტაცა. რომ გავიცანი, თავიდანვე მომეწონა, შეგქმენით ოჯახი. ძალიან ბედნიერები ვიყავით... წლისთავზე შეგვეძინა ვაჟი, მაგრამ წლინახევრის რომ იყო, ბავშვს წნევამ დაარტყა და მეტყველება წაართვა. იქიდან მოყოლებული მისი ფიქრი და სამომავლო გეგმები ბავშვის მკურნალობა იყო, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ბავშვისთვის გვემკურნალა. გეგმები ბევრი ჰქონდა, მაგრამ აღარ დასცალდა უბედურს... ბიჭის მერე გოგო შეგვეძინა. ძალიან მოსიყვარულე მამა იყო, ჩემზე მეტად გამოხატავდა შვილებთან სიყვარულს და ხანდახან მგონია, რომ ჩემზე მეტად შვილები უყვარდა... ძალიან უყვარდა სიურპრიზების კეთება და ამით ყოველთვის გვანებივრებდა, მეც და ბავშვებსაც.

კონტრაქტზე შესვლა 2006 წელს გადაწყვიტა. ეს გადაწყვეტილება კი თავად მიიღო. არც ვინმე ახლობელი გვყავდა, რომ ვინმეს შეეგულიანებინა და არც ნაცნობი, რომ ხელი შეეწყო. ერთ დღესაც ადგა, საბუთები შეაგროვა და განაცხადი შეიტანა. გაუმართლა და მიიღეს. მაშინვე სენაკში გადაანაწილეს. მეორე ქვეით ბრიგადაში იყო. წოდებით კაპრალი.

მისი სამომავლო გეგმებიც ჯარს უკავშირდებოდა. მართალია ბოლო პერიოდში ცოტა გადაღლილი იყო, მაგრამ სულ იმას ამბობდა, ამ კონტრაქტს რომ დავამთავრებ, კიდევ უნდა გავაგრძელოო, მაგრამ ისიც ვერ დაამთავრა და დაგვტოვა მარტო...

სანამ ომი დაიწყებოდა, ქობულეთში ვისვენებდით. სენაკიდან ჩამოდიოდა ხოლმე, ჩვენთან ხშირად იყო. ბოლოსაც ქობულეთიდან 7 აგვისტოს გავაცილე. სახლიდან, რომ გადიოდა, ორჯერ შემოტრიალდა. ბავშვები ჩაკოცნა და მეც გამომემშვიდობა. ორ დღეში დავბრუნდები, შვებულებას ავიღებ და კახეთში წავიდეთო, მაგრამ ომი დაიწყო და... იმის მერე თვალით აღარ მინახავს...

ბოლო პერიოდში ძალიან ჩაფიქრებული იყო, რომ ვეკითხებოდი რატომ ხარ ასე-მეთქი, არაფერიაო, მპასუხობდა. არაფერს ამბობდა... მეც საერთოდ არაფერს მიგრძნობდა გული, ცუდზეც არ ვფიქრობდი, სანამ ომი დაიწყებოდა, მაგრამ ომი რომ დაიწყო, მერე ძალიან შემეშინდა და რაღაც საშიშროება ვიგრძენი.

ტელეფონით 8 აგვისტოს ველაპარაკე, 9-ში ვერაფრით ვუკავშირდებოდით, დაკარგული იყო. ამ დროს ცხინვალში ყოფილა. 10-ში საღამოს დაგვირეკა, დაგვამშვიდა. უკანასკნელად კი 11-ში ველაპარაკე, ,,სამშვიდობოს ვარო“ - თურმე მტრის ალყაში ყოფილა.

გიჟივით დავიწყე რეკვა იმ სატელეფონო საუბრის შემდეგ და ვეღარ ვუკავშირდებოდი, გული ძალიან ცუდს მიგრძნობდა. რამდენიმე დღე გაურკვევლობაში და მოლოდინში ვიყავი ან ახლა დარეკავს ან ახლა-მეთქი, მაგრამ უკვე ცოცხალი აღარ იყო... 16 აგვისტოს გავიგეთ, რომ დაიღუპა. პატრიარქი რომ შევიდა მიცვალებულების გამოსაყვანად, ჩემი მეუღლეც მაშინ გადმოასვენეს. მალევე ამოიცნეს და პირდაპირ კახეთში ჩამოასვენეს.

არ არსებობს ღამე, რომ სიზმარში არ ვნახო...

ცხოვრება გრძელდება და მე ჩემს შვილებს ვჭირდები, მათ უნდა მივხედო და ბიჭს ვუმკურნალო, რომ ჯანსაღი და სრულფასოვანი ვაჟკაცი გაიზარდოს. თემური გმირია. გმირი იქნება შვილებისთვის და პირველ რიგში ქვეყნისთვის. ის წავიდა, მაგრამ დატოვა სახელი, რომელსაც კიდევ დიდი ხანი არ დაივიწყებს ხალხი.

თემური რომ გარდაიცვალა, ჩვენი პატარა გოგონა 5 წლის იყო... ბედნიერი არა ვარ, მაგრამ ამაყი ვარ, რომ გმირის მეუღლე მქვია და გმირის შვილებს ვზრდი.“

მას ომში იარაღით არ უბრძოლია. მაგრამ მთელი სიმამაცით და თავგანწირვით იბრძოლა. არაერთი დაჭრილის სიცოცხლე იხსნა და გორის სამხედრო ჰოსპიტალი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ დატოვა - ვიდრე ნაღმის ანასხლეტმა არ იმსხვერპლა...

გოგა აბრამიშვილი 1967 წელს, სიღნაღში დაიბადა. სიღნაღშივე იზრდებოდა, სკოლაც იქ დაამთავრა. ჭკვიანი და წარჩინებული მოსწავლე ყოფილა.

სკოლის დამთავრების შემდეგ, 1985 წელს, სამედიცინო ინსტიტუტში ჩარიცხულა - სამკურნალო ფაკულტეტზე. მეორე კურსიდან ჯარში გაუწვევიათ და მოსკოვთან ახლოს მსახურობდა. ჯარიდან დაბრუნებულმა სწავლა განაგრძო და სწორედ მაშინ გაიცნო მომავალი მეუღლე - ნანა გვერდწითელი.

ნანა გვერდწითელი, მეუღლე: ,,ჯარიდან რომ დაბრუნდა, ჩვენს კურსზე დაჯდა. წელიწადნახევარში დავქორწინდით. ტყუპი გოგონები შეგვეძინა, გოგას მუშაობა უწევდა. ძალიან რთულ პერიოდში გვიწევდა ცხოვრება.

შვილები რომ შეგვეძინა, არაჩვეულებრივი მამა აღმოჩნდა, ძალიან ბედნიერი იყო. ვერც ერთი ძიძა ვერ დამეხმარებოდა ისე, როგორც გოგა მეხმარებოდა, შემდეგ ბიჭიც შეგვეძინა, მამა რომ დაეღუპა თენგო 7 წლის იყო...“

გოგა აბრამიშვილისთვის აგვისტოს ომი პირველი არ იყო.

ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როცა შინიდან ომში გაეპარა მეუღლეს და 3 თვის ტყუპებს. ორჯერ ყოფილა მეგობრებთან ერთად ომში წასული.

ნანა გვერდწითელი: ,,პირველად ორი თვით იყო წასული, მეორედ სამი თვით. ღვთის წყალობით, მშვიდობით დაბრუნდა. ჩვენ ვიცოდით, რომ იქ ექიმის დამხმარედ იყო წასული, არადა, ომში ჩვეულებრივ იბრძოდა... ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კლინიკურ ორდინატურაში ჩავბარეთ, გოგამ ქირურგიის განხრით, მე გინეკოლოგიის განხრით. გოგა კლინიკაში მუშაობდა ქირურგად... ჯერ რესპუბლიკურში მუშაობდა, შემდეგ პოლიკლინიკაში, მერე გვარდიაში გადაიყვანეს... საველე სამედიცინო ბატალიონის უფროსი იყო. შემდეგ ეუთოში მუშაობდა. 2008 წლიდან გორის ჰოსპიტალში მუშაობდა ტრავმატოლოგად. ჩემი მშობლები



გორში ცხოვრობენ და გორში მუშაობისას მათთან იყო. პარასკევს მოდიოდა და ორშაბათს ისევ გორში მიდიოდა. ბოლოს 22 ივლისს იყო ჩამოსული. ბავშვები სიღნაღში იყვნენ, მეც მათთან ჩავედი და გოგაც აღარ ჩამოსულა თბილისში, ცარიელ სახლში რა გავაკეთოო...

მე ჩავედი გორში 27 ივლისს და იმ დღესვე გამოვბრუნდი. მას მერე აღარ მინახავს... ბავშვები წავიყვანე ზღვაზე და მხოლოდ ტელეფონით მქონდა ურთიერთობა, სულ გვამშვიდებდა. ჩემმა პატარა დამ აიკვიატა, გოგას დავურეკოთ და ვუთხრათ, რომ ძალიან გვიყვარსო. გამეცინა, ახლა რომ გოგას დავურეკო და ვუთხრა, მე შენ ძალიან მიყვარხარ, მთელი ცხოვრება ეყოფა საშაყიროდ-მეთქი. 11 ავგისტოს, ალბათ, დაღუპვამდე დაახლოებით ერთი საათით ადრე ყველა ველაპარაკეთ, ჩვეულებრივ გვველაპარაკა, გვამშვიდებდა - არაფერი არ ხდება, ნუ ნერვიულობთ, სრული სიწყნარეაო. გავუბრაზდი, როგორაა მშვიდობა, დაიქცა ქალაქი-მეთქი. მაინც მარწმუნებდა, არაფერი ხდებაო...

როგორც ამბობენ და გადმოცემით ვიცი, ძალიან ბევრი ადამიანი გადაარჩინა. გოგა ჰოსპიტალში დარჩა. ჩემი მშობლები ახლოს ცხოვრობენ, მაგრამ არ წავიდა მათთან. მასთან ერთად, ჰოსპიტალში ერთი ექიმი ქალი და რენტგენოლოგი იყვნენ დარჩენილი, რომელიც 12 საათზე წასულა. გოგა პატრონობდა ჰოსპიტალს, ყველაფერს უვლიდა და ყველაფერს ინახავდა. შემდეგ ჰოსპიტალში მისი 4 თუ 5 თანამშრომელი მისულა, ეზოში ჩასულა, მათთვის დავალებები რომ მიეცა, ედარაჯათ და არ გაძარცვულიყო ჰოსპიტალი. მათ რომ ესაუბრებოდა, ერთ-ერთს უთქვამს, დავწვეთ, რაღაც შრიალის ხმა ისმისო... გოგა ფეხზე იდგა და ნაღმის ნამსხვრევი მოხვდა თავში. ნაღმი ჩამოაგდეს ეზოში, შენობის სახურავზეც, მაგრამ იქ არ აფეთქდა. გოგამ ჩააბნელა თვითონ ჰოსპიტალი, სინათლე არსად ენთო და ძალიან გაუჭირდათ დანახვა, ვინ დავარდა...

ეს ამბავი დილით გავიგე. დამირეკეს, ცუდადაა და სიღნაღში მოგვყავსო.

ყველაფერი გასაგები იყო... უბრალოდ, ხავსს ვებღაუჭებოდი, ვფიქრობდი, დაჭრილია და, ალბათ, არსად ადგილი არ არის და ამიტომ მიჰყავთ ნაოპერაციები სიღნაღში-მეთქი. ყველამ იცოდა, რომ გოგა აღარ იყო, მხოლოდ მე და ჩემმა შვილებმა არ ვიცოდით... ბოლო მატარებლით ჩამოვედით, რადგან მას შემდეგ დაზიანდა ლიანდაგი... საღ ჭკუაზე რომ ვყოფილიყავი, ბავშვებს არ წამოვიყვანდი, მთელი გზა იბომბებოდა...

თენგო სულ იმ ოთახში იყო, სადაც მამა ესვენა, არ გადიოდა. ძალიან ემოციური ბავშვია, მაგრამ ამ ემოციებს არ გამოხატავს. მე და ჩემს დედამთილს ტირილის უფლებას არ გვაძლევდა... ჩემი ახლობლები სულ ცდილობდნენ მის ბავშვებთან გაყვანას. როგორც კი ოთახში შემობრუნდებოდა, არ გვაძლევდა ტირილის საშუალებას... დღესაც, როდესაც გოგაზე ვლაპარაკობ, ტირილის უფლება არა მაქვს...

ძალიან ჰგავს გოგას თვისებებით და როდესაც შევამჩნევ, რომ რაიმე საქციელის დროს ძალიან ჰგავს  და ამას აღვნიშნავ - უბედნიერესია, ძალიან უხარია და ეს მომენტი ძალიან ხშირადაა. თენგო, მამის სურვილის გამო, ძიუდოზე შევიყვანეთ...

ცხრამეტი წელი ვიცხოვრეთ მე და გოგამ ერთად. დღესაც არ მაქვს გაცნობიერებული, რომ გოგა ჩემს გვერდით არ არის. ეუთო, გორის ჰოსპიტალი, თითქოს მივეჩვიე, რომ წასული იყო და შემდეგ ისევ ბრუნდებოდა. ვერ გეტყვით, რომ არარეალური ადამიანი ვარ და ზღაპრებში ვცხოვრობ, მაგრამ მინდა, ასე იყოს“

ამ ცოტა ხნის წინ, ოკეანის თავზე ხანგრძლივი ფრენის დროს ამეკვიატა კითხვები: ვინ იყო ყველაზე მხიარული ადამიანი, ვინც კი ცხოვრებაში შემხვედრია? ან კიდევ უფრო საინტერესო: ვინ იყო ყველაზე სერიოზული კაცი, რომელიც ცხოვრების გზაზე ოდესმე შემხვედრია? არც ისე მარტივი კითხვები აღმოჩნდა. თუმცა, „მხიარულებში“ ნომინაციებიც შედარებით ადვილად განაწილდა და გამარჯვებულიც იოლად გამოვლინდა - ფრენის მეორე თუ მესამე საათზე გაიმარჯვა ჩემმა დაუვიწყარმა პედაგოგმა, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში საუკეთესო ლათინისტმა, იონა მეუნარგიას შვილიშვილმა, ირაკლი შენგელიამ, რომელსაც ბავშვობა და ახალგაზრდობის საუკეთესო წლები ყაზახეთის გადასახლებასა და გულაგში ჰქონდა გატარებული და რომლის ფილოსოფიური ბონვივანობა, განსაკუთრებული, სპეციფიკურად ქართული მხიარულება, რომელიც, როგორც უჩვეულო და გამორჩეული ფენომენი, ასე კარგად აღწერა ირაკლი შენგელიას კონკურენტმა ამავე ნომინაციაში, დაუვიწყარმა მერაბ მამარდაშვილმა, ცალკე გამოკვლევას იმსახურებს.

განსაკუთრებული რიგი დადგა „ყველაზე სერიოზულის“ ნომინაციაში. აქ თავისი ადგილები დაიკავეს, ერთი მხრივ, ჩემმა ერთადერთმა გაუცინარმა პედაგოგმა, გრიგოლ ხანძთელის სპეციალისტმა და მისმა სულიერმა კლონმა (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის, იოლად საცნობი პროფესორია); მეორე მხრივ, ჩემმა უსიტყვო პარიკმახერმა, რომლის ოჯახშიც 1915 წლის შემდეგ არ გაუცინიათ; მესამე მხრივ, ჩემმა პირქუშმა მეზობელმა, რომელმაც მეზობელს „გამარჯობა“ უკანასკნელად ოცი წლის წინ უთხრა და, მეოთხე მხრივ, ჩემმა თანაზონელმა პოლიტიკურ ბანაკში, იური ბაძიომ. და ფრენის მეათე საათზე სერიოზულობის „გრემი“ და „ოსკარი“ სრულიად დამსახურებულად მიენიჭა იური ვასილის ძე ბაძიოს, მტკიცე პოლიტპატიმარს, შიმშილობისა და პატიმართა უფლებებისთვის ბრძოლის პრომეთეს, უკრაინის დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელს და პირველ თავმჯდომარეს.

იური ბაძიო 1936 წლის 25 აპრილს დაიბადა, 1958 წელს დაამთავრა უჟგოროდის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1964 წელს კი უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურა; მუშაობდა ზაკარპატიეს რამდენიმე სკოლაში მასწავლებლად; ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას; იყო შემოქმედებითი ახალგაზრდობის კლუბის წევრი. ხრუშჩოვისეული „ოტტეპელის“ დროს კომუნისტურ პარტიაში შევიდა, მაგრამ სხვადასხვა დისიდენტურ აქციაში მონაწილეობის გამო, 1965 წელს გარიცხეს პარტიის რიგებიდან და „ბუნებრივად“ ჩამოართვეს მასწავლებლობის უფლება.

საკუთარი პროფესიით მუშაობის უფლება რომ დაკარგა, მტვირთავად მოეწყო პურის მაღაზიაში. ამავე პერიოდში დაიწყო იატაკქვეშა მოღვაწეობა, სამიზდატის გავრცელება და ა.შ. 1972 წლიდან მუშაობდა თავისი ცხოვრების მთავარ წიგნზე - „სიცოცხლის უფლება“. 1977 წელს, როდესაც წიგნი უკვე პრაქტიკულად დასრულებული იყო, საბჭოთა უშიშროებამ ხელნაწერი მიგზავნილი „საყვარელი“ ქალის ხელით მოიპარა და ხანგრძლივი დეპრესიის, სასტიკი გულგატეხილობის შემდეგ ბაძიომ მისი ხელახლა წერა დაიწყო.

დისიდენტური მოღვაწეობისთვის დაატიმრეს 1979 წელს. სასამართლომ მას 70-ე მუხლის მაქსიმუმი, შვიდი წელი კოლონია და ხუთი წელი გადასახლება მიუსაჯა. სასჯელს იხდიდა დუბრავლაგში, ჩვენს საყვარელ პოლიტიკურ ბანაკში.

ბარაშევოს პოლიტიკურ ბანაკში რომ მოვხვდით, ჩემი და დათოს პირველი შთაბეჭდილება იყო, რომ რაღაც გარდამავალ სადგურში შევედით (იქნებ ეს იყო საიდუმლოთი მოცული ადგილი, რომელსაც ეტაპირების საშუალედო, ე.წ. პერესილკის ციხეებში კარანტინად მოიხსენებდნენ გამოცდილი პატიმრები?). In primo specie, ანუ პირველი შეხედვით, ბარაშევო არანაირად არ შეესაბამებოდა ჩვენს წარმოდგენებს პოლიტიკურ ზონაზე. პირველი, რაც თვალში მოგვხვდა, იყო წითელი ვარდები, ე.წ. „დამხვედრი კომისია“ და ძალიან სერიოზული კაცი, რომელსაც ჩვენკენ არც გამოუხედავს, რომელსაც მერხზე მაგიდის საათი ედო და თავდავიწყებით მუშაობდა: ორი წიგნი ჰქონდა გადაშლილი და რაღაცას გამალებით წერდა და წერდა.

დამხვედრმა კომისიამ თავისი ტრადიციული კითხვების დასმა დაიწყო და ჩვენც გვქონდა შემხვედრი კითხვა იმ კაცზე, რომელიც თავაუღებლად მუშაობდა. გიორგი ხომიზურმა გვითხრა, - იური ბაძიო ჰქვია, უკრაინელი სოციალ-დემოკრატია, კარგი კაცია, მაგრამ მუშაობის დროს მასთან დალაპარაკება კი არა, სამ ნაბიჯზე მიახლოებაც კი არ შეიძლებაო. ახლა თავის წიგნზე მუშაობს, რამდენიმე წუთის შემდეგ შესვენების გარეშე გადავა ინგლისური ენის შესწავლაზე და ზუსტად 45 წუთის შემდეგ ასევე შესვენების გარეშე გადავა გერმანულზეო. დროის მდინარებას კი ამცნობს მაღვიძარა, რომელსაც საგანგებოდ დაბალ ხმაზე აყენებს ხოლმეო.

- საათი საიდან აქვს, ზონაში საათი შეიძლება? - ვიკითხე მე და გული დამწყდა, ერთი საათი როგორ არ მაქვს-მეთქი.

- არა, საათი არ შეიძლება. მაგ ერთი საათისთვის ბაძიომ 675 საათი ანუ ზუსტად ოთხი კვირა და სამი საათი იშიმშილა. დიდი საქმე გააკეთა, მაღვიძარიანი საათი ბრძოლით მოიპოვა და ისიც ყოველ 45 წუთში პატიოსნად ატყობინებს, რომ სამუშაო ფრონტი უნდა შეცვალოს: პარტია-ფილოსოფია-ინგლისური-გერმანული. რომელიღაც მომენტში თუ დაგაინტერესებს, რომელი საათია, სამი ვარიანტი გაქვს: ან ბაძიოს საათს უნდა შეხედო შორიდან, ან ბარაკში შეხვიდე და რადიოს დაუგდო ყური (სულ მალე მთელი მაგათი განრიგი ზეპირად გეცოდინება), ან ანდერსონთან უნდა შეიარო ბიბლიოთეკაში და ის ორიგინალური „ბალახის საათით“ გეტყვის ზუსტ დროს. უკიდურეს შემთხვევაში, შეგიძლია არკადი დუდკინს მიმართო, წელიწადს ნუ ჰკითხავ და საათი არ ეშლება.

ასე „გავიცანით“ შორიდან ზონაში ჩასვლის პირველსავე დღეს იური ვასილის ძე ბაძიო. მის გამხდარ და ფერმკრთალ სილუეტს ახლაც ვხედავ და ყოველთვის მახსენდება, როდესაც რაიმე აუცილებლის გაკეთება მეზარება, მაგრამ მაინც აუცილებლად უნდა მოვკიდო ხელი.

რუსების შემდეგ პოლიტიკურ ბანაკში ყველაზე ფართოდ უკრაინელები იყვნენ წარმოდგენილი: უჟგოროდელი სოციალ-დემოკრატი იური ვასილის ძე ბაძიო, ივანო-ფრანკოვსკელი მასწავლებელი და განათლების სისტემის რეფორმატორი ვასილი სტეფანეს ძე სტრილცევი, კიეველი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვლადიმერ პეტრეს ძე დელედივკა, დნეპროპეტროვსკელი ინჟინერი გრიგორი ფოკას ძე ნიჩიპორენკო, ჟიტომირელი მასწავლებელი დიმიტრი დიმიტრის ძე მაზური, კიევის ოლქის სოფელ ივანივკელი მაიორი გრიგორი პეტრეს ძე კუცენკო და ბევრი სხვა.

უკრაინის უშიშროებას იმ პერიოდში თავისი სისასტიკით და უცნაური გვარით სახელგანთქმული სტეპან ნესტერის ძე მუხა ხელმძღვანელობდა და თანამემამულე დისიდენტებისთვის სასჯელს არ იშურებდა, ჩემ მიერ ჩამოთვლილ თითქმის ყველა პატიმარს სამოცდამეათე (უკრაინული სისხლის სამართლის კოდექსის სამოცდამეორე) მუხლით სასჯელის მაქსიმუმი ჰქონდა მისჯილი, სახელგანთქმული „შვიდს პლუს ხუთი“ (შვიდი წელი კოლონია და ხუთი წელი გადასახლება).

უკრაინელი პატიმრების 100% ნაციონალისტი იყო ანუ უკრაინის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა; გამონაკლისს შეადგენდნენ მხოლოდ უკრაინელი რუსები (კიეველი ფრიდრიხ ანუ ფრედ ფილიპეს ძე

ანადენკო და ოდესელი პეტრე ალექსანდრეს ძე ბუტოვი). უკრაინელები ერთმანეთთან განსაკუთრებით ახლოს იყვნენ, ერთმანეთს პატრონობდნენ, უვლიდნენ და უკანასკნელ ლუკმას უყოფდნენ. რუსებისგან განსხვავებით, ბარაშევოელ უკრაინელებს აშკარა და გამოკვეთილი ლიდერი ჰყავდათ, თითოეული მათგანი აღიარებდა იური ბაძიოს ავტორიტეტს, რომელიც მას დიდ და პატარა ზონაში, ანუ გარე და შიდა ზონაში (თავისუფლებასა და პატიმრობაში) გმირულ ბრძოლაში ჰქონდა მოპოვებული.

ზონაში მოხვედრისთანავე ბაძიომ წერილების წერა დაიწყო უკრაინულ ენაზე. ქალბატონი ცენზორი განიჩენკო, რომელსაც უკრაინელი ქმარი ჰყავდა, ცხოვრების მეტი წილი დასავლეთ უკრაინაში ჰქონდა გატარებული და უკრაინული ენა მშვენივრად იცოდა, ბაძიოს ყველა წერილს უკან უბრუნებდა ცინიკური წარწერით, „გაუგებარი ენა“. ბაძიო უკან არ იხევდა და ისევ უკრაინულად წერდა. ის ამბავი, რომ ბაძიოს ცოლ-შვილს მისი წერილები არ მისდიოდა, განიჩენკოს არ აღელვებდა, წაიკითხავდა ბაძიოს მოცულობით წერილს, მიაწერდა, - გაუგებარი ენაო, - და უკან დაუბრუნებდა. ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე უკვე პერესტროიკის ხანაში ქართველების წამოწყება - მშობლიურ ენაზე წერილების წერა - წარმატებით არ დაგვირგვინდა და ბარაშევოდან დაიწყო უკრაინული, ლიტვური, ლატვიური, ესტონური თუ სომხური წერილების გმირული სვლა ადრესატებამდე.

როგორც კი ნაციონალურ ენებზე წერის უფლება გამოცხადდა, იური ბაძიო ჩვენთან მოვიდა, ორი ნაჭერი უკრაინული „სალა“ და კიევიდან გამოგზავნილი ნამდვილი შავი პურის მოზრდილი ნაჭერი მოგვიტანა, მაგარი ჩაით ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლის სადღეგრძელო უკრაინულად წარმოთქვა და გვთხოვა, საპასუხო სადღეგრძელო ქართულად გვეთქვა. სადღეგრძელოს მოსასმენად უკრაინული დელეგაცია სრული შემადგენლობით გამოცხადდა. ბუნებრივია, ქართველებიც იქვე გაჩნდნენ. ათი წლის ასაკიდან ქართულ სუფრაზე გაზრდილი კაცი ვარ (ათი წლის რომ ვიყავი, ბიძაჩემი თავის საძმაკაცოში თამადად მნიშნავდა და გრძელ-გრძელ სადღეგრძელოებს მათქმევინებდა ხოლმე) და, ბუნებრივია, ბევრი ცუდი, გაცვეთილი, არაგულწრფელი და მხოლოდ რამდენიმე კარგი სადღეგრძელო მითქვამს, მაგრამ, მჭევრმეტყველებით, ბარაშევოში უკრაინელების წინაშე ქართულად ნათქვამ სადღეგრძელოს ვერც ერთი ვერ შეედრებოდა: იმოდენა სადღეგრძელო იყო, რომ ჩაი გაცივდა, სტრილცევი აღელვებისგან ცუდად გახდა და ნიჩიპორენკომ ცრემლები მოიწმინდა. იმ დღიდან ვიცოდით, რომ ბაძიო ჩვენი მეგობარი იყო, თუმცა ამას მისი დღის წესრიგი არ შეუცვლია.

ბარაშევოს პოლიტიკური ბანაკის სამეცნიერო წრის ხელმძღვანელის, ვადიმ იანკოვის წამოწყება სტაბილურად დამკვიდრდა: ყოველკვირეული ლექციების ციკლი ხან ეროვნულ კულტურებს ეხებოდა, ხანაც პოლიტიკურ თეორიებს. ამ სემინარებზე ბაძიომ წაიკითხა მოხსენება პარტიული მშენებლობის შესახებ, რომელშიც წარმოადგინა კომუნისტური პარტიის ანტიპოდის, მის მიერ ჩამოსაყალიბებელი უკრაინის დემოკრატიული პარტიის პორტრეტი.

ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენს „ყოვლისმცოდნე“, განსაკუთრებით, ახალგაზრდა თეორეტიკოსებს არ აქვთ საშუალება ბაძიოს ამ ზეპირ მოხსენებას გაეცნონ. მოხსენება-მეთქი, ვთქვი, მაგრამ, სინამდვილეში, ეს იყო იონ-სოკრატული დიალოგი, რომელშიც სოკრატეს როლი - ბაძიომ, ხოლო გულუბრყვილო და თვითდაჯერებული იონის როლი მე შევასრულე.

- საღამო მშვიდობისა, საყვარელო ათენელო ხალხო, საღამო მშვიდობისა, იონ, საღამო მშვიდობისა ჩვენი სიმშვიდის მცველებო, ბატონო ვერტუხაებო ანუ ზედამხედველებო, უკაცრავად, კონტროლიორებო, - მშვიდად დაიწყო ბაძიო-სოკრატემ.

- კიდევ კარგი, რომ ჩვენს ზედამხედველებს შენი არ ესმით, ჩემო სოკრატე, - შეეკამათა სიტყვა იონ-ლევანმა.

- ჩემი არ ესმით, თუ ჩემი არ ესმით? - ცბიერად იკითხა სოკრატემ და ორ „არ ესმითში“ სრულიად განსხვავებული ინტონაციები ჩადო.

- არც ესმით და არც ესმით, - არ ჩამორჩა ირონიაში დიდ მასწავლებელს იონი.

- მთავარია, შენ ხომ გესმის, ჩემო იონ. მაშ, შენ ამბობ, რომ მეგობრებთან ერთად ასე ახალგაზრდამ პოლიტიკური პარტია შექმენი?

- დიახ, ჩემო სოკრატე, ხალხი და „წმინდა წერილი“ ანუ საბრალდებო დასკვნაა მოწმე, რომ საქართველოს რესპუბლიკური პარტია ოთხმა კაცმა შევქმენით და ამ პარტიის შემოქმედთა საშუალო ასაკი 22,5 წელია, - სწრაფად ვიანგარიშე ოთხი დამფუძნებელი წევრის საშუალო ასაკი 1978 წლის 21 მაისისთვის.

- შესანიშნავი ასაკია ფეხბურთის სათამაშოდ, - პირველი კბენა განახორციელა ერთი შეხედვით უწყინარმა სოკრატემ.

- ვაპროტესტებ, ძვ.წ. მეხუთე საუკუნეში ფეხბურთი არ იყო, - აღელდა ერთერთი „ათენელი“ ჟორა ხომიზური, რომლის ცოდნა ფეხბურთში, მგონი, სწორედ ამ და იმ ფაქტით ამოიწურებოდა, რომ ერთხელ თბილისის „დინამომ“ ერევნის „არარატს“ ათი კაცის შემადგენლობით 4:1 მოუგო გასვლაზე, ერევნის სახელგანთქმულ „რაზდანის“ სტადიონზე.

- სიწყნარე აგორაზე, - მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას სოკრატემ, - ვასწორებ: შესანიშნავი ასაკია ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისთვის, მაგრამ არა სერიოზული პოლიტპარტიის შესაქმნელად.

- ასეა თუ ისე, პარტია შევქმენით და სახელმწიფო მანდატურებმა პატივი გვცეს, სასჯელი სწორედ ამისთვის დაგვადეს, - მოკრძალებულად განაცხადა იონმა.

- რა მიზანს ისახავს თქვენი პარტია? - დაინტერესდა სოკრატე.

- კომუნისტური წყობის დასრულებას, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას და დემოკრატიის დამკვიდრებას, - თამამად ჩამოაყალიბა ნორჩი პოლიტიკური პარტიის მოკრძალებული პროგრამა.

- ეს ბერძენი კაცი საქართველოსთვის რამ გადაგრია? - იკითხა არაბუნებრივმა და გაუცინარმა სოკრატემ.

- დიდი სოკრატე თუ დიდი უკრაინისთვის იღწვის, პატარა იონმა და პატარა საქართველომ რაღა დაუშავეს?

- მაშ, სამივე, არა? დეკომუნიზაციაც, დამოუკიდებლობაც და დემოკრატიაც? - იკითხა აუღელვებელმა სოკრატემ.

- დიახაც, ღმერთი სამობითაა!

- ჩვენ, ბერძნებს, სამი კი არა, სამი ათასი ღმერთი გვყავს, მარტო ოლიმპიელი თორმეტი გვყავს, რომ არაფერი ვთქვათ არაოლიმპიელ და სხვა ღმერთებზე, - ერთარსება სამი ჯერ არ დაბადებულა, უფრო სწორად, ჯერ არავის უთქვამს, რომ დაიბადა.

- ნუ დავწვრილმანდებით, სოკრატე.

- მაგ ნათელ მიზნებს რომ მიაღწევთ, კომუნისტური წყობა რომ დაემხობა, საქართველო დამოუკიდებელი და დემოკრატიული რომ გახდება, პარტიას გააუქმებთ? - იკითხა სოკრატემ.

- გაიმეორე, ჩემო სოკრატე!

- მშვენივრად გაიგე, რაც გკითხე.

- გაგებით როგორ არ გავიგე, მაგრამ ყურს სიამოვნებს ეს ოქროს სიტყვები.

- კომუნისტები არ არიან, საქართველო გაეროს წევრია, რეგულარურად ტარდება პატიოსანი არჩევნები, - პატიოსნად დახატა ფუტურუმი სოკრატემ, - ამ დროს რას შვრება საქართველოს რესპუბლიკური პარტია? თვითლიკვიდაციას აცხადებს, თუ მიზნებს იცვლის? პირდაპირ მიპასუხე, ჩემო იონ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე.

- მიზნებს იცვლის, - იოლად დაეთანხმა თავისუფლების და დემოკრატიის ციდან ჩამოვარდნის ნაყოფიერ იდეას გამოუცდელი იონი.

- და ახალ მიზნებს ისახავს? - გულუბრყვილოდ იკითხა სოკრატემ.

- დიახაც, ახალ ვითარებაში ახალ მიზნებს ისახავს, - არ დაიბნა იონი.

- ხომ არ აჯობებდა, თავიდანვე ის „ახალი“, შორეული მიზნები დაგესახათ, იონ? - შეპარვით იკითხა სოკრატემ.

- დაიჭირა, დაიჭირა, - ვერ დამალა აღფრთოვანება ერთ-ერთმა „ათენელმა კაცმა“, ვადიმ იანკოვმა.

- პოლიტიკური პარტია არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც საკუთარ თავს უსახავს სახელმწიფო ძალაუფლების დაუფლების, მისი შენარჩუნებისა და ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფენის ინტერესებისთვის სახელმწიფო აპარატის გამოყენების ამოცანას. ის მონაწილეობს საარჩევნო კამპანიებში, ეწევა საგანმანათლებლო-პროგრამულ საქმიანობას, გამოხატავს პოლიტიკურ პროტესტს. ასე არ არის, ჩემო იონ? - იკითხა სოკრატემ.

- ამომწურავ განმარტებას ჰგავს, ჩემო სოკრატე, სახელგანთქმული „ბრიტანიკის“ რედაქტორებსაც კი შეშურდებოდათ შენი, ოღონდ, ერთი შეხედვით, შენი დეფინიცია ყველა პოლიტიკურ სისტემას არ შეესაბამება.

- მესმის, ჩემო იონ, შენ ახლა იტყვი, რომ ერთპარტიულ პოლიტიკურ სისტემაში პოლიტიკური პარტია პროტესტს არ გამოხატავს. ამის თქმა გსურდა? - თვალების მოჭუტვით იკითხა სოკრატემ.

- ჩემს გულში ზიხარ, საყვარელო სოკრატე, - არ დამალა აღფრთოვანება იონმა.

- მოდი, შევთანხმდეთ, საყვარელო იონ და ათენელო კაცებო, რომ ერთპარტიული სისტემა პოლიტიკური სისტემა კი არა, პოლიტიკური საპყრობილეა, რომელშიც სხვა პარტიები აკრძალული, დაპატიმრებული ან კულტურის მუშაკებად ან კიდევ დოსაფად გადაღებილები არიან. პრიმიტიული პოლიტიკური სისტემა, როგორც ისტორიული დრამა, იწყება მეორე სრულუფლებიანი პოლიტიკური პარტიის გაჩენით და მთავრდება განვითარებული პოლიტიკური სისტემის - მრავალპარტიული, პლურალისტური პოლიტიკური გარემოს, სრულფერადოვანი პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბებით.

- კარგია, ზედამხედველებს რომ არც ესმით (ყურს არ გიგდებენ) და არც ესმით შენი (გულთან ახლოს არ მიაქვთ შენი სიტყვები), ძვირფასო სოკრატე. სულ ცოტა, დამატებით რვა წელიწადს „ქაჩავს“ შენი სახელმწიფო-სამართლებრივი თეორია, - გულუხვად გაიმეტა ახალი განაჩენი სოკრატესთვის იონმა.

- სულ ხუთი ტიპის იდეალური პარტია არსებობს, - არ ცხრებოდა ტრადიციული ბერძნული მჭევრმეტყველების ეშხში შესული სოკრატე, - ელიტის პარტია, სახალხო-მასობრივი პარტია, ეთნიკური მიმართულების პარტია, საარჩევნო გაერთიანება და ამა თუ იმ მოძრაობის პარტია. თითოეულ მათგანს თავისი განაყოფი აქვს, მაგალითად, საარჩევნო გაერთიანებები იყოფა ინდივიდუალურ, უმრავლესობის პარტიად (ინგლ. catch-all), ან პროგრამულ გაერთიანებად. ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტია უმრავლესობის პარტიაა, ხოლო ამერიკის რესპუბლიკური პარტია პროგრამული გაერთიანებაა. ახლა მიპასუხე, ჩემო იონ, თქვენი პირმშო, საქართველოს რესპუბლიკური პარტია რომელი იდეალური ტიპის პარტიაა?

- ამაზე არასოდეს მიფიქრია, ჩემო სოკრატე, მაგრამ ახლა რომ ვუყურებ, შემიძლია ვთქვა, რომ არც სახალხო-მასობრივი პარტიაა, არც ვიწრო ეთნიკური მიმართულებისაა და არც საარჩევნო გაერთიანებას წარმოადგენს, რადგან შორია არჩევნებამდე საქართველოში. თუ მეტი პარტია არ არსებობს (როგორ შემიძლია ეჭვი შევიტანო შენს ანალიზში?!) გამოდის, ელიტის პარტია ყოფილა.

- ესე იგი, გესმის, რომ ძნელი გზა გელით, სანამ ნაციონალურ მხარდაჭერას მოიპოვებთ. კარგი ისაა,რომ სუბსტანციურად პლურალისტული გაერთიანება ჩამოგიყალიბებიათ. ორმოცი წლის შემდეგ გექნებათ პირველი ნამდვილი წარმატება.

- რა ამბავია, სოკრატე, ცოტა მოუკელი, - სული დაეხუთა ორმოცწლიანი პერსპექტივით იონს.

- თუ კარგად არ მოიქცევი, მოვუკლებ კი არა, მოვუმატებ. მეტ-ნაკლებად დემოკრატიულ გარემოს ვხედავ ოქტომბრის გადატრიალების ასი წლისთავისთვის, 2017 წლისთვის. რამდენი წლის იქნები მაგ დროს?

- სამოცდაათხის, ჩემო სოკრატე. ეს რიცხვი არ მომწონს, დიდო ადამიანო, თავის დროზე ჯონ ლენონმა იმღერა, მაგდენის ვიქნებიო და იმ ავადმყოფმა მარკ დევიდ ჩეპმენმა გაცილებით უფრო ახალგაზრდა, 40 წლისა მოკლა.

- უნდა თქვას, რომ ამბიციებისთვის ჯიბეში არ ჩაიყოფ ხელს, ჩემო იონ, - განაცხადა თვითაღიარებულმა „ზონის ნომერმა პირველმა ბიტლომანმა“ სოკრატემ, - მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ, ჯერ ერთი, ეს სიმღერა პოლმა დაწერა და არა ჯონმა, ეს, სხვათა შორის, პოლის პირველი ხუთი სიმღერიდან ერთ-ერთია. რაც შეეხება პოლ მაკარტნის, მადლობა ღმერთს, ცოცხალია და სამოცდაოთხს კი არა ასოთხსაც მიაღწევს. შენ თაყვანისმცემელი არ მოგკლავს. თაყვანისმცემლებმა, თუკი ასეთები გეყოლება, შეიძლება გული გატკინონ, მაგრამ არ მოგკლავენ. კიდევ გექნება დრო, შენი ქვეყნის სილამაზით, თავისუფლებით და დემოკრატიით დატკბე, პენსიონერი რომ იქნები.

- მანამდე ძალიან დიდი დროა.

- პარტიის ფინანსებზე მინდა დაგელაპარაკო, იონ. ამოდენა პარტიას რომ ქმნიდით, ამ საკითხზეც დაფიქრდებოდით.

- პარტიის დაფინანსება შედგება საევროსა და თანამგრძნობი მოქალაქეების შემოწირულობებისგან, - განაცხადა იონმა და გაიხსენა, რა გასაჭირი ადგა ყოველთვის, როცა საწევრო დისციპლინაზე ალაპარაკდებოდა მშობლიურ პარტიაში.

- სულ რამდენი წევრი გყავთ პარტიაში? - მოითხოვა კონფიდენციალური ინფორმაციის გასაჯაროება სოკრატემ.

- დავუშვათ, სამასი.

- საწევროსთვის რა თანხა გაქვთ განსაზღვრული?

- დავუშვათ, მანეთი.

- სამასი წელი გავა, სანამ სამასი კაცისგან თითო მანეთის აკრეფას შეძლებთ, ენდე ჩემს მწარე გამოცდილებას, ახალგაზრდა იონ. შემოწირულობების იმედი გაქვს?

- ცალკეული თავისუფალი ბიზნესმენი შემოგვწირავს, ჩემო სოკრატე.

- მაგ ნაწილშიც დიდად იმედიანად ნუ იქნები, ჭაბუკო.

- აბა რა ვქნათ, ამხანაგ სტალინივით ბანკი გავძარცვოთ? - აღელდა პარტიული ფინანსების გარეშე დარჩენილი იონი, რომელმაც კარგად იცოდა, რომ ამხანაგი სტალინი არა მარტო ბანკებს ძარცვავდა, არამედ პოლიტიკურ გადასახლებაში კრიმინალებს ეყრდნობოდა პოლიტიკურ მეტოქეებთან ბრძოლაში, რაშიც პარტიულმა მეგობრებმა არაერთხელ დასდეს ბრალი.

- და მშობლიურ სახელმწიფოს რატომ ათავისუფლებ ამ პასუხისმგებლობისგან, ძვირფასო იონ? ვითომ რატომ არ უნდა გადაუხადოს სახელმწიფომ ამა თუ იმ მეტნაკლებად სერიოზულ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც არჩევნებში შედეგს აჩვენებს და გარკვეულ, კანონის მიერ წინასწარ დადგენილ ბარიერს გადალახავს, ფული სახელმწიფო ბიუჯეტის სპეციალური მუხლიდან, რომელიც პლურალიზმის განვითარებას მოხმარდება? - იკითხა სოკრატემ და ათენელი კაცების სერიოზული მღელვარება გამოიწვია.

- რა უტოპიაა! - გულწრფელად აღელდა ვადიმ იანკოვი. - ასეთ რამეს მე ვერ მოვესწრები!

- მართლაც, რუსეთში ეგ როდის იქნება, ჩემთვისაც უცნობია, მაგრამ უკრაინის და, განსაკუთრებით, საქართველოს ბიუჯეტს ეს არ დაამძიმებს, ამაში დარწმუნებული ვარ. პარტიების სტაბილურობა და უცხოეთისგან, მაგალითად, რუსეთისგან, როგორც ყოფილი მეტროპოლიისგან დამოუკიდებლობა საქართველოს და უკრაინისნაირმა სახელმწიფომ თავისი ბიუჯეტით უნდა უზრუნველყოს, ეს მის ინტერესებში იქნება და ოდესმე ჩვენს ნიადაგზეც აღმოცენდება ისეთი სახელმწიფო, რომელიც თავის ინტერესებზე იზრუნებს.

ეს სოკრატული დიალოგი დრამატულად განვითარდა, მოვარდნენ რატომღაც განრისხებული მთვრალი ზედამხედველები, ტრიმაზკინი, ტრიფონოვი და კისელიოვი, დიალოგის უშუალო მონაწილეებს, სოკრატესა და იონს, ასევე არბიტრ იანკოვსა

და ჟორა ხომიზურს 15-15 დღე საჯარიმო იზოლატორი გამოუცხადეს და სახელგანთქმულ „ბერძნებს“ თავისი სახელმწიფოებრივი თუ ანტისახელმწიფოებრივი დიალოგის დასრულება უკვე საჯარიმო იზოლატორში, ანუ შიზოში მოუწიათ.

ამ რამდენიმე ხნის წინ თბილისში ერთ-ერთი პოლიტიკური შიმშილობის დროს მოშიმშილეები ცუდად რომ გახდნენ, თითქმის მთლიანად აღმიდგა მეხსიერებაში დიდი ხნის დავიწყებული იური ბაძიოს შესანიშნავი ნაშრომი „პოლიტიკური შიმშილობის პრინციპები“,რომელიც ხელნაწერში მაქვს წაკითხული (მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მაწვალებდა უკრაინული ენა და ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობის დასადგენად ხან ვალოდია დელედივკასთან გავრბოდი და ხანაც გრიშა ნიჩიპორენკოსთან). ამ,მე ვიტყოდი,უკვდავი ნაშრომის, პოლიტიკური პროტესტის ამ ერთ-ერთი ქმედითი იარაღის სახელმძღვანელოს ძირითადი დებულებები მრავალგზისი და მრავალდღიანი სველი თუ მშრალი შიმშილობის დიდოსტატ პატიმარს საკუთარ თავზე ჰქონდა გამოცდილი.

ბაძიოს მიხედვით, შიმშილობა, ანუ როგორც იგი მას ახასიათებდა, „არაძალადობრივი ბრძოლის დედოფალი“ სულ სამი სახისაა, ჩვეულებრივი (ნებისმიერ საკვებზე უარის თქმა), მშრალი (საკვებთან ერთად წყალზე უარის თქმაც) და ნაწილობრივი (თითქმის ყველაფერზე უარის თქმა, მაგალითად, მხოლოდ „ცოტა პურსა და წყალზე“ გადასვლა ან გარკვეულ საკვებზე უარის თქმა, მაგალითად, „სახელმწიფო პროვიზიაზე“ უარის თქმა და მხოლოდ ნათესავების მიერ გამოგზავნილი ამანათებით დაკმაყოფილება - შიმშილობის ამ სახეობას ქართულ ციხეებში წლების განმავლობაში მიმართავდნენ ქართველი პოლიტპატიმრები. ზვიად ძიძიგურს ჩემთვის არაერთგზის უთქვამს, - ციხის საკვების გემო არც ვიცი, არც მე და არც სხვა ზვიადისტები სახელმწიფო პროვიზიას საერთოდ არ გავკარებივართო).

ბაძიო შიმშილობის ოთხ მიზეზს ასახელებდა: პოლიტიკურს, სოციალურს, ეკონომიკურსა და პირადს. დაბოლოს, მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით და აღიარებული კლასიფიკაციით, შიმშილობები შეიძლება იყოს ინდივიდუალური და მასობრივი. მშრალი შიმშილობის (აბსოლუტური შიმშილობის) სამი დღის შემდეგ ორგანიზმში იწყება კეტოზის პროცესი (სახელგანთქმული უნახშირწყლო ანუ ატკინსის დიეტის ადეპტებმა კარგად იციან, რომ ამ შემთხვევაში ენერგეტიკულ საწვავად ორგანიზმი გამოიყენებს არა ღვიძლში დაგროვილ გლუკოგენს, არამედ საკუთარ ცხიმს), თუმცა სამი-ოთხი დღის მშრალი შიმშილობა საშიში არ არის, რადგან ორგანიზმი ისედაც გამოჰყოფს ყოველდღიურად ერთ ლიტრამდე ენდოგენურ წყალს ცხიმების დაშლის შედეგად, მხოლოდ 5 დღის მშრალი შიმშილობის შემდეგ ორგანიზმში იწყება შეუქცევადი პროცესები, უპირველეს ყოვლისა, დარტყმის ობიექტი ხდება თირკმელი, ღვიძლი და გული.

ბაძიოს მიხედვით, ხანგრძლივი და „ნაყოფიერი“ პოლიტიკური შიმშილობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შიმშილობის პირველი სამი დღე მშრალი იყოს, ხოლო მეოთხე დღიდან დაიწყოს სასმელი წყლის მიღება.

იმისთვის, რომ ორკვირიან შიმშილობას კარგად გაართვა თავი, საჭიროა, მოსამზადებელ პერიოდში ჩატარებული გქონდეს ერთ, სამ და შვიდდღიანი შიმშილობები. შიმშილობის მოსამზადებელი ერთთვიანი პერიოდი ყველა პატიმარმა უნდა გაიაროს. იგი იწყება ერთდღიანი შიმშილობით, მაგალითად - რომელიმე ორშაბათს. შემდეგ კვირაში კვლავ ერთდღიანი შიმშილობა (ისევ ორშაბათი), მომდევნო კვირას უკვე სამდღიანი (ორშაბათი-ოთხშაბათი), ხოლო კიდევ ერთ კვირაში - შვიდდღიანი (ორშაბათი-კვირა). მხოლოდ ასეთი მოსამზადებელი ერთი თვის შემდეგ არის მზად პატიმარი ახალი გამოცდისათვის, სამდღიანი მშრალი შიმშილობისთვის. თუკი ადამიანს გამოცდილი აქვს შვიდდღიანი შიმშილობა და სამდღიანი მშრალი შიმშილობა, იგი მორალურად და ფიზიკურად მზადაა ორკვირიანი შიმშილობისთვის, რომლის პირველი სამი დღე მშრალი იქნება. იური ბაძიოს მიხედვით, ასეთი განსაცდელის შემდეგ ადამიანი მზადაა 45-დღიანი შიმშილობისთვისაც კი. მისი პირადი რეკორდი 63 დღე იყო, და ეს ორთვიანი შიმშილობა მან საიდუმლოდ, გამოუცხადებლად ჩაატარა, ვინაიდან საბჭოთა პენიტენციური სისტემა პოლიტიკურ შიმშილობას არ აღიარებდა და გამოცხადებიდან ერთ კვირაში მოშიმშილის იძულებით კვებაზე გადადიოდა.

1986 წლის 23 სექტემბერს თეთრი სახლის წინ შიმშილობა დაიწყო ამერიკელმა ასტროფიზიკოსმა ჩარლზ ჰაიდერმა, რომელმაც, საბჭოთა ტელევიზიას თუ დავუჯერებთ, 218 დღე იშიმშილა. შემდგომში გაირკვა, რომ ეს ჰაიდერის და საბჭოთა ჩეკისტი „ჟურნალისტის“, ვაშინგტონში „გოსტელერადიოს“ კორესპონდენტის, ვლადიმირ დუნაევის მიერ შექმნილი მითი იყო (ჰაიდერი იშვიათად ჩნდებოდა თეთრი სახლის წინ, მაგრამ შიმშილობის პერმანენტულობის ილუზიის შესაქმნელად ჟურნალისტი დუნაევი ამერიკელი მეცნიერის გამოჩენისთანავე რამდენჯერმე გადაიღებდა ხოლმე რეიგანისგან განიარაღების მომთხოვნ მოპროტესტე ასტროფიზიკოსს და ამისთვის თავად კოსტიუმებს იცვლიდა ხოლმე. დიდი ხნის შემდეგ მამის აფიორის შესახებ საზოგადოებას დუნაევის შვილმა ამცნო). ეს საბჭოთა კავშირში იმდენად გახმაურებული პიარ-აქცია იყო (ამერიკაში მისთვის არავის მიუქცევია ყურადღება), რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, მიხაილ გორბაჩოვმა ამერიკელ „დისიდენტს“ მხარდაჭერის წერილიც კი მისწერა (ამას ხელი არ შეუშლია ამერიკელი პროფესორისთვის რამდენიმე ხნის შემდეგ მკვეთრი ანტისაბჭოთა პოზიციით გამოსულიყო). ჰაიდერი, სინამდვილეში, რა თქმა უნდა, არ შიმშილობდა, თუმცა ჭარბი წონის გამო, ექიმები ძალიან მკაცრ დიეტას ურჩევდნენ. ბაძიომ ერთი შეხედა საინფორმაციო გადაცემა „ვრემიაში“ ამერიკელ „დისიდენტ“ დოქტორ ჰაიდერს და განაცხადა, - ეს კაცი არ შიმშილობს, სახეზე აწერია, წვენებსა და ვიტამინებზე ზისო.

იური ბაძიო 1988 წელს გადასახლებიდან გათავისუფლდა და გადავიდა კიევში, სადაც დაიწყო კომუნისტური პარტიის ოპოზიციური, დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბება.

1990 წლის გაზაფხულისთვის ბაძიომ შეიმუშავა დოკუმენტი „უკრაინის დემოკრატიული პარტიის მანიფესტი“. 1990 წლის 14 მაისს კიევში ჩატარდა დემპარტიის ჩამომყალიბებელი კონფერენცია, რომელმაც გადაამუშავა ბაძიოს მანიფესტი და მიიღო როგორც დემოკრატიული პარტიის ფუძემდებლური დოკუმენტი. 1990 წლის დამფუძნებელ ყრილობაზე იური ბაძიო აირჩიეს პარტიის ხელმძღვანელად.

როგორც კი თავისი ქვეყნის ისტორიაში მეორე პარტიის ჩამოყალიბების საქმე ბოლომდე მიიყვანა, 1992 წლიდან წავიდა პოლიტიკიდან. უკრაინის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ბაძიოს დაუბრუნეს მისი წიგნის ხელნაწერი და მან თავისი ცხოვრების მთავარი საქმე, როგორც იქნა, დაასრულა - „სიცოცხლის უფლება“ გამოსცა 1996 წელს. ეს მეოცე საუკუნის წიგნებიდან ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული წიგნია და უკვე თარგმნილია მსოფლიოს ოც ენაზე. 2005 წელს უკრაინის პრეზიდენტმა იუშჩენკომ იური ბაძიოს გადასცა სპეციალური მედალი დამსახურებისთვის.

ამჟამად იური ბაძიო მუშაობს სამეცნიერო თანამშრომლად უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში. შესაძლოა, ამ ინსტიტუტის თანამშრომელთა დიდმა ნაწილმა არც იცოდეს, თუ რა ადამიანის გვერდით უწევთ ცხოვრება და შრომა. ჩვენ, უბრალო მოკვდავებს, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, კაცი გამოუცხადებლად 63 დღე რომ იშიმშილებს, რამდენ რამეს გააკეთებს ზედმეტი აფიშირების გარეშე.

# ბოროტება ღმერთის არარსებობაა!

ერთხელ ერთმა ჭკვიანმა პროფესორმა უნივერსიტეტში კითხვა დაუსვა ერთ სტუდენტს.

პროფესორი: ღმერთი კარგია?

სტუდენტი: დიახ.

პროფესორი: ეშმაკი?

სტუდენტი: არა.

პროფესორი:მართალია. მაშინ მიპასუხე, არსებობს თუ არა დედამიწაზე ბოროტება?

სტუდენტი: დიახ.

პროფესორი: ბოროტება ყველგანაა, ხომ მართალია? და ღმერთმა შექმნა ყველაფერი, ასეა?

სტუდენტი: დიახ.

პროფესორი: და ვინ შექმნა ბოროტება?

სტუდენტი:

პროფესორი: პლანეტაზე არსებობს სიმახინჯე, ავადმყოფობა, უვიცობა, კადნიერება. ეს ყველაფერი არსებობს, ხომ მართალია?

სტუდენტი: დიახ, სერ.

პროფესორი: ვინ შექმნა ისინი?

სტუდენტი:

პროფესორი: მეცნიერება ამტკიცებს, რომ ადამიანს აქვს 5 გრძნობა იმისთვის, რომ გამოიკვლიოს სამყარო. მითხარი, შვილო, შენ გინახავს ოდესმე ღმერთი?

სტუდენტი: არა, სერ.

პროფესორი: გაგიგია მისი ხმა?

სტუდენტი: არა, სერ.

პროფესორი: შეგიგრძნია ოდესმე? გაგისინჯავს მისი გემო? გიყნოსია?

სტუდენტი: ვშიშობ, რომ არა, სერ.

პროფესორი: და შენ მაინც გჯერა მისი?

სტუდენტი: დიახ.

პროფესორი: მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, მეცნიერებას შეუძლია განაცხადოს, რომ ღმერთი არ არსებობს. შეგიძლია რაიმეთი შეეწინააღმდეგო ამ განაცხადს?

სტუდენტი: არა, პროფესორო, მე მაქვს მხოლოდ რწმენა.

პროფესორი: სწორედაც! რწმენა - ეს არის მეცნიერების მთავარი პრობლემა.

სტუდენტი: პროფესორო, სიცივე არსებობს?

პროფესორი: ეს რა კითხვაა? რა თქმა უნდა, არსებობს. შენ არასდროს შეგცივნია?

(სტუდენტებს ახალგაზრდას კითხვაზე გაეცინათ)

სტუდენტი: სინამდვილეში, სერ, სიცივე არ არსებობს. ფიზიკის კანონებიდან გამომდინარე, ის, რაც ჩვენ სიცივედ მიგვაჩნია, სინამდვილეში არის სითბოს არარსებობა. ადამიანი ან საგანი ჩვენ შეგვიძლია გამოვიკვლიოთ იმაზე, აქვს და გადასცემს თუ არა ის ენერგიას. აბსოლუტური ნული (–273 ჩ) არის სითბოს სრული არარსებობა. მთელი მატერია ხდება ინერტული და არ შეუძლია რეაგირება ამ ტემპერატურაზე. სიცივე არ არსებობს. ჩვენ შევქმენით ეს სიტყვა იმისთვის, რომ აღვწეროთ, რას ვგრძნობთ სითბოს არქონის დროს.

(აუდიტორიაში სიჩუმე ჩამოვარდა).

სტუდენტი: პროფესორო, სიბნელე არსებობს?

პროფესორი: რა თქმა უნდა. რა არის ღამე, თუ არა სიბნელე?!

სტუდენტი: თქვენ ისევ არ ხართ მართალი, სერ. სიბნელე აგრეთვე არ არსებობს. ის სინამდვილეში სინათლის არარსებობაა. ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ სინათლე, მაგრამ სიბნელე - ვერა. ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ნიუტონის პრიზმა იმისთვის, რომ დავშალოთ თეთრი სინათლე მრავალნაირ ფერებად და შევისწავლოთ თითოეული ფერის ტალღის სიგრძე. თქვენ არ შეგიძლიათ გაზომოთ სიბნელე. სინათლის უბრალო სხივს შეუძლია შეიჭრეს სიბნელის სამყაროში და გაანათოს ის. როგორ შეგიძლიათ გაიგოთ, რა დონეზე ბნელია ესა თუ ის სივრცე? ამისთვის თქვენ ზომავთ ამ სივრცეში სინათლის ოდენობას. ასე არ არის? სიბნელე ეს არის ცნება, რომელსაც ადამიანი იყენებს იმის აღსაწერად, თუ რა ხდება, როცა არ არსებობს სინათლე. სერ, ბოროტება არსებობს?

პროფესორი: რა თქმა უნდა. ჩვენ მას ყოველდღე ვხედავთ. ადამიანებს შორის სისასტიკე, უამრავი დანაშაული და ძალადობა მთელს მსოფლიოში, განა ეს მაგალითები ბოროტების გამოვლენა არ არის?

სტუდენტი: არა, სერ, ბოროტება არ არსებობს. ღმერთს არ შეუქმნია ის. ბოროტება არის ღმერთის არარსებობა. ის ჰგავს სიბნელესა და სიცივეს. ეს არის სიტყვა, შექმნილი ადამიანის მიერ ღმერთის არარსებობის აღსაწერად. ბოროტება არ არის რწმენა და სიყვარული, რომლებიც არსებობენ ისევე, როგორც სინათლე და სითბო. ბოროტება ეს არის ადამიანის გულში ღვთაებრივი სიყვარულის არქონის შედეგი. ეს არის მსგავსად სიცივისა, რომელიც დგება მაშინ, როცა არ არის სითბო ან მსგავსად სიბნელისა, რომელიც დგება მაშინ, როცა არ არის სინათლე.

ამ სტუდენტს ალბერტ აინშტაინი ერქვა.

# ჩავჯექი ავტობუსს შორის და ისე ჩავფრინდი ბაბუშერაში

მარიკა ჩიჯავილი

ისე მოხდა, რომ სწორედ 27 სექტემბერს - ჯვართამაღლების და, იმავდროულად, სოხუმის დაცემის დღეს შევხვდი ყვარლიდან, გრემიდან ჩამოსულ, მრავალი წლის უნახავ **ქეთევან ცუცაშვილს**.

მამით ქისტს და დედით ქართველ ქეთინოს განსაკუთრებული ბიოგრაფია აქვს. მეოთხე კლასში იყო, როცა ქრისტიანმა თანასოფლელებმა მამამისს - სოფელში ერთადერთ მუსულმან რამაზ ცუცაშვილს, რაღაც აღთქმის გამო, თავიანთი შვილის მონათვლა სთხოვეს. საბჭოურ პერიოდში საეკლესიო ცხოვრებაც არეული იყო და - მღვდელმა ნათლობის რიტუალი, მცირე ყოყმანის შემდეგ, თურმე, მართლაც ჩაატარა: რაკი ასე გინდათო... ისეთი ლამაზი მომეჩვენა მართლმადიდებლური ნათლობის რიტუალი, ისეთი საინტერესო, რომ აწყურის თეთრი გიორგის ეკლესიიდან აღარ გამოვდიოდი, ღრიალი მოვრთე, მეც მომნათლეთ-მეთქი, - იგონებს ქეთინო, - ძლივს წამათრიეს მასპინძლის სახლამდე. იქაც გავაფიჩინე ფეხები, მთელი ღამე მოვთქვამდი - მომნათლეთ და მომნათლეთ-მეთქი. მამაჩემი ლამის გაგიჟდა, ერთადერთმა შვილმა გაქრისტიანება რომ მოვინდომე. ახლობლებმა სცადეს მისი დათანხმება, დედაც ჩემს მხარეს დადგა და თავმობეზრებულმა კაცმა ბოლოს ხელი ჩაიქნია - რაც გინდათ, ისა ჰქენითო. მეც ეს მინდოდა, მაშინვე გავვარდი, ქუჩაში მომავალი ორი ლამაზი გოგო გავაჩერე და ვთხოვე, ჩემი ნათლიები იყავით-მეთქი. ასე მოვინათლე.

ქეთინოს ცხოვრებიდან არანაკლებ საინტერესოა ის ეპიზოდიც, როცა ის, კომკავშირის კომიტეტის მდივანი, გრემის მთავარანგელოზის ეკლესიაში სანთლებს ანთებდა და ჩუმად ლოცულობდა. მეზობლის ბავშვებს კი კანფეტებს ჩუქნიდა და სთხოვდა, ვინმე „ისეთი“ რომ გამოჩნდეს, შემატყობინეთო. ისინიც ერთგულად ეხმარებოდნენ მლოცველ მდივანს.

მრავალი წელი არ მენახა და, აი, კვლავ შევხვდი ჩვენს ცუცას (გვარის გამო, სიყვარულით, ასე ვეძახდით). გულრიფშელ მიხეილ თამლიანზე გათხოვილა, სამი შვილის დედა გამხდარა, უფროსი ვაჟი, პაატა, უკვე 29 წლისა ყოფილა, დიანა - 28 წლის, ნაბოლარა ზაალი - 23 წლის. მერე საუბარს მივყევით და ქეთინომ თავისი ოჯახური ისტორიის მოყოლა დაიწყო.

ვერ წარმოვიდგენდი, თუ საკუთარ სტუმართან დიქტოფონის ჩართვა მომინდებოდა. დიახ, ჩავრთე დიქტოფონი, რადგან ის, რასაც საქართველოს ერთი რიგითი მოქალაქე, 56 წლის ქალბატონი ქეთევან ცუცაშვილი-თამლიანი ჰყვება, უთუოდ თქვენც უნდა მოისმინოთ. ეს არ არის უბრალო ისტორია, ეს ცრემლის, ტკივილისა და იმედის ნაზავია.

- გულრიფშის რაიონის სოფელ განახლებაში გავთხოვდი. ჩემი ქმარი, მიხეილ თამლიანი, 23-ე საარტილერიო ბატალიონის ასეულის მეთაურის მოადგილე იყო, იქ მსახურობდა. ომი რომ მოახლოვდა, უფროსი ბავშვები დედაჩემთან წამოვიყვანე კახეთში, გრემში, პატარა კი აფხაზეთში დავტოვე - დედის ხელი სჭირდება და ჩემთან იყოს, მალე დავბრუნდები-მეთქი.

რომ უნდა დავბრუნებულიყავი, მესამე დღეს ომიც დაიწყო. ტრანსპორტი არ მოძრაობდა, ყველანაირი მარშრუტი შეწყვეტილი იყო. რა მექნა, აღარ ვიცოდი. წავედი აეროპორტში - ვიფიქრე, იქნებ აფხაზეთში სამხედროებს გავყვე-მეთქი. არა და არა, არავინ ახლოს არ მიკარებდა. მერე ერთ-ერთი ათმეთაური ვნახე, ახალგაზრდა ბიჭი და იმას ვუთხარი: შვილო, პატარა ბავშვი მყავს დატოვებული მამის ამარა, ერთი წლის ბავშვი, და გთხოვ, წამიყვანო, ჩემს შვილს მივხედო-მეთქი. იმან მითხრა: ქალბატონო, ჩვენ ვერაფერს გიშველით, გელა ლანჩავა არის მეთაური, ის შემოვა მალე და იმას სთხოვეთ. თუ დაგთანხმდათ, რა პრობლემაა, წაგიყვანთო. მართლაც, მალე მოვიდა გელა ლანჩავა და დავუწყე თხოვნა. ქალბატონო, განა სასეირნოდ მივდივართ, ომში მივალთ ჩვენაო, დავუშვათ და გვესროლეს, ჩამოგვაგდეს, სად მიდიხართ მერეო? სადაც თქვენ, იქ - მეც-მეთქი, ვუთხარი. პროფესიით ექთანი ვარ, სხვა თუ არაფერი, დაგეხმარებით მაინც რაღაცაში, სანამ ჩემს შვილთან მივაღწევ-მეთქი. არაო, დამანებე თავიო!

გამოვეკიდე უკან, ფარაჯაზე დავეკიდე და შევეხვეწე: შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, ოღონდაც შვილთან წამიყვანე! ჩემი ქმარიც სამხედროა, წავა სამსახურში და სახლში დატოვებულ ჩვილს ხომ უნდა მიხედვა-მეთქი.

კაი, ქალბატონო, წამოდიო, მაგრამ, თუ ვინიცობაა, რამე მოხდა, მე არ ვიყო დამნაშავეო. მე ნამდვილად არ მინდა შენი წაყვანა, მაგრამ, რაკი არ მეშვები, წამოდიო.

ვაიმე, ნანული! ნეტავი, არ ავსულიყავი თვითმფრინავში! პატარა,ჭყლიპარტი ბავშვებით, ცხირმოუხოცავი ბავშვებით სავსე იყო მთელი სალონი! იგინებოდნენ, თავისებურად ბილწსიტყვაობდნენ, ცეკვავდნენ, თამაშობდნენ, ჰქონდათ სრული თავისუფლება. მეუბნება ერთ-ერთი: ქალბატონო, არ გეწყინოთ, რა, ხომ იცით, ომში მივდივართ, შეიძლება, ვერც დავბრუნდეთ. იქედანო.

- არაფერია, შვილო, თქვენს ნებაზე იყავით! მე აქ არა ვარ და არ გისმენთ-მეთქი.

ჩავედით სოხუმის აეროპორტში, უკვე დაცარიელებული იყო, საფრენი ბილიკები კი - აქა-იქ ანგრეული ჭურვების გამო. ძლივს დაჯდა თვითმფრინავი.

გაიყვანეს ეს ბიჭები და მე დავრჩი ტრიალ მინდორში, პატარა ჩანთით ხელში. როგორც იქნა, გამოვედი ბაბუშერას აეროპორტიდან. დრანდამდე ერთი კაი 7-8 კილომეტრი იქნებოდა კიდევ, იქამდე ფეხით უნდა ავსულიყავი და იქიდან კი ჩემს სოფლამდე კიდევ 13 კილომეტრია. ტრანსპორტი არაფერი დადიოდა და რომ მოვდიოდი ასე წვალებით, გამოიარა ამ დროს სამხედრო მანქანამ. ვხედავ, ჩემი თანამგზავრი ბიჭებითაა სავსე. - მოდი, მოდი, ჩვენთან მოდიო! - ჩამჭიდეს ხელი ბიჭებმა, ამიტაცეს და ჩამჭყლიტეს ამ გავსებულ მანქანაში. ასე ამიყვანეს დრანდის მოსახვევამდე, იქიდან კი გზას დავადექი, 13 კილომეტრი ფეხით ვიარე.

რომ მივუახლოვდი ჩვენს სოფელს, შორიდან ჩემი მამამთილი დავინახე. ბაბა, ბაბა-მეთქი, დავუძახე. შემოტრიალდა და შეცბუნებულმა მკითხა:

- შენა ხარ? ბავშვები?!.

თურმე, რა მომხდარა: დედამთილისთვის მიუცია ეს ჩვენი პატარა ჩემს ქმარს (დედამთილ-მამამთილის სახლი იქვე, ახლოს იყო), თვითონ ნაწილში წასულა, იქ კი, „პეპელა-პუშკას“ ეძახდნენ, ის აფეთქებია ხელებში. მთელი სახე, ტანი, ხელები სულ დამწვარი ჰქონდა. ვხედავ, ჩემი ქმარი ისეა, თითქოს ეშმაკი დაგინახავს: წელს ზემოთ შიშველი ზის, სახე, ტანი - მთლიანად ატყავებული, გაუბედურებულია ეს კაცი (ჩემი დედამთილის დედა ცოცხალი იყო მაშინ, იმან იცოდა სოფლის წამლები: კვერცხი, ზეთი - რაღაცები გაუკეთა და ისე მოურჩინა, ახლა ნაკვალევიც არ ეტყობა)!

ქმარს ვუთხარი, ბავშვი უნდა წავიყვანო. შენც დამწვარი ხარ, მოგცემენ, ალბათ, უფლებას და წამოდი კახეთში, იქ მოგხედავ-მეთქი.

შენ ხომ არ გაგიჟდი, მე იქ რა მინდაო! ჩემი ადგილი აქ არის, მე აქ უნდა მოვკვდეო! წაიყვანე შვილი დროზე და წადიო, - მითხრა.

გამაცილა ჩემმა მაზლმა. ის პერიოდი იყო, როცა პანიკაში ჩავარდნილი ხალხი გემითა თუ ნებისმიერი საშუალებით ცდილობდა გაქცევას. ძლივს შევეტენე თვითმფრინავში.

მერე, ბავშვი რომ ჩამოვიყვანე, დედაჩემს დავუტოვე, ვერ მომითმინა გულმა და ერთ თვეში ისევ ქმართან დავბრუნდი. მაშინ მიცვალებულები გადმოჰყავდათ სოხუმიდან,

ოჯახთან ერთად

თვალები ვერ მალავენ ტკივილს

ისევ ხომ უნდა დაბრუნებულიყო უკან თვითმფრინავი ცარიელი კუბოებით, ჰოდა, ჩავუვარდი იმათ ფეხებში და ვთხოვე, წამიყვანეთ-მეთქი. ქალბატონო, როგორ წაგიყვანოთ, სად გვაქვს ადგილი, კუბოები მიგვაქვსო. მე ვუთხარი, ჩავწვები კუბოში და წამიყვანეთ, ქმარი მყავს დაჭრილი, იმას უნდა მივხედო-მეთქი. ეს ქალი გიჟიაო. შეხედეთ, კუბოსიც არ ეშინიაო! - გაუკვირდათ. მოკლედ, ჩავჯექი კუბოებს შორის და ისე ჩავფრინდით ბაბუშერაში. მაშინ კი მაგრად გამიმართლა: დროგის ცხენით ავედი სახლამდე. გაგიჟდნენ ყველანი: ჩემი დედამთილი, მამამთილი, მაზლი, ჩემი ქმარიც - რამ ამოგიყვანაო.

ორი კვირა დავრჩი იქა. როგორც ჩემი ქმარი დადიოდა თავის ნაწილში, ისე დავდიოდი მეც, უკან დავყვებოდი. სროლები დაიწყებოდა, გვესროდნენ მეზობელი სოფლიდან, ატყდებოდა წივილ-კივილი, გავიქცეოდი, დაჭრილ მეზობლებს გადმოვიყვანდი იქიდან, ჭრილობებს შევუხვევდი. სანამ სასწრაფო მოვიდოდა, მანამდე ჭრილობას ხომ უნდოდა დამუშავება. ასე რამდენი ვინმე შევახვიე!.. როგორც გიჟი, ისე ვიქცეოდი. მეხივით ვიყავი გამაგრებული, რამდენი დაჭრილისათვის გამიწვდია ხელი და გადამირჩენია! ღმერთო, ნათელში ამყოფე, ისინი, ვინც ჩემს ხელში დალია სული! მაშინ კი ვიყავი გამაგრებული, მაგრამ მთელი ორი თვე დამჭირდა კახეთში, რომ ნერვული სტრესებიდან გამოვსულიყავი.

მოკლედ, მალე ისევ კახეთში აღმოვჩნდი - აღარ გამაჩერეს გულრიფშში ქმარმა და ნათესავებმა - წადი, ბავშვებს მიხედეო. უფროსი ბავშვები სკოლაში მივიყვანე, პატარა - ბაღში, მეც ვმუშაობდი. ძალიან გაჭირვება იყო. ჩამოვივლიდი სოფელში, 20 ლიტრა არაყს ვიყიდიდი იაფად, წავიღებდი თბილისში, იქ ჩავასხამდი ბოთლებში, ავიკიდებდი ჩანთას და ვყიდიდი, რომ ბავშვები შიმშილით არ დამეხოცა და მათთვის ცოტა საჭმელი მეყიდა.

ერთ მშვენიერ დღეს ატყდა: აუფ, „პერემერია! პერემერია!“ შერიგება მოხდა, იქ ელცინი ჩაერია, აქ შევარდნაძე გამოვიდა... „ომი დამთავრდა, ომი არ იქნება! განიარაღება მოხდება, ყველამ იარაღი ჩააბარეთ!“ სინამდვილეში, ქართველები განაიარაღეს, აფხაზებმა კი იარაღი შეინახეს...

ჩემი ქმარი გახარებული მოვარდა გრემში - წავიდეთ, დამთავრდა ომიო. გამოვიყვანეთ ბავშვები სკოლიდან და წამოვედით გულრიფშში. ორ კვირაში ატყდა ისეთი ამბავი, დედა შვილს ვერ აიყვანდა: ბათქაბუთქი, სროლა, უბედურება...

ჩემს ქმარს გადამალული ჰქონდა ორი „პუშკა“, ერთი ტანკი, რამდენიმე ავტომატი. მარტო ჩვენს თივის ზვინში კი არა, სხვადასხვა ადგილასაც დამალეს იარაღი. სვანები, ხომ იცი, იარაღის გიჟები არიან,

ვერ გაიმეტეს ჩასაბარებლად...

ერთ დღეს ატყდა ჩიტების ჟივჟივი და გუნდ-გუნდად ტრიალი ცაში. ხალხმა - რაღაც ცუდი ამბავი ხდებაო. ამის თქმა იყო და, ერთ საათში დაიწყო ბათქა-ბუთქი, სოხუმის დაბომბვა. სოხუმი რომ იბომბებოდა, ჩვენი სახლი ზანზარებდა განახლებაში. იმ დღეს ჩემი ქმარი წასული იყო ნაწილში, სახლში ვიყავით მე და ბავშვები. მეორე სახლში - დედამთილი და სხვები. დაიწყო განგაში. ჩემი ქმარი მოქანდა - ბარგი ჩაალაგეო, ჩემი ძმა ბეტეერით გამოივლისო, ბავშვები და შენ წაყევით, მე ზაპანის უღელტეხილზე დაგეწევითო (ზაპანი წებელდასთან არის).

ამასობაში ბავშვები გაცვივდნენ გარეთ, ტანკები მოდიანო. მე ბავშვებს გამოვეკიდე - ფოსტლებით, საშინაო კაბით. ტანკები კი არა, ბეტეერები მოდიოდნენ. ჩემი მაზლი ჩამოხტა მანქანიდან და სასწრაფოდ შეგვყარა შიგ. ბარგი-მეთქი? შენი ქმარი მოგვყვება უკან და ის წამოიღებსო.

ასე, რაც გვეცვა, იმის ამარა გამოვიქეცით (ბარგი ქმარმა, რა თქმა უნდა, ვერ წამოიღო და სახლში დარჩა).

ზაპანის უღელტეხილიდან პატარა მანქანებით ავედით ჩხალთამდე, მივაღწიეთ ჭუბერის უღელტეხილამდე, იქიდან ფეხით გადმოვედით.

რამდენი უბედურება ვნახე გზაში! ხალხი ყველაფერს ყრიდა, როცა უკვე აღარ შეეძლოთ წამოღება. მანქანებს წვავდნენ, ნივთებს ანადგურებდნენ, რატომ დავუტოვოთ აფხაზებსო.

ცოტა უკან მივბრუნდები: სანამ ჭუბერზე გადმოვიდოდით, ჩემმა ქმარმა და მაზლმა მიგვიყვანეს აძგარაში. იქ ჩვენი საზაფხულო საძოვრები იყო, საქონელი გვყავდა გარეკილი. კარავი, ბინები გვქონდა, კარგი მეურნეობა მოწყობილი: დიდძალი საქონელი, 60 სკა ფუტკარი, უამრავი ქათამი... ჩემი დედამთილი ზაფხულობით იქ იყო ხოლმე, ზამთარში კი გულრიფშში ჩამოდიოდა. ჩემი ქმრის საქონელიც იქ იყო გარეკილი, იმ საზაფხულო საძოვრებზე.

აძგარადანაც რომ წამოვედით, ჩემმა დედამთილმა და მამამთილმა სამოცივე სკაში მდუღარე წყალი ჩაასხეს, დახოცეს ფუტკარი, მტერს რომ არ დარჩენოდა. მამამთილი ტიროდა, ამას რომ აკეთებდა, ისე ენანებოდა.

დატოვეს ქათმები, გამორეკეს საქონელი. ეს საქონელიც სადღაც-სადღაც დაეკარგათ გზაში. რაც გადმოიყვანეს, დაუძლურებული, გამხდარი იყო. დიდი წვალებით მოაღწიეს ჭუბერის უღელტეხილამდე...

უღელტეხილის ძირში იყო საშინელი მოროდიორობა. უღირსი ქართველები თავს ეცემოდნენ დაბანაკებულ ხალხს და ძარცვავდნენ. ოთხი მაზლი მყავდა, მეხუთეც

ჩემი ქმარი იყო, იარაღი ჰქონდათ და ჩვენ ვერაფერს გვიბედავდნენ. მაგრამ ვინც შეიარაღებული არ იყო, იმას ეცემოდნენ თავს.

ერთ ღამეს ატყდა წივილ-კივილი, მიშველეთ, მიშველეთო! ფეხმძიმე, მუცელგაბერილი ქალისათვის ოქროულობა წაუგლეჯიათ და ხელის თითებიდან სისხლი სდიოდა. საშინელება იყო!

გზაში უმცროსი ბავშვი ცუდად გამიხდა, დიზენტერია დაემართა, ხელში მაკვდებოდა. მაგრამ, ვის ესმოდა ჩემი ბღავილი და მოთქმა!

თურმე, უღელტეხილზე, მაღლა, ესპანელ ექიმებს ჰქონდათ გაშლილი სამედიცინო კარავი, ეს ჩემი წივილ-კივილი გაიგონეს და გამოცვივდნენ. სულ პატარა, ამხელა გოგოები იყვნენ. ეს ბავშვი გამომტაცეს ხელიდან, შეარბენინეს თავიანთ სამედიცინო კარავში და იქ რა გაუკეთეს, არ ვიცი, მანამ არ მაჩვენეს, სანამ ბავშვმა დედა არ მოითხოვა. საღსალამათი, მოსულიერებული ჩამაბარეს ჩემი პატარა.

მერე უკრაინელების ბრიგადა მოფრინდა, პირდაპირ უღელტეხილზე დააჯინეს თვითმფრინავი. ინვალიდები, მოხუცები, ბავშვებიანები - ეს გაჭირვებული ხალხი ვინც იყო, ჩაგვსხეს ამ თვითმფრინავში. იმდენი ვიყავით, თვითმფრინავი ვერ დაიძრა. გამოვიდა პილოტის დამხმარე და, ვინც კართან ახლოში იყო, ყველა ძირს ჩაუშვა, გადადით უკანვეო. ამაში მოვყევი მეც - ჩამომიშვეს. ეს რომ ჩემმა ბავშვებმა დაინახეს, მორთეს წივილ-კივილი. მგზავრებმა უთხრეს მფრინავებს, ეს ქალი რომ ჩაიყვანეთ, ამას სამი ბავშვი ჰყავს აქ, თვითმფრინავშიო. მე ამომიყვანეს და ორი მოხუცი ჩაიყვანეს. იმათი ცოდვით ახლაც ვიწვები. მეორე რეისზე კი გადმოიყვანდნენ იმათაც, მაგრამ მაშინ, იმ მომენტში, ყველას რომ ასე ეჩქარებოდა გამოფრენა, ალბათ, იმ მოხუცებისთვის როგორი ტრაგედია იქნებოდა! რამდენს დამწყევლიდნენ!

გადმოგვიყვანეს ქუთაისის აეროპორტში. აქედან „იკარუსით“ წაგვიყვანეს თბილისში. ერთი ღამე გავათიე ბავშვებთან ერთად რკინიგზის ვაგზალში, რადგან ღამე იყო და ვერაფერს გავყვებოდით კახეთამდე. მეორე დილით კი გზას გავუყევით...

რაც შეეხება ჩემს ქმარს, ის ჭუბერში დარჩა საქონლის გადმოსარეკად, შვიდი ძროხა გვყავდა. ჩემი დედამთილიც არ წამოვიდა, დარჩა თავის საქონელთან. ცუდად გამხდარა. მეორე რეისით ჩემი დედამთილი გადაუფრენიათ მესტიაში სხვებთან ერთად, საქონელი კი ქმარმა და მაზლებმა გადმორეკეს და წაიყვანეს ლატალში, ნათესავებთან. დარჩნენ იმ ზამთარს იქ, საქონელს მიხედვა ხომ უნდოდა. მაშინ კუპონები იყო და ქმარმა კუპონებზე გაყიდა ეს ამხელა ძროხები (სამი ძროხა გზაში დაეკარგა). კუპონები ისე იყო გაფუჭებული, იმ ერთი ძროხის საფასურად ოთხ კილო ფქვილსაც ვერ იყიდიდი.

ჩამოვიდა ჩემი ქმარი ამდენი წვალების შემდეგ და - აიო, მოგიტანეთ ფულიო...

მე ვუთხარი, რაღად მინდა ეს ფული, მაგას ის მერჩია, ძროხები ცოცხლად გაეშვა-მეთქი.

დანარჩენი კი ყველაფერი გულრიფშში დაგვრჩა: 41 ინდაური, 18 გოჭი, 12 ხბო, 60-მდე ქათამი... იმხელა სასათბურე მეურნეობა! მოგვიანებით ხმა მოგვივიდა, რომ ერთ-ერთმა აფხაზმა მეზობელმა ჩვენი სამეზობლოს ავეჯი ტუაფსეში გაზიდა და იქ გაყიდაო...

ახლა თურმე ნასახლარები დგას ჩვენს მშვენიერ სოფელში, იქაურობა ტყეებადაა ქცეული...

* * *

ქეთინო ცუცაშვილმა იმ გაუსაძლის გაჭირვებაზეც ისაუბრა, მომდევნო წლებში, დევნილობისას რომ იწვნია. მაგრამ ეს კიდევ სხვა თემაა.

არც იმას აღვწერ დაწვრილებით, თავისი ოჯახის ისტორიის თხრობისას რამდენჯერ გადმოუვარდა თვალებიდან სიმწრის ცრემლი.

**ნანული ცხვედიანი**



# ერლომ ახვლედიანმა «ვანო და ნივო» დაწერა

ერლომმა ჯიბეში ორმანეთიანი მოჩხრიკა, არაფერი დახვდა. იდგა დაბნეული... უეცრად დაუბერა. ქარმა საზესთან პატარა ქაღალდის ნაგლეჯი აუფრიალა და ფეხებთან დაუგდო - სამმანეთიანი იყო. გაიხედ-გამოიხედა, დარწმუნდა, რომ ირგვლივ არავინ იდგა, რომ მართლაც ქარის მოტანილი იყო და აიღო. მერე იქვე, გასტრონომში შევიდა, ფული დაახურდავა, გამოვიდა, ორი მანეთიანი ჯიბეში ჩაიდო, მესამე კი... ქარს ხურდად დაუბრუნა - იმისთვის, ვისაც სწორედ ეს მანეთიანი აკლიაო.

# ღაჯიანული ჯასტრაკლი ერლომ ახვლედიანთან

❖ გია არგანიშვილი

ამ პატარა წიგნს ავსტრიელმა მწერალმა პეტერ ჰანდკემ „არაკების“ კრებული უწოდა, რუსმა მწერალმა ანდრეი ბიტოვმა „თანამედროვე ზღაპარი“, თვითონ ავტორი დღეს უკვე თავს არიდებს ჟანრის დაკონკრეტებას, მკითხველი კი უბრალოდ, შინაურულად „ვანოს და ნიკოს ეძახის.

ერლომ ახვლედიანის შემოქმედებისადმი მიძღვნილ ვრცელ წერილში ანდრეი ბიტოვი იგონებს:

„1960 წელს პროფესორმა ბერკოვსკიმ მკითხა: შენ გსმენია ანეგდოტები ვანოს და ნიკოს, ამ ორი იდიოტის შესახებ? თუმცა იდიოტები არც უნდა იყვნენ... ძნელი მოსაყოლია, მაგრამ ანეგდოტები კი ძალიან შესანიშნავია (ბერკოვსკის უყვარდა ასეთი საუბარი „ძალიან შესანიშნავი“). ამბობენ, რომ გამოჩნდა ვიღაც ქართველი, რომელიც მათ თხზავს.

დაუჯერებელია. ბერკოვსკის, როგორც ლიტერატურათმცოდნეს მიაჩნდა, რომ არ შეიძლება ანეგდოტებს ავტორი ჰყოლოდა.

თუმცა ამ „ანეგდოტებს“, „არაკებს“ თუ „თანამედროვე ზღაპრებს“ რასაკვირველია, ავტორი ჰყავდა. ამ წიგნის ავტორი ერლომ ახვლედიანი იყო.

ერთხელ ერლომ ახვლედიანმა „ვანო და ნიკო“ დაწერა.

იყო ვანო და ნიკოც იყო. იყო უცნაური სამყარო, სადაც ვანო და ნიკო ხვდებიან და შორდებიან ერთმანერთს, ებრძვიან და უმეგობრდებიან ერთმანერთს. სადაც ტირიან და იცინიან.

„ერთხელ ვანო ნიკოს სიზმარში იყო. დაიძინებდა ნიკო და, იყო მის სიზმარში სამყარო, სადაც ცა ქვისა იყო, მზე - ხისა, ხე - ნისლისა, ნისლი - მიწისა, მიწა - ქარისა, ქარი - ტყვიისა, ტყვია კი აღარ მახსოვს, რისა...

დაიძინებდა ნიკო და მოდიოდა მის სიზმარში ვანო...

მოდიოდა ვანო ნიკოს სიზმარში და ფიქრი მისი ჭიანჭველებისგან იყო, ოცნება მისი ფრინველებისგან იყო, სიმღერა მისი კენჭებისგან იყო...

დადიოდა ვანო ნიკოს სიზმარში: წყალს გაივლიდა და ცეცხლი მოედებოდა; მზეზე გავიდოდა და ყინულად იქცეოდა, აქეთ წავიდოდა და იქით აღმოჩნდებოდა; იქით წავიდოდა და იქვე რჩებოდა; მარჯვნივ გაუხვევდა და ნეტა მარცხნივ გაეხვია.

ხან ღამეში იყო ვანო და ხან ღამე იყო მასში...“

მართლაც, ბევრი რამ იყო უცნაური მკითხველისთვის ამ წიგნში. უცნაური იყო მაშინ, როდესაც ის დაიწერა (1956-58.) და უცნაურია დღესაც, როდესაც „მასობრივ ადამიანს იოლად მისაწვდომი ჰგონია რეალობა, და როცა აღმოაჩენს, რომ თურმე ასე სულაც არ ყოფილა, გაოგნებული აწყდება დახშულ კარიბჭეს“ (როსტომ ჩხეიძე).

მეც ერთი ამათთგანი ვარ, ოცი წელია დახშულ კარიბჭეს ვაწყდები, ოცი წელია „ვანოს და ნიკოს“ ვკითხულობ.

„ვანო და ნიკო ქვეყნად დადიოდნენ და უყვარდათ ეს ქვეყანა“

მე კი დახშულ კარიბჭეს ვაწყდები...

„ვანო და ნიკო ქვეყნად დადიოდნენ და უხაროდათ ეს ქვეყანა“.

მე კი კარიბჭეს ვაწყდები...

„ვანო და ნიკო ქვეყნად დადიოდნენ და სძულდათ ეს ქვეყანა“.

მე კი...

მეც ვცდილობ თავი დავაღწიო დროითა და სივრცით აწონილ ობიექტურ რეალობას, რომელიც არ ცნობს ჩვენ - კაცთა უფლებას უთვალავი ფერით შემკულ ქვეყანაზე. არ ცნობს იმ უცნაურ სამყაროს, სადაც ბედნიერება გრძნობათა მონაცვლეობაა და არა გაქვავებული წამი, სადაც სიყვარული (მოჭარბებული სიცოცხლე) ზუსტად იგივე შემადგენლობისაა, როგორც სიცოცხლე, სადაც „ერთხელ ყველაზე ძვირფასი ლურჯთვალა ია იყო“.

რა კარგად არის აწყობილი ის სამყარო, სადაც ვანო და ნიკო ცხოვრობენ. ღმერთმა მოაწყო ის ექვს დღეს. პირველ დღეს ღვთის სიტყვით გამოჩნდა ნათელი; მეორე დღეს ღმერთმა შექმნა ხილული ცა; მესამე დღეს განყო წყალი მიწისგან და უბრძანა მიწას მცენარეთა აღმოცენება; მეოთხე დღეს შექმნა მზე, მთვარე და ვარსკვლავნი; მეხუთე დღეს - თევზები და ფრინველები; მეექვსე დღეს - ყოველნი ცხოველნი და კაცი.

ავტორი კი მარწმუნებს, „ვანო და ნიკოს“ რომ ვწერდი, მაშინ ბიბლიას არ ვკითხულობდიო...

შესაძლოა, რადგან მხოლოდ შინაგანი ცოდნა, გულის პირველადი მონაწური იძლევა სამყაროს პირველად გრძნობით აღქმის განსაკუთრებულ უნარს, ჩვეულებრივ მოვლენებში სასწაულის დანახვის სურვილს.

„რა იქნებოდა, - ოცნებობდა ვანო, - რა იქნებოდა, რომ ადამიანი იბადებოდეს...

და მზე აღმოსავლეთიდან ამოდიოდეს, ხოლო დასავლეთით ჩადიოდეს, - ოცნებობდა ნიკო, - ჩადიოდეს და ის იყოს ერთი და ნათელი”.

კაცის შექმნის წინ ღმერთმა თქვა: „ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა“, და შექმნა კაცის სხეული მიწისგან და შთაბერა მას სული გონიერი და უკვდავი, და იქმნა კაცი ცხოველ არსებად, პირველ კაცს ღმერთმა ადამ დაარქვა. ღმერთმა ადამი სამოთხეში შეიყვანა და იქ დააბინავა.

შემდეგ იყო ვანო და ნიკოც იყო.

„ვანო და ნიკო ქვეყნად დადიოდნენ და უყვარდათ ეს ქვეყანა. ადიოდნენ მთებზე, მაღალ მწვერვალებზე. მწვერვალებიდან ჩამოდიოდნენ ველად, კრეფდნენ ყვავილებს და უხაროდათ ჭრელ-ჭრელი ყვავილები. გადიოდნენ გაუვალ ტყეებს. უცქერდნენ მზეს და უხაროდათ მაღალი მზე. კრეფდნენ ხეთა ნაყოფს. თესავდნენ პურს. მკიდნენ პურს. შეჰქონდათ წისქვილში და იქ, მთელი ღამე ზღაპრების ნაცვლად მართალს ყვებოდნენ.“

ღმერთმა აკურთხა პირველი კაცნი და უთხრა მათ: აღორძინდით, გამრავლდით, აღავსეთ ეს ქვეყანა და უფლებდით მასზეო.

„ამის შემდეგ სულ ასე ხდებოდა:

გაზაფხული მოვიდოდა. ბუჩქის ძირას ია ლურჯ თვალებს გაახელდა. ნიკო მის წინაშე წაიჩოქებდა. შემდეგ ვანოსთან მივიდოდა და ეტყოდა:

- ვანო, შეხედე, რა ნაზი ია მაქვს.

ვანოს თუმცა ძალიან სურდა, არ ჰქონდა, არ ჰქონდა ის ია.

- გინდა, შენი იყოს?

- მინდა, - უპასუხებდა ვანო.

მაშინ ნიკო ვანოს ეტყოდა:

- შენი იყოს!

შემდეგ იყო წარმტაცი ველი, შემდეგ - შრიალა ტყე. მზე როცა ჩადიოდა,

ვანომ უთხრა ნიკოს:

- ნიკო შეხედე, რა მშვენიერია მზის ჩასვლა!

და მზის ჩასვლა ნიკოსი გახდა.

მზე როცა ამოდიოდა, მზის ამოსვლა უკვე ვანოს ეკუთვნოდა.“

ვანომ და ნიკომ ჯერ არ იცოდნენ ვაჟა-ფშაველას „სიმღერა“ და ამიტომ არ მღეროდნენ მას:

მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა,
მთაში - მთა, ბარად - ბარია

ზღვა და ხმელეთი ერთიან,
ცას - ვარსკვლავების ჯარია.
დილით მზე მანათობელი,
ღამის გუშაგი მთვარია“.

„ვანოს და ნიკოს“ ოცი წლის მკითხველისგან არ უნდა გაგვიკვირდეს ვაჟა-ფშაველას პოეტურ სამყაროსთან სიახლოვის განცდა, თუმცა მას დამწყები მკითხველისთვის მაინც მოუწევს ახსნა-განმარტება, რომ აქ არ იგულისხმება ერთი მწერლის შემოქმედებითი გავლენა მეორე მწერალზე. აი, ისეთი გიორგი შატბერაშვილი „პოეტურ შემღერებას“ რომ უწოდებს, არც თემატური ნათესაობაა საძებნი, ნაცნობობის გრძნობას აქ შემოქმედის უფლება-უნარი ღვთისმაძიებლობისა და ღვთისმიმბაძველობისა აღძრავს, პირველ შემთხვევაში - თამამი, ვაჟასებური; მეორე შემთხვევაში – ზომიერად მოკრძალებული, ერლომისებური ან ერლომური. სწორედ ეს უფლება-უნარი განსაზღვრავს შემოქმედის ინდივიდუალურ სახეს, რომლის ძალითაც, მას ერთადერთს, ხილული სამყაროს გარემოცვაში, შეუძლია შეიცნოს, რომ „მოცემული წამი და მარადისობა, ერთი შემადგენლობისა არიან“ (ე. ახვლედიანი „კოღო ქალაქში“); შეუძლია ზევიდან დახედოს აწმყოს, ხელისგულზე დაიტიოს მთელი სამყარო, განჭვრიტოს საგანთა არსი, ფორმა, თვისება, სივრცეში მისი გადაადგილების დროს აღძრული კანონები, გაითვალისწინოს დროის ცვალებადობასთან დაკავშირებული ფორმისა და ხასიათის ცვლილება და ყოველთვის ახსოვდეს, რომ ნებისმიერი წარმავალი მოვლენა თუ ლპობადი საგანი, მიუხედავად მისი მასშტაბურობისა, ხელისგულისოდენა პროპორციებში მოქმედებს ადამიანის გიგანტურ შესაძლებლობებთან შედარებით.

ამ ხელისგულისოდენა სამყაროში ერთხელ ნიკო იჯდა და იცინოდა. ვანოს გაუხარდა, რომ ნიკოს მაგიდა აცინებდა და მაგიდა გარეთ გაიტანა. შემდეგ ნიკოს კარადა აცინებდა და ვანომ კარადაც გარეთ გაიტანა, შემდეგ... ვანომ ცარიელი ოთახიც გარეთ გაიტანა.

ნიკო კინაღამ სიცილით მოკვდა.

შემდეგ ნიკოს უნდოდა გაეცინა ღრუბლებზე, ვარსკვლავებზე, ცრემლებზე, ბედნიერებაზე... ნიკოს უნდოდა გაეცინა, მაგრამ მწარედ ატირდა.

იმ დღის შემდეგ ნიკო ხან იცინოდა, ხან ტიროდა.

აქ კი მკითხველს დროულად გაახსენდა სულხან-საბა ორბელიანის არაკი „მოტირალი და მოცინარი“, თუმცა სჯობდა „ლოდის დამგორებელი“ გახსენებოდა.

ეს არაკი მსოფლიო ლიტერატურაში „სიზიფეს მითის“ სახელით არის ცნობილი. ეს ის არაკია, ალბერ კამიუს შემოქმედებაში ახალი ლიტერატურული ჟანრის კლასიკურ ნიმუშად რომ იქცა.

თუმცა, ამ ორ სხვადასხვა სახელწოდების „არაკს“ შორის არსებითი განსხვავებაა. სიზიფე, რომელიც ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ეოლოსის და ენარეტეს ძედ იხსენიება, აჩრდილთა სამეფოში უზარმაზარ ლოდს მწვერვალისკენ ეზიდება. ეს მისი სასჯელია, ამიტომ მწვერვალზე ატანილი ლოდი უგორდება და მისი ტანჯვა-წამება მარადიულად გრძელდება.

„ლოდის დამგორებელი“ კი თვითონ, თავისი სურვილით აგორებს ლოდს(!) „მუნ ერთი კაცი ჩაღმართს ჩავიდის, აიკიდის ლოდი მრგვალი, ამოვიდის აღმართ, დააგორის“ (ეს დაკვირვება პირველად ერლომ ახვლედიანისგან და რეზო ყარალაშვილისგან მომისმენია.)

გავიხსენოთ როგორ ხსნის ლოდის დამგორებელი ერთი შეხედვით მართლაც აბსურდულ ქცევას:

„...მე ამ ერთი ქვით ჭირსაც ვნახავ და ლხინსაცა. ერთი ცოტა ქვა მაქვს და ჭირი და ლხინი ორივე დიდი; და მრავალსა კაცსა ათასი ამდენი ოქრო აქვს და ცუდად უცან, მით ვერც ჭირსა ნახავენ და ვერც ლხინსაო.“

არა, ეს ნამდვილად არ არის აბსურდის თემა.

ლოდის დამგორებლისთვის ჭირისა და ლხინის ნახვა მისი საქმიანობის მთავარი შედეგია. მისი ჯაფა სულაც არ არის უნაყოფო, ხოლო არაკის მორალი ქრისტიანული რწმენით (ხე ნაყოფით იცნობა) არის განმტკიცებული.

სიზიფეს მითის მთავარი აზრი (თუ უაზრობა) ამაოებისთვის ზრუნვის მთელი ტრაგედიაა - უაზრო, უიმედო, უნაყოფო შრომა აბსურდულ გარემოს ქმნის. „ამ გარემოში ყველაფერი ნებადართულია და სულიერ ფასეულობებს ამიტომ დაუკარგავს აზრი და მნიშვნელობა. ამ გარემოში ერთადერთი აზრი, რომელიც არ ცრუობს, უნაყოფო ფიქრია. აბსურდულ სამყაროში ცნების ან ცხოვრების ღირებულება უნაყოფობით იზომება“. (როსტომ ჩხეიძე „ამაოებიდან მარადისობისკენ“)

ახლა კი ისევ „ვანოს და ნიკოს“ დავუბრუნდეთ. ის, რაც ნიკოს აცინებს ან ატირებს - მაგიდა, ოთახი, ღრუბლები, ვარსკვლავები - სწორედ ის „ცოტა ქვაა“, რომლითაც ნიკო ჭირსაც ნახავს და ლხინსაც. ის, თუ რაოდენ ღირებულია ეს ნაყოფი, ლოდის დამგორებელი გვიმოწმებს, მრავალ კაცს ათასი ამდენი ოქრო აქვს, მაგრამ ვერც ჭირს ნახავენ და ვერც ლხინსაო. ნიკო ამ ნაყოფს ამაო ზრუნვის გარეშე მოიმკის. ერთი და იგივე საგნის შეცნობით მას შეუძლია იპოვოს „მიზეზი ლხინთა (ჭირთა) ლევისა“ (რუსთაველი). ის არც თესავს, არც მკის, არც ბეღელში აგროვებს და მაინც უზრუნველია გრძნობათა განცდით და ამ განცდათა აღმავალი მონაცვლეობით, რაც თავისთავად ბედნიერების ტოლფასია.

მაგრამ ყველაფერი ხომ ასე ადვილად არ ხდება, არც ეს სამყაროა მარტივად მოწყობილი. უბედურებას ყოველთვის არ მისდევს ბედნიერება, არც სიცილს - ტირილი, არც აღმართს - დაღმართი, ხშირად სიტყვაც არა ჰგავს სიტყვას, აზრი აზრს, ხშირად ხომ ადამიანიც არა ჰგავს მეორე ადამიანს?

ამიტომ მკითხველის წადილი, მოძებნოს ის დამაკავშირებელი ძაფები, რომელიც ერლომ ახვლედიანის შემოქმედებას ქართულ და მსოფლიო ლიტერატურასთან აახლოვებს, ისეთივე ახირებული სურვილია, როგორც ახალშობილი ბავშვის ახლობელთა მცდელობა, მის გარეგნობა-ხასიათში მშობლებთან, ბიძა-ბაბუებთან, მამიდა-დეიდებთან მსგავსება აღმოაჩინონ.

განა ამ დროს ვინმეს ეჭვი ეპარება ბავშვის კანონიერებასა და მშობლების პატიოსნებაში?

არა, მაგრამ თითოეულ მათგანს ხომ ძალიან გაუხარდება, თუ ახალშობილს მას მიამსგავსებენ, მერე რომ თამამად თქვას, მე მგავსო. ეს კი ძალიან ჰგავს იმას, ერთხელ ნიკო შვიდი რომ იყო, ვანო კი ერთი და თანაც პატარა.

„ერთმა ნიკომ ვანო გაზარდა და თქვა - ვანო ჩემიაო.

მეორე ნიკომ ტანთ ჩააცვა და თქვა - ვანო ჩემიაო.

მესამე ნიკომ არც გაზარდა და არც ჩააცვა და მაინც თქვა - ჩემიაო ვანო.

მეოთხე ნიკომ ქუდი დაახურა. ქუდი ცოტა დიდი მოუვიდა ვანოს, რადგან პატარა იყო ვანო, მაგრამ მეოთხე ნიკო ვანოს მაინც იჩემებდა.

მეხუთე ნიკო ყველა ნიკოზე ღონიერი იყო და თქვა - ვანო ჩემიაო.

მეექვსე ნიკო, მართალია არაფერს ამბობდა, მაგრამ ამით ის უნდოდა ეთქვა, რომ ვანო მისი იყო.

მეშვიდე ნიკო მასწავლებელი იყო და ბევრი რამე ასწავლა ვანოს, მაგრამ ბოლოს ისიც უნდოდა ესწავლებინა, რომ ვანო სწორედ მისი იყო.

* * *

ერთხელ ვანო წავიდა და დიდი მუხის ქვეშ წამოჯდა და ჩაფიქრდა:

ვისი ვარ?

მგონი, მე პირველი ნიკოსი არა ვარ. მგონი არც მეორე ნიკოსი ვარ. მესამე ნიკოსი არა ვარ და არა ვარ. მეოთხე ნიკოსი? – არა! მეხუთესი? – არა! მეშვიდე ნიკოსი არა ვარ და აბა, მეექვსე ნიკოსი როგორღა ვიქნები.”

მკითხველს ალბათ ძალიან გაახარებს ვანოს სიხარული, რომ პატარა ვანო არც პირველი ნიკოსი იყო, არც მეორისა, არც მესამისა, არც მეოთხისა, არც მეხუთისა,

არც მეექვსისა და არც მეშვიდისა.

ვანო თვითონ იყო თავისა.

არავისი არ იყო არც პატარა „ვანო და ნიკო“, არც „არავის“, არც „აბსურდის“ არც „ანეგდოტის“, არც „თანამედროვე ზღაპრისა“...

არც რუსული იყო, არც სომხური, არც ჩეხური, არც გერმანული, არც უნგრული, არც არაბული, („ვანო და ნიკო“ ამ ენებზეა თარგმნილი) არც ქართული?

„ამ ზღაპრებში არაფერი არის სპეციალურად ქართული, ქართულია მხოლოდ სახელების წარმომავლობა ვანო და ნიკო, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში „ივან და ნიკოლაი“, „ვანია და კოლია“. ზღაპარი ღრმად ნაციონალურია, როგორც ორნამენტის ხაზი“ – წერდა ანდრეი ბიტოვი.

სძლივს... აი, ერთი პატარა ლურსმანი, „ღრმად ნაციონალურიო“ - ხომ ბრძანებს ბატონი ანდრეი ბიტოვი, ახლა, ახლა სწორედ ეს პატარა ლურსმანი უნდა დავაჭედო კედელზე და ზედ ჩამოვკიდო დროში და სივრცეში მონავარდე, მოუხელთებელი „ვანო და ნიკო“.



მაგრამ ეს არაა საკმარისი. საჭიროა მორალის მკაცრ ჩარჩოებში მოვაქციოთ მათი მოქმედება, უნდა დაკონკრეტდეს დროის ეს განუსაზღვრელი ფორმაც „ერთხელ“. „ერთხელ ვანო ოცნებობდა...“ „ერთხელ ასე თქვეს: ვანო ბრიყვიაო, ხოლო ნიკო არ არის ბრიყვიო...“ მორალისთვის აი, ეს ამბავიც გამოგვადგება. (ამ) ერთხელ ნიკო ცუდი ადამიანი იყო და სულ ცუდს უკეთებდა სხვას, ხოლო ვანო კარგი ადამიანი იყო და სულ კარგს უკეთებდა სხვას, ნიკოს მობეზრდა ცუდი ადამიანობა, მობეზრდა ნიკოობა და გავანოვდა, ვანოს არ მობეზრდა ვანოობა, მაგრამ მაინც განიკოვდა.

მერე აღარც განიკოვებულ ვანოს უნდოდა ნიკოობა და არც გავანოვებულ ნიკოს. ამიტომ ორივე გავანოვდა.

თუ ამ ნაწარმოების მორალს ჩავუკვირდებით, „ნუ შევეცდებით ამ „არაკებში“ რაიმე მორალის პოვნას - გვაფრთხილებს წიგნის ბოლოსიტყვაში რეზო ყარალაშვილი - ვთქვათ ვანოში სიკეთისა, ხოლო ნიკოში ბოროტების დანახვა, ვინაიდან ვანო ყოველ წუთს შეიძლება განიკოვდეს, ხოლო ნიკო კი გავანოვდეს. მორალი სოციალური კატეგორიაა, ხოლო ერლომ ახვლედიანის არაკების თემა არაა კონკრეტული საზოგადოება, არამედ ყოფიერებაა მის მთლიანობაში, რაც აღემატება ყოველივე იმას, რასაც ჩვეულებრივ „კარგს“ ან „ცუდს“ ვუწოდებთ ხოლმე. ვანო და ნიკო ზღაპრული გმირების თარგზე გამოჭრილი თავისებური „სამუშაო ჰიპოთეზია“ რომლებიც მოწოდებულია წარმოაჩინონ ადამიანთა ურთიერთობის მრავალფეროვნება და შთაგვაგონონ ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ სამყაროს ჰარმონია არ დაირღვევა ცალკეული შეუსაბამობის გამო“.

ისევ აქანავდა ერთ პატარა ლურსმანზე ჩამოკიდებული „სურათი“. ასეთ პირობებში თითქმის შეუძლებელია მის შეფასებაზე ფიქრი.

ნეტავ, რას გვირჩევს „ვანოს და ნიკოს“-ს ოცი წლის მკითხველი? თუმცა სჯობდა ორმოცი წლის მკითხველისთვის გვეკითხა.

მათ, ვისაც ბავშვური აღქმის უშუალობა და გულწრფელი აღტაცების უნარი კიდევ შერჩენიათ, შეუძლიათ ყველგან და ყოველთვის იკითხონ ეს წიგნი. ხოლო განსაკუთრებული ნიჭისა და ღრმა ფანტაზიის მქონე მკითხველს ვურჩევ, „ვანო და ნიკო“-ს კითხვის დროს ცოტათი განზე გადგეთ, დაახლოებით იმ მანძილზე, ნახატის ფერი საღებავის სუნს რომ ჰკარგავს. თუმცა ესეც არაა საკმარისი, საჭიროა უძრავი წერტილის მოძებნა, დროსა და სივრცეში პირობითად უძრავი წერტილიდან ზუსტად აღიქვამთ მასალის ბუნებრიობას, მოძრაობის მიმართულებას და იმ უცნაურ მხატვრულ ფორმას, რომელშიც „ვანო და ნიკოა“ ჩამოსხმული.

კითხვა უფრო გაგიადვილდებათ, თუ ზუსტად განსაზღვრავთ, რა მანძილი გაშორებთ იმ ზღაპრულ სამყარომდე, სადაც ვანო და ნიკო ცხოვრობენ.

ამ გზაზე თქვენ უამრავ ადამიანს შეხვდებით, „ერთი იცინის, მეორე ტირის, მესამე მეოთხეს ესაუბრება, მეხუთე დგას, მეექვსე წევს, მეშვიდე ნახევრად წამოწოლილია, მერვე თავის ბაღში ყვავილებს რწყავს, მეცხრე ვარსკვლავებს ითვლის...“

მეათე ოცი წლის მკითხველს ვანო და ნიკოზე უყვება,

მეათე თვითონ ავტორია.

მერე აღარ უყვება...

კარგია, როდესაც ორი ადამიანი არ საუბრობს და დუმილი უხერხული არ არის.

„ერლომ ახვლედიანი ამ უხილავი კავშირების, ურთიერთობებისა და დამოკიდებულებების დანახვის გასაოცარი უნარითაა დაჯილდოებული. მას ჯერაც თითქოს შემორჩა ბავშვური აღქმის უშუალობა და ცნობისმოყვარეობა, ძალუძს სრულიად ჩვეულებრივ საგნებში და მოვლენებში „სასწაულის“ ჭვრეტა და, ამავე დროს, ეს მისი გულუბრყვილობა და უშრეტი ფანტაზია გასაკვირადაა შეზავებული ექსპერიმენტისა და ლოგიკური ანალიზის ნიჭთან, რაც უმალ მოაზროვნისა და მეცნიერის თვისებაა, ვიდრე ხელოვანისა“.

ძნელია ერლომ ახვლედიანზე და მის შემოქმედებაზე წერა...

უფრო ადვილია საუბარი.

ალბათ, ახლა ერლომი თავის ძველ მამისეულ სახლში ლურჯთვალა კოღოზე წერს, რომელსაც წვიმის წვეთი შეუყვარდა.

თხრობა ისეთი მსუბუქი და ბუნებრივია, როგორც ჯანმრთელი ადამიანის სუნთქვა. სიტყვები კი, თვით დაღლილი სიტყვებიც აქ ისეთი შუქით ბრწყინავენ, რომ ახალთახალი გეგონება:

„ლიას ეცოდებოდა ეს წვიმიანი, სველი დღე, რომელიც თვალსა და ხელს შუა ილეოდა, იხურებოდა, ქრებოდა. მას მოუნდა ეშველა მისთვის და თუ ვერ უშველიდა, და თუ ვერ გადაარჩენდა, გაჰყოლოდა მას. მისთვის წარმოუდგენელი იყო ისიც, რომ იყო ამდღევანდელ დღეში, როგორც აი, ამ ოთახში და მერე აღარ იყო მასში. ანდა დღემ დაგტოვოს, წავიდეს და შენ თან არ წაგიყვანოს.“ ■

**ვაშინგტონი, 7.4.2005**

გავიქეცი. გავიქეცი ამერიკაში. სულ ორი თვით. ამასთან, მთელ ჩემს ოჯახთან, ანუ დაშასთან და ბოქსიორის ჯიშის ორ ძაღლთან, შუგრთან და მის შვილ მადლენკასთან ერთად. გავიქეცი იმ იმედით, რომ ამერიკაში მეტი დრო მექნებოდა გატაცებით წერისათვის. ორი წელია, პრეზიდენტი აღარა ვარ და სულ უფრო მაღიზიანებს, რომ ამ დროის განმავლობაში ორი სიტყვაც არ დამიწერია. როდესაც მეკითხებიან, უკვე მერამდენედ, ვწერ თუ არა რამეს და თუ ვწერ, რას, ცოტა არ იყოს, ვბრაზდები და ვამბობ, რომ ცხოვრებაში საკმარისად მაქვს დაწერილი, უდავოდ მეტი, ვიდრე ჩემი თანამემამულეების უმეტესობას და რომ წერა სრულებითაც არ არის ვალდებულება, რომლის შესრულებაც ადამიანს უნდა გამოსძალო. კონგრესის ბიბლიოთეკის სტუმარი ვარ. აქ გამომიყვეს წყნარი და მყუდრო ოთახი, სადაც შემიძლია მივიდე ნებისმიერ დროს და ვაკეთო, რაც გამიხარდება. სამაგიეროდ არაფერი მომეთხოვება. ეს მშვენიერია. ამ მშვენიერ ატმოსფეროში სხვა საქმეების პარალელურად პან ჰვიჟალას შეკითხვებსაც სიამოვნებით ვუპასუხებ.

* * *

*- საუბარს დავიწყებდი შეკითხვით, რომელიც შეეხება 80-იანი წლების მეორე ნახევარს, როდესაც ცენტრალური ევროპის ყველაზე გამოჩენილ დისიდენტად ანუ, როგორც ჯონ კინმა გიწოდათ, „ვარსკვლავად ოპოზიციის თეატრში“ იქეცით. შეგიძლიათ თუ არა გაიხსენოთ ის მომენტი, როცა პირველად მოგივიდათ აზრად, რომ პოლიტიკაში უნდა შეგებიჯებინათ და არ უნდა დაკმაყოფილებულიყავით მხოლოდ დრამატურგისა და მოაზროვნის როლებით?*

- პირველ რიგში, ოდნავ მაინც შევეწინააღმდეგებოდი ტიტულის, „ვარსკვლავი ოპოზიციის თეატრში“, მონიჭებას. მაშინ ყველაფერს ვაკეთებდით, რათა არ დავეყავით „ვარსკვლავებად“ და დანარჩენებად. რაც უფრო გამოჩენილი იყო რომელიმე ჩვენგანი და ამდენად უფრო დაცულიც, მით უფრო ცდილობდა ნაკლებად ცნობილები და შესაბამისად, მეტ ხიფათში მყოფნი დაეცვა. რეჟიმი კი მოქმედებდა პრინციპით: „დაყავი და იბატონე“. ერთს ეუბნებოდნენ: „როგორ შეგიძლიათ თქვენ, ყველას მიერ აღიარებულ ინტელექტუალს, საქმე დაიჭიროთ იმ არარაობებთან?!“, ხოლო მეორეს - „იმათთან საქმეს ნუ დაიჭერ, მფარველები ჰყავთ, ყველაფრიდან ყოველთვის გამოძვრებიან და თუ დასჭირდათ, მათ მაგივრადაც თქვენ დაისჯებით“. გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდით ოპოზიციონერებს შორის თანასწორობის პრინციპს.

მეორეც, კარგად იცით, ნაკლებად თავდაჯერებული ვარ. გამუდმებით, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ვსაყვედურობ და ვაკრიტიკებ საკუთარ თავს. ასეთი ადამიანი ძნელად თუ დათანხმდება მტკიცებას იყოს „ვარსკვლავი“. თუმცა უნდა დავუშვა, რომ ხალხის გაერთიანების გარკვეული ნიჭი მაქვს, რადგანაც ვარ ადამიანი, რომელიც პირდაპირ ფიზიკურად ვერ იტანს კონფლიქტებს, დაძაბულობასა და დაპირისპირებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამის აუცილებლობა არ არსებობს. მეტიც, არ მიყვარს გაუთავებელი ლაპარაკი თვალსაჩინო შედეგების გარეშე. მუდამ ვცდილობდი ხალხის გაერთიანებას, ვეხმარებოდი მათი აზრების თანხვედრას და ვეძებდი საერთო შეხედულებების საქმედ გადაქცევის გზებს. შესაძლოა, ზუსტად ეს იყო ის თვისებები, რომლებსაც საბოლოოდ (თუმცა ისე, რომ არც მიზრუნია და არც მინდოდა), ჩემგან დამოუკიდებლად, ყოველთვის გამოვყავდი წინა პლანზე, რის გამოც შემდგომში ვინმეს, შესაძლოა, „ვარსკვლავადაც“ მოვჩვენებოდი.




არ მგონია, შეიძლებოდეს ჩემს ცხოვრებაში მკვეთრი ზღვრის გავლება იმ ეპოქებს შორის, როდესაც ვიყავი ან არ ვიყავი ჩართული პოლიტიკაში. პოლიტიკასა თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში ყოველთვის ვიყავი რამდენადმე ჩაბმული და გარკვეულწილად, ყოველთვის ვიყავი პოლიტიკური მოვლენა. ის, რომ ტოტალიტარიზმისას ყველაფერი პოლიტიკაა, როკ-მუსიკის კონცერტის ჩათვლით, ჩვეულებრივი ამბავია. განსხვავება, ცხადია, იყო ჩემი საქმიანობის თვალსაჩინოებასა და გავლენაში, ანუ რამდენად დიდი გავლენის მოხდენა შეეძლო მას ამა თუ იმ პერიოდში: სხვა იყო სამოციან წლებში და სულ სხვა? - ოთხმოციანებში. ამ გადასახედიდან, ერთადერთი, მართლაც რომ გარდამტეხი მომენტი ჩემს ცხოვრებაში დადგა 1989 წლის ნოემბერში, როდესაც გადავწყვიტე პრეზიდენტობის კანდიდატი გავმხდარიყავი. მაშინ დამთავრდა ლაპარაკი ჩემი საქმიანობის პოლიტიკურ გავლენაზე?- საქმე უკვე ეხებოდა პოლიტიკურ ფუნქციას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ბოლო წუთამდე ვორჭოფობდი.

* * *

**ვაშინგტონი, 9. 4. 2005**

ორი დღის წინ სამუშაო ვიზიტით აქ იმყოფებოდა უკრაინის ახალი პრეზიდენტი, იუშჩენკო. მივიღე ძალიან თბილი მიპატიჟება ერთ-ერთ დიდ შეხვედრაზე, სადაც საპატიო სიტყვა უნდა წარმომეთქვა. მოკლედ ვთქვი ის, რასაც უკვე დიდი ხანია ვფიქრობ:

კომუნიზმის, ან სხვაგვარად, კომუნისტური ტიპის ტოტალიტარული სისტემის დაცემის შემდეგ, საბჭოთა ბლოკის ქვეყნების უმეტესობაში დადგა გარკვეული გარდამავალი ფაზა, რომელსაც, როგორც სამუშაო ვერსია, შეიძლება ვუწოდოთ პოსტკომუნიზმი. ეს არის უპრეცედენტოდ სწრაფი და მასშტაბური პრივატიზაციის ხანა, რომელიც არ იყო შეზღუდული ძლიერი და ქმედითი საკანონმდებლო ჩარჩოებით და რომლის მიმდინარეობაზეც, ცხადია, უზარმაზარ გავლენას ახდენს ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურა თუ ძველი კომუნისტური წარმოების ხელმძღვანელობა. მათ გააჩნიათ შესაბამისი კონტაქტები და ინფორმაცია, რაც მათ ბიზნესმენთა ახალი ფენის ბირთვად ან, ყოველ შემთხვევაში, გავლენიან ნაწილად აქცევს. ლაპარაკია ადამიანებზე, რომლებმაც კარგად იციან, რომ დემოკრატია სიტყვისა და პოლიტიკური შეხედულებების თავისუფლებას ნიშნავს და მიუხედავად ამისა, ძალიან მოხერხებულად შეუძლიათ ეს თავისუფლება მოაქციონ გარკვეულ ჩარჩოებში. სისტემა, რომლისკენაც მიისწრაფვიან, არ არის ღია,

პირიქით, აქვს ტენდენცია თავის თავში ჩაიკეტოს. შეუმჩნევლად ერთიანდებიან პოლიტიკური, ეკონომიკური ძალები და პრესა. იბადება წარმონაქმნი, რომელსაც დიდი ხნის წინ შევარქვი მაფიოზური კაპიტალიზმი და წარმატებით შეიძლება ვუწოდოთ მაფიოზური დემოკრატიაც (ვიმოწმებ ზაკარიას მიხედვით დემოკრატიისა და თავისუფლების კლასიფიკაციას ან პოპერის ღია და ჩაკეტილი პოლიტიკური სისტემების ანალიზს). ყოველ ქვეყანაში, რომელმაც თავიდან მოიშორა კომუნიზმი, პოსტკომუნიზმს განსხვავებული სახე აქვს, მაგრამ ცოტა ვინმე თუ დაუძვრა ამ მოვლენას სავსებით. თუმცა დრო მირბის, ახალი თაობები იზრდებიან, საზოგადოების მოთმინების ფიალაც ივსება. შემდეგ მოდის ახალი თაობის რევოლუცია ანუ? - უფრო ზუსტად? - თავდაპირველ რევოლუციონერთა საქმე სრულდება. ამჯერად ანგარიშსწორება ხდება უკვე პოსტკომუნიზმთან (რა გაგებითაც უკვე ვახსენე), და არა კომუნიზმთან. და რადგანაც ყოველ ქვეყანაში პოსტკომუნიზმს, ცოტა არ იყოს, განსხვავებული სახე აქვს, მათ წინააღმდეგ პროტესტის ფორმებიც საკმაოდ განსხვავდება ხოლმე.

მაგონდება, იუშჩენკოსთან შეხვედრისას მოვყევი კიდეც, როგორ შემეკითხა ერთი ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსი, რომელ არეალს ეკუთვნის უკრაინა. შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ეკუთვნოდა იმ არეალს, რომელსაც ჩვენ დასავლეთს ვეძახით. თუმცა ასე არ მიპასუხია. ვთქვი,რომ ეს თვით უკრაინის გადასაწყვეტია. ეს ყველაფერი მოითხოვს პატარა განმარტებას: დღეს თუ ითქვა, რომ ვინმე ეკუთვნის დასავლეთს, ეს ჟღერს ერთგვარ შექებად, ხოლო თუ საპირისპირო ითქმის, მსუბუქ გაკიცხვად ჟღერს. ეს ყველაფერი კი დასავლური ქედმაღლობის ტიპური გამოვლინებაა. ეკუთვნოდე აღმოსავლეთს, სირცხვილი არაა, ისევე როგორც ევროპელობა არ ნიშნავს ავტომატურ პრივილეგიას. თანამედროვე მსოფლიოს კარგი და მშვიდობიანი ცხოვრების იმედი, გარდა სხვა ყველაფრისა, შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაფუძნებული იქნება ცივილიზაციური, ისტორიული, კულტურული და გეოგრაფიული ფაქტორებით განპირობებული სხვადასხვა დიდი ზეეროვნული ან რეგიონული ერთეულის თანასწორუფლებიან თანამშრომლობაზე. ასეთი თანამშრომლობისთვის აუცილებელ წინაპირობად გვევლინება მკაფიო შეთანხმება იმის შესახებ, თუ სად იწყება და სად მთავრდება ესა თუ ის არეალი; მოკლედ რომ ვთქვათ, მკაფიო შეთანხმება მათი საზღვრების შესახებ. მხოლოდ ზუსტად განსაზღვრულ და შემოფარგლულ ერთეულებს შეუძლიათ მართლაც პარტნიორული და შემოქმედებითი თანამშრომლობა; ნებისმიერი არამკვეთრი, დაუზუსტებელი თუ საკამათო საზღვრები მომავალში შეიძლება გადაიქცეს. მსგავსად ეროვნული სახელმწიფოებისა წარსულში, მხოლოდ არასტაბილურობის, დაძაბულობისა და ბოლოს, სამხედრო კონფლიქტების წყაროდ.

ამიტომაც ვფიქრობ, რომ ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება მოითხოვს ყურადღების გამახვილებას თითოეული ცივილიზაციური არეალის საზღვრების პრობლემაზე, ანუ პრობლემაზე, რომელიც შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთნი, ამ მომენტისათვის უფრო მდიდარნი, სხვების, ამ მომენტისათვის უფრო ღარიბების მიმართ, შეიცვლიან ქედმაღლურ დამოკიდებულებას. ამით ვუბრუნდები უკრაინას.

რკინის ფარდის დაცემის შემდეგ მთელი ცენტრალური ევროპა და ბალკანეთი შევიდა დასავლეთში. ეს უდავოდ სწორი გადაწყვეტილება იყო, წამოსული საკუთარი ისტორიისა და კულტურის სწორი გაგებიდან. და მაინც, ფასეულობებით, მაგრამ აგრეთვე გეოგრაფიით განსაზღვრული დასავლეთი, აღმოსავლეთის რომელ ნაწილში მთავრდება? როგორ შეძლებს სხვასთან შინაარსიანად თანამშრომლობას, როდესაც საკუთარ საზღვრებზე ანუ თავის რაობაზე არ გააჩნია ნათელი წარმოდგენა? ცხადია, იმ შეკითხვის უკან, რომელიც ხსენებულმა ამერიკელმა პოლიტიკოსმა დამისვა, იდგა სამართლიანი შეგრძნება იმისა, რომ აუცილებელია მკაფიო შეთანხმება შექმნის პროცესში მყოფი ზეეროვნული პოლიტიკური ერთეულების საზღვრებისა და ამდენად, მათი სტრუქტურებისა და ორგანიზაციების შესაძლო გაფართოების საზღვრების შესახებაც. რუკისა და უკრაინის ისტორიისათვის თვალის ერთი გადავლება საკმარისია იმის სათქმელად, თუ ვის ეკუთვნის, მაგრამ მჯეროდა, რომ გადამწყვეტი სიტყვა თვითონ უნდა ეთქვა. და როგორც იქნა, ჩემდა სასიხარულოდ, ეს სიტყვა წარმოითქვა. ძველი მსოფლიო წესრიგის მსხვრევიდან, თხუთმეტი წლის შემდეგ.

* * *

**16. 4. 1995**

დასაწყისისთვის მოკლე ცნობა ჩემ შესახებ: აღდგომის წინა ორი დღე (პარასკევი და შაბათი) ძალიან საცოდავად გავატარე: გაცოფებული ვიყავი მთელ სამყაროზე, ჯერ მარტო იმიტომ, რომ ჩემთვის არ არსებობს არანაირი აღდგომა და უნდა ვიმუშაო (მზად მყოფ სასწრაფო დახმარების მედდებთან და მძღოლთან ერთად), შეიძლება კიდევ იმიტომ, რომ ერთდროულად ამდენი გამოსვლა მაქვს დასაწერი, ან კიდევ იმიტომ, რომ ცხვირწინ მიდევს მასალების სქელი დასტები და საერთოდ, უიკენდზე უამრავი ასეთი ადმინისტრაციული ქაღალდი მაქვს წასაკითხი (თითქმის 300 გვერდი), ან კიდევ იმიტომ, რომ პრინტერი გაფუჭდა, მის გარეშე კი სიტყვას ვერ ვწერ და კიდევ იმიტომ, რომ ვერავინ მომიძებნია პრინტერის გასაკეთებლად, ყველანი სადღესასწაულოდ არიან გაკრეფილი. მარტოსულად ვგრძნობდი თავს, მეგონა მთელმა სამყარომ ჩემ წინააღმდეგ შეკრა პირი, ამკიდა დაუძლეველი ტვირთი და ერთობა იმის ყურებით, როგორ მეკეცება მუხლები. გალიაში გამომწყვდეული ლომივით დავბორიალობდი ოთახში და გაურკვეველ მსხვერპლზე ბოღმით ვიხრჩობოდი (მიუხედავად იმისა, რომ მეხამრიდად ჩემი სამსახური მესახებოდა). ბოლოს სიტუაცია ცოტა გამოსწორდა: მომიძებნეს ადამიანები, რომლებმაც პრინტერი სახელდახელოდ შემიკეთეს და კვირას დილიდან (ანუ დღეს), როგორც იქნა, დავიწყე მუშაობა. შედეგებს გიგზავნით.

*- როგორ ებრძოდით იმ მუდმივად მზარდ თაყვანისცემას, რომელიც, ჩვეულებრივ, გონებას უბინდავს ხოლმე ადამიანს? გვახსოვს როგორ მოგმართათ პროფესორმა მილან მახოვეცმა რეალისტური თეატრის კულისებში: თქვენ ღმერთზე მეტი ხართ!*

არ მახსოვს, რაიმე მსგავსი ეთქვას, მაგრამ თუ თქვა, ეს ნამდვილად ნახევრად ხუმრობა და ნახევრად მეტაფორა უნდა ყოფილიყო. ალბათ ამით იმის თქმა უნდოდა, რომ მაქვს? (ყოველ შემთხვევაში იმ დღეებში მქონდა) დაუჯერებლად დიდი და, რაც მთავარია, ყველასათვის ადვილად დასანახი გავლენა მოვლენებზე. ცხადია, ღმერთს, თუკი არსებობს, განუზომლად მეტი გავლენა აქვს, ვიდრე ნებისმიერ მოკვდავს, მაგრამ რას იზამ, მისი გავლენა არ არის ასე ადვილად დასანახი, მით უმეტეს, რომ მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ჩვენი ნების თავისუფლებასთან, რაც უდავოდ ღმერთის ერთ-ერთი ყველაზე საიდუმლო ქმნილებაა.

და საერთოდ, არა მგონია, მახოვეცის მხრიდან ეს წმინდა თაყვანისცემის გამოვლინება იყო. თუმცა უნდა ვაღიარო, გარკვეული დროის განმავლობაში მართლაც ვიყავი თაყვანისცემის ობიექტი და ეს ალბათ, ასე იქნებოდა ჩემს ადგილას მყოფი ნებისმიერი სხვა ადამიანის შემთხვევაშიც. მე მიყურებდნენ როგორც ადამიანს, რომელმაც საზოგადოება მიიყვანა უსაზღვროდ ძლევამოსილი ხელისუფლების აპარატზე წარმატებულ და მთლიანობაში უმტკივნეულო გამარჯვებამდე, მიყურებდნენ როგორც ადამიანს, გამოსულს მათივე წიაღიდან და არა საძულველი ხელისუფლების რიგებიდან. სხვათა შორის, ეს თაყვანისცემა მოგვიანებით საკმაოდ ძვირად დამიჯდა. ყოველგვარ კრიტიკას მოკლებული ბრმა პატივისცემა ისჯება, ისჯება ობიექტი ამ პატივისცემისა და არასდროს? - სუბიექტი. მსგავს სიტუაციას ხომ ხშირად ვხვდებით.

ერთხელ უკვე ვახსენე: დღევანდელი ჩეხეთის პრემიერი, ჯერ იყო და უსაფუძვლოდ საუკეთესო ჩეხ პოლიტიკოსად მონათლეს, შემდეგ კი საკუთარი სისულელისათვის სამაგიერო გადაუხადეს იმით, რომ რამდენიმე დღეში ყველაზე ცუდი პოლიტიკოსების რიცხვს მიაკუთვნეს. ამ მოვლენის ფსიქოლოგიური საფუძველი, ანუ ბრაზი წინანდელ მონურ დამოკიდებულებაზე არ იყო შემდგომი უსამართლო კრიტიკის ერთადერთი მიზეზი. არანაკლებ მნიშვნელოვანი, თუ უფრო მნიშვნელოვანი არა, იყო ის, რომ ხშირად ვემხრობოდი უმცირესობის აზრს და ამით ვემიჯნებოდი საყოველთაოდ აღიარებულ შეხედულებას, თითქოს პოლიტიკოსი უნდა იყოს უმეტესობის განწყობის, შეხედულების, მიმართებისა თუ მენტალიტეტის ამსახველი სარკე. ცხადია, ეს ჩემი მიზანი არ იყო, მაგრამ ბევრი, როგორც დისიდენტობის, ასევე პრეზიდენტობის ხანაში, ხედავდა ჩემში თავის მივიწყებულ სინდისს. ჩვეულებრივ კი ამას არ პატიობენ. თუმცა, თქვენ, ძირითადად, გაინტერესებდათ, თავბრუ ხომ არ დამახვია ამ ყველაფერმა. ეს, ალბათ, სხვამ უნდა განსაჯოს. თავბრუ რომ დამხვეოდა, ამის დანახვას და თქვენთვის ანგარიშის ჩაბარებას ნამდვილად ვერ შევძლებდი.

* * *

**ვაშინგტონი, 15. 4. 2005**

ამერიკელები სულ უფრო და უფრო მესიმპათიურებიან. ყოველ შემთხვევაში, ისინი, ვისთანაც კავშირი მაქვს. სულ უფრო ნაკლებად მაწუხებს ის, რასაც ძველად მძიმედ ვეგუებოდი ან სულაც სასაცილოდ მეჩვენებოდა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ასეთ მაგალითს მაინც მოვიყვან. უყვართ კევის ღეჭვა, რის გამოც მცოხნელებს ჰგვანან. განსაკუთრებით ქალებზე მხვდებოდა ეს თვალში. უყვართ (უმეტესად კაცებს) ფეხების მაგიდაზე შემოწყობა. ჭამენ წარმოუდგენლად სქელ ფუნთუშებს, გამოტენილს რითაც გაგიხარდება, სალათის ჩათვლით, რომლის შეჭმაც, ცხადია, განსაკუთრებულ ნიჭს მოითხოვს. მეშინია ასეთი ფუნთუშის შეჭმისა (არასოდეს მიჭამია). პირს გავიხევდი ფუნთუშის ზომაზე ან ფუნთუშას მოვჭყლეტდი პირის ზომაზე, და ყველაფერს, რაც შიგ არის ჩამალული, ძირს გადმოვაფრქვევდი. ყოველივე ამას, უკეთეს შემთხვევაში, აყოლებენ წყალს, უარეს შემთხვევაში კი? - კოკა-კოლას ან რძეს, თანაც პირდაპირ ბოთლიდან, კონსერვიდან ან პლასტმასის ჭიქებიდან თუ ფიალებიდან. მგონი, ლოთი არ ვარ, მაგრამ ჭამა ლუდის ან ღვინის მიუყოლებლად წარმოუდგენლად მიმაჩნია. საჭმელზე წყლის დაყოლება ციხეში გატარებულ წლებს მაგონებს. რაც შეეხება პლასტმასის ჭიქებს, როგორც ცენტრალური ევროპის მცხოვრებს, ამერიკა მეჩვენება შესაფუთებისა და სხვა ნარჩენების ქვეყნად. არ ვიცი რითია ეს გამოწვეული, თითქოს ჩვენთანაც საკმარისად არის მსგავსი შესაფუთები და ნარჩენები. ამ საკითხის კვლევას კიდევ გავაგრძელებ. ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ კბილების სითეთრეს, რაც ძალიან მომწონს. ათობით მეთოდი აქვთ, თუ როგორ მიაღწიონ კბილების სრულყოფილ სიქათქათეს და არც ისე იშვიათია, რომ საკუთარ მეტ-ნაკლებად ჯანმრთელ კბილებს ამჯობინებენ ხელოვნურს, სამაგიეროდ უფრო ლამაზს. წარსულთან შედარებით დიდ ცვლილებას ვხედავ ევროპული და იაპონური მანქანების მოჭარბების მხრივ. უფრო პატარები და ეკონომიურებია, ვიდრე ამერიკულები, რომლებსაც, გაუგებარია რატომ, მაგრამ მაინც, რამდენიმე და თანაც სავსებით ზედმეტი ცხენების რემა აქვთ ჩამალული ძრავაში და შეუძლიათ დაშვებულზე ბევრად მეტი სიჩქარის განვითარება.

*- როგორ გახსენდებათ ჰრადზე გატარებული თქვენი პირველი წუთები?*

ცხადია, ქვეყანაში არსებული ატმოსფეროს კვალი იმ პირველ წუთებსაც აჩნდა. მახსოვს, ბევრს ვიცინოდით, თუმცა დღეს უკვე მიჭირს დაზუსტებით ვთქვა რაზე და რისთვის. ჩვენი გუნდი შედგებოდა ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებისაგან. მოულოდნელად ეს გუნდი თვითონ აღმოჩნდა სამყაროში, რომელსაც მხოლოდ შორიდან იცნობდა და რომელიც აქამდე მხოლოდ კრიტიკისა თუ დაცინვის ობიექტი იყო მისთვის. სწორედ ჩვენ უნდა გადაგვეწყვიტა სასწრაფოდ ამ სამყაროს სამომავლო ბედი. მაშინდელი ჩემი თანამშრომლები უეჭველად გაიხსენებდნენ ათობით დაუჯერებელ, აბსურდულ და სასაცილო შემთხვევას იმ ეპოქიდან. მე კი სიამოვნებით მახსენდება ერთი ასეთი მოვლენა, ცოტა არ იყოს სიმბოლურიც კი: მეჩვენებოდა, რომ ჩემი კანცელარიის სართულზე ნაკლები ოთახი იყო, ვიდრე ეს შეესაბამებოდა ჰრადის ამ ნაწილს. ამიტომაც მოვიპოვეთ მკაცრად გასაიდუმლოებული არქიტექტურული გეგმები, გავერკვიეთ ვითარებაში და დაბეჯითებით მოვითხოვეთ იმ აქამდე თითქოსდა არარსებულ ოთახებში ჩვენი შეშვება. და რა წარმოგვიდგა თვალწინ?

უზარმაზარი, პირქუში, უმკაცრესად გასაიდუმლოებული ვარშავის ხელშეკრულების სატელეგრაფო მოწყობილობა, რომლითაც მხოლოდ იმ ყველაზე ზემდგომებს შეეძლოთ მიმოწერა. ვიპოვეთ შესაბამისი შიფრის მცოდნე პირი და პირდაპირ ამ ოთახიდან მისასალმებელი ტელეგრამა გავუგზავნე გორბაჩოვს. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, საბჭოელებს შესატყვისად დაუფასებიათ ამ მოწყობილობის ასე სწრაფი აღმოჩენის ფაქტი. შესაძლოა, ტელეგრაფი - ისევე როგორც ბევრი სხვა რამ - ჩვენგან დაფარული უნდა დარჩენილიყო. თითქოს ვიღაც სადღაც ასე მსჯელობდა: ჯერ არ ვიცით რა და როგორ იქნება, იქნებ ზოგი რამ კიდევ დაგვჭირდესო. ან იქნებ ვინმემ ბოროტად თქვა: ეძებონ! ან სულაც დაავიწყდათ და ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა ჩეხური მოუწესრიგებლობის კიდევ ერთი დასტური. თუმცა ფრთხილად, მეხსიერებას ვერ დაენდობი, მიდრეკილება აქვს შემოინახოს უპირველესად ის, რაც საუკეთესო იყო. ცხადია, როგორც რევოლუციისას, ისე პრეზიდენტობის პირველ თვეებში გადავიტანე არაერთი მძიმე წუთი. ვინც უშუალოდ არ აგებდა პასუხს გარკვეულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე, ადვილად იტყვის, რომ კომუნისტებთან ასე არ უნდა გველოლიავა. მაგრამ როდესაც უპირისპირდები მოწინააღმდეგეს, რომელსაც ხელთ უპყრია მართვის ყველა სადავე და არ გინდა, დაღვრილი სისხლისთვის ცხოვრების ბოლომდე სინდისმა გქენჯნოს, შენი ყოველი ნაბიჯი საფუძვლიანად უნდა აწონ-დაწონო. თუნდაც მილიონიანი მანიფესტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, გგონიათ, ადვილი საქმეა? უბრალო მიზეზი იყო საკმარისი ფსიქოზისა და ჭყლეტის წარმოსაქმნელად, საკმარისი იმისთვის, რომ ვინმე აჭყოლოდა პროვოკაციებს; სამხედრო გამანადგურებლის ერთ უბრალო გადაფრენას შეეძლო გამოეწვია ის, რომ ხალხს ერთმანეთი გადაეთელა. უნდა ვაღიარო - ეს ჩემი ფანტაზიის ნაყოფი არაა. მოგვიანებით თავდაცვის მინისტრმა მითხრა, რომ არ იქნებოდა ეს ძნელი განსახორციელებელი ანუ გენერალურ შტაბში ვიღაცამ ასეთი გეგმა ხმამაღლა წამოაყენა კიდეც. გარდა ამისა, ამბობენ, რომ ბევრად უფრო სახიფათო გეგმებზეც მსჯელობდნენ, ვთქვათ პრაღის აღებაზე სატანკო ძალების გამოყენებით. ერთი სიტყვით, ფრთხილად უნდა გვემოქმედა. თუმცა როგორც ზოგიერთი ფიქრობს, ყოვლისშემძლე რეჟიმთან ასეთი პრინციპული დაპირისპირებისას სიფრთხილე არ ნიშნავდა მათთან სამომავლოდ შეკვრას.

*- რას პულობს და რას კარგავს ადამიანი „ჰრადის ზღურბლის“ გადაბიჯებისას?*

მე მხოლოდ საკუთარ თავზე შემიძლია ვილაპარაკო. შევეჭიდე იმას, რაც მოითხოვდა მთელ ჩემს არსებას, რამაც მთლიანად ჩამითრია და თითქმის სრულად მოვწყდი სხვა საქმეებს. შეველიე თავისუფლებას,მევალებოდა ვყოფილიყავი უფრო დიპლომატიური, ვიდრე მინდოდა, უფრო სხვაგვარად უნდა მოვქცეულიყავი, ვიდრე ამას ვიზამდი, პრეზიდენტი რომ არ ვყოფილიყავი, სხვაგვარად ვიცვამდი... ამასთან, გამოტოვე ცივილიზაციის განვითარების მნიშვნელოვანი მონაკვეთი, რასაც მხოლოდ ფუნქციის შეწყვეტის შემდეგ მივხვდი, როდესაც პირისპირ შევეჯახე არა მარტო

მობილურების, მანქანების, კომპიუტერებისა და სხვა მოწყობილობების ახალ თაობას, რასაც მაშინ დიდად ვერ ვადევნებდი თვალყურს, არამედ ცხოვრების სრულებით ახალ წესს, განსხვავებულს იმისგან, რომლიდანაც ოდესღაც გამოვაბიჯე. მიუხედავად იმისა, რომ მთელი იმ ხნის განმავლობაში ვცდილობდი შეძლებისდაგვარად ჩვეულებრივი ცხოვრებით მეცხოვრა, მევლო საყიდლებზე, ქუჩებში მესეირნა, ირგვლივ მიმომეხედა, რათა არ მოვტყუებულიყავი. თუმცა, ეს მაინც არ იყო ნორმალური ცხოვრება. ჩვენს ქვეყანაში ეს არ გამოდიოდა. და რა მოვიპოვე? პრინციპში ერთადერთი: ვიყავი მსოფლიოში მიმდინარე დიდი ცვლილებების უშუალო მონაწილე და შემეძლო ამ ცვლილებებზე უშუალოდ მომეხდინა გავლენა. ეს ბედის დიდ საჩუქრად მიმაჩნია.

* * *

**13. 5. 1995**

ხუთშაბათს, ჩვენი სახლი ყვავილებით ზღაპრულად მორთული დამხვდა. მიუხედავად ამისა, ერთმა სავსებით ბუნებრივმა შეკითხვამ მყისვე შემაწყვეტინა ამ მშვენიერებით ტკბობა: ჰრადის კეთილმა მებაღეებმა სახლი არაოფიციალურად მომირთეს თუ ორშაბათს მომივა ფაქტურა 10000 კრონზე? ყოველ კვირას ასეთი მდიდრული მორთულობის საფასურის გადახდა რომ მიხდებოდეს, ადრე თუ გვიან აუცილებლად გადავწყვეტდი შესაბამისი თანხა გადამეცა თავშესაფრებისთვის, მე კი ერთიორი ჩვეულებრივი თაიგული ჩემით მეყიდა ხოლმე ყვავილების მაღაზიაში. კიდევ: ბ. და ი. რაღაცას მელაპარაკებიან იმის თაობაზე თუ როგორ უჭირს პანი ოუშკოვას ჩემი პერანგების რეცხვა, რამდენი სამუშაო აქვს, გასამრჯელო კი დაბალი, შესაბამისად ყველა როგორ ცდილობს ამ ვეებერთელა პრობლემის გადაჭრას.

ღმერთო ჩემო, იცით რას გეტყვით? რასაც ჩემი პერანგების ასე იდეალურად გაუთოებისათვის იმსახურებს, სრულად გადაუხადეთ, ჩემი ან სახელმწიფო ფულიდან, კომუნალური ანგარიშიდან, სპონსორებისაგან, საიდანაც გნებავთ, ოღონდ გამუდმებით რაღაცებს ნუ მეკითხებით და ნუ მსაყვედურობთ! და თუ ეს მართლაც ასეთი გადაუჭრელი საკითხია, მითხარით და ვიპოვი სხვა მრეცხავს, მიუხედავად იმისა, რომ გასაგებია, არავინ არის ამქვეყნად ისეთი იდეალური, როგორიც პანი ოუშკოვა. ან კიდევ: ოლგა ერთგვარ სიმბიოზში იმყოფება სათბურებთან და მებაღეებთან, აწვდის მათ ეგზოტიკურ ნერგებს, ისინი კი მისთვის ზრდიან რაღაც მცენარეებს და უცებ ვიგებ, რომ ეს მათი თანამშრომლობა არალეგალურია! ან თუნდაც ეს: განმიმარტეს, რომ ყოველი გადასაგდები ქაღალდი, როგორც წესი, სავსე სახელმწიფო საიდუმლოებებით, უნდა განადგურდეს და რომ საამისო მოწყობილობას ჰრადი ვერ მათხოვებს, ამდენად, ეს ქაღალდები დიდი მზრუნველობით უნდა ვაგროვო შინ, ერთ რომელიმე მკაცრად გასაიდუმლოებულ ადგილას და დროდადრო საიდუმლოდ ვატარო ჰრადზე გასანადგურებლად. იცოდეთ, მე აქ არავისი ტაკიმასხარა არა ვარ! და ა.შ. ცხადია გესმით, რომ როდესაც მსგავს ფსევდოპრობლემებს მეტ დროს ვანდომებ, ვიდრე ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ჩეხეთ-გერმანიის ისტორიული შეთანხმება, მაქვს უფლება გავცხარდე! გადაწყვიტეთ ეს საკითხები როგორც გენებოთ, ოღონდაც გთხოვთ ჩემს ჩაურევლად! და კიდევ ერთი: კეთილი, კანონის მათივე ინტერპრეტაციის მიხედვით პჰა-ს ეკრძალება ჩემზე ზრუნვა, როდესაც არ ვცხოვრობ მათ რეზიდენციაში, მაგრამ მიჩნდება შეკითხვა, მაშინ მაინც თუ გრძნობენ რაიმე პასუხისმგებლობას, როდესაც მათ რეზიდენციაში ვიმყოფები? თუ გრძნობენ, მაშინ ვეკითხები, როდის ამინაზღაურებენ იმას,რაც მოიპარეს რეზიდენციის გარემონტებისას (90 000 ჩეხური კრონი ნაღდი ფული, ტელევიზორი, რადიო, დიქტოფონო, მაგნიტოფონი, ახალი უთო, და ა.შ.) და ამით, ამ თემას სამუდამოდ ვასრულებ.

ახალი ამბებიდან, რომლებსაც ეს-ესაა ვუყურე, ჩანს, რომ რუსებმა წლისთავთან დაკავშირებული ომის შეწყვეტის შემდეგ, უმალ უმძლავრესი შეტევა მიიტანეს ჩეჩნეთზე. ეს დიდი ღორობაა და ამიტომ გთავაზობთ, რომ იმას, რასაც ლ. ეტყვის ლებედევს, დაემატოს ჩემი მკაცრი მოწოდება ელცინისადმი სასწრაფოდ შეაჩეროს სამხედრო მოქმედებები. ხომ არ ავჯობებდა, რომ მოწოდებას წერილობითი სახე ჰქონდეს? ან იქნებ პირადად გადავცე?

*- რას გრძნობდით, როდესაც კომუნისტურმა პარლამენტმა აგირჩიათ პრეზიდენტად? ამას უყურებდით, როგორც თქვენს თუ როგორც მათ დამცირებას?*

ვერ ვიტყოდი, რომ ეს ვინმეს ამცირებდა, თუმცა შეგრძნება უდავოდ განსაკუთრებული მქონდა. მახსოვს, როგორი აბსურდის შეგრძნებით ვუყურებდი ტელევიზორში საპრეზიდენტო არჩევნების დებატებს, სადაც ჯერ კიდევ სახელმწიფოს ხელში მყოფი ყველა არსებული ორგანიზაციის სახელით, ამომრჩეველს ჩემი არჩევისაკენ მოუწოდებდნენ, დაწყებული ქალთა კავშირით და დამთავრებული ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიით. წარმოიდგინეთ, იგივე ხალხი სულ რამდენიმე დღის წინ ხმამაღლა უჭერდა მხარს ჩემს დევნასა და დაჭერას! ეს ყოველივე მართლაც წაგავდა სცენას „მეფე უბუდან“. მაგრამ უსამართლო ვიქნებოდი, ამ ყველაფრისთვის მხოლოდ დაცინვით რომ მეყურებინა; ეს ტოლფასი იქნებოდა პოლიციის დაცინვისა, რომ ყველა ერთად არ დაგვიჭირა, ან ჯარის დაცინვისა, რაიმე პუტჩი რომ არ მოაწყო. ცხადია, პარლამენტის ასეთი ქცევის უკან მნიშვნელოვანწილად იდგა შიში, მაგრამ ამ შიშს, შესაძლოა მკრთალ ზოლად, მაგრამ მაინც, სახელმწიფოს წინაშე გარკვეული პასუხისმგებლობის გრძნობაც გასდევდა. ყველგან ჩემი სახელი ეწერა და გაკრული იყო ჩემი პორტრეტები. ამას ვერავითარი ცენტრიდან მართული თუ ძვირადღირებული საარჩევნო კამპანია ვერ შეძლებდა? - პარლამენტი გარშემორტყმული იყო სტუდენტებით, რომლებიც დეპუტატებს სთავაზობდნენ პურსა და მარილს იმის ნიშნად, რომ სურთ ძალაუფლების ახალი ძალებისთვის გადაცემა მხოლოდ მშვიდობიანი გზით,

ჩემი არჩევა კი იქცა რევოლუციის ერთგვარ დაგვირგვინებად, ბოლო გამოცდად. დეპუტატებმა გადაავლეს თვალი საქმის რეალურ ვითარებას და, შესაძლოა უხალისოდ, მაგრამ ცნეს საყოველთაო ნება. არც ერთმა ჩვენგანმა არ იცოდა რა მოხდებოდა, რომ არ ვყოფილიყავი არჩეული. მათ კი ოდნავი განსჯის უნარი მაინც თუ გააჩნდათ, უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ სხვა არა დარჩენოდათ რა.

* * *

**2. 3. 1998**

ამ შაბათ-კვირას ბოლო დროის ყველაზე საშინელი დეპრესია მქონდა. ეს ალბათ ჩვენს უკანასკნელ კრებასაც დაეტყო? - ჩემს შესავალ სიტყვას. თუ ვინმეს გუნება-განწყობა გავუფუჭე, ვუბოდიშებ. მეორე მხრივ, ვფიქრობ ხოლმე, რომ ჩემს თანამშრომლებს სრულებითაც არ აწყენდათ ხანდახან თავისი შეფის ჩაბნელებულ სულში ჩაეხედათ-მეთქი.

დეპრესიაში მყოფმა, ცხადია, ვერაფერი დავწერე. მხოლოდ დღეს (ორშაბათს) ნაშუადღევს, ნებისყოფის უსასრულო დაძაბვით ვძლიე თავს და დავწერე პოლონეთის გამოსვლა. გიგზავნით შესაფასებლად. როგორც კი გამომიჩნდება დრო და უკეთესი განწყობა, ჟენევის გამოსვლასაც გადავხედავ. დღეს აღარ მოესწრება.

არ ვიცი როგორ, მაგრამ ვხვდები, რომ უნდა გამოიყოს დრო ცალკე გამოსვლების საწერად და ცალკე - დასვენებისათვის. უკვე წლებია, უიკენდი ჩემთვის გამოსვლების წერის ტოლფასია. ეს დამთრგუნველია. კაცს გასეირნების გეშინია და საერთოდ, სხვა ყველაფრისაც, რადგანაც გაუკეთებელი სამუშაო გაწევს და ასე „დაზაფრული“ ატარებ მთელ უიკენდს, იმისთვის, რომ მერე იმედგაცრუებულმა კვირა საღამოს ან ორშაბათს დაწერო. ეს მძიმეა. გამოსვლების წერაც მუშაობაა და, ყველა სხვა საქმიანობის მსგავსად, უნდა დამიგეგმოთ ისე, რომ გამომითავისუფლდეს უიკენდები და სხვა დასვენების დღეები. ვიღაცამ ესე დაწერა გაზეთში „ძლადა ფრონტა დნეს“ იმის შესახებ, რომ ვემსგავსები ორდინარულ პოლიტიკოსს. არ ვიცი, მაგრამ თუკი ეს მართლაც ასეა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი გამოსვლები აღარ არის მთელი გულით ნაწერი და ენამახვილური.

*- თქვენი დიდი ენთუზიაზმისა და ჰიპერაქტიურობის ხანაში, რომელიც უკვე ახსენეთ, დაიბადა ვიშეგრადის იდეა, რომელმაც მოგვიანებით მოიმკა ვაცლავ კლაუსის ხანგრძლივი და საფუძვლიანი კრიტიკა. ხომ არ გეჩვენებათ, რომ მაშინ ეს იყო ჯერ კიდევ მოუმზადებელი და დაუხვეწელი პოლიტიკური პროექტი?*

დასაწყისში ეს არავითარი პროექტი არ იყო. ეს იყო შეხვედრა, რომელიც ბრატისლავის ჰრადზე 1990 წლის აპრილში მოვაწყვე. ეს იყო კომუნიზმის საყოველთაო ნგრევის ხანა, რომელიც ყოველ ქვეყანაში თავისი საკუთარი გზითა და ტემპით მიმდინარეობდა.

ხელისუფლებაში მოდიოდნენ სრულებით განსხვავებული ვითარებიდან გამოსული ადამიანები, რომელთა შესახებაც ისიც კი არ ვიცოდით, თუ რა ურთიერთობები აქვთ ერთმანეთთან. პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და უნგრეთი გარკვეულწილად ცენტრალური ევროპის ერთიან ზოლს ქმნიან და ისტორიულ-კულტურულად ერთმანეთთან

ახლოს არიან. გარდა ამისა, კარგად არის ცნობილი, რომ იშვიათად თუ იყვნენ ერთმანეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობებში და რომ პირიქით, ხშირად ეომებოდნენ კიდეც ერთმანეთს.

ევროპას მოსვენებას არ აძლევდა შეკითხვა, თუ როგორ მოიქცევიან ეს ახლად შობილი დემოკრატიები, ყოველი მათგანი თავის გზას შეუდგება თუ მეტ-ნაკლებად სინქრონიზებულ პოლიტიკას გაატარებენ ან ხომ არ გამოიღვიძებს არქეტიპული მტრული დამოკიდებულებები. ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, აინტერესებდათ, ევროპისთვის, როგორც მთლიანისთვის, რისი მომტანი არის ეს ძირეული ცვლილებები მის ცენტრალურ ნაწილში და რა შედეგებს გამოიღებს. მე კი დაინტერესებული ვიყავი იმით, რომ მეგობრულსა და საქმიან ატმოსფეროში ერთობლივად გვესაუბრა ამ მოვლენების ირგვლივ და თან გაგვეცნო ერთმანეთი. ამიტომაც მოვიპატიჟე სამივე ჩვენი ქვეყნის არა მარტო უმაღლესი სახელმწიფო მოხელეები, არამედ ისინიც, ვინც ქმნის და აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს ამ ქვეყნებში.

ჟურნალისტებისა და მათი თანმხლებლის ჩათვლით, ბრატისლავის ჰრადზე ასობით ადამიანმა მოიყარა თავი. ეს ერთი დიდი იმპროვიზაცია იყო, არ დაგვიწესებია შეხვედრის ჩატარების წესები, წინასწარ არ განგვისაზღვრავს სასაუბრო თემები, არავითარი გამომსვლელთა წინასწარ დადგენილი თანამიმდევრობა, არავითარი სამეთვალყურეო დელეგაციები და სალონები ცალკეული დელეგაციებისთვის. მახსენდება, რომ ლუბოშ დობროვსკიმ, ვიზიტის სრული მოუმზადებლობის მიზეზით დაწყებამდე ერთი დღით ადრე შემომთავაზა მისი ჩაშლა. ეს იყო უჩვეული სადისკუსიო ფორუმი, სადაც მონაწილეებს უხდებოდათ თვითონ წარედგინათ საკუთარი თავი, ეს ერთადერთი საშუალება იყო გაგერკვია ვინ იდგა შენ წინაშე, მინისტრი, პარტიული ხელმძღვანელი, ისტორიკოსი თუ ჟურნალისტი. მე იქ გრძელი შესავალი სიტყვა მქონდა, რომლის წარმოთქმისას, ისევე როგორც შემდგომი დისკუსიების დროსაც, საშინლად ვიტანჯებოდი, რადგან ახალი გაკეთებული მქონდა თიაქრის ოპერაცია და კუჭ-ნაწლავის პრობლემები მაწუხებდა, საშინელი კუჭის აშლილობა მქონდა და ეს მაშინ, როდესაც ვიყავი ამ შეხვედრის ინიციატორი, ერთადერთი, ვისაც არ შეეძლო ასე უბრალოდ ადგომა და განსაზღვრული დროით გასვლა.

ალბათ, აღნიშნულ პრობლემას უნდა ვუმადლოდე, რომ ასე კარგად დამამახსოვრდა მთელი ის მოვლენები. მიუხედავად ასეთი არეულობისა, გავბედავ და ვიტყვი, რომ ეს იყო იმ დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა. ზუსტად იქ შევთანხმდით, რომ გვინდა ვარშავის ხელშეკრულების შეწყვეტა, ჩვენი ქვეყნებიდან საბჭოთა ჯარების რაც შეიძლება სწრაფი

მოშორება, კარის გაღება ისეთი დასავლური ორგანიზაციებისთვის; როგორებიცაა, ნატო, ევროპის კავშირი და, რაც მთავარია, ამ მხრივ არა მარტო თანამშრომლობას და ქმედებების კოორდინირებას, არამედ გარკვეული მიზნების მიღწევის საქმეში ჩვენი ძალების შეერთებასაც ვესწრაფვით. ამავდროულად დასავლეთს ვუჩვენეთ, რომ მართალია, ჩვენს ქვეყნებში პოლიტიკური ცვლილებები სრულიად განსხვავებული გზებით განხორციელდა და უმაღლეს თანამდებობებზეც განსხვავებული პიროვნებები აღმოჩნდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, დამთავრდა უთანხმოების პერიოდი და იწყება რკინის ფარდის მსხვრევის შემდგომი ეტაპი, ახალი ევროპის მშენებლობის საქმეში შემოქმედებითი თანამშრომლობის ხანა.

შემდგომშიც ხშირად ვიკრიბებოდით, ცხადია, წინასწარ დაგეგმილ და უკეთ ორგანიზებულ შეხვედრებზე და დარწმუნებული ვარ, რომ ბევრს იქიდან, რასაც იმ პერიოდში მივაღწიეთ ევროპაში, ვიშეგრადის თანამშრომლობის გარეშე ვერ შევძლებდით. ბალკანეთისა თუ ბალტიისპირეთის პოსტკომუნისტურ ქვეყნებსაც ჩვენი მაგალითის მიხედვით ორიენტირების და ჩვენი გზით სიარულის საშუალება მიეცათ, შეეძლოთ დაყრდნობოდნენ ჩვენს მცდელობებს და ამავდროულად დაგვხმარებოდნენ კიდეც. ვიშეგრადის ჯგუფი პირველად უნგრელმა ჟურნალისტებმა გვიწოდეს, ეს მოხდა უნგრეთის ვიშეგრადზე შეხვედრის შემდეგ, სადაც ხელი მოეწერა დოკუმენტს ჩვენი ჯგუფის იურიდიული ჩამოყალიბების შესახებ. მაშინდელი უნგრეთის პრემიერი ისტორიკოსი იყო და შეხვედრა ზუსტად იმ ადგილას მოაწყო, სადაც რამდენიმე ასეული წლის წინ ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთის, ჩეხეთისა და პოლონეთის მეფეები. ეს ისტორიული დოკუმენტი ნამდვილად საჭირო და მნიშვნელოვანი იყო, თუმცა დავუმატებ, რომ არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში ჩვენი გუნდისათვის ვიშეგრადის ჯგუფი არ გვიწოდებია.

ამ პასუხით, რომელიც ყველას განსაკუთრებულად ჩარჩა მეხსიერებაში, ჩემთან დაკავშირებული ჟურნალისტური კლიშე კიდევ უფრო გავამდიდრე, ბრალი დამედო, რომ ვმალავ ჩემს შეცდომებს და ამიტომ გახშირდა მოწოდებები, ვაღიარო ისინი. ერთგვარ „დაკითხვობანა-აღიარობანას“ თამაშს დაემსგავსა სიტუაცია.

ერთი კი არის, უნდა ვაღიარო, არ ვარ არანაირი მოსიარულე ლეგენდა და ზღაპრული პრინცი. ერთი მიწიერი არსება ვარ, რომელიც ყველა დანარჩენივით ცხოვრების ბილიკზე შეცდომების, გაუმართლებელი მოლოდინების და მცდარი ქმედებების კვალს ტოვებს. ამგვარი აღსარების დაძალება არ მჭირდება, ამას ხომ ჩემითაც ყოველ ნაბიჯზე ვაღიარებ. მაგრამ მოდით სერიოზულად, თუკი მომსვლია შეცდომები, ამაში ლომის წილი ჩემს დაბნეულობას მიუძღვის, საკუთარ თავში დაურწმუნებლობასა და ზრდილობიანობას, რომელიც კომპრომისულობას ესაზღვრება ხოლმე (იხილეთ რაშიდის შემთხვევა). არასოდეს ვიცოდი იმ ავტორიტეტის გამოყენება, განსაკუთრებით პირველ ეტაპზე, რომელიც გამაჩნდა. სხვათა შორის ვერც მისი შენარჩუნება შევძელი. ხშირად მოვლენას თვალყურს ვადევნებდი დაბნეულად, მაშინ, როდესაც შემეძლო სიტუაციის გადარჩენა და არა ჩემი კონსტიტუციური უფლებების გამოყენებით, არამედ ჩემი არაფორმალური, პირადი ავტორიტეტის ხარჯზე, რომლის გამოც ჩემი სიტყვები უფრო სერიოზულად იქნებოდა მიღებული. წარმოიდგინეთ, რამდენი მკაცრად კრიტიკული და იმავდროულად, კონსტრუქციული გამოსვლა მქონია, პოლიტიკოსები ზრდილობიანად ტაშს მიკრავდნენ, ზოგიერთი ფარულად მხარზე ხელსაც კი შემომკრავდა ხოლმე კმაყოფილებით, მაგრამ საბოლოოდ, ჩემი სიტყვებიდან არავის არაფერი მიუტანია გულთან ახლოს.

შეიძლება ზუსტად ეს არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ჟურნალისტები ხშირად მეოცნებედ, უტოპისტად და იდეალისტად მომიხსენიებდნენ ხოლმე. მაგრამ მე არ შემიძლია არ ვიყო ის, ვინც ვარ. ცხადია, თავის დროზე თეორიულად შემეძლო ხელთ მეგდო ძალაუფლება სამოქალაქო ფორუმში, მექცია უმძლავრეს პარტიად, მომეპოვებინა მისთვის ფული, მეთამაშა უმრავლესობის ინსტინქტებზე და შემდეგ მათ დავყრდნობოდი ხელისუფლებაში. მაგრამ ასე რომ მოვქცეულიყავი, განა ეს მე ვიქნებოდი? და საერთოდ შევძლებდი კი ამას? წარმოგიდგენივართ ამ როლში?

* * *

ვიზიტის კონცეპტუალური, პოლიტიკური და ორგანიზაციული მომზადებით, ისევე როგორც მისი მსვლელობით, უზომოდ კმაყოფილი ვარ. ვიზიტს გააჩნდა ყველაფერი ის, რასაც გამუდმებით მოვითხოვდი ანუ იდეა, ეთიკა, არქიტექტურა, სტილი... გასაგებია, რომ მათ სამზარეულოსა და შინაურ საქმეებში კარგად ჩახედული არ ვიყავი, მიუხედავად ამისა, ვიზიტს ვუყურებ როგორც მშვენივრად ორგანიზებულსა და კარგად ჩატარებულს, რომელმაც გადაჭარბა თავისი მიმდინარეობითა და მნიშვნელობით ჩემს ყოველგვარ მოლოდინს. ამდენად, კიდევ ერთხელ გამოვთქვამ კმაყოფილებას და მადლიერებას რპკ-ს ყველა იმ თანამშრომლის მიმართ, რომელმაც ეს დაიმსახურა. აღარ გავაგრძელებ და პირდაპირ გადავერთვები ზოგიერთ წვრილმანზე, რომლებთან დაკავშირებითაც მაქვს კრიტიკული შენიშვნები ან შინაგანი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა.

2) გასაგებია, რომ ყოველი ზედმეტი მონაწილე ვიზიტს ართულებს. ამიტომ ვკითხულობ, ბევრნი ხომ არ ვიყავით? ამავდროულად, თითქოს ვერ ვიხსენებ ვერავის, ვინც ზედმეტი იყო.

3) მინისტრებთან და მათ ამალასთან თანამშრომლობის საკითხი, უმჯობესია სიტყვიერი გარჩევისათვის შემოვინახო. კოჩარნიკმა და სებალამ ბევრი საქმე გააკეთეს და სირთულეები არ შეუქმნიათ. მათი თანაშემწეები რას აკეთებდნენ არ ვიცი, თუმცა შესაძლოა რაიმე მნიშვნელოვანს აკეთებდნენ კიდეც, სიამოვნებით დავიჯერებდი ამას. ზიელენიეცთან დაკავშირებით საქმე უფრო რთულად იყო. პოლიტიკური თანამშრომლობა მასთან კარგად გამომდიოდა, მცირედი უთანხმოებაც კი არ გვქონია, პირიქით, კარგად ვავსებდით ერთმანეთს. სხვა მხრივ კი საკმაოდ ორაზროვან როლს ასრულებდა (ზურგს უკან ყველა გაჭორა რპკ-ში. პატარ-პატარა მახის დაგება, მის თანმხლებთა გაუგებარი როლი, მისი დროგამოშვებითი უხასიათობა იმ მიზეზით, რომ ჩემს ჩრდილში იმყოფება, არასაკმარისი კომუნიკაბელურობა, მცდელობები გამხდარიყო უფრო თვალშისაცემი და მისთ.). მეტიც, კულისებს მიღმა ცდილობდა კოჩარნიკსა და საბელაზე უარყოფითი გავლენის მოხდენას (რომ მასავით ჩემს ჯინზე ემოქმედათ ხოლმე და რპკ-ს წინაღმდეგ ყოფილიყვნენ განწყობილი). მისული,საპარლამეტო ლიდერები,მთელი დიპლომატიური კორპუსი, არმიის ხელმძღვანელობა, უმაღლესი სასამართლო, ბანკირები, ბიზნესმენები და ა.შ., ერთი სიტყვით, ყველა, ვინც ამ ქვეყანაში რაიმეს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, შევამჩნიე, რომ ჩეხები იდგნენ და საუბრობდნენ ძირითადად ისევ ჩეხებთან. ეს ძალიან უხერხულად, შეიძლება ითქვას, გოიმურად გამოიყურებოდა.

რპკ-დან ზოგიერთი თავს განაწყენებულად იგრძნობს, რადგანაც მასპინძლებსაც ესაუბრებოდა. ნუ განაწყენდება, გამონაკლისი კანონზომიერებას ადასტურებს. ცხადია, ეს ყველას არ ეხება, მაგრამ მე გადავიტანე ის კოშმარი, რომ საითაც არ გავიხედე, ვხედავდი ათობით ტაილანდელს შორის მდგარ და ერთმანეთში მოსაუბრე ჩეხებს, ან სულაც განმარტოებულებს.

5). როგორც ყველას მოგეხსენებათ, მიყვარს რესტორნები, ვარ ცნობისმოყვარე და ვერაფრით გამაკვირვებს კაცი. ამიტომაც, როდესაც მივაბიჯებდი ბანგკოკის განთქმულ ავენიუზე, რომელიც თქვენც ყველამ კარგად იცით, გული მეწვოდა, ეროტიკული გართობის ქუჩებს რომ ჩავუვლიდი ხოლმე. ერთხელ ცხოვრებაში რა სიამოვნებით დავხედავდი იქაურობას! მაგრამ ვიცოდი, რომ მეფის სტუმარი ვარ, რომ მეფე ინფორმირებულია ჩემი ყოველი ნაბიჯის შესახებ, რომ თავს ამის უფლებას,

უბრალოდ ვერ მივცემ და მორჩა. და აი, რატომ ვლაპარაკობ ამაზე: არ მიმაჩნია მისაღებად ის, რომ მთელმა ჩემმა დელეგაციამ, ფინანსთა მინისტრის თაოსნობით, მოინახულა ხსენებული ადგილები. მეტიც, ფოტოებიც გადაიღეს. რას ფიქრობს ამაზე ტაილანდის მეფე, არ ვიცი.

* * *

*- მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენის მონაწილე და მოწმე იყავით. თქვენი, როგორც პრეზიდენტის, ცხოვრებიდან რას მიიჩნევთ ყველაზე მნიშვნელოვნად და რაში ხედავთ პირად პოლიტიკურ წარმატებას?*

დღეს, ალბათ, ბევრმა, განსაკუთრებით უმცროსმა თაობამ, აღარ იცის რას წარმოადგენდა „ვარშავის ხელშეკრულება". მათთვის ეს მორიგი პოლიტიკური მოვლენაა სხვა მრავალ მოვლენას შორის და ზოგიერთი იმ აზრს ემხრობა, რომ ეს პაქტი თავისთავად, ავტომატურად, დაიშალა ისტორიის თვითდინების მიზეზით. ეს ასე არ გახლავთ. აუცილებლად დასაშლელი იყო, თუმცა ეს არ იყო ადვილი. ჩვენს ქვეყნებში საბჭოთა ჯარები იდგა; ჩვენი გენერალური შტაბები, მეტ-ნაკლებად, საბჭოთა მთავარსარდლობის ფილიალებს და საბჭოთა სამხედრო დაზვერვის ცალკეულ სამსახურებს წარმოადგენდა; ათწლეულების მანძილზე საზოგადოებრივ აზროვნებაში ნერგავდნენ ეჭვს გარეშე მდგომ ფუნდამენტურ დოგმას ამ ალიანსის სასიცოცხლო მნიშვნელობის შესახებ. თავისუფალი არჩევნები შეგვეძლო გვდომებოდა და გვქონოდა კიდეც, შეგვეძლო კონსტიტუციურად დაკანონებული კომუნისტური პარტიის წამყვანი როლი გაგვეუქმებინა, შეგვეძლო გვეყვირა თავისუფალი პრესისა და საბაზრო ეკონომიკის შესახებ, მაგრამ „ვარშავის ხელშეკრულების" (საბჭოთა ჰეგემონიისა და ძალმომრეობის ამ ძირითადი იარაღის) გაუქმების აზრი რადიკალებსაც კი უკიდურესად სახიფათოდ მიაჩნდათ. გორბაჩოვს, ცხადია, არც კი დაესიზმრებოდა, რომ ვინმეს მსგავსი სურვილი გაუჩნდებოდა. და როდესაც ამაზე ხმამაღალი საუბარი დაიწყო, უკიდურესად რთული სიტუაციის წინაშე აღმოჩნდა. ერთი მხრივ, უხეში სამხედრო ძალის გამოყენება აღარ შეეძლო, ეს მთელი მისი „პერესტროიკისათვის" თავში ჩარტყმა იქნებოდა. მეორე მხრივ, უნდა სცოდნოდა, რომ ამ პაქტის დაშლას შედეგად საბჭოთა კავშირის ნგრევა მოჰყვებოდა. დასაწყისისათვის ვსაუბრობდით სრულიად ევროპული უსაფრთხოების ახალ სტრუქტურაზე, რომელსაც ყოველგვარი სირცხვილის გარეშე შეუერთდებოდა „ვარშავის ხელშეკრულების" ქვეყნები. მოგვიანებით, ახალი საერთაშორისო სიტუაციიდან გამომდინარე, საუბარი დაიწყო „ხელშეკრულების" სამხედრო სტრუქტურის გაუქმებაზე, პოლიტიკური სტრუქტურის გაუუქმებლად, რაც მის ცარიელ სიმბოლოდ გადაქცევას გულისხმობდა. სრული გაუქმება კი მხოლოდ რამდენიმე თვით გვიან, თავდასხმების ამ გრძელი ჯაჭვის ბოლოს მოხერხდა. დღეს უკვე ძნელი ასახსნელია, ერთი მხრივ, რა რისკთან იყო დაკავშირებული და მეორე მხრივ, რამდენად საჭირო იყო ეს მანევრები (არა მხოლოდ „ველიკოდერჟავული" მისწრაფებების გამო, არამედ საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებითაც). დაბოლოს, რაც შეეხება ჩვენს პირად აზრებს, ყველას გვესმოდა, „ვარშავის ხელშეკრულება" უნდა დაშლილიყო, მაგრამ დასაწყისში არავინ იცოდა როგორ შეიძლებოდა ამის სისრულეში მოყვანა. მახსენდება, რომ პატარა პრობლემა უნგრელებთან შეგვექმნა. მათ არ უნდოდათ „ვარშავის ხელშეკრულების" გაუქმება? - უნდოდათ პაქტიდან ზარზეიმით გამოსვლა. ეს კი პაქტის გაუქმების შემთხვევაში შეუძლებელი ხდებოდა. მათ ამ პოზიციას ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნდა. გრძნობდნენ რა უზარმაზარი სიმბოლური მნიშვნელობა ექნებოდა უნგრელი ხალხისთვის იმ ნაბიჯს, რომლის გადადგმის მცდელობისთვისაც 1956 წელს უნგრელები სისხლში ჩაახრჩვეს. მახსოვს, მოსკოვში „ვარშავის ხელშეკრულების" ერთ-ერთ სამიტზე, ჩვენ, პოლონელებმა და აღმოსავლეთ გერმანელებმა, სასტუმროში უნგრელებს იმდენი ვუჩიჩინეთ შუაღამემდე, რომ ბოლოს გადმოვიბირეთ კიდეც. ეს არ იყო მარტივი საქმე და დიდ ძალისხმევას მოითხოვდა ჩვენგან. განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინებით, თუ რაოდენ ზანტად და უხალისოდ გვტოვებდნენ საბჭოთა ჯარები, მაგრამ ბოლოს მაინც მოვახერხეთ ჩვენის გატანა. 1991 წლის ზაფხულის იმ წამს, როდესაც, როგორც თავმჯდომარე ქვეყნის წარმომადგენელმა, უკანასკნელი სამიტის დახურვისას საზეიმოდ ვაუწყე მთელ მსოფლიოს, რომ „ვარშავის ხელშეკრულება" ეს-ესაა დაიშალა, ვთვლი მთელი ჩემი ცხოვრების ყველაზე გამორჩეულ მომენტად. მით უმეტეს, რომ ეს მოხდა პრაღაში? - ქალაქში, რომელსაც სულ რაღაც ოცდათორმეტი წლის წინ თავს დაესხა ეს პაქტი. ცხადია, როგორც გამნაღმველთა ქვედანაყოფის, ანუ კლასობრივი მტრებისთვის განკუთვნილი ტრადიციული საბჭოური ეშაფოტის ერთ აბუჩად აგდებულ და ყოვლად სასაცილო მებრძოლს, მსოფლიოში უმძლავრესი ორი სამხედრო ალიანსიდან ერთ-ერთის ლიკვიდატორის როლში თავი საკმაოდ აბსურდულად უნდა მეგრძნო. გორბაჩოვი ამ თვითლიკვიდაციურ სამიტს არ დაესწრო, მას იანაევი ცვლიდა, დოსტოევსკის ერთგვარი დაღვრემილი ლოთი, რომელსაც ეტყობა გორბაჩოვზე უარესი ნერვები ჰქონდა და სამიტიდან სამი კვირის შემდეგ პუტჩის მოხდენა სცადა. ამით საბოლოოდ დაასამარა თვით საბჭოთა კავშირი, რომელსაც „ვარშავის ხელშეკრულების" დაშლის შემდეგ დიდი ხნის სიცოცხლე ისედაც არ ეწერა. „ვარშავის ხელშეკრულების" დაშლით, ამ თითქმის დავიწყებული ისტორიული მოვლენით, საბოლოოდ დასრულდა მსოფლიოს ბიპოლარული დაყოფა და ჩვენი ცივილიზაცია შეუდგა ახალი და უკეთესი მსოფლიო წყობის ძიების რთულ გზას. საჭიროა აღინიშნოს, ჯერ კიდევ ვერ იპოვა და ვერც იპოვის, სანამ ადმინისტრატორი პოლიტიკოსები ასე ძლიერ სჭარბობენ მეოცნებეებს.

*- ბევრს საუბრობთ პოსტკომუნიზმის შესახებ. თქვენს წიგნში „ძლიერნი ძალაუფლების გარეშე", დაახლოებით ოცდაათი წლის წინ, გამოიყენეთ ტერმინი „პოსტდემოკრატია". რას გულისხმობდით?*

პოსტდემოკრატიის ქვეშ ვგულისხმობდი დემოკრატიას, რომელიც, ხელახლა იკრეფს თავის სახალხო შინაარსს. სხვა არაფერს და არც ერთი გრამით მეტს, ანუ დემოკრატიას, რომელიც არ არის მხოლოდ ფორმალური, მხოლოდ ინსტიტუციონური, მხოლოდ ელეგანტური მექანიზმი, რომელიც ხელისუფლებაში ერთი და იმავე ადამიანების დარჩენას ემსახურება, ოღონდ ისე, რომ მოქალაქეებს შეგრძნება ექმნებათ, თითქოს ყოველთვის თვითონ ირჩევენ. შესაძლოა, ცოტა გულუბრყვილოდ, მაგრამ ვცდილობდი განმემარტა მხოლოდ ის, რასაც დღემდე ვფიქრობ და თანაც დღეს კიდევ უფრო აკვიატებით: თუკი არ გვინდა, რომ ჩვენი საქმე ცუდად წარიმართოს, საჭიროა „გულებისა და თავების რევოლუცია" როგორც მასარიკი უწოდებდა ამას, ადამიანთა გამორკვევა ფართო გაგებით. ყურადღების გადატანა უკვე საკმარისად მოძველებული და უკიდურესად ტექნოკრატიული პოლიტიკური პარტიების ალტერნატივის ძიებაზე, ყოველ შემთხვევაში, მოწოდება მათი შინაგანი განახლებისაკენ; მცდელობა ჩამოვაშოროთ მათ შეფარული და შეუმჩნეველი ყველგანშეღმწევი ძალაუფლება, რომელიც ეწინააღმდეგება თვით წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპებს; მეტი მზრუნველობა ღია სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე და სხვადასხვა საზოგადოებრივი დაჯგუფებების რეკონსტრუქციაზე, როგორც საზოგადოების სოლიდარობისა და თვითკონტროლის ხელსაწყოზე; ყურადღების აქცენტირება გრძელვადიან ინტერესებზე, პოლიტიკის სულიერ და ზნეობრივ განზომილებაზე. ეს ყველაფერი ძირითადი იდეალის სხვადასხვა ასპექტს წარმოადგენს. ეს იდეალი არცთუ ისეთი რთულია. მას შეიძლება ვუწოდოთ კაცობრიობის გამოსვლა თვითგამანადგურებელი ცივილიზაციური ვარდნიდან.

**დასასრული**
**შემდეგ ნომერში**




# ქართული წიგნები უკვე ხელმისაწვდომია ემიგრანტებისათვის

ქართველისთვის, მსოფლიოს რომელ წერტილშიც არ უნდა იყოს ის, ქართული წიგნის მნიშვნელობა უალტერნატივო იყო და არის. ელექტრონული ტექნოლოგიების განვითარებამ ქართული წიგნები ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადა. ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“ ყველას, ვისაც აინტერესებს და უყვარს ქართული წიგნები, სთავაზობს 500-ზე მეტი წიგნის ელექტრონულ ვერსიას. აქ არის თანამედროვე თუ კლასიკური ქართული ლიტერატურა, საბავშვო წიგნები, „საბას“ პრემიის ლაურეატები... მათი წაკითხვა შესაძლებელია ნებისმიერ კომპიუტერში, iPad, iPod Touch და iPhone-ში, Kindle-ში და სხვა ელ-წამკითხველებში.

პროექტი - „ქართული ელექტრონული წიგნების სახლი საბა“ თიბისი ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება. აღნიშნული ინიციატივა ქართული საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით კი, საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეებისათვის მნიშვნელოვანი გახლავთ.

„ერთ კარგ ქართულ წიგნს წავიკითხავდი“... - გაიხსენეთ საზღვარგარეთ მცხოვრებ ახლობლებთან, თუნდაც, ბოლო საუბარი, ქართული ლიტერატურა ხომ არ მოუსაკლისებიათ?!.. სწორედ მათთვის, ვისაც ლიტერატურა უყვარს, ქართული ელექტრონული წიგნების სახლი შეიქმნა. ქართული ლიტერატურა დღეს უკვე ხელმისაწვდომია მათთვის, ვინც სამშობლოსგან შორს ცხოვრობს!

ჩვენ გვახსოვს დროები, როცა უცხოეთში წასული ქართველები, არა თუ ქართულ წიგნს, ენასაც კარგავდნენ.

დღეს არაერთი ქართველი პატრიოტი ცხოვრობს სამშობლოს გარეთ, მშობელ დედას, მშობელ ენას მოწყვეტილი შვილები, რომლებიც არ კარგავენ ეროვნულ თვითშეგნებას და იციან, რომ ქართული მეობა შვილებს უნდა უწილადონ!

ბიბლიოთეკის ვირტუალურ თაროებზე შეხვდებით კონკურსის სხვადასხვა წლების ნომინანტ და ლაურეატ ავტორთა წიგნებს. ასევე, ქართული თუ უცხოური კლასიკის შედევრებს და თანამედროვე ლიტერატურის ბესტსელერებს.

თანამედროვე ციფრული მედიის განვითარება წიგნს, როგორც კაცობრიობის უმთავრეს საინფორმაციო მატარებელს, ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს.

მცირე ზომის ელექტრომკითხველებში 5000-მდე წიგნის შენახვაა შესაძლებელი, ამ რაოდენობის ნაბეჭდი წიგნებით ბიბლიოთეკის შექმნას ხშირად ერთი ადამიანის ცხოვრებაც არ ყოფნის. თანამედროვე ტექნოლოგიები კი საშუალებას იძლევა, მთელი თქვენი ბიბლიოთეკა ერთ პატარა ელექტრონულ მოწყობილობაში მოათავსოთ და თან ატაროთ.

ჩვენი მიზანია, თანამედროვე ქართულმა და არამარტო ქართულმა ლიტერატურამ შეაღწიოს ერთი შეხედვით უკვე ყოფით საგნებად ქცეულ ჩვენს ელექტრო-აქსესუარებში - ტელეფონებში, პირად კომპიუტერებში და პლანშეტებში...

როგორ გავხდეთ „საბას“ ელექტრონული წიგნების სახლის მკითხველი?

აკრიფეთ ინტერნეტში www.saba.com.ge და თქვენ მოხვდებით ქართული ლიტერატურის არაჩვეულებრივ ვებ-სივრცეში! დარეგისტრირდით, შეარჩიეთ და ჩამოტვირთეთ ელექტრონული წიგნები, შექმენით საკუთარი ელექტრონული ბიბლიოთეკა და თან ატარეთ თქვენი საყვარელი ქართული წიგნები ყველგან და ყოველთვის.

წიგნების ფასი $1-დან იწყება. მათი შეძენა შეგიძლიათ ნებისმიერი ბანკის VISA ან MasterCard ბარათით.

წიგნის შეძენამდე „საბა“ საშუალებას გაძლევთ, უფასოდ წაიკითხოთ მისი ფრაგმენტი... ელექტრონული წიგნების სახლში შეგიძლიათ დარეგისტრირდეთ თქვენი ფეისბუქის სახელითა და პაროლით, ან გაიაროთ ავტორიზაციისა და რეგისტრაციის პროცედურები, რის შემდეგაც გაიხსნება თქვენი ბიბლიოთეკა.

შეძენილი წიგნი ავტომატურად მოთავსდება თქვენს ბიბლიოთეკაში, ვირტუალურ „თაროზე“. საკუთარი პაროლის საშუალებით, თქვენ შეძლებთ ესტუმროთ თქვენს ბიბლიოთეკას ინტერნეტში ჩართული ნებისმიერი მოწყობილობით.

შეძენილი წიგნების წაკითხვას ინტერნეტის გარეშეც შეძლებთ,

ასე რომ, თუ ცხოვრობთ სამშობლოსგან შორს და მონატრებული გაქვთ ქართული ლიტერატურა, „საბა“ სწორედ თქვენთვისაა! დღეიდან თქვენ შეგიძლიათ შექმნათ საკუთარი ქართული ბიბლიოთეკა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან, ყველგან თან გქონდეთ თქვენი საყვარელი წიგნები და მუდმივად ჩართული იყოთ ქართულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებში.

# კიდევ ერთი თბილი საღამო

თებერვლის ცივი საღამოა, მოთოვსო, - აცხადებდნენ.

ჩვენ ქართულ სინაგოგისაკენ მივემართებით, ქვინსში - ქართველი ებრაელები მწერლისა და მთარგმნელის ჯემალ აჯიაშვილის გარდაცვალებიდან ოცდამეათე დღეს აღნიშნავენ.

აი, ქართული სინაგოგაც. მძიმედ იღება მასიური ხის კარი და მასპინძელი გულთბილად გვეპატიჟება შენობაში. სამძიმარს იღებს ბატონი მიხეილ ფიზიცკი ჩვენგან და პიროვნებაზე, რომელმაც თავისი შემოქმედებით ღვაწლი დასდო ქართულ აზროვნებას და რომელიც ერთნაირად დაგვაკლდა ორი ერს, დანანებით გვიყვება.

ადრე მოგვსვლია მოსვლა. სამლოცველოდან რაბინის ხმა ისმის... დარბაზში კი, სადაც მასპინძელი მიგვიძღვის, ჯერ თითო-ოროლა კაცი ტრიალებს, სამზადისში არიან. ბატონი მიხეილი გვერდიდან არ გვცილდება, ყურადღებას მომხიბლავი ქალბატონიც გვაქცევს - ფინჯან ყავაზე გვეპატიჟება.

მხატვრის, ცისანა ჯანაშვილის, ასევე მისი მამის, ცნობილი შემოქმედის, მოსე ჯანაშვილის ფერწერულ ტილოებზე პრესიდან მსმენია, ვერასოდეს მოვხვდი მის გამოფენებზე. ვიცი, მისმა ფუნჯმა არაერთი იშვიათი პორტრეტი შექმნა, სადაც ფერთა გამის შუქ-ჩრდილებით ოსტატურად გადმოსცა პიროვნების ფიქრის საგანი. ვიგებ, რომ ჯემალ აჯიაშვილის სული მანვე აამეტყველა ტილოზე. ასევე ძალიან შთამბეჭდავი გამოუვიდა „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულ ენაზე მთარგმნელის, ბორის გაპონოვის პორტრეტიც - ბატონი მიშა ფიზიცკის ჯერაც საღებავშეუშრობელ წიგნის გარეკანზე და მერი შერვაშიძე გალაკტიონის წარმოსახვაში...

დარბაზი ნელ-ნელა ივსება ჩვენს ტკბილ ქართულზე მოსაუბრე ადამიანებით. ისინი ესალმებიან ერთმანეთს, ეფერებიან, მათ მეტყველებაში კუთხურ კილოებს ვიჭერ. გაოცდება კაცი, ერთი იმერულად უქცევს, მეორე მძიმე რაჭულით წელავს სიტყვებს, მესამე სამეგრელოდან უნდა იყოს ჩამოსული, ცოტა სიღრმიდან აკადემიური ქართულიც ისმის... სტუმარ-მასპინძლობის ზღვარს უკვე ვეღარ ვგრძნობ, გული სიყვარულით მევსება, ჩემიანებში ვარ, ჩემს ქართველებში, ჩემი ქართული მესმის. ქართულს მათ ნაკვთებშიც ვპოულობ, ზოგს ნათესავს ვამსგავსებ და მინდა, სათითაოდ ჩავიხუტო, ჩავეკრა ჩვენს ისტორიულ თანამოძმეებს, მათ, ვინც ყველაზე მეტად შეიყვარა, დაიფასა ჩემი სამშობლო.

ეკრანი ირთვება. ბატონ სიმონ კრიხელის გადაღებული დოკუმენტური ფილმიდან ჯემალ აჯიაშვილი ხმის ტემბრით ათბობს დარბაზს. სენაკთან დაკავშირებულ ბავშვობას იხსენებს, სკოლასთან დაკავშირებულ წლებს. დაღლილი და სევდაჩამდგარი თვალებით ეფერებაო იქაურ მეზობლებს, ისეთ დეტალებს ჰყვება იმდროინდელი ცხოვრებიდან, თვითონვე რომ სიამოვნებს და ეღიმება. სიყვარულით ლაპარაკობს საქართველოს მწერალთა კავშირსა და მწერლებზე, ირანში მივლინების დროს თარჯიმნად მუშაობის ეპიზოდებს აანალიზებს...

ვუსმენ ღვაწლმოსილ პიროვნებას და ვფიქრობ, ჯემალ აჯიაშვილს ჩვეულებრივი მოკვდავივით არ უცხოვრია, სამწერლო ასპარეზის გარდა, ერთა შორის ჰუმანური ხიდის გამაგრებისა და განმტკიცების მისიითაც მოსულა ამსოფელში, იმ ისტორიული გზის მონაკვეთის შენარჩუნების დიდი მისიით, სადაც ერთმანეთს შეხვდა „ორი მონათესავი სული, იუდეველი და ქართველი ქრისტეანი, რომელთაც სიძველისადმი გრძნობა-პატივი ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი, რომელთა ფესვებიც უძველეს საუკუნეებში იკარგება. ისინი შეხვდნენ და მოდიან მას შემდეგ ერთმანეთის გვერდით, როგორც „ერთსულ და ერთხორც“ - საერთო ბედით, საერთო ცრემლით, საერთო ფიქრითა და საერთო ტკივილით, ერთნაირად დასტირიან შეგინებულ ტაძრებსა და აჩეხილ ვენახებს. ვაზის სიყვარულიც საზიარო აზრითა და სიმბოლიკით აქვთ განმტკიცებული“.

ჩვენი სასიქადულო ბატონი ოთარ სეფიაშვილი ხსნის საღამოს და მწერალთან ურთიერთობის ეპიზოდებს იხსენებს. სიამაყე და სითბო იგრძნობა გამომსვლელებს შორის - იოსებ პატარაკაციშვილი, ცისანა ჯანაშვილი, მიხეილ ფიზიცკი...

გარდა იმისა, რომ ბატონი ჯემალი საოცრად ფლობდა ქართულს, რომელიც მის სამწერლო ენად მიაჩნდა, ღრმად წვდებოდა კიდევ რამდენიმე ენასაც: თარგმნილი აქვს მსოფლიო კლასიკური პოეზიის არაერთი ნიმუში, ბიბლიური ფსალმუნები, ანდალუსიელი ებრაელებისა და სპარსი პოეტების ლექსები,ძველეგვიპტური საგალობლები, შექსპირის, ჩიმაკაცუს, ტირსო დე მოლინას, კარლო გოცის პოემები, დანტეს, პეტრარკას, მიქელანჯელოს, რილკეს სონეტები, ნელი ზაქსის, მანდელშტამის, პასტერნაკის და სხვათა პოეტური ნიმუშები. ქართული თეატრების სცენაზე იდგმებოდა მისი ორიგინალური და თარგმნილი პიესები. გახლდათ ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საბას, ივანე მაჩაბლის და ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიების ლაურეატი...

ვუსმენ გამომსვლელებს და კითხვა მიტრიალებს თავში, ქართველი ებრაელი თუ ებრაელი ქართველი, რომელი უფრო იყო მის პიროვნებაში. მერე ჩემთვის ვასკვნი, რომ ჯემალ აჯიაშვილი ქართველი ყოფილა სულით, იუდეველი ხორცით. სხვა შემთხვევაში იტყოდა, დაწერდა მასზე ქართველი საზოგადოება, მისი ქართული სამეგობრო წრე მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რომ დიდი შვილი დააკლდა საქართველოსო? („როგორც ეგვიპტელმა ფარაონმა ვერ შეძლო ებრაელთა გონებიდან საკუთარი სამშობლოს ხსოვნის წაშლა, ისე საქართველოს უკვდავი სულის იდუმალ ხვეულებში, რომელიც მისი უკეთესი შვილების სახელებს ინახავს, ერთ-ერთი საპატიო და სამუდამო ადგი-

ლი შენთვისაც გამოინახებაო“ - ზ. ბოტკოველი)

ფიქრის სტიქია დროდადრო იუდეველთა ისტორიის ფურცლებს მახსენებს, მით უმეტეს, რომ უდაბნოში არაფერი შეცვლილა ათა-ბაბადან: დღისით კვლავ მწველი მზე ეთამაშება ოქროსფრად აელვარებულ ქვიშას, ღამის წყვდიადში იკარგება ჰორიზონტი და „ქნარზე“ აღიღინებული ქარიც ისევე გულმოდგინედ კვეთს პეიზაჟის კონტურებს, როგორც მაშინ, როცა ქარავნად დაწყობილი ჰურიანნი შეუპოვრად კვალავდნენ აღთქმული ქვეყნისაკენ მიმავალ გზას. სამიათასხუთასი წელი გაიბნა მას მერე დროსა და სივრცეში, კაცობრიობის არსებობის ჭრილში კი კვლავ ირეკლება ეგვიპტეს მონობას თავდაღწეული და შემდეგდროინდელი ისტორიული ქარტეხილების გამო სამშობლოდან დევნილი და გაფანტული ხალხის გმინვა, ვისმა შთამომავალმა არ დაივიწყა „უდაბნოს თაობა“, „ქნარსაც“ ხმოვანება შეუნარჩუნა და მის „ჯიბის სამშობლოს“ (ჰაინე) - ბიბლიასაც არ დაადო სიძველის მტვერი, რადგან ეს „წიგნთა წიგნი“ თანამემამულეებს, „ტყვეობისა და თავისუფლების“ ერს გამაერთიანებლად და შემკრებად ეგულვებოდა საუკუნეების განმავლობაში და ეგულვების დღესაც და ისეთივე გრძნობით ჩასცქერის მის სტრიქონებს, როგორი ერთგულებითაც უფეთქავდა გული სჯულისმდებელ მოსეს, თანამოძმედ როცა განუცხადა: „დღეს იქმენით თქვენ ერად, რამეთუ მიიღეთ თორა...“

„მოკლე მეხსიერება” იცის სხვის ცისქვეშ ყოფნამ. უსამშობლობა მარტო ფიზიკური ტკივილი არ არის, სულიერიც ემატება, მორალურიც, ანადგურებს ადამიანს და შესაბამისად ერსაც. ებრაელი ხალხი დიდი ხანია ებრძვის ამ ტკივილს, ექვსქიმიანი ვარსკვლავი („მაგენ დავიდ-დავითის ფარი) გულში ამოსჭრია, „თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ“ სუნთქვას ამოჰყვება ხოლმე დროდადრო... იმედიც დიდი რამეა, თუ გონებაში ჩაბეჭდილა წინაპართა შეგონება, რომ ენის ღალატი ბოლოსდაბოლოს ერის ღალატია, რომ საკუთარი ენისა და ეროვნულობის თავისთავადობის შენახვა, თალმუდის ავტორების მიერ ყველაზე ღვთიურ მადლადაა შერაცხული („ეგვიპტეში ყოფნისას ებრაელები ერთ ადგილას იკრიბებოდნენ და ერთი ოჯახივით ცხოვრობდნენ; ფიცი დადეს, რომ ერთმანეთს მხარში ამოუდგებოდნენ და წმინდად შეინახავდნენ პატრიარქების აღთქმას, არ დაივიწყებდნენ წინაპართა ენას...“). ალბათ, სწორედ ებრაელი ხალხის ცხოვრების მაგალითმა ათქმევინა ერთ დიდაქტიკოსს, „წაართვით ხალხს ყველაფერი და ის ყველაფრის თავიდან შექმნას შეძლებს. ახალ სამშობლოს კიდევ შექმნის ხალხი, მაგრამ ენა თუ წაართვით, ვეღარასოდეს შექმნის ახალსო“.

ორმაგად დაუმძიმა სატარებელი ტვირთი ბედმა ქართველ ებრაელთ, ორჯერ მეტად გაუმძაფრა სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, იმ მიწისათვის ეცა პატივი, შვილადმიღებულს რომ მიუჩინა ბინა-ალაგი, მის ღვიძლთან ერთად. იქნებ იმიტომ შეუყვარდათ გული პირველადმოსულ ჰურიანნთ იბერთა დედაქალაქზე, „მთის კალთებზე შეფენილი მცხეთა, თავისი ბიბლიური სანახებით, პირველივე ხილვისთანავე რომ იერუსალიმის ცოცხალ ხატად აღიბეჭდა მათ ცნობიერებაში“? იქნება „დედობილის“ კალთასჩაკონილმა ხალხმა ამიტომაც შეგვიქმნა „მეორე იერუსალიმი“, რითაც მცხეთა ძალაუნებურად ბიბლიურ მისტერიასაც აზიარა?

ჯემალ სეფიაშვილის მოსაგონარი საღამო ტკბილი სუფრით მთავრდება და საქართველოსა და ისრაელის, ქართველთა და ქართველ ებრაელთა ურთიერთობის სადღეგრძელოც ისმება. საერთო სამშობლოს ამბებს გვეკითხებიან ქართველი ებრაელები ქართველებს, ზოგს გაგრის ამბავი აინტერესებს, ზოგს სენაკისა, ზოგს ონის. მათ შორის იმერეთიდან ჩამოსულები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ, რა ხდება ქუთაისშიო. ერთმა სათნო ქალბატონმა თვალცრემლიანმა გვთხოვა, - ჩემი სახლის კედლები დამიკოცნეთო...

**გიული ფერეთელი**

ვაშინგტონში მეტროს სადგურზე კაცი ჩამოჯდა და ვიოლინოს დაკვრა დაიწყო. იანვრის ცივი დილა იდგა. 45 წუთის განმავლობაში მან ბახის ექვსი პიესა შეასრულა. პიკის საათი იყო და, გამოთვლების მიხედვით, ამ ხნის განმავლობაში მას ათასობით ადამიანმა ჩაუარა. მათგან უმრავლესობა სამსახურში მიიჩქაროდა.

სამი წუთის შემდეგ შუახნის მამაკაცმა ყურადღება მიაქცია მუსიკოსს. მან ნაბიჯი შეანელა, რამდენიმე წამით შეჩერდა კიდევაც; შემდეგ კვლავ თავის საქმეებზე გაეჩქარა.

კიდევ ერთი წუთის შემდეგ მევიოლინემ პირველი დოლარი დაიმსახურა: ჩამვლელმა ქალმა ფული ჩაუგდო და არ შეჩერებულა, ისე განაგრძო გზა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ვიღაც კაცი კედელს მიეყრდნო და ყური მიუგდო დაკვრას; მაგრამ შემდეგ საათზე დაიხედა და წავიდა. ცხადია, სამსახურში აგვიანდებოდა.

ყველაზე მეტი ყურადღება მუსიკოსს სამი წლის ბიჭუნამ მიაქცია. მას დედა ხელჩაკიდებულს მიარბენინებდა, მაგრამ ბავშვი შეჩერდა, მუსიკოსისთვის რომ შეეხედა. ბოლოს და ბოლოს დედამ ძლიერად გაქაჩა ბავშვი და თან გაიყოლა. ბიჭუნა წავიდა, მაგრამ წამდაუწუმ თავს ატრიალებდა, სანამ მევიოლინის დანახვა შეეძლო. ასევე მოიქცა რამდენიმე სხვა ბავშვიც. უკლებლივ ყველა მშობელი აიძულებდა შვილს, გზა განეგრძო.

45 წუთის განმავლობაში, სანამ მუსიკოსი უკრავდა, მხოლოდ ექვსი ადამიანი შეჩერდა და დაყოვნდა რაღაც ხნით. ოცდაოდ ადამიანმა მას ფული მისცა, მაგრამ ნაბიჯი არ შეუნელებიათ. სულ 32 დოლარი შეგროვდა. როდესაც მან დაკვრა დაამთავრა და სიჩუმე ჩამოვარდა, არც ეს შეუმჩნევია ვინმეს. ტაში არავის დაუკრავს, არც სხვა გზით გამოუხატავთ აღტაცება.

არავინ იცოდა, რომ ეს მევიოლინე იყო ჯოშუა ბელი - მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მუსიკოსი. მან 3,5 მილიონ დოლარად ღირებულ ვიოლინოზე შეასრულა ერთერთი ყველაზე რთული ნაწარმოები, რაც კი ოდესმე დაწერილა.

მეტროს სადგურზე გამართულ კონცერტამდე ორი დღით ადრე ჯოშუა ბელი ბოსტონის თეატრში უკრავდა სავსე დარბაზში. მის კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი საშუალოდ 100 დოლარს შეადგენდა.

ეს ნამდვილი ამბავი გახლავთ. ჯოშუა ბელის ინკოგნიტო გამოსვლა „ვაშინგტონ პოსტის“ ორგანიზებული იყო და სოციალური ექსპერიმენტის ნაწილს შეადგენდა. მისი მიზანი ხალხის აღქმის, გემოვნების და პრიორიტეტების გამოვლენა იყო. კითხვა ამგვარად იდგა: ჩვეულ გარემოში და არახელსაყრელ დროს - გაგვაჩნია სილამაზის აღქმა? შევჩერდებით, რათა დავტკბეთ მით?

გამოვარჩევთ ტალანტს უჩვეულო ვითარებაში?

ამ გამოცდილების ერთ-ერთი დასკვნა შესაძლოა ასეთიც იყოს: თუკი ჩვენ წუთიც ვერ გამოგვინახავს, რათა შევჩერდეთ და ყური დავუგდოთ მსოფლიოს ერთ უდიდეს მუსიკოსს, რომელიც უკრავს ერთ-ერთ საუკეთესო მელოდიას, რაც კი ოდესმე შექმნილა - რამდენი სხვა რამ გვრჩება ყურადღების მიღმა?

## სკოლის მოსწავლეებს დაავალეს წერილი მიეწერათ ღმერთისთვის. გთავაზობთ ამონარიდებს:

მეოთხე კლასელი:

„ყვავილები უკეთესი გამოგივიდა, ვიდრე ადამიანები“

მეოთხე კლასელი:

„საიდუმლოდ გეტყვი, როდესაც ვხედავ მარტოხელა ქალს, მე შენს მაგივრად მრცხვენია.”

მესამე კლასელი:

„მე ჯერ პატარა ვარ, მესამე კლასში ვსწავლობ. ცოდვები ჯერ არ მაქვს, მაგრამ აუცილებლად მექნება”

მეორე კლასელი:

„გამარჯობა ღმერთო, როგორ ხარ? რას შვრები? როგორა საქმეები ჯანმრთელობასთან?”

მეოთხე კლასელი:

„შენ თუ სამყაროს დასასრულს მოაწყობ, ვინ ილოცებს შენთვის?”

მესამე კლასელი:

„რისთვის სჯი კეთილ ადამიანებს?”

მეოთხე კლასელი:

„ადამიანები ისე იტანჯებიან დედამიწაზე, ნუთუ შენს ჯოჯოხეთში უარესია?”

მესამე კლასელი:

„მე შენ რა თქმა უნდა მიყვარხარ, მაგრამ დედა და მამა უფრო, ხომ არაუშავს?”

პირველ კლასელი:

„შეიძლება რომ არ მოვკვდე?”

მეორე კლასელი:

„აი ეკლესიაში სანთლებს რომ ყიდიან, შენი ბიზნესია?”

მეორე კლასელი:

„ღმერთო სად არის ქრისტე ახლა? რას აკეთებს?”

მესამე კლასელი:

„შენ გაქვს გონება, თუ მთლიანად სულისგან შედგები?”

მესამე კლასელი:

„პირველ რიგში რა გააკეთა ქრისტემ, როდესაც აღსდგა?”

მეორე კლასელი:

„რატომ მათხოვრობენ ღარიბები ეკლესიასთან - შენ რომ აღნიშნო, ვინ მისცა ფული?”

მესამე კლასელი:

„ესე იგი თუ სწორად გავიგე ევოლუცია, შენ ჯერ შექმენი ადამი და ევა და შემდეგ ადამიანი წარმოიშვა მაიმუნისგან ხო?”

მეორე კლასელი:

„ღმერთო, თუ უფლებას მივცემ ჩემი სნიკერსი ჩაკბიჩოს - ეს სიყვარულია?”

მეორე კლასელი:

„რატომ ზრდი ადამიანს წლების განმავლობაში და მერე ბახ! - და ის მკვდარია?”

მეორე კლასელი:

„რისი გაკეთება შეიძლება ცხოვრებაში, რომ დედამ არ მცემოს?”

პირველკლასელი:

„როგორი იყო როდესაც ჯერ არაფერი არ იყო? მაგრამ რაღაც ხომ მაინც უნდა ყოფილიყო?”

მეორე კლასელი:

„იქნებ, შემიძლია რამით დაგეხმარო?”

მესამე კლასელი:

„რატომ მსურს სულ რამე ცუდი გავაკეთო? შენ ასე მცდი?”

მესამე კლასელი:

„რა გაგიკეთა ასეთი მამაჩემმა, რომ მას სულ არ უმართლებს?”

მესამე კლასელი:

„ახლა, მეორედ შექმნიდი ადამიანს?”

მეორე კლასელი:

„რა არის როდესაც ხალხს არ უყვარხარ, და უბრალოდ ეშინია შენი?”

მეოთხე კლასელი:

„რა იქნებოდა დედამიწაზე, ადამს და ევას რომ არ დაერღვიათ შენი კანონი ვაშლებთან დაკავშირებით?”

მეოთხე კლასელი:

„მინდა ვიცოდი რას აპირებ, დედამიწა ისევ დაიტბორება თუ დაიწვება?”

მესამე კლასელი:

„რატომ ლაპარაკობდნენ ადრე ცხოველები, ეხლა კი არ შეუძლიათ? ნუ გაიხსენე, გველიც კი ელაპარაკებოდა ევას”

პირვეკლასელი:

„შენ ბედნიერი ხარ?”

მესამე კლასელი:

„რატომ ჩუქნი შენ ცხოვრებას, ხოლო მისი წართმევა ყველას შეუძლია?”

მესამე კლასელი:

„რა უნდა გავუკეთოთ ცხოველებს, რომ ჩვენთან ერთად მოხვდნენ სამოთხეში?”

მეოთხე კლასელი:

„შენი ადამიანი შენი მსგავსი შექმენი, და უცხოპლანეტელი?”

მესამე კლასელი:

„ისე არ მოგსვლია? ვიღაც გესიმპათიურება, ის კი შენსკენ არც კი იყურება”

მეორე კლასელი:

„როდესაც გიყვარს, რატომ მოგწონს ყველაფერი, ერბოკვერცხიც კი?”

მეორე კლასელი:

„რამდენჯერ შევცდები სიყვარულში? სამჯერ უკვე არის”

მეოთხე კლასელი:

„რისთვის დავიბადე მახინჯი?”

მეოთხე კლასელი:

„მე ძალიან გარცხვენ?”

მესამე კლასელი:

„შეიძლება ხანდახან დაგესიზმრო?”

მეორე კლასელი:

„მიეცი ჯანმრთელობა, ბედნიერება დედას, ბებიას, ალექსანდრეს და ჩემს სხვა მამებს”

მესამე კლასელი:

„მინდა რომ ახალგაზრდობაში კარგად და ბედნიერად ვიცხოვრო, მოხუცებულობაში მარტო ბედნიერადაც შეიძლება”

მეოთხე კლასელი:

„გააკეთე ისე, რომ მეორე სიცოცხლეში საფრანგეთში ბიჭად დავიბადო”

მეოთხე კლასელი:

„არ შეიძლება, როდესაც ვცელქობ, არ მეჩხუბონ, მე ხომ ჩემი მხიარულებისთვის ვცელქობ”

მეოთხე კლასელი:

„ამბობენ, რომ ადამიანი სიკვდილის შემდეგ, ვიღაცის სახით ბრუნდება უკან. გთხოვ მინდა ვიყო ჩემი ძაღლი, ის კი ჩემს ადგილას იქნება და ჩვენ კვლავ ერთად ვიქნებით.”

მეორე კლასელი:

„მომიწყე ხანგრძლივი და მხიარული ცხოვრება”

მესამე კლასელი:

„გააქრე ჩემი ცოდვები”

მეორე კლასელი:

„მოდი შევხვდეთ სიკვდილამდე”

მესამე კლასელი:

„გააკეთე ისე, რომ დედიკო და მამიკო შერიგდნენ. ღმერთო დამეხმარე”

მეორე კლასელი:

„ჩემთვის არა, კაცობრიობისთვის გთხოვ. გააკეთე ისე, რომ ყველა 11 წლით უფრო დიდხანს ცხოვრობდეს, ვიდრე უწერია”

მესამე კლასელი:

„ნუ ბრაზდებით ადამიანებზე”

მეოთხე კლასელი:

„ღმერთო, პირველად რომ გნახავ, არაფერს არ გთხოვ. შენ იფიქრებ - რა მორცხვი ბიჭია და მერსედესს მაჩუქებ”

მესამე კლასელი:

„შენ დაპირდი დაიცვა სუსტები, დაჩაგრულები... რაღაც ამას ვერ ვხედავ”

მესამე კლასელი:

„გამოგვიგზავნე დედამიწაზე შენი შვილი, ჩვენ მას ჯვარზე არ გავაკრავთ”

მეოთხე კლასელი:

„ძალიან მინდა, რომ ბავშვთა სახლიდან ბავშვებმა იპოვონ კარგი მშობლები”

მესამე კლასელი:

„გთხოვ გააკეთე ისე, რომ ხალხი არ კვდებოდეს და კოღოები არ იყონ”

მეორე კლასელი:

„ღმერთო, მოდი მოვრიგდეთ. მე მჯერა შენი, შენ კი - ჩემი”

მეოთხე კლასელი:

„გადაარჩინე ჩვენი სულები ინვალიდობისგან”

მეორე კლასელი:

„მიშვილე და შენ როცა დაბერდები, ჭიქა წყალს მოგაწვდი”

მესამე კლასელი:

„მე გთხოვდით რომელიმე ცხოველს, მაგრამ თუ ძნელია, ფუმფულა სათამაშოზეც თანახმა ვარ”

მეორე კლასელი:

„ჩვენ ერთად დავდიოდით ბაღში, მერე პირველ კლასში და მერე მან მითხრა „ჩვენ სხვადასხვანაირი ადამიანები ვართ“. მე უარესად გავხდი, ვიდრე მოვკვდი.”

მეოთხე კლასელი:

„ნუ აი ჩვენ ვსწავლობთ, ვსწავლობთ და რისთვის? ხომ მაინც მოვკვდებით და ჩვენი ცოდნა დაიკარგება”

მეოთხე კლასელი:

„მეორედ როდის მოვა იესო ქრისტე? ხომ უნდა მოვემზადოთ, თორემ იგივე იქნება, რაც პირველად მოსვლისას”

მეორე კლასელი:

„გთხოვ, მომიტევე ჩემი ცოდვები. ვიცი, ბევრი ჩავიდინე, მაგრამ არ მეგონა თუ არსებობდი”

მეოთხე კლასელი:

„შეგიძლია თუ არა ცოდვები მაპატიო? თუ არა, მაშინ მე გავაგრძელებ ცოდვილობას, დაწყნარებული სულით”

**ამერიკაში:**

*ნიუ-იორკში:*
*164 Brighton 11 St.*
*Brooklyn NY 11235*
*Tel: 718-934-1700*
*Alt: 347-500-5037*

*ნიუ-ჯერსში:*
*123 Pennsylvania Ave, # 3*
*Kearny NJ 07032*
*Tel: 201-333-5555*

*ოჰაიოში:*
*9333 Reading Road*
*Reading, OH 45215*
*513-322-5102*

*პენსილვანიაში:*
*13050 Busteton Ave*
*Philadelphia, PA 19116*
*215-710-0322*

**საქართველოში:**

**მთავარი ოფისი:**
წინამძღვრიშვილის 158
თბილისი, 2-506833
**საბურთალო:**
აკურის ქუჩა 13,
2-945853
**გლდანი:**
ვეკუა. 10-1
2-654122
**რუსთავში:**
მეგობრობის ქ.2
2-57157
**ქუთაისში:**
აღმაშენებლის 136
577-181846
**ბათუმში:**
საბაჟოს ქ. 4
04222 225508
**ზესტაფონში:**
სტაროსელკის ქ. 25
492-250332
**გორში:**
ცხინვალის გზა 8
0370227049
**თელავში:**
ბახტრიონის ქ. 3
350273130
**მარნეულში:**
რუსთაველის ქ.1
357-222712

www.barami.us
www.baramicar.com
Facebook: baramilogistix

# ყველა მომსახურება ერთ ადგილას, მომსახურების ფართო არჩევანი:

BARAMI

## ავტოშესყიდვები
დაგეხმარებით ავტომობილის ყიდვასა
და გაყიდვაში საქართველოსა და ამერიკაში;

## გადაზიდვები
ავტომობილის შიდა გადაზიდვები
ამერიკასა და კანადაში;
საზღვაო ტრანსპორტირება საქართველოსა
და მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში;

## საჰაერო (საამანათო) ტრანსპორტირება
სახლიდან სახლამდე* - 2.95$ პაუნტი;
ჩვენს ოფისში მოტანილი - 2.75$ პაუნტი;
გთავაზობთ მომსახურებას კომერციულ ტვირთებზეც;

## საზღვაო გადაზიდვები
ოფისში მოტანილი ავეჯის და რეგულარული ტვირთის
გადაზიდვა - *პაუნტი 91 ცენტად ფოთის პორტამდე.*
გთავაზობთ ადგილიდან წამოღების და სახლში მიტანის
მომსახურებასაც ზოგიერთი შტატის ფარგლებში
დამატებით ფასად.

## ინტერნეტ-მონიტორინგი:
ტვირთის სტატუსი და მრავალი ინფორმაცია
ჩვენს ვებ-გვერდზე: **www.barami.us**

„ბარამის“ სასაწყობო დარბაზი,
კერნი, ნიუ ჯერსი, აშშ

* შეიძლება არსებობდეს შეზღუდვები ზოგიერთ შტატზე

100 ეიღლარიანი ფასდაკლების **კუპონი,**
ავტომობილის გადაზიდვაზე ეს ტვირთზე 800
ეიღლარის ზემოთ (ამერიკელებზე), Exp. 10.31.13

100$

# ბარამი

ხიდი სამშობლოსთან

## უკვე როიალის მაგზავნას შეგიძლიათ საქართველოში!